ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

# სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები

# VI (I)

გამომცემლობა
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი – 2016

**BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY**

**NIKO BERDZENISHVILI INSTITUTE**

# THE QUESTIONS OF SOUTHERN-WESTERN GEORGIA HISTORY AND ARCHEOLOGY

# VI (I)

Publishing House
«Batumi Shota Rustaveli State University»
Batumi − 2016

**БАТУМСКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ
ШОТА РУСТАВЕЛИ**

**ИНСТИТУТ НИКО БЕРДЗЕНИШВИЛИ**

# ВОПРОСЫ ИСТОРИИ И АРХЕОЛОГИИ ЮГО-ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ

# VI (I)

Издательство
«Батумиский Государственный университет Шота Руставели»
Батуми – 2016

UDC (უაკ) 94(479.22)
ს-249

კრებულის – **„სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები“** – გამოცემა 1991 წელს დაიწყო და 2010 წელს V ტომის გამოცემით შეწყდა. კრებულის გამოცემა განახლდა 2016 წელს სათაურით **„სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები“.**

კრებულში წარმოდგენილი სტატიები ეხება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ნუმიზმატიკისა და ეკოლოგიის პრობლემებს. მკითხველი გაეცნობა, აგრეთვე, ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების 2015 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და ჩატარებულ საველე ექსპედიციათაგან ერთ-ერთის ანგარიშებს, რეცენზიებს საინტერესო წიგნებზე და ამ კრებულის ადრე გამოცემული ნომრების (I-V) ბიბლიოგრაფიას. ასე რომ, მკითხველს სრული წარმოდგენა შეექმნება განყოფილების საქმიანობის მრავალფეროვნებასა და შესაძლებლობებზე.

კრებული საინტერესო იქნება არამარტო სპეციალისტ-ისტორიკოსთათვის, არამედ მკითხველთა ფართო წრისთვისაც.

მთავარი რედაქტორი: **ბიჭიკო დიასამიძე**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
Editor-In-Chief: **Bichiko Diasamidze**
Doctor of Historical Sciences
პასუხისმგებელი რედაქტორი: **ოლეგ ჯიბაშვილი**
ისტორიის დოქტორი
Responsible Editor: **Oleg Jibashvili**
PhD in History
რეცენზენტები: **შოთა მამულაძე**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
**სულხან კუპრაშვილი**
ისტორიის დოქტორი
Reviewers: **Shota Mamuladze**
Doctor of Historical Sciences
**Sulkhan Kuprashvili**
PhD in History

ISSN 1987-524X
© “შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი” – 2016

# სარჩევი – Contents

**მთავარი რედაქტორისაგან** **8**
**From Editor-In-Chief** **8**

ისტორია – History

**ბიჭიკო დიასამიძე** – აჭარა ვახუშტი ბატონიშვილის შრომების მიხედვით 11
**Bichiko Diasamidze** – Adjara According to Vakhushti Batonishvili **21**

**ოთარ თურმანიძე** – 1937-1938 წლების რეპრესიების მასშტაბები აჭარაში და სადამსჯელო ინსტრუმენტები 22
**Отар Турманидзе** – Масштабы репрессий в Аджарии в 1937-1938 годах и средства наказания 49

**კახაბერ სურგულაძე** – ქალები 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში 50
**Kakhaber Surguladze** – Women in Russian-Turkish War of 1877-1878 55

**რამაზ სურმანიძე** – გოდერძი – ტოპონიმი და ანთროპონიმი 56
**Ramaz Surmanidze** – Goderdzi – Toponym and Anthroponym 67

**ზაზა შაშიკაძე, ნონა ნიქაბაძე** – ბათუმის სკოლები და კულტურული დაწესებულებები XX ს-ის 20-იან წლებში 68
**Zaza Shashikadze, Nona Nikabadze** – The schools of Batumi and Cultural Establishments In 20s of XX Century 77

**მაია ჭიჭილეიშვილი** – ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმის შენობის არქიტექტურა 78
**Maia Chichileishvili** – Architecture of the Nobel Brothers Batumi Technological Museum 84

არქეოლოგია – Archeology

**ირინე ვარშალომიძე** – ილხანთა მონეტა სხალთიდან 87
**Irine Varshalomidze** – Ilkhante's Coin from the Skhalta 90

**Giorgi Tavamaishvili** – On the Study of the Burial Rituals (According to the Material of Pichvnari Cemetery) 91
**გიორგი თავამაიშვილი** – დაკრძალვის რიტუალის შესწავლისათვის (ფიჭვნარის სამაროვნების მიხედვით) 103

**სულხან მამულაძე** – გონიო-აფსაროსის ნაქალაქარის წყალმომარაგების სისტემები და სანიტარულ-ჰიგიენური ობიექტები 106
**Sulkhan Mamuladze** – Water Supply Systems and Sanitary-Hygienic Facilities of Gonio-Apsarus Ancient Site 120

**ეკოლოგია – Ecology**

**ნიკოლოზ ნებიერიძე** – ჩამდინარე წყლების ბუნებრივი გამწმენდი ეკოსისტემების შესახებ 121
**Nikoloz Nebieridze** – On the Natural Ecosystems of Treatment of Wastewater 134

**სამეცნიერო ანგარიშები**
**Scientific Reports**

**ბიჭიკო დიასამიძე, ოლეგ ჯიბაშვილი** – ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების 2015 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში 135

**ოლეგ ჯიბაშვილი, ბიჭიკო დიასამიძე** – შუახევის მუნიციპალიტეტში ჩატარებული საველე ექსპედიციის ანგარიში 201
**Oleg Jibashvili, Bichiko Diasamidze** – Reports on the Field Expedition Carried out in Shuakhevi Municipality **245**

**რეცენზიები – Reviews**

**ემენ დავითაძე** – დროული და საჭირო წიგნი – სახელმძღვანელო (გამოხმაურება წიგნზე “აჭარა, ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები”) 251

**უჩა ოქროპირიძე** – დაპაუზებული ისტორია, ანუ ქმნა მართლისა სამართლისა 252

**Макка Султан-Гиреевна Албогачиева** – Рецензия на книгу „Грузины“ /отв. ред. Л.К. Бериашвили, Л.Ш. Меликишвили, Л.Т. Соловьева. М.: Наука, 2015. 814 с./ 273

**ახალი წიგნები – New Books**

ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მიერ 2011-2016 წლებში გამოცემული წიგნები 283

**ქრონიკა – Chronicles**

ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მიერ 2016 წელს ჩატარებული ღონისძიებები 295

**გახსენება – Memoris**

**ბიჭიკო დიასამიძე –** ღვაწლმოსილი მეცნიერი და ღირსეული მოქალაქე (გიორგი ჯავახიშვილი – 75) 299

**ბიბლიოგრაფია – Bibliography**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების შრომების კრებულის – **„სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები“ –** ბიბლიოგრაფია (1991-2010 წწ.) 302

Collection of Works of The Department of History and Archaeology of Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University – **„South-Western Georgian History Essais“** – Article I-V of the Tribes Bibliography (1991-2010) 302

**ავტორები** **316**

**Authors** **316**

## მთავარი რედაქტორისაგან

ძვირფასო მკითხველო, ისტორიის განყოფილების თემატური კრებულის – **„სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები“** – გამოცემა 1991 წელს დაიწყო და 2010 წელს V ტომის გამოცემით შეწყდა, ინსტიტუტის ცხოვრებაში მომხდარი დიდი ცვლილებების გამო. 2010 წელს, მთავრობის გადაწყვეტილებით, ინსტიტუტის შენობა (ნინოშვილის ქ. №23) გასხვისდა და ოპტიმიზაციის საბაბით შემცირებული შტატებით ინსტიტუტი შეუერთდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს „ბსუ სამეცნიერო ცენტრის ნიკო ბერძენიშვილის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა მიმართულების“ სახელით. ამჟამად იგი იწოდება **ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტად.**

ცვლილებები განიცადა განყოფილებამაც. მას შემოუერთდა არქეოლოგიის განყოფილება, რომელიც აქამდე ცალკე ფუნქციონირებდა. ახლა იგი იწოდება **ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილებად**. რთული და მძიმე იყო ინსტიტუტისათვის რეორგანიზაცია-ოპტიმიზაციის პირველი წლები, მაგრამ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით სამუშაო პირობების მოგვარებამ და შრომის ანაზღაურების შედარებითმა გაზრდამ ინსტიტუტისა და მისი განყოფილებების საქმიანობის გააქტიურებას შეუწყო ხელი.

ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილებამ, სადაც ცხრა მეცნიერი თანამშრომელია დასაქმებული, 2012-2016 წლებში 45 წლიური სამეცნიერო-საკვლევი თემა შეასრულა, მონაწილეობა მიიღო „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების (აჭარა)“ ოთხტომეულის მომზადება-გამოცემაში, მისი მკვლევრები არიან ავტორები უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის მომზადებული სახელმძღვანელოს „აჭა-

რა – ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები“ ცალკეული პარაგრაფებისა. მათ მიერ მომზადდა და გამოიცა 15-მდე მონოგრაფია, 140-ზე მეტი სამეცნიერო სტატია, მოეწყო 9 საველე სამეცნიერო ექსპედიცია, რომლის დროსაც აღირიცხა და ფოტო და ვიდეომასალა შეიქმნა აჭარისა და მეზობელი თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ქართული კულტურისა და ისტორიის ძეგლების შესახებ.

განყოფილება ყოველწლიურად ატარებს ორ საერთაშორისო კონფერენციას: **„ჩვენი სულიერების ბალავარი“**, რომლის მასალები დაბეჭდილია უკვე რვა წიგნად და **„ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“**, რომლის VII წიგნი ახლახან გამოიცა.

ამის პარალელურად, განყოფილების ინიციატივით გაიმართა არაერთი საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია და გამოიცა შესაბამისი კრებულები: **„ჩვენ ერთი ტკივილი და სიხარული გვქონდა (2014 წ.)“**, რომელიც აფხაზთა მუჰაჯირობის 150 წლისთავს ეძღვნებოდა; **„ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში“** (2015 წ.), რომელიც მიეძღვნა სელიმ ხიმშიაშვილის თავგანწირვიდან 200 წლისთავს და **„რუსთაველი და „ოქროს ხანის“ საქართველო“**, რომელიც ეძღვნება შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850 წლისთავს.

ჩვენი მონაწილეობით და ხელშეწყობით მომზადდა ფილმები: „სოფელი ჩვენი იმედი და საფიქრალი“ (2014 წ.), „სელიმ ხიმშიაშვილი“ (2015 წ.) და „აბუსერისძე ტბელი“ (2016). ფილმების რეჟისორი და ოპერატორია ჩვენი ინსტიტუტის სპეციალისტი გ. ნახუცრიშვილი. შევქმენით განყოფილების საქმიანობის ამსახველი ფოტოალბომები.

შეუძლებელია ითქვას ყველაფერზე, რასაც განყოფილება აკეთებს, თუმცა ნათქვამიც მკითხველს შესაძლებლობას მისცემს სრული წარმოდგენა იქონიოს განყოფილების მრავალმხრივ საქ-

მიანობაზე განვლილ ოთხ-ხუთ წელიწადში, რომელმაც შექმნა პირობები განყოფილების თემატური კრებულის – **„სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები“** – აღდგენისა, თუმცა, მცირეოდენი ცვლილებით, რადგან განყოფილება არქეოლოგიასაც აერთიანებს, იგი აისახება კრებულის სათაურშიც.

კრებული **„სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები“** წელიწადში ერთხელ გამოვა და მასში დაიბეჭდება განყოფილების მეცნიერი თანამშრომლების მნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოკვლევები, განყოფილების წლიური მუშაობისა და ჩატარებული საველე ექსპედიციების ანგარიშები, რეცენზიები სამეცნიერო ნაშრომებზე, ინფორმაციები ახლად გამოსულ დარგობრივ ლიტერატურაზე, წლის განმავლობაში განყოფილების მიერ ჩატარებულ ღონისძიებებზე, ნარკვევები ღვაწლმოსილ მეცნიერ-მკვლევრებზე და სხვა.

კრებულში დავბეჭდავთ ახალგაზრდა მკვლევართა (მაგისტრანტი, დოქტორანტი) ნაშრომებსაც, მათი ზრდა-განვითარების ხელშეწყობის მიზნით და ცნობილ მეცნიერთა გამოკვლევებს სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან და სამეცნიერო ცენტრებიდან, კრებულის პროფილის გათვალისწინებით.

ახლად აღდგენილი კრებულის I (VI) წიგნში წარმოვადგენთ წინა ხუთი კრებულის ბიბლიოგრაფიას, რაც გაუადვილებს დაინტერესებულ მკითხველს მისთვის სასურველი ავტორისა და სტატიის მიგნებას.

განყოფილების თემატური კრებულის გამოცემის აღდგენა ემთხვევა ინსტიტუტის 60 წლისთავისათვის მზადებას. იმედია, იგი ხელს შეუწყობს საიუბილეო თარიღის ღირსეულად აღნიშვნასა და განყოფილების სამეცნიერო საქმიანობის სრულყოფა-გაუმჯობესებას.

ბიჭიკო დიასამიძე

# აჭარა ვახუშტი ბატონიშვილის შრომების მიხედვით

საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უმძიმესი პერიოდის – XVIII საუკუნის სახელოვანი მოღვაწის ვახუშტი ბატონიშვილის (1696-1757) დამსახურება და ღვაწლი ქართული მეცნიერებისა და კულტურის წინაშე განუზომლად დიდია. მან საფუძველი ჩაუყარა ქართულ გეოგრაფიულ მეცნიერებას, შეავსო და ახალ საფეხურზე აიყვანა საქართველოს ისტორიის კვლევა და მოამზადა საფუძველი ისტორიის დამხმარე დისციპლინების: კარტოგრაფიის, მეტროლოგიის. ეთნოლოგიის, ტოპონიმიკის და სხვათა ჩამოსაყალიბებლად. იგი თვლიდა, რომ ისტორიის მიზანი მხოლოდ „სიმართლის მოთხრობაა, რომელიც გვამხნევებს, გვაგონებს წინაპართა ნამოქმედარს, გვინერგავს სიყვარულს ურთიერთისა და მამულისადმი“ ***[ბატონიშვილი ვახუშტი, 1904: 8].*** მან განსაზღვრა ისტორიის შინაარსიც... მისი თქმით, ისტორიაში მოცემულია ა) ადგილის აღწერა, ბ) ნათესავთმეტყველება, გ) წლის მრიცხველობა და დ) მოქმედების აღწერა (იქვე). მის მიერ შედგენილი საქართველოს გეოგრაფია და ისტორია ფასდაუდებელი წყაროა ჩვენი წარსულის შესასწავლად.

ამჯერად, მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ ვახუშტი ბატონიშვილის შრომებზე, რომლებშიც იმ დროის მსოფლიო მეც-

ნიერების განვითარების დონის შესაბამისად, წარმოდგენილია საქართველოს ცალკეულ ისტორიულ მხარეთა საზღვრები, ბუნებრივი პირობები, მოსახლეობა, მათი ცხოვრების წესი და ტრადიციები...

მართალია, ვახუშტის ნაშრომებში ცალკე თავი ან პარაგრაფი არ ეძღვნება აჭარის აღწერა-დახასიათებას, მაგრამ გურიისა და სამცხის ტერიტორიების ბუნებრივი პირობების, საზღვრების, მოსახლეობის საქმიანობისა და ზნე-ჩვეულებების დახასიათებისას, საინტერესო ინფორმაციას იძლევა აჭარის შესახებაც.

ვახუშტის ცნობები იმ დროის აჭარის შესახებ იმიტომაც იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას, რომ ოსმალეთის საზღვრებში მოქცეული აჭარის ვახუშტისეული აღწერა უფრო მეტად ავტორის დროის საზოგადოებაში დამკვიდრებულ მონაცემებს ეყრდნობა და ახლა, როცა ხელთა გვაქვს XVI საუკუნის 70-იანი წლების ოსმალთა ბატონობისდროინდელი აჭარის მასალები („აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“), შესაძლებლობა გვეძლევა შევადაროთ ეს ორი წყარო ერთმანეთს, ამასთან, გავითვალისწინოთ მომდევნო ხანის მკვლევართა შეხედულებები იმავე საკითხებზე და შემდეგ გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნები.

დღეს არსებული მონაცემებით, აჭარა პირველად მოხსენიებულია ჩვ.წ.-ის VII საუკუნეში, სომეხი სწავლულის ანანია შირაქელის თხზულებაში „სომხური გეოგრაფია“ ***[Ширакаци, 1878: 39]***, მაგრამ მკვლევრები ფიქრობენ, რომ შეიძლება ეს სახელწოდება ადრინდელი იყოს, რადგან ა. შირაქელი უფრო ადრეულ წყაროებს ეყრდნობოდა.

აჭარის ტერიტორიული განსაზღვრულობა და განსაკუთრებით დასავლეთის საზღვარი ჩანს XI საუკუნის ავტორის ლეონტი მროველის მიერ ოძრხის საერისთავოს საზღვრების განსაზღვრისას, როცა იძლევა ცნობას, რომ ფარნავაზმა (ძვ.წ.-ის III ს.) ქვეყანა

დაჰყო საერისთავოებად და **„მეექუსე გაგზავნა ოძრხის ერისთავად, და მისცა ტასისკარიდამ, ვიდრე არსეანთამდის, ნოსტის თავითგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა"** *[ქც-, 1955: 24].*

აკად. დ. მუსხელიშვილის თქმით, „ნოსტის თავი" – უეჭველად ძველქართული ტოპონიმი, დღეს, სამწუხაროდ, შემორჩენილი აღარ არის, მაგრამ კონტექსტიდან ცხადია, რომ იგი სადღაც არსიანის ქედთან თუ ზედ ქედზე უნდა ყოფილიყო, რადგან განსაზღვრება – „ნოსტისთავითგან ზღუამდის" საკუთრივ აჭარას შეეხება. მეორე მხრივ, ასეთი ლოკალიზაცია იმაზე მიუთითებს, რომ მემატიანის „აჭარა" მხოლოდ აჭარისწყლის ხეობას კი არ გულისხმობდა, რომელიც ზღვაზე არ გადის, არამედ ზღვისპირსაც" *[მუსხელიშვილი, 2003: 211-212].*

ვფიქრობთ, ასევე, საინტერესო ინფორმაციას ვღებულობთ აჭარის ტერიტორიის განსაზღვრისათვის ზემოთ ხსენებული XVI საუკუნის ოსმალური წყაროდანაც.

„ზემო აჭარის ლივის დიდი დავთარი" 1566-1574 წლებშია შედგენილი. მასში აჭარისწყლის ხეობის აღწერის მასალებია შეტანილი: მოსახლეობის რაოდენობა (სახელობით), შემოსავალი, გადასახადები... აღწერილია 2-3-კომლიანი სოფლები და მოსახლეობისაგან დაცლილებიც კი. ამ დოკუმენტით მთელი აჭარისწყლის ხეობა (ჭოროხთან შესართავამდე) ერთი ლივაა (სანჯაყი) და მას ჰქვია **ზემო აჭარის ლივა.**

დავთრის მიხედვით, ეს ლივა იყოფა ორ ნაჰიედ (რაიონად): **ზემო აჭარის ნაჰიე**, რომელშიც დაახლოებით თანამედროვე ხულოს და შუახევის მუნიციპალიტეტების ტერიტორიები შედიოდა და **ქვემო აჭარის ნაჰიე**, რომელიც თანამედროვე ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას აერთიანებდა *[აჭარის ლივის..., 2011].* აჭარისწყლის ხეობის დაყოფის წარმოდგენილი სურათი იმის საფუძველს იძლევა, დავსვათ კითხვა: რადგან არსებობდა

ზემო აჭარის ლივა, ხომ უნდა არსებულიყო ქვემო აჭარის ლივაც? თუ ეს ასე არ იყო, დავთარს რატომ ეწოდა „ზემო აჭარის“ და არა საერთოდ „აჭარის ლივა“ მაშინ, როცა მასში შემავალი ორი ნაჰიე მთელ აჭარისწყლის ხეობას მოიცავდა? ხომ არ იგულისხმებოდა ქვემო აჭარის ლივაში „ბათუმის ლივა“, რომელიც ტრაპიზონის ეიალეთში (ვილაეთი) იყო გაერთიანებული მასთან ტერიტორიულად მომიჯნაობისა და საურთიერთობოდ მოხერხებულობის გამო. სახელწოდება კი მას მთავარი ცენტრის – ბათუმისა მიეცა ***[დიასამიძე, 2009: 360].*** თუ ამ ვარაუდს გავიზიარებთ, მაშინ გამოდის, რომ XVI საუკუნეში აჭარაში მოიაზრებოდა ტერიტორია შავ ზღვამდე. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ოსმალები დაპყრობილი ტერიტორიების ადმინისტრაციული დაყოფისას ითვალისწინებდნენ ადრინდელ საზღვრებს, გამოდის რომ შუასაუკუნეების აჭარა აერთიანებდა თანამედროვე აჭარის შავიზღვისპირა ტერიტორიებსაც.

აჭარის ტერიტორიის საზღვრების შესახებ საინტერესო და ერთი შეხედვით წინააღმდეგობრივ ინფორმაციას ვიღებთ ვახუშტი ბატონიშვილის შრომებიდან. რაც უფრო საინტერესოა, მომდევნო დროის მკვლევარები, რომლებიც სარგებლობდნენ ვახუშტის შრომებით ისტორიული აჭარის ადმინისტრაციული საზღვრების დადგენის მიზნით, განსხვავებულად იგებენ და განმარტავენ ნაშრომიდან მოტანილ ამონარიდებს და შესაბამისად, აჭარის ადმინისტრაციულ-ეთნოგრაფიული საზღვრებიც განსხვავებულია მათ შრომებში (ქ. ჩხატარაიშვილი, ი. სიხარულიძე..) საქმე ეხება აჭარის ზღვისპირეთს: ბათუმ-ჩაქვისა და ქობულეთის მიმდებარე ადგილებს. ეს ტერიტორიები ისტორიულ-ეთნოგრაფიულ აჭარაში შედიოდა, თუ ეთნოგრაფიულ გურიაში. **”საერთოდ, ეთნოგრაფიულად კინტრიშის ხეობა ყოფისა და კულტურის ელემენტთა რიგი ნიშნით ავლენს მსგავსებას გურიასთან, რასაც**

მეზობლად მდებარე საერთო ტერიტორიული მიჯნები და ხანგრძ-ლივი ისტორიული ურთიერთობები განაპირობებდა. ამასთან, მოცემული ხეობა, ისე როგორც აჭარის მთელი ზღვისპირეთი, ეთნოგრაფიული მონაცემებით თითქმის არაფრით განსხვავდება შიდამთიანი აჭარისაგან. აჭარის ეთნოგრაფიულ ერთიანობაზე მიუთითებს სოფლის სტრუქტურა, დასახლების ტიპი, კარმიდამოს განლაგების სპეციფიკა, ბარსა და მთაში საც-ხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, საცხოვრებლის ცალკეულ ნაწილთა გამომხატველი ტერმინოლოგია, საოჯახო და საქორწინო წეს-ჩვეულებები, კერძები, შრომის იარაღები და მათი აღ-მნიშვნელი სახელწოდებანი, საოჯახო ნივთები, ავეჯი, ჭურჭელი და სკამ-სადგამი. ცალკეული ხეობის მიხედვით, ბუნებრივია, აჭარის რელიეფსა და ტოპოგრაფიასთან შესაბამისობაში, მეურ-ნეობასა და დასახლებაში შეიმჩნევა გარკვეული სხვაობა, მაგრამ ეს არ სცილდება კუთხის ეთნოგრაფიულ ჩარჩოებსა და იგი მოცემულია დასახლების ვერტიკალური ზონალობის ჭრილში" *[მგელაძე, 2014: 57].* ამიტომ, როცა ვსაუბრობთ ბათუმ-ქობუ-ლეთის რეგიონის ეთნოგრაფიული კუთვნილების პრობლემაზე, პოლიტიკური თვალსაზრისით ეს საკითხი ნაკლებად საინტე-რესოა, რადგან ორივე შემთხვევაში ტერიტორიები საქართველოს საზღვრებშია, მაგრამ ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრი-სით, როცა საქართველოს ცალკეული კუთხეები შეისწავლება მათი ეთნოგრაფიული თავისებურებებით, მაშინ ეს საკითხი უკვე პრინციპულად საინტერესოა.

ჩვენც ამ კუთხით ვუდგებით ვახუშტის შრომებიდან აჭარის შესახებ მოტანილ ამონარიდებს.

ბატონიშვილი ვახუშტი ნაშრომში გურიაზე თხრობისას, წერს: „მზღვრის ამ გურიას; აღმოსავლით მთა ფერსათი, სამცხე-გურიას შორისი და საჯავახოს შორისი; სამჴრით – ჭოროხის

**მდინარე და მთა მცირე ფერსათიდამ ჩამოსული დასავლით, აჭარა-გურიას შორისი; ჩრდილოთ – რიონი, გურია-ოდიშს შორისი და დასავლით – შავი ზღვა“** ***[ვახუშტი, 1941: 174].*** როგორც ვხედავთ, ვახუშტი ამ შემთხვევაში გურიის საზღვრებში ათავსებს თანამედროვე აჭარის ზღვისპირეთს ჭოროხამდე (ქობულეთი, ჩაქვი, ბათუმი – მიმდებარე ტერიტორიებით). მაგრამ ჯუმათის ეკლესიაზე საუბრისას, 1904 წელს მ. ჯანაშვილის რედაქტორობით გამოცემულ „საქართველოს გეოგრაფიის“ 319-ე გვერდზე განმარტების სახით, 525-ე სქოლიოში, მიუთითებს, რომ **„ჯუმათი მაღალს გორაზეა, საიდანაც მოჩანს მთელი იმერეთი იალბუზამდე და ფერსათამდე, აგრეთვე გურია, ბათუმის მხარე, შავი ზღვა, ფოთი“** ***[ბატონიშვილი, 1904: 319].*** აქ უკვე ავტორი ცალკე გამოყოფს ეთნოგრაფიულ მხარეებს: იმერეთს, გურიას, ბათომის მხარეს... როგორც ჩანს, გურიის საზღვრების განმარტებისას, ავტორს პირველ შემთხვევაში, მხედველობაში ჰქონდა გურიის პოლიტიკური საზღვარი ოსმალთა დაპყრობების წინ, როცა დრო-დადრო გურიის მთავრები იერთებდნენ აჭარის ზღვისპირეთს. ამ თხზულების შექმნის დროს ხომ საქართველო „პატარა საქართველოებად“ იყო დაყოფილი, თითოეულის მმართველი „ხელმწიფედ“ მიიჩნევდა თავს და გურიის ხელისუფალნიც ჭოროხამდე ტერიტორიების პატრონებად თვლიდნენ თავს. როგორც ჩანს, სწორედ ამან ჰპოვა ასახვა ვახუშტის შრომაში. ამის თქმის უფლებას გვაძლევს თვითონ ვახუშტის განმარტება გურიის აღწერის დასასრულს: **„განა გურიელს ეპყრა ოდესმე აჭარა** (იგულისხმება აჭარისწყლის ხეობა – ბ.დ.), **ჭანეთი, არამედ არს სამცხისა იმისთვის მუნვე დავსწერეთ“** ***[ვახუშტი, 1941: 176].*** მაშასადამე, ვახუშტი განმარტავს, რომ რადგან აჭარისწყლის ხეობა და ჭანეთი არასდროს ეპყრა გურიელს, სამცხესთან ერთად განვიხილე, ხოლო ქობულეთი, ჩაქვი და ბათუმი, რადგან ისინი ოდესღაც გურიე-

ლის ხელში ყოფილა, განიხილა **„გურიასა ზედა“** – გურიასთან ერთად. ამგვარ დასკვნას ამაგრებს ისევ ბატონიშვილის შრომიდან ერთი ადგილი, სადაც იგი ახსნას იძლევა, თუ რატომ იწყებს აჭარის აღწერას ერგედან. როცა იგი ამთავრებს ჭოროხის ხეობის „ქვეყნების“ დახასიათებას და იწყებს აჭარისწყლის ხეობის აღწერას, იგი წერს: **„ვინათგან აღვწერენით ბათომი, გონია და ერგე გურიასა ზედა, აწ ერგეს ზეიდამ ვიწყებ, აჭარისწყლის შესართავიდამ“** *[ვახუშტი, 1941: 134].* რატომ დასჭირდა ბატონიშვილს განმარტება იმის, თუ აჭარის აღწერას რატომ იწყებდა „ერგეს“ ზეიდამ“? ვფიქრობთ, იმიტომ, რომ მის დროსაც გაბატონებულიყო აზრი იმის შესახებ, რომ აჭარაში შედიოდა აჭარისწყლის ხეობა ბათუმთან, გონიასთან და ერგესთან ერთად. თუ ამ აზრს გავიზიარებთ, ვახუშტის მიხედვით, აჭარის ბუნებრივი პირობების აღწერა ასეთ სურათს იძლევა: მთიანი აჭარა (აჭარისწყლის ხეობა) არს „ჴეობა ვენახოვან ხილიანი, მოსავლიანი თვინიერ ბრინჯ-ბამბისა, ყოვლითა მარცვლითა, არს ტყიანი, კლდიანი, ვიწრო ჴრამოვან-ღრატოიანი. მთანი ტყიან-ნადირიანი, კაცნი ჴელოვანნი ხის მუშაკობითა *[ვახუშტი, 1941: 134],* ხოლო ბარის აჭარას ავტორი ასე ახასიათებს: „და ბათომს, გონიას და ერგეს ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი, ზეთისხილი, ბროწეული მრავალი და ზღვის კიდესაცა, ვენახნი მაღლარნი, ღვინო კეთილი, მსუბუქი და შემრგო, გემოიან სუნიანი მრავლად“... *[ვახუშტი, 1941: 176].*

ვფიქრობთ, ჩვენს მოსაზრებებს ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით აჭარის ადმინისტრაციული და ეთნოგრაფიული საზღვრების შესახებ, მხარს უჭერს ცნობილი მკვლევარი დ. ბაქრაძე XIX საუკუნის 70-იან წლებში აჭარაში მოგზაურობის შედეგად შექმნილ ნაშრომში. აჭარის ტერიტორიულ საზღვრებზე მსჯელობისას, ჩურუქ-სუს (ქობულეთი) და ჩაქვის კაზებს იგი

აჭარისაგან ხელოვნურად გამოყოფილად თვლის და წერს: **„ეტყობა ეს საზღვარი წარსულში არ არსებობდა და მთელი კინტრიშის ხეობა აჭარაში შედიოდა, ზღვამდე აღწევდა და ბათუმსაც მოიცავდა"** *[ბაქრაძე, 1987: 69].*

მკვლევრის ასეთ დასკვნას, ვფიქრობთ, მხარს უჭერს გურული, ქობულეთური და აჭარული მეტყველების (კილოებისა და კილოკავების) ურთიერთშედარებაც. სერგი ჟღენტის გამოკვლევით, „გურული კილო ეთნოგრაფიული გურიის ჩარჩოებში თავსდება და ლანჩხუთის, ოზურგეთის და ჩოხატაურის რაიონებით განისაზღვრება" ***[ჟღენტი, 1936: 42],*** ხოლო ქობულეთური მეტყველება ქვემო აჭარული კილოს ერთ-ერთი კილოკავია ***[ნოღაიდელი: 1941; მარტიროსოვი, 1972: 80].*** მართალია, ქობულეთური მეტყველება გურული მეტყველების ელემენტებს შეიცავს, მაგრამ მკვლევართა აზრით, სიახლოვის პარალელურად, არსებითი განსხვავებანიც შეინიშნება: ლექსიკური და მორფოლოგიური სხვაობა, მეტყველების ტონი, რიტმი, მახვილი და განვითარების სტადიალურობა *[მგელაძე, 2014: 237].*

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თანამედროვე აჭარის ბარის ნაწილის (ბათუმ-ქობულეთის მხარე) ტოპონიმიკა. ასე მაგალითად, ერგეში დამოწმებულია ტოპონიმი **„აჭარელაი ყანა"**, ჩაქვისთავში – **„აჭარა"** (მთა) და **„აჭარისწყალი"** (ღელე), ალამბარში – **„აჭყვანკალა"** (ღელე) ***[სიხარულიძე, 1959: 45, 52, 63].*** აკად. ს. ჯანაშია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ისეთ ტოპონიმებსა და ჰიდრონიმებს ამ ზონაში, როგორებიცაა მდინარე **აჭყვა** და მის სათავესთან სოფელი **აჭყვისთავი**, სოფელი **აჭი** მდინარე **აჭისწყალზე** და წერდა: **„მდინარე აჭის სათავეებთან ჩვენ ვხედავთ სახელწოდება „აჭს" (სოფელია ზემო და ქვემო), აქედან არის ნაწარმოები აჭ-არაც"**. უფრო ქვემოთ იგი კიდევ უფრო აზუსტებს: **„თუკი „ყვა" ფორმანტი მართლაც**

**აღნიშნავს „ღელეს", „ხევს", „ხეობას", მაშინ სოფელი აჭყვა და „აჭისწყალი", ფაქტობრივად, ერთსა და იმავე „აჭისხევს" ნიშნავს** *[ჯანაშია, 1959: 120-121].* ამ დასკვნების საფუძველზე აკად. დ. მუსხელიშვილი ვარაუდობს, რომ **„ამ დაბლობი ტერიტორიის „აჭარად" სახელწოდება ძველისძველი მოვლენაა"** *[მუსხელიშვილი, 2007: 74].* იგი, აანალიზებს რა ისტორიული აჭარის მთისა და ბარის სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს, წერს: **„შეიძლება უკვე გვიანბრინჯაო-ადრეული რკინის ხანაში დღევანდელი აჭარის ტერიტორია ერთ მთლიან ეკონომიკურ რეგიონად წარმოვიდგინოთ"** *[სდსინ, I, 2007: 84].* შემდეგ იგი აგრძელებს: **„რადგანაც ოდესღაც არსებობდა „ქვეყანა დიდაჭარა", ეს გულისხმობს „მცირე აჭარის" არსებობასაც. ზემოთქმულის შემდეგ არ არის გამორიცხული, რომ ეს უკანასკნელი „მცირე აჭარა" სწორედ დღევანდელი ბარის აჭარის უძველესი სახელწოდება იყოს... ქობულეთი, ჩაქვი, ბათუმი, ქვემო და ზემო აჭარა „ქვეყანა აჭარის" ის შემადგენელი სტრუქტურული ერთეულებია, „ხევებია", რომელთა წარმოქმნაც ჩვენ ჯერ კიდევ გვიანბრინჯაო-ადრეული რკინის ხანაში ვივარაუდეთ"** *[სდსინ, I, 2007: 74,103].* თუ ყველა ზემოთქმულს იმასაც დავამატებთ, რომ უძველესი დროიდან, ისტორიის ყველა ეტაპზე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალებით დასტურდება აჭარისწყლის ხეობის ზღვისპირეთთან სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა *[ინაიშვილი, 1975:48-49; ა.კახიძე, 1991:5-6; დ. მუსხელიშვილი, 2007: 90-91]* და ამასთან, **„ანთროპოლოგიურად არ დასტურდება ბათუმის რაიონისა** (მწვანე კონცხიდან ჭოროხამდე – ბ.დ) **და გურიის მოსახლეობის იდენტობა"** *[ახვლედიანი, 1957: 147],* კიდევ უფრო დამაჯერებელი გახდება ის, რომ **ისტორიული ეთნოგრაფიული აჭარა მოიცავდა თანამედროვე აჭარისწყლის ხეობასთან**

ერთად დღევანდელი ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების ტერიტორიებს ქ. ბათუმით *[დიასამიძე, 2009: 362].*

## გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:


**აჭარის ლივის.., 2011**: – აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები, ოსმალური ტექსტი, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და ფოტოასლები მოამზადეს ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ, თბილისი.

**ახვლედიანი, 1957:** – ახვლედიანი ო., აჭარის ასსრ მკვიდრი მოსახლეობის ანთროპოლოგიისათვის (რუსულ ენაზე).

**ქცა-, 1955**: – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბილისი.

**დიასამიძე, 2009**: – დიასამიძე ბ., ისტორიული ეტიუდები, ბათუმში.

**ბატონიშვილი, 1904:** – ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, თფილისი.

**ვახუშტი, 1941**: – ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი.

**ბაქრაძე, 1987**: – ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თარგმნა არჩილ ტოტოჩავამ, ბათუმი.

**სდსინ, 2007**: – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, I, თბილისი.

**სიხარულიძე, 1959: –** სიხარულიძე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, II, ბათუმი.

**მგელაძე, 2014: –** მგელაძე ვ., პეტრე უმიკაშვილი და ოსმალობის-დროინდელი სამხრეთ საქართველო, ბათუმი.

**მარტიროსოვი, 1972: –** მარტიროსოვი არ., ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის, თბილისი.

**მუსხელიშვილი, 2007**: – მუსხელიშვილი დ., აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის, – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, I, თბილისი.

**მუსხელიშვილი, 2003:** – მუსხელიშვილი დ., საქართველო IV-VIII საუკუნეებში, თბილისი.

**ინაიშვილი, 1975**: – ინაიშვილი ა. დიდაჭარის განძი და კოლხური ნივთიერი კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, სდსძ, V, თბილისი.

**კახიძე, 1991**: – კახიძე ა., მამულაძე შ., აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი.

**ნოღაიდელი, 1941:** – ნოღაიდელი ჯ., აჭარული კილოს თავისებურებანი, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, I, ბათუმი.

**ჟღენტი, 1936:** – ჟღენტი ს., გურული კილო, თბილისი.

**ჯანაშია, 1959:** – ჯანაშია ს., შრომები III, თბილისი.

**Ширакаци, 1878**: – Ширакаци А., Армянская география, VII в., СПб.

**Bichiko Diasamidze**

## Adjara According to Vakhushti Batonishvili

### Summary

On the bases of study and reconciling of Vakhushti Batonishvili's work and other scientific literature on this problem, there are made conclusion in the thesis/work, that in historic -Ethnographic Adjara was included not only Adjaristskali gorge, but modern Kobuleti and Khelvachauri regions' territory City Batumi.

**ოთარ თურმანიძე**

# 1937-1938 წლების რეპრესიების მასშტაბები აჭარაში და სადამსჯელო ინსტრუმენტები

საბჭოთა ხელისუფლების დროს რეპრესიებს პერმანენტული ხასიათი ჰქონდა, მაგრამ 1937-1938 წლების რეპრესიები თავისი მასშტაბით, ხასიათით და უდანაშაულო ადამიანების წამებით უპრეცედენტო იყო. მართალია, რეპრესიების ტალღა კრემლიდან დაიწყო, მაგრამ საქართველოში, კერძოდ, აჭარაში რეკორდულ მასშტაბებს მიაღწია. 1937-1938 წლებში ფიზიკურად გაანადგურეს სახელმწიფო, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის კადრები, საწარმო-სამეურნეო ხელმძღვანელები, ინტელიგენცია, სასულიერო პირები, ათასობით რიგითი ადამიანი. ამ ტრაგიკულ მოვლენებში წამყვანი და საბედისწერო როლი ითამაშა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა ლავრენტი პავლეს ძე ბერიამ, რომელიც წლების განმავლობაში შინსახკომის ორგანოებში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა და ბოროტებით, თვალთმაქცობით, არაადამიანურობით გამოირჩეოდა.

საქართველოში პოლიტიკური რეპრესიების მასშტაბის შესახებ ოფიციალურ დონეზე პირველად გაჟღერდა 1956 წლის 13 აგვისტოს, პარტიის აჭარის საოლქო ორგანიზაციის აქტივის კრებაზე. ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ტ. ჩიქოვანმა პირველად გაახმოვანა საიდუმლო მასალები: საქართველოში 1937-1938 წლებში რეპრესირებული იყო 50 ათასი კაცი, მათ შორის 20 ათასი დახვრიტეს. დახვრეტილთა შორის

არიან პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები: მიხეილ კახიანი, ბუდუ მდივანი, კონსტანტინე ცინცაძე, გერმანე მგალობლიშვილი, ლევან ღოღობერიძე, ლავრენტი ქართველიშვილი, მამია ორახელაშვილი, მალაქია ტოროშელიძე, მიხეილ ოკუჯავა, შალვა ელიავა, სამსონ მამულია და სხვები; ქართული ინტელიგენციის ნიჭიერი წარმომადგენლები: მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, ევგენი მიქელაძე, ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელი, ვახტანგ კოტეტიშვილი და სხვები. წამებას ვერ გაუძლო და თავი მოიკლა პაოლო იაშვილმა.

ადამიანების დაპატიმრებისა და დახვრეტის ლიმიტებს კრემლი წინასწარ იძლეოდა. საქართველოში 1937-1938 წლებში იმ რაოდენობის ადამიანები დააპატიმრეს და დახვრიტეს, რომ ლიმიტები ამოიწურა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ბერია 1938 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობისაგან მოითხოვდა დამატებით 1500 პიროვნების დაპატიმრების ლიმიტს *[ასსცსა, ფ. პ-1, ან. 36, ს. 41, ფურც. 11].*

აჭარაში რეპრესიების მასშტაბი მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან შედარებით გაცილებით მეტი იყო, ვიდრე საერთოდ საქართველოში. 1937-1938 წლებში ავტონომიურ რესპუბლიკაში 400 ათასი მაკომპრომეტირებელი მასალა იყო შედგენილი. ეს მაშინ, როდესაც აჭარის მოსახლეობა 200,1 ათას შეადგენდა. ოფიციალურ დონეზე აჭარლები „შემკობილი" იყვნენ გამაოგნებელი, ფალსიფიცირებული იარლიყებით: „თურქოფილები", „შპიონტერორისტები", „მავნებელ-ამჯანყებლები". ამ ყალბი, შეურაცხმყოფელი ბრალდებით დააპატიმრეს 11 ათასი კაცი, რომელთაგან 4000 დახვრიტეს. მხოლოდ ქალაქ ბათუმში 1937-1938 წლებში დახვრიტეს 670 უდანაშაულო ადამიანი *[ასსცსა, ფ. პ-1, ან. 36, ს. 41, ფურც. 52; სურმანიძე, 2014: 12].*

თუ გამოვრიცხავთ 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს, მაშინ ერთ ადამიანზე საშუალოდ 3-4 მაკომპრომეტირებელი საქმე მოდიოდა. საერთოდ, საქართველოში რეპრესირებულთა რაოდენობიდან აჭარაზე მოდიოდა 22% და დახვრეტილთა 20%. საერთო მოსახლეობის ფარდობითი მახასიათებელი კი 5,5%-ს შეადგენდა. ასეთი მდგომარეობა განპირობებული იყო შემდეგი გარემოებით: პირველი, აჭარის ადმინისტრაციული საზღვრის ერთი მონაკვეთი თურქეთის სახელმწიფოსთან გადიოდა და იგი ითვლებოდა კაპიტალისტურ ქვეყანასთან საზღვრისპირა რეგიონად. ამიტომ აჭარის ადგილობრივი მოსახლეობა განსაკუთრებულ მეთვალყურეობაში იმყოფებოდა. საბჭოთა უშიშროების უწყება აჭარლების ერთ ნაწილს თურქეთში იძულებით აგზავნიდნენ საიდუმლო ინფორმაციის შესაკრებად. იქ თურქეთის უშიშროების სამსახურის მუშაკები იჭერდნენ და აიძულებდნენ მათ სამსახურშიც ყოფილიყვნენ. ამ კატეგორიის ადამიანები ტრაგიკულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ეს მომენტიც ამლიერებდა უნდობლობას აქაური მოსახლეობის მიმართ. მეორე, აჭარლები გამუსლიმანებული იყვნენ და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას აქაურ ადგილობრივი მოსახლეობის ერთგულებაში უსაფუძვლო ეჭვი ჰქონდა. მესამე, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აჭარლებმა აშკარად გამოხატეს უკმაყოფილება კომუნისტური რეჟიმის ანტირელიგიური პოლიტიკის გამო. ეს უკმაყოფილება აჭარლებმა გამოავლინეს 1929 წლის აჯანყების დროს და უნდობლობა აჭარლების მიმართ კიდევ მეტად გაიზარდა.

ამ და სხვა ფაქტორებმა განაპირობეს აჭარის მოსახლეობის მასობრივი რეპრესიები, დაპატიმრება-გადასახლებები, დახვრეტები. აჭარაში რეპრესიების მასობრიობას მოწმობს ცალკეული სოფლების მაჩვენებლები. მაგალითად, 1937-1940 წლებში ხულოს რაიონის (ამჟამად შუახევის მუნიციპალიტეტი) სოფელ სამო-

ლეთში, სადაც 100-მდე კომლი ცხოვრობდა, რეპრესირებული იყო 28 უდანაშაულო ადამიანი. მათ შორის დახვრიტეს და გადაასახლეს 23 კაცი. ქედის რაიონის სოფელ აქუცაში 1937-1938 წლებში რეპრესირებული იყო 24 უდანაშაულო ადამიანი. მათ შორის 19 დახვრიტეს. აქედან რიგითი ადამიანი იყო 16, ხოლო სასულიერო პირი – 2. სოფელ ვაიოში 1937-1938 წლებში რეპრესიები განიცადა 21 პიროვნებამ. მათ შორის იყო: 5 სასულიერო პირი, ერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ერთიც – სულეიმან ლორთქიფანიძე, რომელიც სხვადასხვა დროს ქედის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარედ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისრად მუშაობდა. იგი თურქეთში გადაიხვეწა და სიცოცხლე შეინარჩუნა. დანარჩენმა რეპრესირებულებმა წამებით დაასრულეს სიცოცხლე *[მახაჭაძე, 2004: 34-35]*. ბათუმის რაიონის ორთაბათუმისა და ყოროლისთავის სოფლებში რეპრესირებული იყო 50-მდე უდანაშაულო ადამიანი. რეპრესიები განიცადეს ფაღავებმა, ქიქავებმა, ჩახვაძეებმა, ოთიაშვილებმა, ცენტერაძეებმა, ძნელაძეებმა, კონცელიძეებმა, ხალვაშებმა, ნაკაშიძეებმა და სხვებმა.

ადამიანების რეპრესიებისა და წამების დაწესებულება ცარიზმის დროსაც არსებობდა, მაგრამ კომუნისტური რეჟიმის დროს კიდევ მეტად გააძლიერეს და უპრეცედენტო ხასიათი და მასშტაბი შესძინეს. საქართველოში, როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, რეპრესიების მთავარი ინსტრუმენტები იყო პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი. ს. მ. კიროვის მკვლელობასთან დაკავშირებით, საკავშირო ცენტრალურმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ განსაკუთრებული ამოცანები დაუსახა პროკურორასა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს. გაიზარდა ამ ორგანოების უფლება-მოვალეობანი. ახალ გარემოებათა გამო პროკურატურა და შინაგან საქმეთა ორგანოები

საგანგებო მუშაობის რეჟიმში გადავიდნენ. 1935 წელს საბჭოთა კავშირის გენერალურ პროკურორად, ი. აკულოვის ნაცვლად, ა. ი. ვიშინსკი დაინიშნა, რომელმაც საბედისწერო როლი ითამაშა მასობრივი რეპრესიების სამართლებრივად შემზადებაში.

ა. ი. ვიშინსკის ეკუთვნის „აღიარებითი ჩვენების", როგორც დანაშაულის ძირითადი მტკიცებულების კონცეფცია. იგი გახდა განაჩენის გამოტანის მთავარი საფუძველი. არავინ აკონტროლებდა, როგორი მეთოდით იღებდნენ „აღიარებით ჩვენებას", ნამდვილი იყო თუ წამების შედეგად გამოძალული. ახლა საყოველთაოდ ცნობილია, რომ შინსახკომის მუშაკები „აღიარებით ჩვენებას" პატიმარს გამოძალავდნენ წამების, არაადამიანური მოპყრობის, კერძოდ, გვემის, შეურაცხყოფის, დამცირების შედეგად. „აღიარებითი ჩვენების" გამოძალვითა თუ ყალბად შეთხზვით საბჭოთა კავშირში მილიონობით უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა. ამ ავბედით პროცესში ა. ი. ვიშინსკის მიერ გაწეული მუშაობა უმაღლესმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ სამაგალითოდ შეაფასა. საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1937 წლის 20 ივლისის დადგენილებით ა.ი. ვიშინსკი დაჯილდოვდა ლენინის ორდენით „წარმატებითი მუშაობისათვის რევოლუციური კანონების და პროკურატურის ორგანოების განსამტკიცებლად" *[„კომუნისტი", 1937, 2 ივნისი].*

საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა საკავშირო მასშტაბით შექმნა პატიმართა ტანჯვის უპრეცედენტო სადამსჯელო სისტემა, რომლის დროსაც ადამიანების დაპატიმრება, გამოძიება, სასჯელის გამოტანა მიმდინარეობდა თვითნებურად, აღიარებით ჩვენებასთან ერთად, ფართოდ გამოიყენებოდა დასმენის, მაბეზღარობის, ჩაშვების ინსტიტუტი. სასამართლოს განხილვები ფორმალური იყო. ერთ-ერთი უცხოელი დამკვირვებლის, რემონ დიუგეს, აზრით, „ჩეკა არაკომპეტენტურად

მიიჩნევს სასამართლოებს პოლიტიკურ პატიმართა მიმართ. ამიტომ მათ საქმეებს თვითონ განიხილავს. ჩეკას მიერ გამოყოფილ მოსამართლეს ეძლევა განკარგულება გამოიტანოს განაჩენი უფროსის მითითების შესაბამისად. ბრალდებულს სასამართლოზე არასოდეს ეძახიან, არ ჰყავს ვექილი, რომელიც მას დაიცავდა ჩეკას საგანგებო ტრიბუნალზე. ყოველი განაჩენი ჩეკას თავმჯდომარეს გამოაქვს. მას გვერდით რამდენიმე ჩეკისტი უზის. განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება“ ***[დიუგე, 1994: 98].***

XX საუკუნის 30-იან წლებში პატიმართა რაოდენობა, საკნები, გადასახლებულთა ბანაკები მკვეთრად გაიზარდა. პატიმართა ახალი საკნები და გადასახლებულთათვის ბანაკები მოეწყო უკაცრიელ ადგილებში – რუსეთის ფედერაციის უკიდურეს ჩრდილოეთში, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში. ამ ავბედით საქმეში განსაკუთრებით ფიგურირებდნენ ჰენრიხ გრიგოლის ძე იაგოდა, რომელიც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი იყო 1935-1936 წლებში (სექტემბერი). საგულისხმოა, რომ საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1935 წლის 26 ნოემბრის დადგენილებით, ჰენრიხ იაგოდას მიენიჭა გენერალური კომისრის სახელწოდება ***[„საბჭოთა აჭარისტანი“, 1935, 28 ნოემბერი].***

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის, განსაკუთრებით უშიშროების სამსახურის როლის გაძლიერებას მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება „სსრ კავშირის შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსთა შემადგენლობის სპეციალური სახელწოდების შესახებ“. დაწესდა შემდეგი სახელწოდებები: სერჟანტი, უფროსი სერჟანტი, ლეიტენანტი, უფროსი ლეიტენან-

ტი, კაპიტანი, მაიორი, უფროსი მაიორი, მესამე რანგის კომისარი, მეორე რანგის კომისარი, პირველი რანგის კომისარი *[„საბჭოთა აჭარისტანი“, 1935, 9 ოქტომბერი].* საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1936 წლის 26 სექტემბრის ბრძანებულებით, ნიკოლოზ ივანეს ძე ეჟოვი დაინიშნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად, რომელიც ამ თანამდებობაზე 1938 წლის დეკემბრამდე მუშაობდა. გათავისუფლების შემდეგ (9 დეკემბერს) იგი დაინიშნა საბჭოთა კავშირის წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისრად. ნ. ეჟოვის ნაცვლად საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დაინიშნა ლავრენტი პავლეს ძე ბერია.

გ. იაგოდამ, ნ. ეჟოვმა, ლ. ბერიამ პრაქტიკულად განახორციელეს მასობრივი პოლიტიკური რეპრესიები. ყველაზე მასობრივი, ულმობელი პოლიტიკური რეპრესიები ძირითადად განხორციელდა ნ. ეჟოვის სახალხო კომისრობის დროს. ამიტომ იყო, რომ საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1937 წლის 27 იანვრის დადგენილებით ნ. ეჟოვს საბჭოთა კავშირის გენერალური კონსულის წოდება მიანიჭეს, ხოლო ამავე წლის 17 ივლისის დადგენილებით ლენინის ორდენით დააჯილდოვეს „მთავრობის დავალებათა შესასრულებლად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოთა ხელმძღვანელობის საქმეში განსაკუთრებული წარმატებებისათვის“ *[„საბჭოთა აჭარა“, 1937, 28 ივლისი].* უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობა საშიშროებას ხედავდა რეპრესირებულების ოჯახის წევრების და ნათესავების სახითაც კი. მათ მკაცრად დასჯას ისახავდა მიზნად საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ნ. ეჟოვის 1937 წლის 18 აგვისტოს ოპერატიული ბრძანება (#00486). ბრძანებით დაევალათ ქვემდგომ ორგანოებს შეედგინათ მაკომპრომეტირებელი მასალები 1936 წლის 1 აგვისტოდან

მოყოლებული მოღალატეთა ცოლების, შვილებისა და ნათესავე-ბის შესახებ, განეხილათ განსაკუთრებულ თათბირებზე, გაეცათ სანქციები მათი დაპატიმრების შესახებ. სასჯელმისჯილთა მოღა-ლატეების ცოლები დაეპატიმრებინათ ქმრებთან ერთად, გადაე-სახლებინათ პატიმართა სპეციალურ ბანაკებში. სპეციალურ ბანა-კებში იგზავნებოდნენ მსჯავრდებულთა ხანდაზმული ცოლებიც.

რეპრესირებულ მშობლებთან ერთად აპატიმრებდნენ 15 წე-ლზე მეტი ასაკის მოზარდებს, ყოფილ მეუღლეებსაც კი, რომლებ-მაც იცოდნენ, მაგრამ არ ამხილეს. მათ აგზავნიდნენ შრომა-გას-წორების კოლონიებში. 15 წლამდე ასაკის ბავშვები შინაგან საქმე-თა სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული მეთვალყურეობა-ში იქნებოდნენ. შრომა-გასწორების ბანაკებში იგზავნებოდნენ ჩვილბავშვიანი დედები. 1-1,5 წლის მიღწევის შემდეგ ბავშვები დედის გარეშე გადაჰყავდათ განათლების სახალხო კომისარიატე-ბის ბავშვთა სახლებსა და ბაგებში *[„საბჭოთა აჭარა“, 1997, 7 ივნისი]*.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისრები ჰენრიხ იაგოდა, ნიკო-ლოზ ეჟოვი, ლავრენტი ბერია მახეს უგებდნენ ათასობით ადა-მიანს, შემდგომ თვითონ აღმოჩნდნენ რეპრესიების მსხვერპლნი, 1937-1938 წლებში მავნებლის, მოღალატის, ხალხის მტრის ბრალ-დებით დახვრიტეს ჰენრიხ გრიგოლის ძე იაგოდა, ნიკოლოზ ივანეს ძე ეჟოვი. ი.ბ. სტალინის გარდაცვალების შემდეგ ამავე ბრალდებით დახვრიტეს ლავრენტი პავლეს ძე ბერია (1953 წ.).

ლ. ბერია საკავშირო კომპარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივნად დანიშვნამდე მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად. იგი კარგად იცნობდა შინაგან საქმეთა ორგანოების სტრუქტურებს, მუშაობის ფორმებს, მეთოდებს, რაც მთავარია, კადრებს, რომლებიც მის მიერ იყო დანიშნული და დაწინაურებული. ახლა ნათელია, რომ

საქართველოს, როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირის, შინაგან საქმეთა ორგანოების კადრების აბსოლუტური უმრავლესობა ზნეობრივად გადაგვარებული და დაბალი პოლიტიკური განათლებით იყვნენ. სხვანაირად ვერ ახსნი მათ მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებებს. საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მაღალი რანგის მუშაკებმა საბედისწერო როლი შეასრულეს უდანაშაულო ადამიანების ტანჯვა-წამებაში, განსაკუთრებით XX საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიებში. ამ ავბედით პროცესში ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ ს. გოგლიძე, მ. სტეპანოვი, ა. რაფავა, ხ. ქობულოვი, ზ. შაშურკინი, ნ. რუხაძე, შ. წერეთელი და სხვები.

მიუხედავად იმისა, რომ ლ. ბერია აღარ იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, უშიშროების მუშაკები კვლავ უშუალოდ მისი კარნახით მოქმედებდნენ. მათ აღვირახსნილ და თვითნებურ საქმიანობას საზღვარი არ ჰქონდა, ათასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ამ ადამიანების წამების, ტანჯვის, სიკვდილის ორგანიზატორები და შემსრულებლები საკავშირო ცენტრალური ხელისუფლებისაგან ჩინ-მედლებს და ორდენებს იღებდნენ. მაგალითად, საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1937 წლის 22 ივლისის დადგენილებით ლენინის ორდენით დააჯილდოვეს ს. გოგლიძე, მ. სტეპანოვი, ა. რაფავა, ხ. ქობულოვი, ზ. შაშურკინი, წითელი ვარსკვლავის ორდენით – 17 კაცი. მათ შორის: კ. აბაშიძე, გ. ჯინჯოლია, ნ. რუხაძე, ს. კუგელი, ვ. ინასარიძე, მ. კუკუტარია და სხვები „მთავრობის უმნიშვნელოვანეს დავალებათა სანიმუშოდ და თავგამოდებით შესრულებისათვის“ ***[„საბჭოთა აჭარა“, 1937, 23 ივლისი].*** თავგამოდება იმაში გამოიხატებოდა, რომ ათასობით უდანაშაულო ადამიანს წაართვეს ღვთისაგან ბოძებული სიცოცხლე. ადამიანის ბედის მიმართ ასეთი მიდგომები,

ჯალათებისა და ინკვიზიტორების წახალისება ერთხელ კიდევ მოწმობს საბჭოთა კომუნისტური რეჟიმის კაცთმოძულეობას, არაადამიანურობას.

უმძიმესი ვითარება იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების ორგანოებში. იგი დაკომპლექტებული იყო გაუნათლებელი, უღირსი და ზნედაცემული ადამიანებით. 1936-1940 წლებში უშიშროების სამსახური შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სისტემაში შედიოდა პოლიტიკური სამმართველოს სახით. მის საქმიანობას უშუალოდ განაგებდა სახალხო კომისარი. 1936 წლიდან 1938 წლის იანვრის პირველ ნახევრამდე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად მუშაობდა გერასიმე ნიკოლოზის ძე ჯინჯოლია, რომელიც კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1919 წლიდან, ჰქონდა საშუალო განათლება და უშიშროების მაიორის ჩინი. სწორედ გერასიმე ჯინჯოლიას კომისრობის დროს აჭარაში განხორციელდა მასობრივი რეპრესიები, თვითნებურად იჭერდნენ, აწამებდნენ კლავდნენ უდანაშაულო ადამიანებს.

ცხადია, უშიშროების სამსახური სახელმწიფოს ხერხემალია, მაგრამ თუ იგი დაკომპლექტებულია უღირსი, უზნეო, არაკომპეტენტური ადამიანებით, მაშინ არა მარტო სახელმწიფო წყობის დამანგრეველია, არამედ მთელი საზოგადოების უბედურებაა. ასეთ შინაარსსა და სახეს ატარებდა საერთოდ საბჭოთა კავშირის, კერძოდ საქართველოს და მის დაქვემდებარებაში მყოფი აჭარის უშიშროების სამსახური. 1937-1938 წლებში აჭარის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის პოლიტიკურ სამმართველოში 115-120 მუშაკი მუშაობდა. კომისარიატში ფუნქციონირებდა პარტიული და კომკავშირული კომიტეტები. კომისარიატის პარტორგანიზაციაში 1937 წლის აპრილის მდგომარეობით ითვლებოდა 55 კომუნისტი (34 პარტიის წევრი, 12 პარტიის წევრობის კან-

დიდატი, 9 თანამგრძნობი), 45 კომკავშირელი და 15 უპარტიო. განყოფილებები ფუნქციონირებდა ქობულეთის, ქედისა და ხულოს რაიონებში.

ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის პოლიტიკურ სამმართველოში მკვიდრ აჭარლებს სამუშაოზე საერთოდ არ იღებდნენ. ამის ძირითადი მიზეზი იყო დაუსაბუთებელი უნდობლობა აჭარლების მიმართ. პოლიტიკური სამმართველო ძირითადად დაკომპლექტებული იყო არაქართველებით (რუსები, უკრაინელები, სომხები, ბერძნები და სხვა). ქართველებიც მუშაობდნენ. მათ შორის: ჯინჯოლია, სამატაძე, მატუა, სიჭინავა, იმედაძე, გრიგოლია, გუგუშვილი და სხვები. ყველანი უპრეცედენტო ბოროტმოქმედებას ჩადიოდნენ უდანაშაულო ადამიანების წინააღმდეგ. ამ ბოროტმოქმედებით ჩეკისტები კიდევაც ამაყობდნენ. ამის შესახებ ითქვა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის პარტიულ კრებაზე (1937 წლის 27 ოქტომბერი), სადაც ხაზგასმით აღინიშნა, თითქოს აჭარა „კონტრრევოლუციონერთა, ჯაშუშ-ტერორისტებისა და დივერსანტ-მავნებლების ალყაში“ იყო მოქცეული, რომ „ჩეკისტების“ დამსახურებაა მათი გამოვლენა და ალაგმვა. ამასთან, ისიც ითქვა, რომ აჭარაში კონტრრევოლუციის ძირითადი ძალების განადგურება არ ნიშნავს, რომ ყველა მტერი საბოლოოდ განადგურებულია ***[ასსცსა, ფ. პ-279, ან. 1, ს. 10, ფურც. 94-96].*** გასაგებია, რომ „ჩეკისტები“ აგრძელებდნენ მასობრივ რეპრესიებს, უდანაშაულო ადამიანებზე ნადირობას. ეს ასეც მოხდა.

აჭარის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის პოლიტიკური სამმართველოს ძირითადი ბირთვის ანტისაზოგადოებრივი საქმიანობა თვითონ „ჩეკისტებმა“ ამხილეს. შინსახკომის საანგარიშო პარტიულ კრებაზე, რომელიც 1938 წლის მაისში გაიმართა, აღნიშნა: 1937 წლის აპრილიდან 1938 წლის მაისამდე კომუ-

ნისტური პარტიიდან გაირიცხა 15 კაცი, მათ შორის 14 პარტიის წევრი და ერთი პარტიის წევრობის კანდიდატი. პარტიიდან გარიცხულები ითვლებოდნენ კონტრრევოლუციონერ ტროცკისტებად, შპიონებად, ხალხის მტრად. „ჩეკისტები“ თავიანთ რიგებში კონტრრევოლუციონერთა შესახებ ალაპარაკდნენ საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის იანვრის პლენუმის დადგენილების შემდეგ.

1938 წლის იანვარში კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს, თანამდებობიდან მოხსნეს და დააპატიმრეს ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი გ. ჯინჯოლია, მოადგილე ს. კუგელი, ოპერატიული მუშაკები კონსტანტინიდი, ნოდია. მომდევნო ხანებში თანამდებობიდან მოხსნეს, კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს და დააპატიმრეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული განყოფილების გამგე პოლოშინი, რომელიც კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1917 წლიდან. ოპერატიული მუშაკები ინასარიძე, აზაროვი, სუდარიკოვი, პაპაიანი, ისაჩენკო, გუგუშვილი, მინინი, სამატაძე, ბურდული და სხვები. ბრალდებული ჩეკისტები გამოაცხადეს ხალხის მტრად, კონტრრევოლუციონერ ტროცკისტებად, შპიონებად, მავნებლებად. ისინი მართლაც იყვნენ მავნებლები, ხალხის მტრები, რადგან უდანაშაულო ადამიანების წინააღმდეგ ყალბ საქმეებს თხზავდნენ, აპატიმრებდნენ, აწამებდნენ, ხოცავდნენ.

აჭარაში 1936-1937 წლებში ამ ბოროტმოქმედების საერთო ხელმძღვანელი გერასიმე ჯინჯოლია იყო. მართალია, იგი დახვრიტეს, მაგრამ შთამომავლობა თუ დარჩა, ამ მძიმე მემკვიდრეობიდან მარტივად ვერ განთავისუფლდება. აჭარის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში გ. ჯინჯოლიამ, ს. კუგელთან ერთად, შექმნა დანაშაულებრივი რეჟიმი – შიშის, უსიტყვოდ მორჩილების, თვითნებობის. კომისარიატის პარტიულ კრებაზე

(1938 წლის 7 თებერვალი), სადაც იხილავდნენ საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის იანვრის პლენუმის შედეგებს, კომუნისტებმა აღნიშნეს: საკმარისი იყო ჯინჯოლიასა და კუგელის განცხადება „ცუდად გამოიყურებიო“, რომ ადამიანები პარტიიდან გაერიცხათ, ანდა სამუშაოდან მოეხსნათ. კომუნისტები შიშის გამო სდუმდნენ, ჯინჯოლიასა და კუგელის გამოსვლას უწყობდნენ ფეხს. ჯინჯოლია და კუგელი უგულებელყოფდნენ ზოგად და პოლიტიკურ განათლებას. კუგელს შინსახკომის ოპერატიული თანამშრომლისათვის უთქვამს: „ჩეკისტისათვის არ არის სავალდებულო პოლიტიკურად განათლებული იყოს“. აჭარის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში ჩაშლილი იყო პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. ჯინჯოლია და კუგელი ვერ იტანდნენ განსხვავებული აზრის მოსმენას, უხეშად ახშობდნენ კრიტიკას, მოკამათეებს უყვიროდნენ, დასცინოდნენ, ამასხარავებდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ *[ასსცსა, ფყ3-279, ან.1, ს.12, ფურც. 16-38, 79-80, 100-101; ს. 13, ფუპც. 3-7, 35; ს. 14, ფურც. 33].* ცხადია, შინსახკომის ხელმძღვანელების დანაშაულებრივი ქმედებანი, ანტისაზოგადოებრივი რეჟიმი პრაქტიკულად დანაშაულისაკენ უბიძგებდა უშიშროების უწყების მუშაკებს და ისინიც უპრეცედენტო ბოროტმოქმედებას ჩადიოდნენ.

ს. კუგელი, რომელიც პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრი იყო, რატომღაც პარტიულ ორგანოებში ნდობით სარგებლობდა. მას საქალაქო კომიტეტის ბიუროს სხდომაზე დასტობით მიჰქონდა კომპრომატები კომუნისტების შესახებ. საქალაქო კომიტეტი მათ არ ამოწმებდა და კუგელის მიერ მიწოდებული მასალებით კომუნისტებს პარტიიდან რიცხავდნენ, ხოლო შემდგომ ამ ადამიანებს მინსახკომი აპატიმრებდა, ანდა წინასწარ ჰყავდათ დაპატიმრებული.

აჭარის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში ს. კუგელმა დაამკვიდრა ბრალდებულის დაკითხვის დანაშაულებრივი წესი. იმავე პარტიულ კრებაზე აღინიშნა, რომ კუგელი ბრალდებულის დაკითხვის ოქმებს გასაცნობად აძლევდა შავი სახით, შემდეგ ასწორებდა, როგორც მას სურდა. თვითონვე გადაათეთრებდა და პატიმარს ბრმად ხელს აწერინებდა. ამასთან, დაკითხვის ოქმებს იმგვარად აფორმებდა, რომ ისინი ბრალდებულთა ჩვენებებს არ შეესაბამებოდა. ანალოგიურად მოქმედებდნენ შინსახკომის სხვა მუშაკებიც. ბოროტმოქმედებით გამოირჩეოდნენ ისაჩენკო, მინინი, სამატაძე. შინსახკომის პარტიული ორგანიზაციის კრებებზე (1938 წლის 15 მარტი და 11-12 მაისი). არაერთი ფაქტი მოიყვანეს მათი ბოროტმოქმედების შესახებ. ხაზგასმით აღინიშნა, რომ პოლიტიკური სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები ისაჩენკო, მინინი და სამატაძე დაკითხვისას პატიმრებსა და მოწმეებს ცარიელ ბლანკებზე აწერინებდნენ ხელს, ხოლო შემდგომ თვითონვე ავსებდნენ თვითნებურად *[ახსცსა, ფ. პ-279, აწ. 1, ს. 12, ფურც. 15-16, 31, 63].*

ციხეებსა და შინსახკომის საკნებში ისეთი მტანჯველი რეჟიმი არსებობდა, რომ პატიმრები ბრმად აწერდნენ ჩვენებებს. პოლიტიკური პატიმარი ახმედ გუგუნავა, რომელიც 1937 წელს ჯინჯოლიამ თვითნებურად დააპატიმრა, მოგვიანებით დაწერილ მოგონებაში გადმოგვცემს: შინსახკომის საკნებში აუტანელი პირობები იყო. პატიმრები დაკითხვაზე მიჰყავდათ და ახალი შემოჰყავდათ. ვიცოდი რა ტანჯვა-წამება მომელოდა, გამომძიებელს ყველაფერზე ხელს ვუწერდი წაუკითხავად. აჭარის შინსახკომის 1938 წლის თებერვლის პარტიულ საანგარიშო კრებაზე სიტყვაში გამოსულები მოითხოვდნენ ბრალდებულების საქმეების დაუყოვნებლივ გადასინჯვას, იმის დადგენას, თუ რამდენად სამართლიანი და

დასაბუთებულია მათი დაპატიმრება *[ასსცსა, ფ. პ-279, ან. 1, ს. 12, ფურც. 63].*

1938 წლის თებერვალში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დანიშნეს ვლადიმერ ზიკის ძე ზაქარაია, რომელიც ამ თანამდებობაზე 1939 წლის მაისამდე მუშაობდა. კომისარიატის პოლიტიკური სამმართველოს მუშაკების საქმიანობის გაცნობის შემდეგ მას სერიოზული კითხვები გაუჩნდა აჭარაში ჩატარებული რეპრესიების სამართლიანობის შესახებ. ეს არაერთხელ დააფიქსირა ოპერატიულ თათბირებსა და პარტიულ კრებებზე. ვ. ზაქარაიამ კომისარიატის საანგარიშო პარტიულ კრებაზე, რომელიც 1938 წლის მაისში გაიმართა, დაამუშავა მინინი და სამატაძე. იგი გაკვირვებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ სამატაძეს ცარიელ ბლანკებზე ჰქონდა ბრალდებულთა მიერ წინასწარი ხელმოწერები, რომ ადამიანების დაკითხვა და მათი საქმეების გამოძიება ხდებოდა დამახინჯებით, რეალური სამხილის გარეშე. ვ. ზაქარაია ჩეკისტების მისამართით ამბობდა: მე ჯერ არ მიმიღია პასუხი კითხვაზე: როგორი ანტისაბჭოთა ჯგუფი იყო და არის აჭარაში *[ასსცსა, ფ. პ-279, ან. 1, ს. 12, ფურც. 31].*

საქართველოს უშიშროების უწყება მთლიანად ბერიას კონტროლით მოქმედებდა. პარტიის საოლქო საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნებიც კი მათ მიმართ კონტროლს ვერ ახორციელებდნენ. დიდ ბოროტმოქმედებას ჩადიოდნენ, აჭარის შინსახკომის პოლიტსამმართველოს საოლქო აპარატის მუშაკებთან ერთად ქობულეთის, ქედისა და ხულოს უშიშროების თანამშრომლები. მათ შორის განყოფილებათა უფროსები სიჭინავა, სამატაძე, იმედაძე და მატუა. პარტიის რაიონული ხელმძღვანელებიდან, ვინც გაბედა მათი კრიტიკა, საქართველოს კომპარტიის ქედის რაიკომის მდივანი დ. ხელაძე იყო. პარტიის

რაიონული კომიტეტის კრებაზე (1938 წლის 16 თებერვალი) დ. ხელაძემ რაიონის შინსახკომის ყოფილი უფროსის შესახებ განაცხადა: „სამატაძე მონაწილე იყო ყველა იმ აღმაშფოთებელი ფაქტებისა, რასაც ადგილი ჰქონდა ქედაში, ხოლო სამატაძე რატომღაც ჯერ კიდევ დაუსჯელია და შინსახკომის ორგანოებში მუშაობს“ *[ასსცსა, ფ. პ-8, ან. 1, ს. 80, ფურც. 17].* სამატაძე დანაშაულებრივ საქმიანობას კიდევ განაგრძობდა აჭარის შინსახკომის ცენტრალურ აპარატში მუშაობისას. აჭარის შინსახკომის პარტიულმა ორგანიზაციამ სამატაძე 1938 წლის 15 მარტს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა და დააპატიმრა, როგორც მავნებელი, ხალხის მტერი.

ქედის რაიონის შინსახკომის განყოფილების უფროსად 1937 წლის მარტში დანიშნეს დომენტი ნიკიფორეს ძე იმედაძე. იგი იყო არასრული საშუალო განათლებით, დამთავრებული ჰქონდა შინსახკომის ერთწლიანი კურსები მოსკოვში 1932-1933 წლებში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნით პარტიის ქედის რაიკომმა 1938 წლის 22 ნოემბერს დაამტკიცა (ოქმი # 30) დ. იმედაძის დახასიათება. სამწუხაროდ, დ. იმედაძის მუშაობა დამაკმაყოფილებლადაა შეფასებული. სინამდვილეში ქედის რაიონში მისი მუშაობის წლებში რეპრესიები განიცადა არაერთმა უდანაშაულო ადამიანმა. ამასთან, დახასიათებაში არ არის მოცემული მის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებანი. ზოგადად აღნიშნულია, რომ დ. იმედაძე პოლიტიკურად მოუმზადებელია, „ახასიათებს თანამდებობის გადამლაშება და მუქარა თანამდებობის გამოყენებით. მის მუშაობაში ადგილი აქვს შეურაცხყოფისა და უსაფუძვლოდ დაპატიმრების ფაქტებსა და სხვა. საყოველთაოდ ცნობილი გახდა, რომ დ. იმედაძე ბოღმით იყო შეპყრობილი აჭარლების მიმართ. ამის საფუძველი ისიც იყო, რომ 1920 წელს სოფელ უჩხითში (ქედის რაიონი) გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა მისი ძმა.

უდიდესი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს ქობულეთისა და ხულოს რაიონების შინსახკომის განყოფილებების უფროსებმა ბ. სიჭინავამ და ნ. მატუამ. მათი აღვირახსნილი და მიზანმიმართული ბოროტმოქმედებით აღნიშნულ რაიონებში რეპრესირებული იყო ასობით უდანაშაულო ადამიანი. ნ. მატუა უსაფუძვლოდ იყო გაღიზიანებული ხულოს რაიონის მოსახლეობისა და რაიონული კადრებისადმი და მასობრივი რეპრესიების მომზადებასა და განხორციელებაში საბედისწერო როლი შეასრულა. 1931 წლის 28 ივლისს ხულოს რაიონში ჩატარებულ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს გამსვლელ სხდომაზე, რომელმაც განიხილა პოლიტიკური სამმართველოს ხულოს რაიგანყოფილების უფროსის, აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრობის კანდიდატის ნ. მატუას საქციელი. განხილვაში მონაწილეობდნენ ზ. ლორთქიფანიჟე, შ. ლორთქიფანიძე, დ. ფაღავა, ი. სურგულაძე, რ. გოგიტიძე, მელიაკოვა, მ. გობეჩაია. ყველა გამომსვლელმა ერთხმად დაგმო ნ. მატუას საქციელი დ მოითხოვა მისი მკაცრად დასჯა.

ბიუროს მასალებში აღნიშნულია, რომ ნ. მატუამ შეურაცხყოფა მიაყენა ხულოს რაიონის სოფელ ოქრუაშვილების გლეხის ქალს კოჩალიძეს. მას თვითგასამართლება მოუწყო, ჩასვა შინსახკომის საკანში. მიზეზი ის იყო, რომ ხულოს რაიონში აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გამსვლელი სესიის დროს კოჩალიძის ქალი დარბაზში შეეჯახა ნ. მატუას მეუღლეს და მათ შორის წალაპარაკება მოხდა. ნ. მატუას მეუღლემ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და ამ ინციდენტის გამო გლეხის ქალი კოჩალიძე აწამეს. აჭარაში დამკვიდრებული წესის მიხედვით, ქალის შეურაცხყოფა ხშირ შემთხვევაში სისხლის აღებით მთავრდებოდა. 1929 წლის აჯანყებიდან ორი წელი იყო გასული და ხელისუფლებამ კარგად გაათვითცნობიერა მოსალოდნელი

საფრთხე. პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურომ ნ. მატუა მოხსნა თანამდებობიდან, აიკრძალა მისი პოლიტიკურ სამმართველოს ხაზით მუშაობა. ნ. მატუას საქმე გადაეცა პარტიულ საკონტროლო კომისიას, გამოიყვანეს ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობიდან.

აჭარის პოლიტიკური სამმართველოს ხელმძღვანელობამ პარტიის საოლქო კომიტეტში წინადადებით შევიდა ნ. მანტუას სამუშაოზე აღდგენის შესახებ. თითქოს მან აღიარა დანაშაული და მოინანია. პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს 1931 წლის 22 აგვისტოს დადგენილებით ნ. მატუა აღადგინეს სამუშაოზე შინსახკომის სისტემაში. სინამდვილეში დანაშაული კი არ მოინანია, არამედ ბოლმას საიდუმლოდ ატარებდა და ხულოს რაიონში მუშაობისას ბოროტგანზრახვით გაანადგურა პარტიული და სახელმწიფო საკადრო კორპუსი, სამეურნეო მუშაკები და ასობით რიგითი ადამიანი. ნ.მატუას ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით შეთხზეს ყალბი მაკომპრომეტირებელი მასალები, რის შედეგად დააპატიმრეს და დახვრიტეს უდანაშაულო ადამიანები: რაიაღმასკომის თავმჯდომარე, მოადგილე, განყოფილების გამგეები, აპარატის მოხელეები. პარტიისა და კომკავშირის რაიკომის ხელმძღვანელები, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეები, სამეურნეო მუშაკები და ასობით რიგითი ადამიანი. ამ ავბედითი პროცესის მაკონტროლებელი არავინ იყო. ასეთივე დანაშაული ჩაიდინა ქობულეთის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების გამგემ ბ. სიჭინავამ.

წამების ძირითადი ინსტრუმენტები იყო შინსახკომთან არსებული საპყრობილეები და გადასახლების ადგილებში პატიმართა ბანაკები. აუტანელი იყო შინაგან საქმეთა კომისარიატის ბათუმის საპყრობილე. იგი მოთავსებული იყო კომისარიატის

სამსართულიანი შენობის სარდაფში. ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ბათუმის საპყრობილესა და საკნებში, სადაც პატიმარს იმდენ ხანს აწამებდნენ, სანამ ხელს არ მოაწერდა ჯალათების მიერ შეთხზულ ჩვენებას, ანდა აგენტად არ აქცევდნენ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპყრობილეში არსებულ საშინელ მდგომარეობას აღწერენ ყოფილი პოლიტიკური პატიმრები, რომლებიც შემთხვევით თითო-ოროლა თუ გადაურჩა სიკვდილს. საყურადღებოა პოლიტიკური პატიმრის ილია ყენიას მოგონება, სადაც დეტალურადაა აღწერილი ბათუმის საპყრობილეში არსებული გაუსაძლისი მდგომარეობა. 1991 წელს გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა მისი წიგნი „შიშის აჩრდილის ქვეშ“, რომელშიც ილია ყენია აღნიშნავს, რომ ადამიანებს, ვისი დაპატიმრება განზრახული ჰქონდათ, მიზანმიმართულად უგებდნენ მახეს. აგენტების მეშვეობით, რომლებიც შანტაჟითა და ძალადობის შედეგად იყვნენ გადაბირებულები, ცრუ ცნობებს თხზავდნენ და საიდუმლო ფოსტით აგზავნიდნენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სპეცგანყოფილების უფროსის მისამართით. ამის საფუძველზე სპეცგანყოფილების უფროსი გასცემდა განკარგულებას ათვალისწუნებული უდანაშაულო ადამიანის დაპატიმრების შესახებ. ასე იწყებოდა მოქალაქეთა დაპატიმრება და წამება საპყრობილეში. მრავალ შემთხვევაში დაპატიმრებანი პროკურორის სანქციის გარეშე ხდებოდა. პროკურორი უძლური იყო და თვითონაც ცახცახებდა შინაგან საქმეთა ორგანოების წინაშე. ამიტომ გამომძიებლის მიერ წარდგენილ სიაზე იგი უყოყმანოდ დააწერდა „წარმოდგენილი დანაშაულის განზრახვისათვის სიაში აღნიშნული მოქალაქენი დაპატიმრებული იქნენ გამოძიებისა და პასუხისგებაში მისაცემად“. თანაც გამოძიების პირადი ორდერიც გამოიწერებოდა. გამომძიებელი

საქმეს შეუდგებოდა მეტწილად ღამის 12 საათიდან და თან 2 პარტიის წევრს ან კომკავშირელს გაიყოლიებდა *[ყენია, 1991; „აჭარა“, 1991, 23 ნოემბერი].*

ილია ყენია ბათუმის საპყრობილეს მერვე საკანში მოათავსეს. იქ არსებული მდგომარეობის შესახებ იგი წერს: „საკანში პატიმრების ტევა არ იყო. ნაწილი გაწოლილიყო ფიცრულ საწოლებზე, ნაწილი ცემენტის იატაკზე იჯდა. ზოგს ჰაერი არ ყოფნიდა და პირსახოცით ინიავებდა. ზოგიც ფიცრით აჭედილ ფანჯარას მისდგომოდა, პირი დაედო და თაღის ზემოდან ჰაერს დახარბებულად ისუნთქავდა“. საკანში პატიმართა წამების შესახებ ილია ყენია იგონებს, რომ მათი უმრავლესობა რამდენიმეჯერ იყვნენ ნაცემი, შერჩეული ჰყავდათ განსაკუთრებულად ღონიერი ჯალათები სათანადო საცემი იარაღებით აღჭურვილნი. ასეთი იყო დაგრეხილი სელი, ბაწარი, ბრტყელი რეზინის ან ბრტყელი ბრეზენტის ლახტი, თოფის ზუმპა და სხვა. სცემდნენ ჩაკეტილ ოთახში მანამდე, სანამ პატიმარი თავს დამნაშავედ არ აღიარებდა. გამომძიებლებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ოთახში გაიყვანდნენ და 4 პიროვნება უმოწყალოდ სცემდა, პატიმრის სხეულის ყველა ნაწილზე ურტყამდნენ, მეტწილად ურტყამდნენ სხეულის რბილ ნაწილებზე: ბარძაყებზე, ბეჭებზე, მკლავებზე. სცემდნენ და ახტუნებდნენ მანამდე, სანამ გონებაწართმეული იატაკზე არ დაეცემოდა. საპირფარეშო ისეთ ადგილას იყო განთავსებული, რომ საკანში მყრალი სუნი შედიოდა და პატიმრები იწამლებოდნენ.

ილია ყენიას გადმოცემით, საპატიმროში წამების სხვა კიდევ უფრო მძიმე მეთოდებიც გამოიყენებოდა. პატიმარს თავდაღმა დაკიდებდნენ სანამ სახეზე გალურჯდებოდა ან პირიდან თუ ცხვირიდან სისხლი არ წასკდებოდა, ბოთლზე, ან ისეთ სკამზე დასვამდნენ, რომელიც შუა ნაწილში ამოჭრილი იყო სათესლე

ჯირკვლების ჩასაყოფად. ქვემოდან სათესლე ჯირკვლებზე მძიმე გირებს გამოაბამდნენ და საათობით ტანჯავდნენ. განძრევის შემთხვევაში პატიმარი სასოწარკვეთილებამდე მიდიოდა. წამების ისეთი შემთხვევებიც იყო, როდესაც ხელ-ფეხშეკრულებს იატაკზე დააგდებდნენ და სხეულზე საწიწკნად მშიერ თაგვებს მიაკრავდნენ. ხშირად დიდი სიმძიმის წიგნებს ზურგზე აჰკიდებდნენ და დღე-ღამის განმავლობაში ფეხზე იდგა, თუ დაეცემოდა, წამოაყენებდნენ, სილასაც გააწნავდნენ. ჩვეულებრივი წესი იყო ცოლისა და დედის გინება.

ბათუმის საპყრობილეში იყო ბნელი საკნები (კარცერი). ასეთ საკანში მხოლოდ დგომა შეიძლებოდა. მობრუნება და ჩამოჯდომა შეუძლებელი იყო. ნათურა ისეთ ადგილას ეკიდა, რომ პატიმარს პირდაპირ თვალებში უყურებდა. ასეთ საკნებში ჭერი გახვრეტილი იყო, წვიმის წვეთები პატიმრებს პირდაპირ თავის ქალაზე ეცემოდა. გამოიყენებოდა წამების ისეთი ფორმა, როგორიცაა ფრჩხილების და თითის წვერების ნემსით გადაძრობა და დაჩხვლეტა *[ყენია, 1991; „აჭარა“, 1991, 23 ნოემბერი]*. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ბათუმის საპყრობილეში პატიმართა მძიმე მდგომარეობის, არაადამიანური წამების შესახებ პოლიტიკური პატიმარი ახმედ ზაბითის ძე გუგუნავაც ხაზგასმით აღნიშნავდა მოგვიანებით დაწერილ მოგონებაში. შინსახკომის საკანში, სადაც ახმედ გუგუნავა მოათავსეს, 50 პატიმარი აუტანელ პირობებში იმყოფებოდა *[ასმხფ, ს. 653]*.

იშვიათი იყო პატიმარი, ვინც აიტანდა საპყრობილეში არსებულ მდგომარეობას და არაადამიანურ წამებას. შინსახკომის საპატიმროებში მოთავსებული პოლიტიკური პატიმრების აბსოლუტურმა უმრავლესობამ ბრმად მოაწერა ხელი გამომძიებლის მიერ წარდგენილ ყალბ ჩვენებებს. ჩვენთვის ცნობილია ორი პატიმარი – ხასან ლორთქიფანიძე და ახმედ ბოლქვაძე, რომლებმაც,

აუტანელი წამების მიუხედავად, ხელი არ მოაწერეს შინსახკომის გამომძიებლის მიერ შედგენილ „აღიარებით ჩვენებას“ და გვემის შედეგად დაიღუპნენ. ანალოგიური ვითარება იყო შინსახკომის სხვა საპყრობილეში. პოლიტიკური პატიმარი ლილი ჩიქოვანი, რომელიც თბილისის ციხეში მოათავსეს, იგონებს: „მე-20 საკანში მასთან ერთად იყო ნესტორ ლაკობას ცოლი სარია ჯიხაშვილი. მან ხელი არ მოაწერა შინსახკომის გამომძიებლის შეთხზულ ყალბ ჩვენებას. სარია ჯიხაშვილი გვემის შედეგად იმ მდგომარეობაში შეიყვანეს, რომ ციხის საავადმყოფოში დააწვინეს, სადაც გარდაიცვალა“ ***[ჩიქოვანი, ცეცხლაძე, 1991: 8-9].***

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ბათუმის საპყრობი ლეში პატიმართა წამების კიდევ ერთი დასტურია „აჭარის კონტრრევოლუციურ-სააჯანყებო, ჯაშუშურ-ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის“ მონაწილეთა „აღიარებითი ჩვენებები“, საჩვენებელ სასამართლო პროცესზე, რომელიც 1937 წლის 24-28 სექტემბრს გაიმართა. განსასჯელთა საბოლოო სიტყვები წამების უპრეცედენტო მაგალითია. მათი წაკითხვის შედეგად ბუნებრივად გიჩნდება კითხვა - ამ სიტყვებს ორეული ამბობდა, თუ შინსახკომის საკნებში იმ დონემდე ნაწამები, შეურაცხყოფილები იყვნენ, რომ სხვა გამოსავალი აღარ რჩებოდათ. საბჭოთა კავშირის მასშტაბით, მით უმეტეს საქართველოს საჩვენებელ სასამართლო პროცესებზე განსასჯელთა საბოლოო სიტყვები არ დაბეჭდილა. ეს მხოლოდ „აჭარის საქმის“ მონაწილეთა შესახებ გამოქვეყნდა. ამიტომ აუცილებლად ჩავთვალე მათი გამოქვეყნება, რათა შედარებით სრულად იყოს წარმოდგენილი ადამიანთა წამების ინკვიზიტური ხასიათი.

**ზექერია ლორთქიფანიძის** საბოლოო სიტყვა: „სალაპარაკო თითქმის არაფერი დამრჩა. თავი სავსებით დამნაშავედ ვცანი, ვაღიარე ყველაფერი... ბრალდებულს ენა ებმის, სიტყვებს ვერ

პოულობს. ჩემი გამართლება არ შეიძლება. ვგრძნობ, რომ ყველასათვის საზიზღარი მოღალატე ვარ და სასჯელის ღირსი, მაგრამ გთხოვთ – ცოლ-შვილიანი ვარ და როცა ჩემს შესახებ მსჯელობა გექნებათ, მაჩუქეთ სიცოცხლე.

მდიდარი ოჯახიდან არ ვარ გამოსული და, ვინც მიცნობს, ამიტომ უფრო გაუკვირდება ჩემი მოღალატეობა. იცოდეთ ყველამ, რომ უცხოეთის დაზვერვა ჭლექივით შემპარავია, ამ დაზვერვამ თავის კლანჭებში ჩამაგდო და აქედან დაიწყო ყველა ეს საზიზღრობანი.

ბევრი ჩავითრიე მოღალატეობაში, მეც დავიღუპე თავი. თუ სიცოცხლეს შემინარჩუნებთ, შევეცდები მოვირეცხო ეს სამარცხვინო ლაქა და გავხდე ღირსი საბჭოთა მოქალაქის სახელისა“.

**გიორგი რამიშვილის** საბოლოო სიტყვა: „ოთხი დღის განმავლობაში ამ დარბაზში გადაიშალა შემაძრწუნებელი დანაშაულობათა საშინელი სურათი. ამ დანაშაულთა ჩადენაში მე პირველი ვიყავი და როცა მითხრეს – დამცველი აიყვანეო, მე უარი ვთქვი, რადგან ჩემი დაცვა შეუძლებელია.

არ მაქვს ცუდი წარსული, ნდობით მეპყრობოდა ხელისუფლება და როგორ ბოროტად გამოვიყენე ეს ნდობა? ხშირად, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ დღეებში ვეკითხები თემს თავს: რა სჯობია ჩემთვის – სიკვდილი თუ სიცოცხლე? ვამბობ, რომ ყველასათვის საზიზღარ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია (დარბაზიდან – მართალია), მაგრამ სიკვდილი სამარცხვინო ლაქით არ მინდა.

ვთხოვ სასამართლოს მაჩუქოს სიცოცხლე იმიტომ, რომ ის სისხლი, რომელიც ახლა მე უნდა დამედინოს, დავღვარო სამშობლოს სადარაჯოზე და ამით მოვირეცხო სამარცხვინო ლაქა.

მშრომელთა ინტერესები თუ მოითხოვს ჩემისთანა გარეწარის სიკვდილს, მზად ვარ მშვიდად მივიღო ეს სასჯელი“.

**ჯემალ ქიქავას** საბოლოო სიტყვა: „ჩემი დანაშაული ისე დიდია, რომ მიმძიმს. ეს მოსაზრება იყო, რომ უარი ვთქვი დამცველზე. ამ უკანასკნელ წუთებში მინდა ვუთხრა ყველას, რომ აჭარის შემდგომი აყვავება, აჭარელი მოსახლეობის ბედნიერება მტკიცედ არის დაკავშირებული მთელი საქართველოს მშრომელების ბედთან. აჭარის კულტურულ-ეკონომიკური წინსვლა შეიძლება საბჭოთა საქართველოსთან, საბჭოთა კავშირთან ერთად. უამისოდ აჭარელ მშრომელთ მოელით მონობის მძიმე უღელი.

ვთხოვ სასამართლოს შემინარჩუნოს სიცოცხლე. ამ თხოვნას ვხედავ იმიტომ, რომ საბჭოთა მართლმსაჯულების მიზანი შურისძიება არაა. გთხოვთ ცოცხალი დამტოვოთ“.

**გიორგი ლაღიძის** საბოლოო სიტყვა: „ვერ ვიტყვი, რომ შეუგნებლობით მომივიდა ეს საზიზღრობა. ასეთი დანაშაულობანი არ მეპატიება. ყველა მიხდება ამ სისულელეს, სიბეცეს და სიბეჩავეს, რომელსაც ეროვნული პარტიის შემქმნელნი ვიჩენდით. ათიოდე დროგადასული ინტელიგენტი შევგროვდით და მოვინდომეთ იმ ხელისუფლების დანგრევა, რომელსაც ვერაფერი დააკლო საერთაშორის იმპერიალიზმმა, ცოფიანმა ფაშიზმმა.

მაგრამ საბჭოთა სასამართლო არ სჯის იმის მიხედვით, თუ ვინ რა დაიმსახურა, არამედ სჯის მიზანშეწონილების მიხედვით. თუ ჩემი დასჯა მიზანშეწონილია, მზად ვარ ამისათვის. თუკი სიცოცხლეს შემინარჩუნებთ, სიტყვას გაძლევთ, რომ მთელ ჩემს სიცოცხლეს მსხვერპლად შევწირავ ბედნიერ საბჭოთა ქვეყანას“.

**ილიას მეგრელიძის** საბოლოო სიტყვა: „მე გამზარდა საბჭოთა ხელისუფლებამ, მან მომცა განათლება და ბედნიერი ცხოვრება. მოღალატე ვარ, საზიზღარი მავნებელი. ბევრის თქმა არ შემიძლიან. ერთს შეგპირდებით – თუ მაცოცხლებთ, მთელ ჩემს სიცოცხლეს შევწირავ საბჭოთა ხელისუღლ5ბას და გამოვისყიდი

ჩადენილ დანაშაულს. გთხოვთ, მიიღოთ მხედველობაში, რომ ჯერ ახალგაზრდა ვარ და ჩემი გამოსწორება შეიძლება“.

**მაზიმ ბასილაძის** საბოლოო სიტყვა: „საბჭოთა ხელისუფლებამ გამზარდა, მაგრამ მე მას ვუმტრე. უხერხემლო კაცი ვყოფილვარ. ყველაფერში ყოყმანი მიყვარდა და ადვილად ჩავვარდი ჯაშუშ-მავნებელთა ხაფანგში. ყოველგვარი სასჯელის ღირსი ვარ, მაგრამ, მაქვს რა იმედი საბჭოთა მართლმსაჯულების სულგრძელობისა, გთხოვთ შემინარჩუნოთ სიცოცხლე“.

**სულეიმან ბეჟანიძის** საბოლოო სიტყვა: „დღეს საბრალდებულო სკამზე ზის 11 ბოროტმოქმედი, რომელთა შორის ერთ-ერთი მეცა ვარ. ჩავები რა კონტრრევოლუციურ-ტერორისტულ ორგანიზაციაში, ვუღალატე სამშობლოს და ვეწეოდი დამანგრეველ მუშაობას. ჩემი საზიზღარი საქმიანობის შესახებ საგამომძიებლო ორგანოებს დაწვრილებითი ჩვენება მივეცი და ვაღიარე ის მავნებლური საქმიანობა და დანაშაული, რომელიც ჩავიდინე აჭარელი ხალხის ბედნიერი ცხოვრების წინააღმდეგ. დიდია ჩემი დანაშაული, მაგრამ მაინც ვთხოვ საბჭოთა მართლმსაჯულებას შემინარჩუნოს სიცოცხლე, რომ შემდეგში შრომითა და ბრძოლით მოვიპოვო პატიოსანი საბჭოთა მოქალაქის სახელი“.

**ხასან ძნელაძის** საბოლოო სიტყვა: „ჩემი საზიზღარი მოქმედების შესახებ მე გულწრფელად მოვახსენე სასამართლოს. ჩავეშვი კონტრრევოლუციურ-მავნებლური ორგანიზაციის აშმორებულ ჭაობში და ვეწეოდი უსაზიზღრეს დანაშაულს, მაგრამ შინსახკომმა მე დანაშაულზე წამასწრო და მაგრად ჩამჭიდა კისერში ხელი. ქვეყანაზე არ არის იმაზე მეტი დანაშაული, ვიდრე უღალატო სამშობლოს. მე ვუღალატე სამშობლოს და ვცდილობდი პირსისხლიანი ფაშისტებისათვის მიმეყიდა ის. დიდია, უსაძაგლესია ჩემი დანაშაული, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება ძლიერია, მას მრავალი ადამიანი აღუზრდია და გამოუსწორებია.

მე ვთხოვ სასამართლოს შემინარჩუნოს სიცოცხლე და ჩემი ფიზიკური შრომით გამოვასწორებ დანაშაულს“.

**ხასან ჩალ-ოღლის** საბოლოო სიტყვა: „მე ჩავიდინე უმძიმესი დანაშაული, ვუღალატე სამშობლოს. შემინარჩუნეთ სიცოცხლე და გამოვისყიდი ამ დანაშაულს“.

**რეჯებ რომანაძის** საბოლოო სიტყვა: „პასუხისგებაში არასდროს არ ვყოფილვარ. პირველად დავჯექი საბრალდებულო სკამზე. მე არც ისე მოხუცი ვარ, შემიძლია გამოვისყიდო ჩემი მძიმე დანაშაული და გთხოვთ, პატივცემულო მოსამართლენო, მომცეთ ამის საშუალება“.

**ოსმან ვანაძის** საბოლოო სიტყვა: „მე ერთი უსწავლი კაცი ვარ. საზიზღარმა მავნებლებმა დამღუპეს, ჩამითრიეს ორგანიზაციაში. რა უნდა ვთხოვო სასამართლოს იმის შემდეგ, რაც ასეთი დიდი დანაშაული ჩავიდინე...“ (სწუხს, ენა ებმის).

**თავმჯდომარე** – „რას სთხოვთ სასამართლოს?“

**ოსმან ვანაძე** – „ნუ დამღუპავთ, მაჩუქეთ სიცოცხლე“ *[„კომუნისტი“, 1937, 30 სექტემბერი].*

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. ერთს დავამატებთ: დღევანდელი გადასახედიდან 1937-1938 წლების მასობრივი რეპრესიების განხორციელებაში უმაღლეს პოლიტიკური ხელისუფლების ბოროტმოქმედებასთან ერთად თავისი წილი ბრალი მიუძღვის მაშინდელ საზოგადოებას. როგორი შანტაჟი და დევნა არ უნდა ყოფილიყო, საზოგადოება ერთიანად უნდა დარაზმულიყო ამ ავბედითი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ეს მაშინდელმა საზოგადოებამ ვერ შეძლო.

## გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

**ასმხფ, ს. 653** – აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქმე №653.

**ასსცსა, ფ. პ-1, ან. 36, ს. 41** – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი პ-1, ანაწერი 36, საქმე №41.

**ასსცსა, ფ. პ-1, ან. 3, ს. 7, 8** – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი პ-1, ანაწერი 3, საქმეები №7, №8.

**ასსცსა, ფ. პ-8, ან. 1, ს. 80** – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი პ-8, ანაწერი 1, საქმე №80.

**ასსცსა, ფ. პ-279, ან. 1, ს. 10, 12, 13, 14** – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი პ-279, ანაწერი 1, საქმეები №10, №12, №13, №14.

**დიუგე, 1994:** – დიუგე რ., მოსკოვი და წამებული საქართველო, თბილისი.

**ყენია, 1991:** – ყენია ი., შიშის აჩრდილის ქვეშ, თბილისი.

**სურმანიძე, 2014:** – სურმანიძე რ., ტრაგედია ბათუმში (1937-1938 წლები), თბილისი.

**ჩიქოვანი, 1991:** – ჩიქოვანი ლ., ცეცხლაძე ნ., რეაბილიტაცია, ბათუმი.

**მახაჭაძე, 2004:** – მახაჭაძე ზ., წარსულის იდუმალი ძახილი, ქედა.

**გაზეთი „აჭარა“, 1991, 23 ნოემბერი.**

**გაზეთი „კომუნისტი“, 1937, 21 ივლისი, 30 სექტემბერი.**

**გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, 1937, 7 ივნისი, 18 ივლისი, 23 ივლისი.**

**გაზეთი „საბჭოთა აჭარისტანი“, 1935, 9 ოქტომბერი, 28 ნოემბერი.**

**Отар Турманидзе**

# Масштабы репрессий в Аджарии в 1937-1938 годах и средства наказания

Резюме

В статье рассмотрены масштабы и характер репрессий в Аджарии в 1937-1938 годах и средства наказания невинных людей. Подчеркнуто, что в Аджарии в эти годы арестовали и физически разгромили кадры государственных и партийных органов, общественных организаций, были арестованы также производственно-хозяйственные работники, простые люди.

Своим характером репрессии в Аджарии в 1937-1938 годах были политическими. Несправедливо, без оснований были наказаны ни в чем неповинные люди. По сравнению с общим населением Грузии, в Аджарии было репрессировано больше невинных людей. В настоящее время все они реабилитированны.

კახაბერ სურგულაძე

# ქალები 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში ქალის როლი ისტორიოგრაფიაში ნაკლებად არის გაშუქებული. სამწუხაროდ, ომის შესახებ მიძღვნილ სამხედრო ანგარიშებში, სტატისტიკურ მასალებში, ანდა იმდროინდელ მემუარულ ლიტერატურაში არსად ფიქსირდება ქალი-მეომრის ფენომენი.

უნდა შევნიშნოთ, რომ მითურ თუ ისტორიულ პერსონაჟებზე (ამორძალები, მაია წყნეთელი...) არსებული ტრადიციების მიუხედავად, XIX ს-ის ქართველი საზოგადოება მაინც არ იყო მზად იარაღით ხელში ქალის აქტიური როლისთვის. არადა, კავკასიაში მიმდინარე ომები მკვეთრად ითხოვდა ექიმების და სანიტრების პერსონალის არსებობას. მით უფრო, რომ ქრისტი-ანულ მართლმადიდებლურ მონასტრებში იყო ავადმყოფების მო-ვლის ტრადიციები.

ასეთ ვითარებაში, პატრიოტული გრძნობებიდან გამომდინა-რე, XIX ს-ის 50-იანი წლებიდან, ქალს უფლება მიეცა წითელ ჯვა-რში, ანდა მოწყალების დის როლში მონაწილეობა მიეღო საომარ ვითარებაში. ამასთან, ეს სფერო უკვე მას აძლევდა საშუალებას საზოგადოებაში დაეკავებინა მამაკაცის თანასწორი ადგილი. ამის გარდა, იყო ერთი გარემოებაც. ომის წინ გამოცხადებულმა საყო-ველთაო მობილიზაციამ, რომელიც შეეხო თითქმის ყველა ოჯახს, ქალი აიძულა გამხდარიყო სამხედრო რეალიების თანაზიარი. ასე რომ, ქალის ფართო მონაწილეობა 1877-1878 წლების ომში და-ჭრილი და ავადმყოფი მეომრების გადარჩენა-მოვლის საქმეში,

მათ აძლევდა საშუალებას, რომ საზოგადოებისათვის ეჩვენებინათ თავიანთი სარგებლობა. ყოველივემ კი განსაზღვრა ომის შემთხვევაში მათი სახით სანიტარული პერსონალის ძირითადი პრინციპების ფორმირება *[Белова, 2010: 36].*

ომის პერიოდში კავკასიაში არსებული სამედიცინო ორგანიზაციებიდან უმთავრესი იყო წითელი ჯვარი. მისი ხელმძღვანელი იყო მეფისნაცვლის მიხეილ რომანოვის მეუღლე – ოლღა. იგი ენერგიული პიროვნება იყო და მისი მითითებით თბილისიდან (საქართველო) ალექსანდროპოლის (სომხეთი) მონაკვეთში მდებარე ჰოსპიტალთა ქსელზე ზედამხედველობა დაეკისრა ეკატერინე ბაკუნინას *[http://bakunina-fond.ru/?p=5054].* უკანასკნელს აღნიშნული საქმის გამოცდილება მიღებული ჰქონდა ყირიმის ომში (1853-1856).

ბაკუნინას მცდელობის მიუხედავად, მთლიანობაში, შევნიშნავთ, რომ კავკასიაში მოქმედი რუსეთის არმიის სანიტარული უზრუნველყოფა იყო არ იყო სათანადო დონეზე. არაეფექტურობის მიზეზი იყო წინააღმდეგობა მის დამოუკიდებელ სხვადასხვა (პეტერბურგის, მოსკოვის, ფინეთის და კავკასიის) ორგანიზაციებს შორის.

ასევე, ნაკლებობა იყო ქირურგების და სხვადასხვა საექიმოსანიტარიულ-ჰიგიენური საშუალებებისა, რაც ხშირად გაუთვალისწინებელი მსხვერპლის მიზეზი ხდებოდა. მაგ., მცირე აზიაკავკასიის ფრონტზე მყოფი 13266 დაჭრილიდან სამკურნალო დაწესებულებებში დაიღუპა 1869 ადამიანი, რაც საერთო დანაკარგის – 5531 კაცის – 14,1% იყო (მხედველობაში არ მიიღება ტიფისგან გარდაცვლილები). ეს მაშინ, როცა ბალკანეთის ფრონტზე დაიჭრა 43 368 ადამიანი. საიდანაც ყოველი ათასი დაჭრილიდან ლაზარეთში გარდაიცვალა 114 ადამიანი, ხოლო სიკვდილიანობამ შეადგინა 11,5% *[http://bakunina-fond.ru/?p=5054].* ასე რომ, ბალ-

კანეთის ფრონტზე საომარი ოპერაციების ნაკლები ინტენსივობის მიუხედავად, კავკასიის ფრონტთან შედარებით, ძალიან ცუდად იყო ორგანიზებული სამედიცინო-სანიტარიული სამსახური.

ჰოსპიტალში მოწყალების დების სამუშაო დღე მძიმე იყო. იგი იწყებოდა დილის 6-7 საათზე და გრძელდებოდა საღამოს 21-22 საათამდე. მათ ჰქონდათ მოვალეობების ფართო სპექტრი. ისინი ასრულებდნენ ექიმების და ხშირად ფერშალის საქმესაც, ყურადღებას აქცევდნენ ავადმყოფის ჰიგიენურ მდგომარეობას, მორიგეობდნენ სასადილოებში, აკონტროლებდნენ ავადმყოფე-ბისთვის საკვების მომზადებას და ა.შ. *[Белова, 2010: 36].* იყო ერთი საინტერესო დეტალიც. წითელი ჯვრის აბსოლუტურად ყველა და ავადმყოფებს უკითხავდა და უწერდა წერილებს.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის სხვადასხვა ფრონტზე მიახლოებული ინფორმაციით მონაწილეობდა 1500-მდე მოწყალების და. მათ შესახებ ცნობები ერთობ მწირია. ჩვე-ნთვის ცნობილია მხოლოდ ორი ქართველი მოწყალების დის სახელი. ერთ-ერთი მათგანი იყო ელისაბედ (ლიზა) ყაზბეგი (1844-1915). იგი გახლდათ 1877-1878 წლების ომის მონაწილე, ქობულეთის რაზმის შტაბის უფროსის გიორგი ყაზბეგის და. ეს რაზმი ბათუმის მიმართულებით მოქმედებდა.

ელისაბედ ყაზბეგს დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის სამეანო სასწავლებელი. აშკარა იყო, რომ ძმის გავლენით, ომის დაწყებისთანავე იგი ჩაეწერა ივანე ამილახვრის (1829-1905) მიერ ჩამოყალიბებულ წითელი ჯვრის ქართულ რაზმში. ჩვენთვის უცნობია ელისაბედ ყაზბეგის მხედრული გზა, მაგრამ ვინაიდან ამილახვრის დივიზია მოქმედებდა ბაიაზეთის, დიადინის, ჰასან-კალეს, არზრუმის მიდამოებსა და სხვა ადგილებში, ამიტომაც, სავარაუდოდ, ელისაბედის მოღვაწეობის არეალი იგივე რეგიონი იყო. მის ერთ-ერთ ფოტოზე ჩანს სამკერდე ნიშანი. ეს იყო რუსე-



*ელისაბედ ყაზბეგი*

თის წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ დაწესებული ერთადერთი ვერცხლის მედალი ანასეული ბაფთითა და წარწერით – „გულმოდგინებისათვის" ***[სურმანიძე, 2005: 83].*** ეს ორდენი ნათლად მიუთითებდა მის წვლილზე 1877-1878 წლების ომში.

ძალზე ფრაგმენტული ცნობები არის შემორჩენილი მეორე მოწყალების დის – ანა დავითის ასულ ერისთავის (1833-1878) შესახებაც. მის შესახებ შეგვიძლია ვთქვათ მხოლოდ, რომ იგი იყო ცნობილი ქართველი პოეტის რაფიელ ერისთავის და. წარმოშობით ანა თავადაზნაურთა ფენას ეკუთვნოდა. თავისი სოციალური სტატუსიდან გამომდინარე, მას შესანიშნავი განათლება ჰქონდა მიღებული. ფრანგი ქართველოლოგი მარი ბროსე (1892-1880) აღფრთოვანებული იყო მისი განსწავლულობით ***[სურმანიძე, 2005:11].*** ანას ბიოგრაფიული ცნობებიდან შეგვიძლია ვთქვათ მხოლოდ ის, რომ იგი იყო კავალერიის გენ. ნიკოლოზ ჭავჭავაძის (1829-1897) მეუღლე. ნ. ჭავჭავაძე 1877 წლის ივნის-ივლისის თვეებში, მცირე ხნით, კავალერიის დივიზიას ხელმძღვანელობდა ოსმალეთის საზღვარზე.

ომის დაწყებისთანავე ანა მოხალისედ გაემგზავრა ფრონტზე. მის ღრმა პატრიოტიზმს, ომის მეშვეობით ქართული მიწების დაბრუნების სურვილს ისიც ემატებოდა, რომ მას მეუღლე ეგულებოდა იქ. აქ იგი ჩაეწერა მოწყალების დად. ქართველი პოეტი რაფიელ ერისთავი (1824-1901) ანას და სხვა ქალბატონების მსგავს ნაბიჯზე, რომლებსაც იგი "ქველმოქმედი დების" ჯგუფის სახე-

ლით მოიხსენიებს, წერდა: "ქალებმა გაკვალეს და გატკეპნეს მტკიცე ბილიკი იმ ადგილებში შემოსავალათ, რომელთა კარები აქომამდის მათთვის დახშული იყო" ***[სურმანიძე, 2005: 11].***

ანა ერისთავ-ჭავჭავაძე 1877 წლის 7 მაისს განაწესეს რუსების მიერ ახლად განთავისუფლებულ ქ. არტაანში. იქ ლაზარეთში მას უმძიმესი შრომა ელოდა, რადგანაც იგივე რაფიელ ერისთავის ცნობით, ანას მოსავლელად ჰყავდა „60-მდე დაჭრილი და ბოლო ხანებში კი რიცხვი დაკოდილებისა და ავადმყოფებისა აღემატებოდა ასსაც"-ო. ყოველივეს დაემატა ეპიდემიაც (ტიფი...). მაგ., მარტო არზრუმში 1878 წლის პირველ ნახევარში ავადმყოფთა რიცხვმა 15 000 მიაღწია. ცხადია, ასეთ ვითარებაში 200 ავადმყოფზე გაანგარიშებული მედიკოსთა შტატი ვეღარ აუდიოდა დაჭრილთა დიდ ნაკადს.

მძიმე ფიზიკურმა შრომამ თავისი დაღი დააჩინა ანა ერისთავის ჯანმრთელობას. მას დასასვენებლად შვებულება მისცეს, მაგრამ გზად მიმავალმა ხელი მოიტეხა. იმდენად დიდი იყო ანაში პატრიოტიზმის და პასუხისმგებლობის გრძნობა, რომ იგი არ დაელოდა გამოჯამრთელებას და ხელმტკივანი ისევ ფრონტზე გაემგზავრა. აქ კვლავ დატრიალდა ტრაგედია, როდესაც იგი მტკივანი ხელით აჭმევდა ერთ-ერთ დასუსტებულ დაჭრილ ჯარისკაცს, უკანასკნელმა წონასწორობა ვერ შეიკავა, წაიქცა და ანას ახლად შედუღაბებული მკლავი კვლავ გადატეხა. თითქოს კვლავ მოხერხდა მისი მორჩენა, მაგრამ ამჯერად ანას შეეყარა მეომრებში გავრცელებული ეპიდემიური ინფექციური დაავადება - პარტახტიანი ტიფი. სამწუხაროდ, მას ვერ ჩაუტარეს სათანადო მკურნალობა, რის გამოც მძიმე სენმა 1878 წლის 18 აპრილს იგი იმსხვერპლა ***[სურმანიძე, 2005: 11].*** ანა დაკრძალეს არტაანში.

ასეთია მწირი ცნობები 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის კავკასიის ფრონტზე ქართველი ქალების მონაწილეობის

შესახებ. ერთი უდავოა, რომ XIX ს-ში საზოგადოებრივ ცნობიერებაში ქალის დაბალმა სოციალური სტატუსმა შეზღუდა მათი როლი მიმდინარე ომში.

## გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:


**სურმანიძე, 2005** – სურმანიძე რ., მფარველი ანგელოზები, ბათუმი.

**სურმანიძე, 2012** – სურმანიძე რ., მარიამ ორბელიანი-გურიელისა, ჟურნ. „ჭოროხი“, №4, ბათუმი, გვ. 63-67.

**სურმანიძე, 2005** – სურმანიძე რ., უცნობი გმირი, გაზ. “ლიტერატურული საქართველო”, 2005 წლის 25 მარტი, თბილისი.

**Белова, 2012** - Белова Е., Сестры милосердия в период русско-турецкой войны 1877–1878 гг., Ярославский педагогический вестник, № 2, 2010, с. 33-37.

**Суворов** - Суворов В., Сестринская деятельность Екатерины Михайловны Бакуниной в годы Русско-турецкой войны 1877–1878 гг. (http://bakunina-fond.ru/?p=5054).



**Kakhaber Surguladze**


## Women in Russian-Turkish War of 1877-1878


### Summary

This article is about the participation of women in Russian-Turkish war of 1877-1878. Because of the scarcity of materials it is only focused on the activities of the Nurses Elisabed Kazbegi (1844-1915) and Ana Eristavi (1833-1878).

**რამაზ სურმანიძე**

# გოდერძი – ტოპონიმი და ანთროპონიმი

*ვგრძნობ, ჩემებრ ფიქრობს ჩამოთოვლილი*
*გოდერძის თეთრი უღელტეხილი.*
***ანა კალანდაძე***

*მოგეფერები გოდერძს, მწვანე ტბას,*
*მთა-იალაღებს და შენ, ბეშუმო;*
*მე მიყვარს შენი ფერისცვალება,*
*მზით მოქსოვილო მთის აბრეშუმო...*
***ფრიდონ ხალვაში***

მომავალ საერთაშორისო მნიშვნელობის კურორტს და ზამთრის სპორტული შეჯიბრებების ბაზას „გოდერძს“, რომელსაც „გუდაურისა და ბაკურიანის ნაზავს“ უწოდებენ, ბოლო დროს მრავალი წერილი, სტატია და ტელეგადაცემა მიეძღვნა. მალე აქ ასეულობით ტურისტსა და დამსვენებელს მოელიან.

გოდერძი და მისი შემოგარენი ძველთაგანვე იყო ცნობილი სასარგებლო კლიმატით (მზე, ჰაერი, თვალწარმტაცი ბუნება) და სამკურნალო მინერალური წყლით (ზანკების ჭალაში).

გოდერძის უღელტეხილი თავისი გეოგრაფიული მდებარეობითაც იქცევს სტუმართა ყურადღებას. აქ სათავეს იღებს, დასავლეთით მდინარე აჭარისწყალი, რომელიც ჭოროხთან ერთად შავ ზღვას ერთვის, აღმოსავლეთით კი მეორე მდინარე ქვაბლიანი, რომელიც ფოცხოვის წყალთან და მტკვართან ერთად კასპის

ზღვაში ჩაედინება. ამგვარად ეს კურთხეული ადგილი ორი დიდი ზღვის წყალგამყოფია.*

ეს ადგილი უმნიშვნელოვანესი სამიმოსვლო ცენტრიც იყო. აქ ოდითგანვე გადიოდა დიდი საქარავნე აბრეშუმის გზის ერთ-ერთი განშტოება. გოდერძზე იგი ორად იყოფოდა: ერთი მიემართებოდა მარჯვნივ და ფაჩხა-სხალთა-თაგო-ხულო-ალმე-ნიგაზეული-ჩანჩხალო-ღორექედი-გომარდული-ჭალის გავლით ჭვანაში ეშვებოდა.

მეორე განშტოება დანისპარაული-დიოკნისი-ხულო-შუახე-ვი-ხიჭაური-დანდალოს და მთლიანად აჭარისწყლის ხეობის გავლით ბათუმს და შავ ზღვას აკავშირებდა.

ორი გზის შემაერთებელ ცენტრს წარმოადგენდა ჭვანაც: აქედან ერთი ცხემლისი-ხაბელაშვილები-ჯვარიმინდორი-გომის მთის გავლით ქობულეთს და გურიას, ისიც შავ ზღვას აღწევდა, ხოლო მეორე – ჭვანა-ოთოლთა-ხიჭაურის გავლით ხულოდან მომავალ გზას უერთდებოდა.

ბუნებრივია, სტუმრები დაინტერესდებიან ამ ადგილის წარ-სულით, კერძოდ, სახელწოდება „გოდერძის“ წარმომავლობით, რომელიც აქაურებისთვისაც ნაკლებად ცნობილია. ახალმა მოვ-ლენებმა თემის აქტუალობა კიდევ უფრო გაზარდა.

---

* ამის შესახებ ადგილობრივებმაც არაფერი იციან. უღელტეხილის ასეთი მდებარეობა კიდევ უფრო გაზრდის ტურისტების ინტერესს. ამიტომ მიზანშეწონილია გადასასვლელზე, იქ სადაც ზღვის დონეზეა საუბარი, გაკეთდეს წარწერა: „გოდერძის უღელტეხილი – შავი და კასპიის ზღვე-ბის წყალგამყოფი.“ უღელტეხილს ყანლი-საც ეძახიან და იგი უფრო ძველი ჰგონიათ, ვიდრე გოდერძი, რაც არასწორია. ყანლი – სისხლიანი მოგვიანებით შერქმეულია, რაშიც ქვემოთ დარწმუნდებით.

* * *

„გოდერძი – საშუალო საუკუნეების ლეგენდარული პოეტი. ნამდვილი ცნობები მისი მოღვაწეობისა და ვინაობისა არ დარჩენილა. ფიქრობენ, რომ მისი ხსოვნის აღსანიშანვად დაერქვა გოდერძის ქედი იმ მთებს, რომელიც გადის აჭარისა და ახალციხის შუა“ – ბრძანა **მიხეილ ჯავახიშვილმა**, მაგრამ ამის დამადასტურებელი წყარო არ მიუთითა. სამწუხაროდ, მის არქივშიც (ის, რაც 37-ის ავბედითობას გადაურჩა) ვერავინ მიაკვლია იმ პირველწყაროს, რომელიც გოდერძის ვინაობას ოდნავ მაინც მოჰფენდა ნათელს.

საინტერესოა, „გოდერძი“ მართლაც ადამიანის სახელისგან მოდის? თუ ადამიანისაა, ვინ იყო ის?

სახელი „გოდერძი“ უძველესი დროიდანაა ცნობილი. იგი იხმარება როგორც პიროვნების (ანთროპონიმი), ასევე, ადგილის (ტოპონიმი) სახელად.

რომაელი ისტორიკოსის **ტაციტუსის** (50-117 წწ) „ანალებში“ ვხვდებით მსგავს სახელს. ეს არის პართიის მეფის **არტაბან III-ის ძე გოტარძი**, ვარდანის ძმა. მეფობდა პართიაში 40-51 წლებში (ახ. წ. აღ.). ჩვენი აზრით, სხვა სახელების მსგავსად, გოტარძი საბერძნეთის გავლით საქართველოში გავრცელდა და მცირე სახეცვლილებით მივიღეთ გოდერძი. სხვა ქვეყნებში, მათ შორის საბერნეთშიც, იგი აღარ გვხვდება.

ეთნიკური სახელი კატარძი, კატარძენე პირველად მოხსენიებულია II საუკუნის ბერძენი მეცნიერის **პტოლემეს** გეოგრაფიაში. პტოლემეს თანამედროვე მეცნიერმა **დიონისე თრაკიელმა** (II ს. ახ. წ. აღ.) თარგმნა ეს გეოგრაფია და კატარძის ნაცვლად მოგვაწოდა გოდერძი, ისე, რომ უცნობი დარჩა, რას ეყრდნობოდა მთარგმნელი. წყარო მოხმობილი აქვს **პავლე ინგოროყვას**, მაგრამ

ამ თარგმანის კომენტარისგან მეცნიერი თავს იკავებს *[ინგოროყვა, 1954: 431].*

გამორიცხული არაა, რომ მოხდა უკუპროცესი. კატარძი საქართველოში გოდერძი-დ გარდაიქმნა და ამ სახით საქართველოდან საბერძნეთში გავრცელდა. სამწუხაროდ, არც ამის დამადასტურებელი ქართული საბუთი გვაქვს.

ქართულ ორიგინალურ მატიანეთაგან სახელი გოდერძი პირველად მოხსენიებულია ისტორიკოს **ლეონტი მროველის** თხზულებაში „წამება წმინდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი, რომელი იყო მეფე ქართლისა“. აქ, კერძოდ, ნათქვამია, რომ ქართლის ორმოცდამეოთხე მეფე ბაგრატიონთა გვარისა, **არჩილი** დასავლეთ საქართველოში სარკინოზებმა შეიპყრეს და რჯულის გამოცვლა შესთავაზეს. მეფემ უარყო ეს წინადადება, რის გამო 718 წელს მას თავი მოჰკვეთეს. უპატრონოდ მიტოვებული არჩილის ცხედარი ღამით საიდუმლოდ მისმა თანამებრძოლებმა წაიღეს, შემურეს და ნოტკორას დაკრძალეს, გვამის წამღებთა შორის მოხსენიებულნი არიან **გოდერძიანნი ტბელნი**. მოვუსმინოთ **ლეონტი მროველს**: „ხოლო ვითარცა აღესრულა წმინდა მოწამე (არჩილ მეფე, რ.ს.) მოვიდეს ღამესა მას **გოდერძიანნი ტბელნი** და მათთანა სხვანიც აზნაურნი მამეანნი და მოიპარეს გუამი წმინდა არჩილისა, წამოიღეს და შემურეს დიდითა პატივითა და დამარხეს ნოტკორას“ *[ქცა-, 1955: 248].*

ამგვარად, VIII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში მოღვაწეობდნენ ჩვენთვის უცნობი გოდერძის სახლის წევრები, რომლებიც **გოდერძიანნად** იწოდებიან. უეჭველია, რომ მათი მამამთავარი იმ დროს საქართველოში საკმაოდ ცნობილი იყო. სხვანაირად მეფესთან დაახლოებული დიდებულები თავისი წინაპრის სახელს გვარის ტოლფასად – გოდერძიანად, არ გამოიყენებდნენ. ისინი ტბელებადაც იხსენიებოდნენ, ე.ი. ისტორიული

საქართველოს ერთ-ერთი ცნობილი ცენტრის, ტბეთის წარმომადგენლებადაც გვევლინებიან. გეოგრაფიულად ტბეთი და გოდერძი ახლომდებარე პუნქტებია. არჩილ მეფის ცხედრის გამპატიოსნებლები ხომ არ არიან სწორედ საშუალო საუკუნეების ლეგენდარული პოეტის – გოდერძის შთამომავალნი?

სამხრეთ საქართველოს მღვდელმთავრები ტბელებად (მტბევარებად) ისხენიებიან X საუკუნიდან, მას შემდეგ, როცა **ერისთავთ-ერისთავმა აშოტ კუხმა** აქ საკათედრო ტაძარი ააშენა და დანიშნა პირველი ეპისკოპოსი **სტეფანე მტბევარი.** სწორედ ტბეთის ეპარქიაში შევიდა შავშეთი და დანდალოს ზედა აჭარა. თუ დავუშვებთ, რომ 718 წელს (არჩილ მეფის დაღუპვის წელს) ტბელების ზედწოდება არსებობდა, მაშინ გამოდის, რომ საეკლესიო ცენტრი ტბეთში ყოფილა საკათადრო ტაძრის აშენებამდე და აქ მოღვაწეობდნენ **გოდერძიანნი**, რომლებიც ტბელებადაც იხსენიებოდნენ. თუ ეს ასეა, მაშინ მტბევართა ისტორიაც გადახედვას საჭიროებს, სხვაგვარად ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდში გოდერძიან ტბელთა ჩართვა უმართებულოა.

სხვათაშორის, ტბელებად იწოდებოდნენ შიდა ქართლის აზნაურებიც (ახლანდელი ცხინვალის რაიონი), თუმცა მათაც ეს წოდება IX-X საუკუნეებში მიიღეს და, ამდენად, 718 წლის ამბებთან მათი დაკავშირება ნაკლებ სარწმუნოა.

„ქართლის ცხოვრებაში“ კიდევ რამდენჯერმე გამოკრთება გოდერძის სახელი, მაგრამ ამჯერად XI საუკუნეში. ქართლისა და აფხაზეთის 53-ე მეფეს **ბაგრატ IV-ს** ოპოზიციაში ედგა კლდეკარის ერისთავი „ქუეგამხედვარე“ **ლიპარიტი**, რომელმაც ანისში მეფის დედასთან – **მარიამ დედოფალთან** სტუმრად მყოფი აჭარაარტანუჯის და ეგრისის დიდებულები, „**აბუსერი**, ერისთავი არტანუჯისა და ხიხათა და ციხის ჯუარისა და აწყურის პატრონი და **ივანე ერისთავი, ივანე დადიანი** და **გუარამ გოდერძის ძე,**

ბეჭის ციხის პატრონი – შეჰყარნა იგინი ანისის კარსა და დაადგდო ტფილისი მეფემან და გავიდა ჯავახეთსა“ *[ქცI, 1955: 300].*

როგორც ვხედავთ, ლიპარიტისგან ტყვედქმნილი ყველა დიდებულისადმი მეფის ყურადღება და სიახლოვე იმდენად დიდია, რომ ბაგრატმა მიატოვა სატახტო ქალაქი და ტყვეთა გამოსახსნელად ჯავახეთს მიაშურა. ამ ციტატიდან ჩვენი ინტერესი გამოიწვია გუარამ გოდერძის ძემ, ბეჭის ციხის პატრონმა. აქ უკვე საქმე გვაქვს გოდერძის შვილთან, რომელიც ამავე დროს ბეჭის ციხეს ფლობს. სად იყო ბეჭის ციხე? **ვახუშტის** თქმით, „მტკურის სათავეს ზევით, ყალნუს (იგივე გოდერძის – რ.ს.) მთის ძირზე, არს ციხე შენი ქუმურლუსი, მაგარი და შეუვალი (ვგონებ ბეჭის ციხედ წოდებული) აწ ცალიერ არს ამას ზედა გარდავალს გზა ბანას და ფანასკერტს“ *[ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 674].* ქართული ენციკლოპედია იზიარებს ამ აზრს და თვლის, რომ ბეჭის ციხე არის ციხე-სიმაგრე სამხრეთ საქართველოში (ახლა თურქეთშია). პირველად იხსენიება XI საუკუნეში *[ქსე, 1975: 351].*

ამგვარად, მეორე ისტორიული პიროვნების, ბეჭის ციხის მეპატრონის, გუარამის მამის გოდერძის სახელიც ისტორიულ სამხრეთ საქართველოს, მესხეთ-აჭარა-შავშეთ-ფოცხოვის რეგიონს უკავშირდება. ვინ იცის, იქნებ ის იყო „შუა საუკუნეების ლეგენდარული ქართველი პოეტი?“

საკუთარი სახელი გოდერძი გვხვდება, აგრეთვე, XII საუკუნის ერთ-ერთ საბუთში. კერძოდ, 1179 წელს **გიორგი მესამის** მიერ გაცემულ სიგელში, სადაც მოხსენიებულია შემოწირული მონასტრის საქონებელნი. მათ შორისაა „ივანე წმინდაი ძველადვე გოდერძისა შემოწირული“ *[ბერძენიშვილი, 1966: 220].* რაკი საუბარია „ძველადვე შემოწირულზე“, შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქაც ბეჭის ციხის მეპატრონე გურამის მამა გოდერძზეა საუბარი.

დასმულ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს აგრეთვე პოპულარული ნაწარმოები „რუსუდანიანი“. მასში აღწერილია ზმირინის ქვეყანა და აქ მცხოვრები დიდებული კაცი **აფვიმიანე,** რომელსაც ჰყავდა 12 სახელოვანი ვაჟი და ერთი მზის მსგავსი ქალი **რუსუდანი**. ერთ-ერთ ძმას გოდერძი ჰქვია.

თუმცა ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით „რუსუდანიანის“ მაგალითის მოშველიება ქრონოლოგიურად უადგილოა, რადგანაც იგი უღელტეხილისთვის გოდერძის შერქმევის შემდგომ პერიოდს ეხება (ამაში ქვემოთ დავრწმუნდებით). ჩვენ ეს წყარო ვახსენეთ მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი ნაწარმოები არსებობს და ერთ-ერთ მის პერსონაჟს გოდერძი ჰქვია.

ანთროპონიმების მსგავსად ტოპონიმი გოდერძი მრავალ ქართულ წერილობით წყაროში გვხვდება. ამის დასტურად უნდა გავიხსენოთ ისეთი სანდო პირველწყარო, როგორიცაა IX-X საუკუნეების მწერლის და საეკლესიო მოღვაწის **ბასილი ზარზმელის** თხზულება, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“. აქ სერაპიონის ერთი მოწაფეთაგანი შემდეგს ამბობს: „რამეთუ აღვჰყავით პირსა მის მდინარისასა და მივიწიენით ხევსა რასმე ღრმასა და უღაღსა, რომელსა **გოდერძისა** ეწოდების... ფრიად ძალით შევედით მას შინა, ვინაცა სიხშირისა მისგან მყოვარ ჟამ ვეღარა ვიხილეთ ცაი, ანუ მზისა შარავანდედი“ ***[ჯავახიშვილი, 1965: 11, 57].***

ამგვარად, XI საუკუნეში არსებობდა ღრმა და ძნელად გასასვლელი, დაბურული ხევი, „რომელსა გოდერძისა ეწოდების“. ეს ხევი იწყება ზარზმიდან და თავდება გოდერძის უღელტეხილოთან; ხევის მარჯვენა ნაპირს სოფელ უტყუსუბნის პირდაპირ მდებარეობს **სოფელი გოდერძი** (აწ ნასოფლარი ადიგენის რაიონში). ამ სოფლის ისტორიისთვის მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ***[გურჯისტანის ვილაიეთის.., 1958: 111-112]***, რომელშიც მოტანილია სოფელი გო-

დერძი. ამიტომ დადასტურებულად უნდა მივიჩნიოთ, რომ ტოპონიმი გოდერძიც 1595 წლამდე ე.ი. დავთრის შედგენამდე გაცილებით ადრე არსებობდა. როგორც ზემოთ ვნახეთ, ამას „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაც“ ადასტურებს.

აჭარის საქართველოსთან დაბრუნებისთანავე რუსულ პრესაშიც გამოჩნდა ტოპონიმი გოდერძი. **ნ. ა. ვასილევსკი** ჟურნალ „ვოენნი სბორნიკში“ გამოქვეყნებულ სტატიას ასე ასათაურებს: «От Ахалциха через Годердзский перевал до города Батума» ***[„Военный сборник“, 1880, №12].***

თუმცა ამ დროს იგი ნახსენებია უცხო სახელითაც. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრის, კავკასიის არმიის პირველი კორპუსის სარდლის ადიუტანტის, **ნიკოლოზ ივანეს ძე არჯევანიძის** (1858-1937) 1887 წლის მოგზაურობის დღიურებში ვკითხულობთ: „ს. ხულოში ჩვენ ღამე გავათენეთ და მეორე დღეს ყანლის უღელტეხილით („ყანლი” – სისხლიანი), რომელიც წყალგამყოფია შავი და კასპის ზღვებს შორის, გზა განვაგრძეთ” ***[აჭარის სახელმწიფო.., 1963: 53].*** ამ ჩანაწერში გასაკვირი არაფერია. ნ. არჯევანიძე მთელ თავის გზაზე ცდილობდა შეხვედროდა ადგილობრივ მცხოვრებლებს (ნ. ბერიძეს და სხვ.), რომლებიც, ბუნებრივია, ზოგ გეოგრაფიულ სახელს იმ დროს დამკვიდრებული ფორმით კარნახობდნენ, თუმცა „გოდერძი” ყველას ახსოვდა.

ნ. არჯევანიძის ციტატიდან ჩვენი ყურადღება მიიქცია იმან, რომ მან მოგზაურთაგან ერთ-ერთმა პირველმა გოდერძის (ყანლის) უღელტეხილს შავი და კასპიის ზღვების წყალგამყოფი უწოდა.

ნ. ა. ვასილევსკის ჩანაწერით ცხადი ხდება, რომ 1880 წელს თვით გოდერძი საკმაოდ დიდი სოფელი ყოფილა.

ამაზე მეტყველებს ქართული ჯარის უცნობი კორესპონდენტის **„ობოლი მგზავრის"** ჩანაწერი, რომელიც გაზეთ „ერთობაში" გამოქვეყნდა: „13 ივნისი. სოფელი გოდერძი. დილით ადრე გოდერძში მივედით, სადაც ჩვენი მარცხენა მოწინავე სადარაჯოები იდგნენ. გოდერძი მთებში მდებარეობს. ირგვლივ ტყე არტყია. თავს მაღალი გორი და კარაღელის მაღლობები დასცქერის. წინ ხეობა სჭრის და პირდაპირ კიამარას მთას მისჩერებია. სოფელი სამი პატარა უბნისაგან შედგება და შიგ სულ 42 კომლი მაჰმადიანი სცხოვრობს. ხალხი საქონლის მოშენებას მისდევს და თვით შინაურულად იკმაყოფილებს მოთხოვნილებას" ***[„ერთობა", 1920: 3].***

ამ სტრიქონებიდან სულ რაღაც 25 წლის შემდეგ, 1944 წელს ეს სოფელი აღიგავა პირისაგან მიწისა. მთელი მოსახლეობა შუა აზიაში გაასახლეს. გოდერძი აღარ არის შეტანილი 1949 წელს გამოცემულ „საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში". იგი მოხსენიებულია მხოლოდ "საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონში" და ქართული ენციკლოპედიის მე-3 ტომის 201-ე გვერდზე.

ნაშრომიდან შეიძლება შემდეგი დასკვნებისა და ვარაუდების გაკეთება:

1. ტოპონიმი გოდერძი გვხვდება ძველი ბერძენი ისტორიკოსების (II საუკუნე, ახ. წ. აღ.) ნაშრომებში.

2. ანთროპონიმი გოდერძი (გიტარზი) მოხსენიებულია რომაელი ისტორიკოსის ტაციტუსის (II საუკუნე, ახ. წ. აღ.) "ანალებში".

3. ანთროპონიმი გოტარძი საბერძნეთიდან ძველთაგანვე გავრცელდა და დღეს გოდერძი-ს სახით იხმარება მხოლოდ საქართველოში. სხვა ქვეყნებში არ გვხვდება.

4. ქართულ წყაროებში გოდერძი (გოდერძიანნი) პირველად მოხსენიებულია ლეონტი მროველის ისტორიულ თხზულებაში, რომელიც 718 წლის ამბებს აღწერს.

5. ამ დროისთვის სამხრეთ საქართველოში უწარჩინებულესი დიდებულები **გოდერძიანნი ტბელნი**-ს წოდებას ატარებდნენ.

6. მათი წინაპარი იყო თვალსაჩინო პიროვნება გოდერძი, რომელმაც საფუძველი დაუდო გოდერძიანთა გვარს.

7. გოდერძიანნი ცხოვრობდნენ დიდ ცენტრ ტბეთში, ამიტომ ისინი ტბელებად (ტბელნი) იხსენიებოდნენ.

8. XI საუკუნეში სამხრეთ საქართველოში აჭარა-მესხეთ-შავშეთის ტერიტორიაზე მოღვაწეობდა ცნობილი პიროვნება გოდერძი, რომლის შვილი გუარამი ბეჭის ციხეს ფლობდა.

9. ტოპონიმი გოდერძი ჩვენამდე მოღწეულ XI საუკუნის წყაროებში გვხვდება. აჭარა-მესხეთის მიჯნაზე ჯერ გაჩნდა სოფელი გოდერძი, შემდეგ ეს სახელი გავრცელდა ხევზე და უღელტეხილზე.

10. ამჟამად სოფელი გოდერძი გაუკაცრიელებულია (მოსახლეობის იძულებითი აყრა-გადასახლების გამო).

11. ბასილი ზარზმელის თხზულების დაწერის დროს (XI ს.) არსებობდა სოფელი გოდერძი. თუ ეს სახელი მას შეერქვა რომელიმე დიდი მოღვაწის უკვდავსაყოფად, ბუნებრივია, ეს პიროვნება XI საუკუნეზე ადრე ცხოვრობდა. ამიტომ იგი ჩვენც იმ პერიოდის მოღვაწეთა შორის უნდა ვეძიოთ.

12. ჩვენი ვარაუდით ეს პიროვნება იყო გოდერძიანთა გვარის წინაპარი, დიდი სახელმწიფო ან საეკლესიო მოღვაწე, შესაძლოა ლეგენდარული პოეტიც, რომელმაც საფუძველი დაუდო გოდერძიანთა გვარს და 718 წელზე ადრე ცხოვრობდა.

13. არ არის გამორიცხული, ამ პიროვნებაში ვიგულისხმოთ XI საუკუნის მოღვაწის, ბეჭის ციხის მეპატრონის გვარამის მამა გოდერძი.

მე ორივე აზრს თანაბრად ვიზიარებ. იმედია, მომავალი გამოკვლევები ნათელს მოჰფენს გოდერძის საიდუმლოებას.

## გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:


**აჭარის სახელმწიფო.., 1963:** – აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, VI, ბათუმი.

**ბერძენიშვილი, 1966:** – ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბილისი.

**გურჯისტანის ვილაიეთის.., 1958:** – გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, გამოსაცემად მოამზადა სერგი ჯიქიამ, თბილისი.

**„ერთობა“, 1920:** – გაზ. ,,ერთობა“, 1920, №162, 28 ივლისი.

**ვახუშტი ბატონიშვილი, 1973:** – ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსი საქართველოსა, – კრ.: ქართლის ცხოვრება, IV, გამოსაცემად მოამზადა სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი.

**ინგოროყვა, 1954:** – ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე. თბილისი. გვ. 431.

**ქსე, 1975:** – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, II, თბილისი.

**ქც$^{ა}$, 1955:** – ქართლის ცხოვრება, I, გამოსაცემად მოამზადა სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი.

**ჯავახიშვილი, 1965:** – ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, II, თბილისი.

**Журн. „Военный сборник,“ 1880, №12.**

**Ramaz Surmanidze**

## Goderdzi - Toponym and Anthroponym

**Summary**

Paper discusses about a pass placed in the mountainous Ajara, which is called Goderdzi. It is unknown when and why they called thıs name. The paper discusses the sources of the ancient Greco-Roman, Pre-modern period, and suggests that the place name is Goderzi and this name is toponym and anthroponym. This place is interesting about us, which is an international resort, and ,,Goderdzi'' named after 718 our BC, for the honor of georgian nobles (may be the poet's).

ზაზა შაშიკაძე
ნონა ნიქაბაძე

# ბათუმის სკოლები და კულტურული დაწესებულებები XX ს-ის 20-იან წლებში

უცხოელთა ხანგრძლივმა ბატონობამ აჭარაში ქართული განათლებისა და კულტურის განვითარება რომ დიდად შეაფერხა, ეს საყოველთაოდ ცნობილია. თუმცა, ადგილობრივმა მოსახლეობამ მოახერხა შეენარჩუნებინა წინაპართა ადათ-წესები და, რაც მთავარია, ენა.

პროცესი აჭარის ზღვისპირეთსა და მთიან რეგიონებში განსხვავებულად მიმდინარეობდა. ბათუმში სავაჭრო-ეკონომიკურმა განვითარებამ თავიდანვე შექმნა პირობები იმისათვის, რომ აქ თავი მოეყარა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს. ამ მხრივ მთიანი აჭარა დაცული იყო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბათუმსა და, საერთოდ, აჭარის ზღვისპირეთში (ქობულეთი, კახაბერი და სხვ.) ძველთაგანვე შეიქმნა იმის პირობა, მოსახლეობა ყოფილიყო ეთნიკურად შერეული, ხოლო მთიანი აჭარა მონოეთნიკურად ვითარდებოდა ***[ვარშანიძე, 2006: 39].***

მიუხედავად იმისა, რომ მკვლევართა უმრავლესობა სხვანაირად თვლის, ან არ აქცევს ამას ყურადღებას, აჭარაში ალაგ-ალაგ, განსაკუთრებით კი ქობულეთში დამწერლობაც არ იყო გამქრალი. ამას მოწმობს გულო-აღა კაიკაციშვილის წერილი გაზეთ დროებაში, სადაც იგი აღნიშნავს, რომ ქართული წერა-კითხვა ,,პაწაის მეტი“ არ იცის და ისიც ბებიამ ასწავლა ***[დროება,***

*1875: #143]*. ამასვე ადასტურებს დღემდე აჭარაში შემორჩენილი ,,დედაბრული“ დამწერლობის ნიმუშები.

მიგრაციული პროცესები ბათუმში ოსმალთა ბატონობის ბოლო პერიოდიდან შეიმჩნევა. ბუნებრივია, ქალაქის დემოგრაფიული ზრდა და ეთნიკური სიჭრელე, სხვასთან ერთად, საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობის გაზრდასაც მოითხოვს. ოსმალთა პერიოდის ბათუმში ირკვევა, რომ სასულიერო სასწავლებლების პარალელურად ერთი ,,რუშდიეც“[1] მოქმედებდა. გარდა ამისა, გაიხსნა ბერძნული და სომხური სასწავლო დაწესებულებებიც *[ვარშანიძე, 2006: 71]*. სამწუხაროდ, ქართულ სასწავლებლებს ამ პერიოდში ვერ ვხვდებით.

1877-1878 წწ. ომის შედეგად ბათუმის რუსეთის იმპერიაში გადასვლის შემდეგ, მისი, როგორც საზღვაო ქალაქის მნიშვნელობა დიდად გაიზარდა და მოსახლეობამაც შესამჩნევად იმატა. შესაბამისად იმატა სკოლების რაოდენობამაც. ქალაქი ეთნიკურად ჭრელი იყო და სკოლებიც სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს ეკუთვნოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართველ მოღვაწეთა ენერგიული მუშაობა ქართული სკოლის გახსნისათვის, რასაც მალევე მოჰყვა შედეგი. 1881 წლის 23 მარტს ბათუმში გაიხსნა პირველი ქართული ორკლასიანი სასწავლებელი *[ბაბილოძე, 1975: 17; ვარშანიძე, 2006: 73]*. ქართული სკოლა გახსნა ბათუმში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, შემდეგ სხვებმაც.

რუსეთის იმპერიის და, შემდგომში, საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდშიც არაერთი ქართული და უცხოური სკოლა და საგანმანათლებლო დაწესებულება მოქმედებდა. თუმცა ამჯერად ჩვენი განხილვის საგანია საგანმანათლებლო სისტემა

[1] Rüşdiyye – საერო საშუალო სკოლა *[Develioğlu, 2011: 1054]*

ბათუმში 1921-1922 წლებში, ანუ სოციალიზმის პირველ წლებში, რომელიც საკმაოდ კარგადაა ასახული ერთ-ერთ საინტერესო დოკუმენტში, სახელწოდებით ,,წითელი აჭარისტანის სალ-ნამე“ (შემდგომში – აჭარის სალ-ნამე).

ზემოთ აღნიშნული დოკუმენტი ჩვენს ხელთ აღმოჩნდა 2005 წელს, თურქეთის რესპუბლიკაში ერთ-ერთი მივლინების დროს. მისი დღემდე აღმოჩენილი ერთადერთი ეგზემპლარი ინახება არზრუმის ერთერთი მეჩეთის არქივში. ხოლო მისი ასლი (ელექტრონული ვერსია CD-ზე ჩაწერილი სურათების სახით) 2010 წელს, კონფერენციაზე მოხსენების წაკითხვის შემდეგ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოს გადავეცით საჩუქრად.

,,სალ-ნამე“ სპარსული სიტყვაა და ყოველწლიურ წიგნს, წელიწდეულს ნიშნავს. იგი არის დოკუმენტი, რომელიც მოგვითხრობს გასული და მიმდინარე წლების მნიშვნელოვან მოვლენებს, ამ მოვლენებში მონაწილე ადამიანთა ბიოგრაფიებს, დოკუმენტის შედგენის მომენტისათვის არსებულ პოლიტიკური (მათ შორის საერთაშორისო), სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და სხვა ვითარების შესახებ, ანუ ერთგვარი ბიულეტენია.

ოსმალეთის იმპერიაში სალ-ნამეები სახელმწიფო უწყებების მხრიდან ქვეყნდებოდა. ისინი მნიშვნელოვანია როგორც საისტორიო წყარო. ნიშანდობლივია, რომ აჭარაში, ოსმალეთისგან ჩამოცილების შემდეგაც, გარკვეული დროის განმავლობაში კვლავ გრძელდებოდა იმპერიაში შეძენილი ტრადიციები. დოკუმენტი 1922 წელს ბათუმშია დაბეჭდილი და დაახლოებით 180 გვერ-

დიანია. იგი მთლიანად თურქულენოვანია და ოსმალური (არაბული) ნაბეჭდი ტექსტებითაა შედგენილი[2].

აჭარის სალ-ნამე უამრავ საკითხს მოიცავს. 1921-1922 წწ. ის პერიოდია, როდესაც ახალგასაბჭოებულ აჭარაში კომუნისტები ფეხის მოკიდებას იწყებენ. რეგიონში, ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე ამბებთან ერთად დოკუმენტში მოთხრობილია ახალი სახელმწიფოს მშენებლობის შესახებ, ცალკეული სფეროების მიხედვით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამჯერად ჩვენ განვიხილავთ აჭარის სალ-ნამეში მოცემულ ინფორმაციას საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმში 1921-1922 წლებში.

ინფორმაცია აჭარის საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის შესახებ ერთგვარი ანგარიშის სახით დოკუმენტში განთავსებულია 93-95 გვერდებზე.

ჩვენ გავაკეთებთ მცირე ანალიზს მოცემული ინფორმაციისას, მცირეს, რადგან ნაშრომის ბოლოს გთავაზობთ ტექსტის სრულ და ორიგინალთან შესაბამის თარგმანს. ვფიქრობთ, ამით მკითხველს საშუალება ექნება მიიღოს უშუალო და პირდაპირი ინფორმაცია.

ბუნებრივია, როგორც იმ პერიოდში იყო მიღებული, ეს ტექსტიც სოციალისტურ-კომუნისტური პათოსით არის შედგენილი. ეს ჩანს თუნდაც ტექსტის იმ ნაწილიდან, სადაც საუბარია ,,ძველ სისტემაზე“, ,,მოძველებული ყაიდის სკოლებზე“ და ღარიბთა შვილებისათვის განათლების ხელმიუწვდომელობაზე.

ნათქვამია, რომ სოციალისტური წყობის დამყარების შემდეგ, საგანმანათლებლო სფეროს აჭარაში პირველად მალაქია ტორო-

---

[2] დოკუმენტის დახასიათება უფრო ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ: ***[შაშიკაძე, 2010: 4-8]***

შელიძე ხელმძღვანელობდა (მალაქია ტოროშელიძის ბათუმური კარიერის შესახებ ინფორმაციას ბევრ ადგილას ვერ შეხვდებით). შემდეგში მის ადგილზე დაინიშნა სულეიმან ლორთქიფანიძე. ჩამოთვლილია განათლების სისტემაში მოღვაწე პირებიც.

საკმაოდ კარგად არის გადმოცემული საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე პროცესები. დიდ ყურადღებას იქცევს იქვე წარმოდგენილი ბათუმში მოქმედი სკოლების ცხრილი, რომელშიც ცალკეულ გრაფებადაა მოცემული: სკოლების დასახელება (ნუმერაციით), მათი ხარისხი, დირექტორთა გვარები, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობა. ცხრილის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ აღნიშნულ პერიოდში ქალაქ ბათუმში მოქმედებდა 16 სკოლა, მათ შორის სამი მეორე და ცამეტი პირველი ხარისხის. სკოლებში მთლიანად სწავლობდა 4447 მოსწავლე და დასაქმებული იყო 179 მასწავლებელი. აქვე მოცემულია სურათი მინაწერით: ,,ბათუმის ისლამური სკოლის მოსწავლეთა ჯგუფი და მასწავლებლები ასიფ კაკაბაძე“ ***[სალნამე, 1922:94].***

ტექსტში მოცემულია ინფორმაცია სხვადასხვა კულტურული დაწესებულების, საბავშვო ბაღების, შემოქმედებითი ჯგუფების და ა.შ. გახსნის შესახებაც.

შემდეგ გვერდზე ტექსტის ქვემოთ საინტერესოდ არის გადმოცემული „აჭარისტანის სკოლების მოსწავლეთა მთლიანი სტატისტიკა ეთნიკურობის მითითებით“. ნახატი სურათი ვიზუალურად ასახავს სტატისტიკას: მარცხნიდან პირველი, ტანად ყველაზე დიდი არის ყაბალახში გამოწყობილი ქართველი, მეორე ბერძენი (ასევე ეროვნულ ფორმაში), მესამე რუსი და ა.შ.

სურათის დაბლა მოცემულია სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც ბათუმის სკოლებში სწავლობს: 1) ქართველი და აჭარელი (ტერმინები გამიჯნულია, თუმცა ერთ ეთნიკურ ჯგუფად არის მოცემული) – 2892; 2) ბერძენი – 974; 3) რუსი – 872; 4) სომეხი –

786; 5) ებრაელი – 167; 6) თურქი – 120; 7) ირანელი – 80; 8) პოლონელი 23; 9-10-11) სხვა ერები – 89.

მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის ნაწილი არ არის უცხო ქართული საისტორიო ლიტერატურისათვის, იგი გარკვეულ საინტერესო სიახლეებსაც შეიცავს. ყოველ შემთხვევაში აუცილებლად მივიჩნიეთ, აღნიშნული დოკუმენტის აღნიშნული კუთხით სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა.

ქვემოთ გთავაზობთ ტექსტის უცვლელ თარგმანს:

„აჭარის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატი.

სახალხო განათლების კომისარი სულეიმან ლორთქიფანიძე

მოსამსახურე წევრები:

მოადგილე: თამარა ჟღენტი

წევრები: სედად რეშად

კუპრაძე

ქუთათელაძე

ჩილინგირისი

ადმინისტრაციული დაწესებულების მოხელე: თევზაძე

განათლება

როგორც ცარიზმის დროს, ისე მენშევიკების პერიოდში, განათლება ღარიბი ხალხისთვის ხელმიუწვდომელი იყო. ფასიან სკოლებში სწავლა მხოლოდ მდიდარი კლასის ბავშვებს შეეძლოთ.

1921 წლის 18 მარტს აჭარაში საბჭოთა მმართველობის დაფუძნების შემდეგ განათლებამ ცალკე განყოფილების სახით დაიწყო მუშაობა და მის უფროსად მალაქია ტოროშელიძე დაინიშნა. თავდაპირველად განათლება ძველი ყაიდის სკოლების გაუქმებით იყო დაკავებული. მოგვიანებით თევფიდ ბოჭორიშვილი დაინიშ-

ნა და ამ დროში მოსამსახურეთა სტრუქტურა შეიქმნა და, როგორც ამჟამად, განყოფილების გამგე ვალდებული იყო მოსამსახურე პერსონალის გადაწყვეტილებები შეესრულებინა.

ხსენებულ დროს, სკოლებში ახალი ყაიდის გაკვეთილების ჩატარებისათვის სისტემა შეიქმნა, სადაც თვითშემოქმედების განყოფილებაში, დამატებით მუსიკა, ხატვა, თეატრისა და კინოს მიმართულებები ისწავლებოდა. აღნიშნული განყოფილების ხელმძღვანელად შემდეგში ნიკო კუპრაძე დაინიშნა და სწავლებისა და ეთიკის წრეებთან ერთად განყოფილების სტრუქტურა შეიქმნა. თეატრის, მუსიკის, ხატვის, გასავრცელებელი სააგიტაციო-საპროპაგანდო გაზეთების, კლუბი, ბიბლიოთეკის სახით ხელოვნების განყოფილება. ასევე ბავშვებისათვის ხატვის (?), ბავშვთა ბაღი, ქართული და რუსული თეატრის ჯგუფები, ლენინის სახელობის ხელოვნებისა და მეცნიერების უფასო კურსები გაიხსნა *[სალ-ნამე, 1922: 93]*.

ბათუმში მოქმედი სკოლები და მათი მოსწავლეები:

| სკოლის დასახელება | ხარისხი | დირექტორთა გვარები | მოსწავლეების რაოდენობა | მასწავლებლების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | დ.ნ. ქუთათელაძე | 417 | 22 |
| 2 | 2 | დ.რ. ქინქლაძე (ან კიკნაძე) | 390 | 21 |
| 3 | 2 | | | |
| 1(Iსაბჭო) | 1 | ფ. ბოჭორიშვილი | 140 | 9 |
| 2 | 1 | ი. ღლონტი | 547 | 8 |
| 3 | 1 | ნ. ჯაყელი | 394 | 13 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4 | 1 | მ. შარაშიძე | 397 | 17 |
| 5 | 1 | ა. ართოლდი | 344 | 16 |
| 6 | 1 | ა. მიქელაძე | 305 | 11 |
| 7 | 1 | ალ.გომანი | 271 | 9 |
| 8 | 1 | ჰიქმეთ ჯევდეთზადე | 203 | 11 |
| 9 | 1 | ჩექითლიქიანი (?) | 219 | 9 |
| 10 | 1 | ალიხანიანი კირიაკოვა | 219 | 6 |
| 11 | 1 | ლ. მოგილოვსკი | 450 | 16 |
| 12 | 1 | ჟ. შუბლაძე | 42 | 5 |
| 13 | 1 | ა. ნ. საბიკოვა | 109 | 6 |

აჭარის ავტონომიის მოპოვების შემდეგ განათლების განყოფილების კომისარიატი შეიქმნა და პირველ კომისრად თახსიმ ხიმშიაშვილი დაინიშნა. მან მთელი მისი შესაძლებლობები მისდამი დაქვემდებარებულ ორგანოებს დაახარჯა. ინსტრუქტორები და სასკოლო ნივთები გააგზავნა, მაგრამ ამ ინსტრუქტორებისგან საკმარისი ხარისხის სამსახური ვერ მიიღო.

1922 წლის პირველ იანვარს კომისრის თანაშემწედ თამარ ჟღენტი (კანის დაავადებათა ექთანი) დაინიშნა და ამჟამად სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებს.

თახსიმ ხიმშიაშვილის თავმჯდომარეობით, ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გარდამავალ პერიოდში დროებით მოვალეობის შემსრულებლად ბერძენიშვილი აირჩია და შემდეგ ამჟამინდელი კომისარი სულეიმან ლორთქიფანიძე დაინიშნა. ამ კომისრის დანიშვნა ღრმა ეკონომიკურ კრიზისს დაემთხვა და განსაზღვრული ბიუჯეტის არ არსებობის გამო შესაძლებლობები შეზღუდული იყო. მიუხედავად ამისა, ახალი ორგანიზაცია ჩამოყალიბებას განაგრძობდა. ბოლო დროს, განათლების კომისარიატი საგანმანათლებლო და საორგანიზაციო საკითხების მოგვა-

რებისათვის ისეთ დაჩქარებულ რეჟიმში მუშაობს, რომ პროგრამების გამომცემი საორგანიზაციო კომისიები საკუთარ საქმიანობას უკვე შეუდგნენ.

ამჟამად ბათუმში განათლებისადმი დაქვემდებარებული 16 სკოლაა. აჭარის რაიონებშიც გაიხსნა რამდენიმე სკოლა. გარდა ამისა გახსნილ იქნა 3 საბავშვო ბაღი, 6 ბავშთა სახლი, ერთი საბავშვო კლუბი, ხელოვნების კურსები, ქართული ენის გაკვეთილები, მასწავლებლებისათვის ხელსაქმის კურსები და საზოგადოებისათვის სხვა სასარგებლო დაწესებულებები. ხელსაქმის კურსებმა დიდი დაინტერესება გამოიწვია და დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა, ამასთან მოწყობილ გამოფენაზეც დიდი მოწონება დაიმსახურა.

აჭარისტანის სკოლების მოსწავლეთა მთლიანი სტატისტიკა ეთნიკურობის მითითებით:

1. ქართველი და აჭარელი – 2892;
2. ბერძენი – 974;
3. რუსი – 872;
4. სომეხი – 786;
5. ებრაელი – 167;
6. თურქი – 120;
7. ირანელი – 80;
8. პოლონელი – 23;

9-10-11. სხვა ერები – 89“ *[სალ-ნამე, 1922: 94-95].*

## გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:


**სალნამე, 1922:** – قزیل آجارستان سلنامه سی ۱۹۲۲ -Erzrum Ulu Cami Arşivi, S:601.

**დროება, 1875:** – გაზეთი ,,დროება“, №143.

**ბაბილოძე, 1975:** – ნარკვევები განათლებისა და კულტურის ისტორიიდან აჭარაში, ბათუმი.

**ვარშანიძე, 2006:** – ბათუმის ოლქი XIX ს-ის ბოლო მეოთხედში (ეთნოკულტურული ვითარება), ბათუმი.

**შაშიკაძე, 2010:** – შაშიკაძე ზ., ,,წითელი აჭარისტანის სალ-ნამე“, აჭარის ა/რ საარქივო სამმართველო, აჭარა უცხოელ ავტორთა შრომებში (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ბათუმი.
**Develioğlu, 2011:** – Ferit Develioğlu, Osmanlı-Türkçe Ansiklopedik Lûğat, Ankara.

**Zaza Shashikadze,**
**Nona Nikabadze**

## The schools of Batumi and Cultural Establishments In 20s of XX Century

### Summary

The article relies on the dated protected information of the Red Adjara written during the 1922s years. The document has the shape of the book which is composed andprinted from the Ottoman language. It is about 180 pages. Only one exemplarhas been discovered. This original copy is protected in one of the mosques of Erzurum up to this date.

From archival materials it is known that in the Ottoman period in Batumi there was only one secular school. In 1877-1878, after the war, when Batumi drawn by the Russian Empireunder their rule, mostly increased the importance of it as a Marin town of Batumi, increased the rate of population too. Therefore, the number of schools were enhanced. The city was ethnically mixed and the schools belonged to the various ethnic groups.

The article describes the process of creating educational and cultural institutions in the 1920s, when the socialist system was taking place in the city. Statistic data is given too.

მაია ჭიჭილეიშვილი

# ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმის შენობის არქიტექტურა

ნაგებობა მდებარეობს თამარის დასახლებაში, ლესელიძის ქუჩაზე (№3). 2007 წლიდან, შენობაში განთავსებულია ტექნოლოგიური მუზეუმი. ექსპოზიციაში წარმოდგენილი ექსპონატები იმ ტექნოლოგიურ მიღწევებს ასახავს, რომლებიც XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის I ნახევარში ინერგებოდა ბათუმში მსხვილი მრეწველების - ა. როტშილდის, ა. მანთაშევის, ძმები ნობელებისა და სხვათა მეშვეობით და ნავთობის ბიზნესის, ჩაისა და თამბაქოს კულტურებისა და პოლიგრაფიის განვითარებასთან იყო დაკავშირებული. ექსპოზიციაში წარმოდგენილია ნავთობის მრეწველობის განვითარების ისტორიისა და ახალი აგრარული კულტურების – ჩაისა და თამბაქოს მოყვანა-დამუშავების ამსახველი ფოტოები, საარქივო დოკუმენტები და ექსპონატები. ცალკე ექსპოზიცია ეთმობა ქართული ღვინის კომერციალიზაციას. წარმოდგენილია, ასევე, ცნობილი ფოტოგრაფის სერგეი პროკუდინ-გორსკის ფოტოები, რომლებიც XIX ს-ისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ყოფას და კულტურას ასახავს.

1870-იან წლებში რობერტ ნობელმა ბაქოში აღმოაჩინა ნავთობის საბადო, 9 წლის შედეგ კი შეიქმნა ნავთობის კომპანია. ბაქოში მოღვაწეობის დროს ძმები ნობელები აქტიურად მუშაობდნენ ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის მშენებლობაზე. მათ დამსახურებად ითვლება ბაქო-თბილისის სარკინიგზო გზის შემოყვანა და 1883 წელს ნავთობის ტერმინალის გახსნა ბათუმში.

ნავთობთან დაკავშირებული ბევრი ტექნოლოგიური სიახლე (მილსადენები, ცისტერნები, ტანკერები და სხვ.) სწორედ ნობელების სახელს უკავშირდება. ნავთობის მოპოვება ხდებოდა ბელაქანში. მილსადენის მეშვეობით წელიწადში 900 ათასი ლიტრი გაწმენდილი ნავთი გადაჰქონდათ ბათუმისაკენ. ბათუმი ამ დროისათვის საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პორტს წამოადგენდა. ცნობილია, რომ ნავთობინდუსტრიაში მოღვაწე შვედ მეწარმეებს, ლუდვიგ, ემანუელ და ალფრედ ნობელებს თავისი „ბათუმის კანტორაც" ჰქონდათ გახსნილი.

ბათუმის, ქუთაისის, ზუგდიდის არქივების მასალების მიხედვით ძმებ ნობელები ბათუმის შესასვლელთან მდინარე ყოროლისთავის მიდამოებში სახლსა და მიწის ნაკვეთს ფლობდნენ. აღწერილობითი მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ ნობელების საკუთრებაში არსებული სააგარაკო სახლი და მიწის ნაკვეთი მდებარეობდა ჩაქვისა და ორთაბათუმის გზების გასაყარზე, სავარაუდოდ იქ, სადაც ამჟამად მდებარეობს ძმები ნობელების ტექნოლოგიური მუზეუმი ***[Москвич, 1914: 117]***. ამ ვარაუდს არ ეწინააღმდეგება შენობის არქიტექტურა, რომელიც XIX-XX საუკუნეების მიჯნას უნდა მიეკუთვნებოდეს.

ასიმეტრიული გეგმის მქონე შენობა ხასიათდება მაღალი კოშკისა და სწორკუთხა მოცულობების შერწყმით. ვიწრო თაღოვანი სარკმლებით დანაწევრებული სამიარუსიანი კოშკი იმპოზანტურობასა და შუასაუკუნეობრივ იერს ანიჭებს ნაგებობას.

ნაგებობა მდებარეობს ქუჩიდან მოშორებით, „ეზოს" სიღრმეში, რაც, შესაძლოა, თავიდანვე იყო გათვალისწინებული. შესაძლოა, იგი შემოსაღვრული იყო ეზოთი და მიწის ნაკვეთით. ამას ადასტურებს შენობის არქიტექტურული კომპოზიცია, რომელსაც L-ის მაგვარი გეგმარება, ქუჩის მხარეს გახსნილი პირველი სართულის აივანი და ოთხივე ფასადის ფართოდ გახსნილი განიერი

ფანჯრის ღიობები ახასიათებს. ღიობების ასეთი განაწილება ნაგებობის ირგვლივ არსებული სივრცეების აღქმისათვის იყო გათვალისწინებული.

ქუჩის დღევანდელი განაშენიანება მთლიანად განახლებულია საბჭოთა პერიოდში. აქ ერთმანეთს ენაცვლება XX საუკუნის პირველ და მეორე ნახევარში აგებული რამდენიმე (3-4-5-სართულიანი) საცხოვრებელი სახლი. განაშენიანების ხასიათი, ჯერ კიდევ შენარჩუნებული მწვანე სივრცეების მიუხედავად, უსახურია. ნობელის მუზეუმთან ახლოს, აღმოსავლეთისაკენ, ბათუმის ციხის მახლობლად, შემორჩენილია ძველი, სავარაუდოდ, XIX-XX სს-ის მიჯნის ერთსართულიანი სავაჭრო შენობები, დარაბები. ეს ნაგებობები, ისევე, როგორც ნობელის მუზეუმის შენობა, ამ ძველი უბნის განაშენიანების შემორჩენილი ერთეული ნიმუშებია.

მიუხედავად საბჭოთა და უახლეს პერიოდში განვითარებული განაშენიანებისა, მუზეუმის შენობა მაინც ინარჩუნებს გარკვეულ ავტონომიურობას. ორსართულიანი ნაგებობა განცალკევებით დგას სიღრმეში და ყურადღებას იქცევს თავისი ასიმეტრიული გეგმარებით, სივრცეში განვითარებული სწორკუთხა და სახურავს აცდენილი სამსართულიანი კოშკის ვერტიკალური მოცულობით, ჩაკეტილი აზრისითა და ფასადების რამდენადმე მკაცრი „კლასიცისტური“ დეკორით, რაც მცირე რომანული „ციხესიმაგრის“ შთანეჭდილებას ანიჭებს მას. შენობის მაღალი სარდაფის სართული, ფასადის შელესილი გლუვი სიბრტყეებისაგან განსხვავებით, შემკულია რუსიტკის იმიტაციით.

შენობის L-ისებური აზრისის მქონე, სწორკუთხა მოცულობებთან შერწყმული სამსართულიანი კოშკი, პირველ სართულზე 7-წახნაგაა, ხოლო მეორე-მესამე სართულზე - წრის ¾ ფორმისა. კოშკს დამოუკიდებელი წახნაგოვანი კიდეების მქონე კონუსური

გადახურვა აქვს. შენობის პერპენდიკულარული ნაწილები და კიდეები მცირედ შეტეხილი მოცულობებითაა განვითარებული. ნაგებობის ავთენტურობა დარღვეულია აღმოსავლეთ მხარეს, გასული საუკუნის 90-იან წლებში მიშენებული პირველი სართულის მართკუთხა მოცულობით.

ნაგებობის ამჟამინდელი სახე 2007 წელს ჩატარებული რესტავრაცია-რეკონსტრუქციის შედეგია.[3] სამუზეუმო ფუნქციასთან ადაპტაციის მიზნით, ხელუხლებელია გვიანი მინაშენი პირველი სართულის დონეზე, დახურულია ფანჯრის ღიობების დიდი ნაწილი, შეცვლილია კარები და ფანჯრის ფრამუგები.

ნაგებობის გადაწყვეტა ეკლექტურია: „რომანული ციხე-სიმაგრის" იერის მქონე, ასიმეტრიული გეგმის შენობის ფასადები შემკულია კლასიციზმის სტილის ელემენტებით. მისი კომპოზიცია ხასიათდება მრგვალი კოშკისა და ასიმეტრიულად განაწილებული სწორკუთხა მოცულობების დაპირისპირებით. სამსართულიანი კოშკი შენობის პლასტიკური ელემენტია, მისი სიმაღლე და მოცულობა განსაზღვრავს ნაგებობის დომინანტურ მნიშვნელობას სივრცეში. წახნაგოვანი და წრიული მოცულობების მონაცვლეობა, სართულების გამყოფი სარტყლები, წახნაგები რუსტირებული კუთხეები და ასიმეტრიულად გაჭრილი სარკმლები განსაზღვრავს კოშკის მკაცრ არქიტექტურულ სახეს. ატიკით დასრულებული მისი წახნაგოვანი ნაწილი კუთხის პილასტრებითა და პროფილირებული სარტყელითაა აღნიშნული. წახნაგოვანიდან წრიული ნაწილზე გადასვლის ადგილი შევსებულია

[3] შენობის ავთენტური ნაწილების წარმოჩენის მიზნით მოიხსნა საბჭოთა პერიოდის უხეში ჩარევები, შენობის უკანა და გვერდითი ფასადების მხარეს მიდგმული კიბეები, დაიხურა გვიან გაჭრილი შესასვლელები, აღდგა ფასადის თავდაპირველი სტრუქტურა, გამოიკვეთა პირვანდელი გეგმარება და მხატვრული დეტალები.

წახნაგების თავზე დასმული „სამკუთხა-პირამიდული“ ფორმებით, რომელთაც დეკორატიული ელემენტის მნიშვნელობა ენიჭება. კოშკის თავისებურებას სართულებზე ასიმეტრიულად განაწილებული სხვადასხვა ზომის თაღოვანი სარკმლები შეადგენს. წახნაგოვან ნაწილზე 2 მაღალი ყრუ ფანჯარაა, მეორე სართულზე სამი სარკმელია, მესამეზე - მარტივი თაღოვანი თავსართითა და საჭექი ქვით შემკული ორი სარკმელი. კოშკურა მოცულობის ფანჯრების ზომების ცვლასა და ასიმეტრიულ, დიაგონალურ განთავსებას ერთგვარი დინამიკა შემოაქვს შენობის მკაცრ კლასიცისტურ დეკორში.

შენობის ფასადებს გარკვეულ დინამიკურობას ანიჭებს მსუბუქად შვერილი რიზალიტები. ზღვისკენ მიმართულ მთავარი ფასადს, პირველი სართულის დონეზე გააჩნია აივანი შუაში გაჭრილი კიბითა და ბალიასინებიანი მოაჯირით. შესასვლელი მოწყობილია რიზალიტის მარჯვენა კუთხეში, იქ სადაც სწორკუთა მოცულობას კოშკის წახნაგოვანი ნაწილი ერთვის. შესასვლელი აღნიშნულია ფრონტონით გადახურული წინფრით. კედლის ბრტყელი პილასტრები ფასადს სამ არათანაბარ ნაწილად ყოფს. ფასადის შელესილი კედლების დეკორს შეადგენს სწორკუთხა ფანჯრების რიტმი, სართულების გამყოფი მარტივი პროფილის განიერი სარტყელი, მეორე სართულის შვერილი კარნიზი, სარკმლის საყრდენი პროფილირებული ზოლები და ჰორიზონტალური თავსართები. ანალოგიური დეკორი ამკობს სხვა დანარჩენ ფასადებს. ნაგებობის ცოკოლის დონე რუსტირებულია.

გასული საუკუნის მიწურულს მიშენებული შენობის სამხრეთ-აღმოსავლეთი სათავსის ფასადიც ანალოგიურადაა შემკული, თუმცა პროფილებს შორის განსხვავება მაინც შეიმჩნევა (სარკმლის თავსართის პროფილი მარტივია, ფანჯრის ღიობების ჭრილები უფრო ვიწროა).

შენობის ინტერიერი მნიშვნელოვნად შეცვლილია მუზეუმის ფუნქციასთან ადაპტირების მიზნით. შიდა სივრცე გახსნილია, შენარჩუნებულია მხოლოდ ძირითადი მზიდი კედლები, უკანა ნაწილში განთავსებული დერეფანი. საექსპოზიციო სივრცე ჰორიზონტალურ ბლოკში ორი სართულის სიმაღლეზე გახსნილი კვადრატის ირგვლივ იყრის თავს. ყრუ ფანჯრები შეცვლილია ღიობების ზომის ნიშებით. კოშკურა ნაწილში ხვეული ქვის კიბის უჯრედია, რომელიც ფანჯრებიდან შემოსული შუქით ნათდება. პირველი და მეორე სართულის კიბის საფეხურები ხის სარჩულშია მოქცეული, მესამე – სხვენისაკენ მიმავალი საფეხურებს შენარჩუნებული აქვს პირვანდელი ქვის ფაქტურა. ექსპოზიციის აღქმა ხელოვნური განათების მეშვეობით ხდება, რაც მუზეუმის კონცეფციით არის განპირობებული.

ამდენად, ნობელის მუზეუმის შენობა წარმოადგენს ძველი ბათუმის განაშენიანების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს, რომელიც XIX-XX სს-ის მიჯნაზე უნდა იყოს აგებული. სადა კლასიცისტური ფასადები, განსხვავებული კოშკურიანი სილუეტი განსაზღვრავს შენობის თავისებურებას. იგი ხასიათდებოდა ინდივიდუალური გეგმარებით, კუთხოვანი და კოშკურა მოცულობების შერწყმით, აზრისის დინამიკური, ტეხილი სილუეტებით, ფასადების ასიმეტრიული გადაწყვეტით, სადა „რენესანსულ-კლასიცისტური“ დეკორის ელემენტების ზომიერი გამოყენებით, სხვადასხვა ზომის ღიობების ხშირი რიტმით, სივრცესთან კონტაქტით. შენობის ირგვლივ არსებული ბილიკი და მცირე სკვერი ნაგებობის ფასადებით სხვადასხვა მხრიდან აღქმას უწყობს ხელს. ნობელის მუზეუმის შენობა ამჟამინდელი, საბჭოთა პერიოდის უსახური ურბანული სივრცის გამორჩეული აქცენტია და ბათუმის ადრინდელი, ძველი, ისტორიული ყოფის დადასტურებას წარმოადგენს.

**გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა:**

**Москвич, 1914:** – Москвич Г.Г., Иллюстрированный практический путеводитель по Черноморскому побережью, СПб.



**Maia Chichileishvili**


## Architecture of the Nobel Brothers Batumi Technological Museum


**Summary**

In this building constructed in the beginning of the 20th century the Swedish entrepreneurs working in Batumi oil industry – brothers Ludwig, Emanuel and Alfred Nobels used to have their "Batumi office".

The building with asymmetric planning has combination of high tower and rectangular shapes. Three-tier tower divided by narrow arched windows grant the building spectacular and medieval outlook. Since 2007 the building locates a technological museum.



ნობელების დასახლება და ნავთობის რეზერვუარები ბათუმში (1909-1915 წწ)



ძმები ნობელების სახლ-მუზეუმი ბათუმში





ირინე ვარშალომიძე

# ილხანთა მონეტა სხალთიდან

XIII საუკუნის 60-იანი წლებისათვის ერთიანი მონღოლთა იმპერია დაიშალა. ჰულაგუ ხანმა (1256-1265) შექმნა მონღოლთა იმპერიის მეხუთე ულუსი, ე. წ. ილხანთა სახელმწიფო,რომელიც დიდმა ყაენმა 1261 წ. სცნო. ჰულაგუ ხანი და მისი მემკვიდრეები ატარებდნენ ,,ილხანის“ ტიტულს. ილხანთა სახელმწიფო მოიცავდა მთელს ირანსა და დღევანდელი ავღანეთის ტერიტორიას, აზერბაიჯანს, ერაყს ბაღდადითურთ,არანსა და შირვანს, ქურთისტანს, ჯეზირეს (მესოპოტამიის ზემო ნაწილი) რუმის დასავლეთ ნაწილს. ჰულაგუიდების ვასალებად ითვლებოდნენ: კონიის რუმის სელჯუკთა სასულთანო, საქართველო, ტრაპიზონის ბერძნული სამეფო, კილიკია და კვიპროსის სამეფო. საზღვრები დროდადრო იცვლებოდა. დაპყრობილი ქვეყნებიდან შეიქმნა მეფის სანაცვალოები. საქართველო, სომხეთი, არანი, შირვანი და აზერბაიჯანი შეადგენდა ერთ სამეფისნაცვლოს. XIII საუკუნის ბოლოს ილხანთა ირანი კრიზისმა მოიცვა.სახელმწიფოს სადავეები ყაზან ყაენის ხელში აღმოჩნდა (1295-1304). მან მიიღო მაჰმადიანობა და ქვეყანაში ისლამი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ამიერიდან იგი ყოველგვარ კავშირს წყვეტდა მონღოლთა ულუსთან. პოლიტიკას თან მოჰყვა თავისი ეკონომიკური ურთიერთობები.

ამ კუთხით უდავოდ საინტერესოა 1981 წელს, არქეოლოგიური გათხრების დროს, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ სხალთაში აღმოჩენილი ილხანთა ფული.



**სულეიმანი (1339-1343წ). ილხანთა სულთანი.**
**ორიანი დირჰემი. წ.1,41 გრ. ზ/18-17 მმ.**

**შუბლი:** ჩვეულებრივ არშიაში მოთავსებულია ფიგურული ელიფსი.შუაში,პირველ და მესამე ხაზზე არაბულად: **السلطان** / **خلد** **ملكه**,,სულთანი, განიგრძოს მეფობა მისი “მეორე ხაზზე უიღურულად ,,სულეიმანი“. ზემოთ ელიფსსა და ჩვეულებრივ არშიას შორის ზარაფხანის სახელი: **ضرب تففليس فى سنه** ქვემოთ: **ثلاث اربعين سعميه**

**ზურგი:** ჩვეულებრივ არშიაში ჩასმულ წრეში მოთავსებულია რწმენის სუნიტური ფორმულა لا اله الا الله محمد رسول الهه,, არა არს რმერთი გარდა ალაჰისა მუჰამადი მისი წინასწარმეტყველი“. გარშემო წრიულად 4 იმამის სახელი: ابوبكر عمر عثمان على,,აბუბაქრი, ომარი, ოსმანი, ალი“ ***[ლომოური, 2005: 108, №774]***

XIV საუკუნის პირველ ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში წამყვანი ადგილი უჭირავს ილხანების

სახელით გამოშვებულ ფულს, ამ მონეტების გავრცელების გეოგრაფიული არეალი შემოიფარგლება ძირითადად აღმოსავლეთი და სამხრეთი საქართველოთი. უფრო ფართოდ ეს მონეტები წარმოდგენილია სამხრეთ საქართველოში, სადაც სამონეტო (ფოკას, პატარა გომარეთის, ყარაჯალის, ქოდალოს) განძების თავმოყრა ბუნებრივია, რადგან იგი დაკავშირებულია ამ მხარეში გამავალ დიდ სავაჭრო მაგისტრალთან ***[ღვამბერიძე, 1986: 121].*** დასავლეთ საქართველოში ამ პერიოდში მიმოიქცევა ტრაპიზონის ასპრები, კირმანეული თეთრი ***[დუნდუა,დუნდუა, 2015: 144-145]*** და სელჩუკური მონეტები (ციხისძირში გასული საუკუნის ბოლოს შემთხვევით აღმოჩნდა 150 სელჩუკური მონეტისაგან შემდგარი განძი. გამოუქვეყნებელია) ილხანთა ფული დასავლეთ საქართველოში არაა ნაპოვნი. საინტერესო ფაქტია,რომ XIII საუკუნის ანონიმური ყაანური ცნობილია მხოლოდ სოფელ ფურტიოდან ***[ვარშალომიძე, 2012: 143-125]***

ამ კუთხეს მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა ჰქონდა. მასზე გადიოდა მოსაზღვრე ხეობებთან თუ სხვადასხვა (იმერხევის, შავშეთის, არტანუჯის, არტაანის, მესხეთ-ჯავახეთისა და სხვა) რეგიონებთან დამაკავშირებელი ძველი გზები. ასევე ხიხანის, სოფ. ზაკოს და ხეობის გავლით ზღვისპირეთისკენ მიემართებოდა უმოკლესი საქარავნო გზა არდაგანიდან და ახალციხიდან. ჩვენი აზრით, როგორც ფურტიოში, ასევე სხალთაში, მონეტების გამოვლენა უნდა უკავშირდებოდეს აქ გამავალ მნიშვნელოვან სავაჭრო საქარავნო გზებს.

## გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

**დუნდუა, 2015:** – დუნდუა თ., დუნდუა გ., ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი, III ნაწილი, თბილისი.

**ვარშალომიძე, 2012:** – ვარშალომიძე ი., XIII საუკუნის ანონიმური ყაანური სოფელ ფურტიოდან, – კრ.: აჭარა წარსული და თანამედროვეობა (2012 წლის არქეოლოგიური გათხრების შედეგები), ბათუმი.

**ლომოური, 2005:** – ლომოური თ., ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში, თბილისი.

**ღვამბერიძე, 1986:** – ღვამბერიძე ც., საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელეირთა სახელმწიფოსთან, თბილისი.

**Irine Varshalomidze**

## Ilkhante's Coin from the Skhlata

Summary

In 1981 during the Archaeological Expedition in Skhlata there were found Ilkhante's coins. They were minted after the name of Suleiman I. Ilkhanet's coins were circulated widely in East and South Georgia. In West Georgia they were found only in Skhalta.

**Giorgi Tavamaishvili**

# ON THE STUDY OF THE BURIAL RITUALS
## (According to the Material of Pichvnari Cemetery)

Pichvnari is located on the Black Sea coastline of Georgia, at the juncture of the rivers Choloki and Ochkhamuri, to the north of the resort town of Kobuleti. Here, on the area of up to 100 ha perfectly preserved cultural layers of the late bronze, early iron, pre classical, classical and Hellenistic periods are presented. Cemeteries of the Greek settlers of the 5th and 4th centuries BC, the local population of the 5th century BC and Hellenistic period of the 4th and 2nd centuries BC have been brought to light. The joint expedition has excavated cemeteries of the early medieval period during the last years.

Archaeological materials prove that the territory of Pichvnari was inhabited from the mid of the second millennium BC. Native residents who were occupied mainly with agriculture, cattle-breeding and fishery, successfully developed other sectors of economy as well (beekeeping, textile, metallurgy, handicraft industry), preparing the basis for the settlement which was actively involved in trade relations with other regions in accordance with its economic development.

Ancient Pichvnarians had their own system of religious beliefs as well. We can judge about it according to the excavated cemetery of the cult monument/site of the late Bronze Age excavated at the Hellenistic cemetery, the area of which was filled with clay horn-like stands, figures of phallus and fragments of decorated local ceramics ***[Inaishvili, 1977: 60-66].*** Cult monuments have been brought to light along the coastline as well where altars made from clay horn-like stands have been revealed ***[Ramishvili, 1964].***

Unfortunately the cemetery of the local population of the late Bronze, early Iron and pre classical periods have not been found so far; this, we assume, is the result of the small scale excavations conducted on the

territory of the settlement site. We could get a certain idea about the burial rituals of the given period based on the example of cemeteries at boundary areas of Pichvnari. Materials of the cemeteries of Ureki and Nigvziani clarify that in the eighth and 6th centuries BC the ritual of secondary burying – cremation of bones of the dead followed by burying ashes in special pits was widespread along the coastline (Ureki) and the territory 10 km far from the sea (Nigvziani). Researchers ***[Mikeladze, 1985: 17]*** think that the process of cremation was preceded by the ritual which probably complied with the description of the original Colchian ritual by Apollonius Rhodes, according to which they wrapped the dead in leather bags and hung them on trees ***[Apollonius Rhodius, 1975: 122].***

If we agree with the idea of existence of the unique ethno cultural system in the pre classical Colchis ***[Lordkipanidze, Mikeladze, 1981],*** it can be assumed that for the certain period of time the population of Pichvnari used to have the similar burial ritual. We cannot claim it categorically as the excavations of other cemeteries do not exclude the possibility of existence of the different burial rituals at the same time as well as at neighboring areas. As for the collective cremation ritual, this method of burying had not been widespread after the 6th century BC in the coastal zone that is linked to the new political realia in Colchis, particularly the Greek influence on the burial rituals ***[Braund, 1994: 116].***

The most important period in the history of Pichvnari is linked to the Great Greek Colonization. The material evidence about the relationship between the Colchians and the Hellenic world before the colonization has not been fount yet. The first real evidences of active contacts between the Colchians and the Hellenic world appear from the 7th century BC. That is connected with the colonization movements of the Ionians. According to the materials of the Batumi Castle the contacts of that period were not peaceful and accordingly ended with limited scale ***[Kakhidze, 1982: 64].*** Foundation of the settlement directly in Pichvnari (assumingly in 70s in $5^{th}$ century BC) is related to the Attic era of the Greek colonization ***[Kakhidze, 1982: 64].***

Due to the data scarcity it tends to be difficult to us to produce an accurate picture of the first contacts between the Greek-settlers and the local population. Archaeological finds indicate that by the time Greeks appeared the settlements had already begun with multiple agricultural activities and the original culture at Pichvnari. Cultural layers of the Classical period of the site of the settlement at Pichvnari do not provide the evidence of military confrontation between the settlers and the aborigines. From our point of view the concrete aim and certain readiness of the local population, especially of its leading part, to extend trade relations with the outside world predetermined the idea and the character of the relations with the settlers as well as with the potential mediators of trade relations with the Hellenic world. According to Dr A. Kakhidze just pragmatic aim and acceptable conditions for both sides appeared to be determinants for the local elite to make decision about ceding some territory to the settlers for residence and agricultural activities ***[Studies.., 2007: 290-291].*** Obviously these were acceptable natural conditions and favorable working environment that determined the wish of newcomers as well to establish solid settlement at these areas. Consequently, side by side with cemeteries of the native residents the first cemeteries of the Greek settlers appear in about the second quarter of the 5th century BC.

According to the topography of the Pichvnari settlement of the pre classical and the ancient periods it is clear that houses, industrial fields and land plots are located far from the sea in more arid area. Here, even for the end of the second millennium BC the local population had selected the place for religious ceremonies. It is notable that the locals used to prefer a small hill on the same line as the bank of the river Choloki for the cemetery in the Classical period.

The Greek cemetery is located near the river Choloki while the western part of the cemetery borders with the coastline. We assume that the coastline used to be closer to the western part of the cemetery for that particular period that is confirmed by the topography of temporary stands of the 8th and 6th centuries BC, that were excavated on the coastal sandy dunes. If the motivation of the dispersion of stands at the coastline can be

explained by the functional character of the given stands (salt production or flotation of magnetite sands), it is much more difficult to clarify the appropriateness of the area for the cemetery. Some sites with clear traces of bogging can be found at the Greek necropolis of the 5th century BC. These are the sites where no cemeteries occur, what makes it clear that the settlers used to avoid this place. It tends to be difficult to define the basis of choosing this territory for a cemetery: unavailability of free areas, lack of knowledge about the area or some other reasons. It could be that for the moment they were focusing on the closeness of sea-water that was considered to be the element of catharsis in Greek burial ritual ***[Kurtz, Boardman, 1971: 151].*** On the other hand, if we concentrate only on the appropriateness of the place for a cemetery the idea of social and not ethnical distinction of cemeteries would seem less reliable, so it turns out that less prosperous residents were buried in a less acceptable place and the representatives of the average class and the poor used to be buried in dry spots and on elevated hills.

We assume that certain motivation played some role while choosing the place for the cemetery at the river bank as well. It is possible that for that particular period a river appeared to be of specific guidance for people, as it (River) used to have symbolic function of the watershed with the next life in traditions of the nations of earlier period. Location of cemeteries at the river banks is peculiar not only to the settlements of the continental Greece but the whole Black Sea area as well. According to Apollonius Rhodius Kolchis used to hang the dead on the trees at the river banks ***[Apollonius Rhodius, 1975: 122].*** According to the material of Pichvnari cemeteries Pichvnarians believed as well that the main way to the next world passes via the river that is proved by the finding of "Charon's obol" coins at Greek as well as the Colchian cemeteries. The fact that a river flowed at this area for the given period is indirectly proved by the availability of the remains of the Dune settlements here, that usually can be found only at the confluence of a river and a sea ***[Tavamaishvili, 1999].***

Greek and Colchian cemeteries of the 5th century BC are located almost side by side at 120 m distance. The area has not been thoroughly studied yet. The Greek cemetery of the 4th century BC stretches to the south. The Colchian cemeteries of the 4th centuries BC have not been found yet. Graves of the Hellenistic period have been discovered in the southern part of the cemetery. Up to now there has been excavated as follows: 430 burials − at the Greek cemetery of the 5th century BC; 380 − at the Colchian cemeteries of the 5th century BC; 93 − at the Greek cemetery of the 4th century BC, and 235 − at the Hellenistic cemetery of the 4th and the 2nd centuries BC.

Graves at Pichvnari necropolis are dug in sandy soil. On the one hand, it seems to make the process easier, but at the same time requires relevant caution and special care from experts. It should be noted as well that organic remains (skeleton, tree, cloth) cannot actually be preserved just because of the sandy soil and native climate.

Greek and Colchian cemeteries and the necropolis of the Hellenistic period mainly represent inhumation burials arranged in soil pits of rectangular (rarely semicircular) form. Dimensions of burial pits (length, width, depth) do not provide the basis for identification of intentional norms and restrictions. Size of each burial obviously was conditioned by specific factors as well as the position of the deceased.

Absolute majority of the inhumation burials are individual. Only in two cases we observed different situation: in one burial, evidently there was a man with a wife, one more deceased was buried, in the other − probably mother with a kid at her feet.

The corpses were placed in wooden coffins at Greek as well as at Colchian cemeteries. In some cases burials used to have only a wooden roof but in majority cases the deceased (especially the poor) were slightly covered and directly buried in the soil pits. We can speak about wooden coffins and roofs only based on the findings of iron (or rarely bronze) nails, position of which gives the opportunity to define exact sizes of the buried bodies. Iron corrosion nails of quite a big size provide with the basis to assume that coffins and roofs were made from thick beams or logs

of medium diameter. Nails are arranged in vertical (with sharp point to the top or bottom, that complies with the level of the bottom and roof) and horizontal (with sharp point to the direction of the burial pit, that complies with the width of the coffin) positions. While burying in the coffins iron nails are arranged on the top of the burial as well as on the bottom, i.e. at the level of the grave goods. In case of wooden roof the nails are positioned only on the top of the burial. Often three rows of the nails are left at the cemetery from the wooden roofs: at the top, in the middle and at the bottom, and sometimes only at the top and at the bottom ***[Kakhidze, 1981: 16].*** If we take into account the fact that iron including nails, could not be affordable for all inhabitants, it can be assumed that the number of burials with wooden roofs could be even more, as in case of necessity the beams and logs could be fastened simply with a rope.

Unlike the Colchian cemetery several cremation burials have been excavated at the Greek necropolis. In two instances cremation was performed at special sites, following which the vessel (Krater) with ashes used to be placed in a specially dug pit. In another instance the vessel (hydria) with ashes was placed in the pit dug at the same cremation site. There were instances of cremation directly in burial pits.

Cremation ritual used to be widespread in the Hellenistic period as well. 5 cremation burials have been excavated at the necropolis of the period ***[Vashakidze, 1983].***

Small number of amphora burials has been brought to light at the Greek necropolis of the Classical period. At Colchian necropolis it has been the single case so far. Amphorae used as burials have been excavated at the Hellenistic necropolis as well (Burial 156,157). Evidently amphorae were used for burying children. At first they used to make some holes of proper size on amphorae and after placing the dead in it the holes were covered with a fragment of the same amphora or other vessels.

The burial with a tile roof has been discovered at the Hellenistic cemetery ***[Kakhidze, 1983].*** At the same section apparently in the burial of mother, a child was buried, the body of whom was covered with two tiles while burying ***[Kakhidze, Vickers, Tavamaishvili, 2007: 49].***

The above-mentioned specific character of the soil results certain difficulties in clarifying the position of the buried bodies. We can judge about it based on the parameters of the burials or coffins, and position of jewelries (ear-rings, rings and bracelets) and the goods that have been found on the hands of the buried.

At the Greek necropolis the dead used to be placed on their backs in an extended posture in the burials, in major cases with the head to the east that complies with the Greek burial ritual. For the cemeteries of the 5th century BC eastern orientation with the deviation to the north, east and west was typical. From the mid of the 5th century BC the number of these deviations is small, and burials of the forth century BC are definitely oriented to the east.

At the Colchian cemetery the dead are buried in flexed position (on the right or left side) in major cases. Mainly graves are oriented to the north, but there are some graves with western, eastern and southeast orientations. The eastern orientation of the graves predominates at the cemetery of the Hellenistic period.

Grave goods are recorded mainly inside the coffin at the Colchian as well as at the Greek necropolis. Amphorae in the graves (predominantly at the Greek necropolis) emerge from the mid 5th century BC. More often they used to place one amphora in the grave (55 burials), but two amphorae can be found as well (4 burials), and 4 amphorae have been recorded at the burial №1. Lekythoi are prevailing among the Greek grave goods. One, two or three lekythoi are recorded in every third grave. The majority of ceramic vessels are found near the head, but some can be found at the hands and the both sides of the hands and the legs as well. To the right or the left side of the head they used to lay jugs, pots, rarely other vessels and bronze mirrors as well. Vessels discovered in the middle of the grave are mainly of a small size (alabastron, amphoriscos, oinochoe) and evidently they used to be positioned in the hands of the dead. Terracotta figures as usual were placed in the area of the shoulders. Jewels are recorded near the head and neck (ear-rings, hair-pins, beads) and at the hands (bracelets, finger-rings). Near the hands we find also pincers,

situlas, and shearers and at the feet some pots, jugs, drinking bowls, kylix and others.

It is difficult to judge about burial clothes based only on archaeological facts (single findings of fibulae). Obviously, in major cases, the dead were buried wrapped in simple grave-clothes.

It is proved that from the mid 5th century BC the placement of a coin − the so-called “Charon’s obol” − in the mouth or the hand of the deceased was a custom at the Greek and Colchian cemeteries. It tends to be rather an interesting event for Pichvnarians if we take into account that traces of this habit are found from the second quarter of the 5th century BC at the cemetery of the continental Greece ***[Stevens, 1991: 215],*** and from the 4th century BC at the cemetery of the northern Black Sea area. According to the researchers this fact clearly indicates that the native residents used to have close relations with the population of the metropolis ***[Studies.., 2007: 290-141].*** Coins mainly are found at the head of the dead, but near the hands as well. The majority of the coins are local so called “Colchi”, but sufficient number of coins from different cities of the northern Black Sea littoral is found as well. Number of coins is not always the same: sometimes they used to place one coin, other times two, three, etc. 28 coins have been discovered at the grave №230 of the Hellenistic period. We consider that the availability of more than one symbolic “Obol” is not so much the payment for the service of Charon, but a demonstration of wealth and generosity of the relatives of the dead ***[Grinder-Hansen, 1991: 215].***

The component part of the burial ritual at the Greek necropolis is the ceremony of funeral feast, traces of which have been preserved nearby/over the grave in the form of the black grounds with calcified bones and fragments of ceramics (we call it ritual platforms). At the area excavated in the 2nd quarter of the 5th century BC we come across collective grounds for funeral feast along with the individual ones, that can be explained by the simultaneous death (disease, accident) of several people (members of one family), or these areas can be considered to be the unique ritual places for poor families. Number of such areas had been

increasing from the mid of the 5th century BC. A clear picture of social differentiation of the population is depicted for the period: If the relatives of some deceased could arrange luxuriant funeral feasts with splendid black – gloss bowls, drinking bowls and others (for example the area of squares for the funeral feast of the burials №20 and №395 is 18-20m$^2$), other's relatives were content with modest meal and 3-4 vessels for the ritual while the rest − afraid not to break the tradition of funeral feast − could only afford to bring almost useless ceramic goods to the grave.

According to the calcined remains of the bones the relatives of the deceased used to sacrifice hoofed animals, birds and fish at the burial and the following funeral days. Wine for the meal used to be served in amphorae and for drinking they used kylixes, skyphoi, bolsals or stemware. The compulsory part of the sacrifice ritual was to pour the blood of the animals and birds into the grave (the ground) as a gift to the chthonic gods; for this purpose the amphorae without bottoms were used in Pinchvnari cemetery, and stone eschara was found on the grave No.15. After the funeral feasts the used vessels, occasionally with the tribute statements ***[Dzneladze, 2007: 42]*** were broken and thrown into the fire.

At the Colchain necropolis of the 5th century BC areas for funeral feast have not been discovered so far. Probably this rite was not typical for the native residents for this period of time. Funeral feast rite used to be performed at the Greek necropolis of the 4th century BC, and from the Hellenistic period this rite had become obligatory for the local population.

The fact that for Pichvnarian cemeteries it is not typical to cross or destruct one grave by another, gives the basis to assume that they used to make hills of a certain height at the graves. There were only two cases when traces of the gravestone in form of masonry fragments were recorded. But mainly there were wooden stele and simple columns that might serve as signs of graves at the Pichvnari cemetery.

Materials of the Greek cemetery provide with the evidence that the first settlers used to be representatives of the poor groups. They could not afford to provide their dead with valuable things and had no chance to boast of luxuriant feasts. From the mid of the 5th century BC in line with

the trade-intervention activities the social-welfare of certain groups increased, but the most part of the population was still poor. If on the one hand excavations at the burials reveal high artistic ceramic goods, decorations from expensive metal and some other things of luxury, on the other hand the number of graves where no goods occur is increasing.

As for the Colchian cemetery of the 5th century BC burials of the wealthy population have not been discovered so far. It may well be so that they used to be buried in other areas. The big part of the cemetery is occupied by graves of ordinary people who more often were placed in graves with wooden roofs than in wooden coffins. Their grave goods used to consist of two-three things. Considerable part of the cemetery is occupied by graves of the poor class. In major cases their graves are without any goods. Certain part of the cemetery belongs to the settlers of ordinary groups. They have been buried in wooden coffins with burial goods like beautiful local ceramic works as well as amphorae of different centers, examples of decorated ceramics, gold, silver and bronze decorations and other luxury goods.

From the 5th and 4th centuries BC economic conditions of the Pichvnarians had worsened. Grave goods of the 4th century BC tend to be poorer. More often amphorae from different industrial centers are found at the burials and rarely ornamented ceramics, golden ornaments and toreutics practically disappear. Burials are provided mainly not with expensive goods but of everyday usage ones. Number of burials without goods is increasing.

Traditions of the earlier periods were carried in the burial rituals of the Hellenistic period. Lekythos are not recorded in the burial goods any more. Neither the amphorae are placed in graves. They are only used during the funeral feasts and are broken afterwards at the ritual platforms. Forms of the Colchian ceramics are rarely met already in the graves. Number of Hellenistic forms is increasing. Professional attribution of the dead can be read at the burials as well. A soldier is supplied with a sword, an axe, dagger whereas a fisherman - with fishing net for the next world.

Analysis of the archaeological material of the Pichvnarian cemeteries and the settlement site in the whole prove that this settlement appeared to be the only trade-handicraft center in the southeastern Black Sea littoral. From the 2nd century BC life in Pichvnari stops for a certain period. That is believed to be the result of the Lazes transgression, when the seaside accumulative plain got swamped and this territory became unusable for agriculture and other fields of economy and handicraft production as well ***[Khakhutaishvili, 1990: 8-15].*** For this period of time the war between Pontus and Rome also affect on economical life of Colchis.

Pichvnari, as the most interesting monument in the Black Sea littoral, has been studied for several decades already. It is natural that there are certain disagreements around a number of issues. The results of the field works of the Pichvnari archaeological expedition are published in the series "Pichvnari". We hope that the new materials yielded during future excavations of the territory will be the basis for more well-reasoned conclusions.

## Bibliography:


**Apollonius Rhodius, 1975:** − Apollonius Rhodius, *Argonavtika* (Translated by A. Urushadze), Tbilisi.

**Braund, 1994:** − Braund D., *Georgia in Antiquity. A history of Colchis and Transcaucasian Iberia 550BC-AD562,* Clarendon Press. Oxford.

**Dzneladze, 2007:** − Dzneladze N., Graffito Dedications from Pichvnari Area. *Activities of the Batumi Archaeological Museum*, IV, Batumi.

**Grinder-Hansen, 1991:** − Grinder-Hansen K., Charon's fee in ancient Greece? – Some remarks on a well-known death rite. *Acta Hyperborean. Danish studies in classical archaeology, 3*.

**Homer, 1971**: − Homer, *Iliada* (Translated by T. Kaukhchishvili), Tbilisi.

**Inaishvili, 1977:** − Inaishvili A., The results of the archaeological expedition of South-Western Georgia in 1973. *Remains of South-Western Georgia,* VI, Tbilisi.

**Kakhidze, 1982:** − Kakhidze A., The Ionian and Attic stage of the Greek colonization of the Eastern Black Sea littoral. *Remains of South-Western Georgia,* XI, Tbilisi.

**Kakhidze, 1983:** − Kakhidze A., The burial with tile roof from Pichvnari. *Remains of South-Western Georgia*, XII, Tbilisi.

**Kakhidze, 1981:** − Kakhidze A., *The Eastern Black Sea Littoral in the Classical Period*. Batumi

.**Kakhidze, Vickers, 2004:** − Kakhidze A., Vickers M., *Pichvnari I: Pichvnari 1998-2004. Greeks and Colchians on the east coast of the Black Sea*. Batumi, Oxford.

**Kakhidze, 2007:** − Kakhidze A., *Pichvnari II. The classical world in the Eastern Black Sea area. The fifth century BC Greek necropolis at Pichvnari*. Batumi, Oxford.

**Kakhidze, Vickers, Tavamaishvili, 2007:** − Kakhidze A., Vickers M., Tavamaishvili G., Fieldwork Conducted at the Pichvnari Hellenistic Period Cemetery in 2003-2004. *Activities of the Batumi Archaeological Museum,* IV, Batumi.

**Khakhutaishvili, 1990:** − Khakhutaishvili D., *Kobuleti Country,* Batumi.

**Kurtz, Boardman, 1971:** − Kurtz D. C., Boardman J., *Greek burial customs*, Ithaka, New York.

**Lordkipanidze, Mikeladze, 1981:** − Лордкипанидзе О., Микеладзе Т., О демографической ситуации в Восточном Причерноморье (Колхида в период Великой Греческой Колонизации). *Материалы II всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья Цкалтубо,* Tbilisi.

**Mikeladze, 1985:** − Mikeladze T., *Colkhian Early Iron-age Cemeteries: Ureki and Nigvziani cemeteries,* Tbilisi.

**Ramishvili, 1964:** − Ramishvili A., The ancient stations on the coastal of Pichvnari dunes. (The results of the archaeological expedition in 1961). *Remains of South-Western Georgia*, XI, Tbilisi.

**Stevens, 1991:** − Stevens S., Charons's obol and other coins in ancient funerary practice. *Phoenix, vol. XLV.*

**Studies.., 2007:** − Studies of the history of South-Western Georgia, Adjara, Batumi.

**Tavamaishvili, 1999:** − Tavamaishvili G., *Ancient settlement sites on new terraces of the Black Sea littoral of South-Western Georgia* (Candidate's thesis), Tbilisi.

**Vashakidze, 1983:** − Vashakidze N., Results of studies carried out on the Pichvnari Hellenistic Period cemetery in 1980. *Remains of South-Western Georgia*, XII, Tbilisi.

გიორგი თავამაიშვილი

## დაკრძალვის რიტუალის შესწავლისათვის (ფიჭვნარის სამაროვნების მიხედვით)

### რეზიუმე

არქეოლოგიური გამოკვლევებით დასტურდება, რომ ფიჭვნარის ტერიტორია ათვისებულია ჯერ კიდევ ძვ.წ. II ათასწლეულის შუა პერიოდიდან. სამწუხაროდ, გვიანბრინჯაო-ადრერკინის და წინა-ანტიკური ხანის ადგილობრივი მოსახლეობის სამაროვნები ჯერჯე-რობით მიკვლეული არ არის. გარკვეული წარმოდგენა ამ ეპოქეზში გავრცელებულ დაკრძალვის წესზე მომიჯნავე ტერიტორიებზე (ურეკი, ნიგვზიანი) შესწავლილი სამაროვნების მიხედვით შეგვიძ-ლია შევიქმნათ, საიდანაც ირკვევა, რომ ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში, როგორც ზღვისპირა ზოლში, ასევე ზღვიდან ათეული კილომეტრით დაშორებულ ტერიტორიაზე, მეორადი დაკრძალვის წესი იყო გავრცელებული.

უმნიშვნელოვანესი ეტაპი ფიჭვნარის ცხოვრებაში დიდ ბერძ-ნულ კოლონიზაციას უკავშირდება. აქაური გარემო მისაღები დარჩა მოახალშენეებისთვის და მათ აქ საფუძვლიანი დამკვიდრება გადაწყ-ვიტეს, რაც იმაშიც გამოიხატა, რომ გარდაცვლილთა დაკრძალვა აქვე

დაიწყეს. ძვ. წ. V საუკუნის II ნახევრიდან, ფიჭვნარში, კოლხური სამაროვნის გვერდით, ჩნდება ბერძნული ნეკროპოლიც.

ბერძნულ და კოლხურ სამაროვანზე ძირითადად წარმოდგენილია ინჰუმაციური სამარხები, რომლებიც ქვიშნარ გრუნტში ჩაჭრილ მართკუთხა ფორმის ორმოებშია გამართული. სამარხთა აბსოლუტური უმრავლესობა ინდივიდუალურია. სამარხეული ორმოების ზომები (სიგრძე, სიგანე, სიღრმე) წინასწარ დადგენილ ნორმებზე მსჯელობის საფუძველს არ იძლევა. როგორც კოლხები, ისე ბერძნები მიცვალებულებს კრძალავდნენ ხის კუბოებში, ან კიდევ სამარხს გადახურავდნენ ხოლმე ხის სახურავით. ხშირად გარდაცვლილებს (მეტწილად ღარიბებს) უბრალოდ ასვენებდნენ ორმოებში.

ბერძნული სამაროვანის გათხრების ანალიზი ცხადყოფს, რომ პირველი მოახალშენეები ნაკლებად შეძლებული ფენის წარმომადგენლები იყვნენ. ისინი მიცვალებულებს ვერც ძვირფას ნივთებს აყოლებდნენ და ვერც მდიდრული აღაპით გამოირჩეოდნენ. ძვ. წ. V საუკუნის შუა პერიოდიდან სავაჭრო-საშუამავლო საქმიანობის გაფართოებისა და ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის გაღრმავების კვალობაზე, გარკვეული ნაწილის მატერიალური მდგომარეობა იზრდება, თუმცა დიდი ნაწილი მაინც ღარიბებად რჩებიან. ძვ. წ. V საუკუნის ბოლოსა და ძვ. წ. IV საუკუნის მანძილზე ფიჭვნარელთა მატერიალური მდგომარეობა კლებულობს (ან, შესაძლოა, რომ ყოფითი პრაგმატიზმი სჭარბობს), რადგან ისინი თავიანთ მიცვალებულება იმქვეყნიურ გზაზე ძირითადად მასობრივი მოხმარების საგნებს ატანენ.

ელინისტურ ხანაში დაკრძალვის რიტუალში არსებითი ცვლილებები არ შეინიშნება. სამარხების აბსოლუტური უმრავლესობა ინჰუმაციურია. ამფორებს სამარხებში აღარ ატანენ, ისინი ძირითადად აღაპის დროს გამოიყენება. სამარხებში სჭარბობს ადგილობრივი ნაწარმი, თუმცა საკმარისადაა წარმოდგენილი ანტიკური სამყაროს სხვადასხვა ცენტრების კერამიკა. ამ პერიოდის სამარხეულ

ინვენტარში იკითხება პროფესიული ატრიბუტიკა. დაკრძალულ მეომრებს საფლავში ატანენ შუბისპირებს, აკინაკებს, დანებს, ნაჯახებს, ცულებს, მეთევზეებს კი სათევზაო ბადეებს და ბადის საძირავებს.

როგორც ბერძნულ, ასევე კოლხურ სამარხებში, ძვ. წ. V საუკუნის შუა წლებიდან ელინისტური ეპოქის ჩათვლით, დასტურდება ე.წ „ქარონის ობოლის“ ჩაყოლების წესი. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ თვით მატერიკული საბერძნეთის სამაროვნებზე ეს წესი მხოლოდ ძვ. წ. V საუკუნის მეორე მეოთხედიდან, ხოლო ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის სამაროვნებზე ძვ. წ. IV საუკუნიდან ჩნდება, ეს ფაქტი აქაური დასახლების მეტროპოლიასთან მჭიდრო ურთიერთობის მანიშნებელი უნდა იყოს.

არქეოლოგიური მასალით ჭირს მიცვალებულთა ჩაცმულობის შესახებ მსჯელობა. როგორც ჩანს, მიცვალებულები ძირითადად, მცირე გამონაკლისის გარდა, სუდარაში შეხვეული იკრძალებოდნენ.

ის ფაქტი, რომ ფიჭვნარის სამაროვანზე ფაქტობრივად არ არის შემთხვევა ერთი სამარხის მიერ მეორეს ჩაჭრა-დაზიანებისა, გვაფიქრებინებს, რომ სამარხებზე გარკვეული სიმაღლის მიწაყრილები, ან ხის ბოძების სანიშნეები კეთდებოდა.

ფიჭვნარი, როგორც შავიზღვისპირეთის გამორჩეული ძეგლი, უკვე რამდენიმე ათეული წელია ინტენსიური კვლევის ობიექტს წარმოადგენს (ექსპედიციის უცვლელი ხელმძღვანელი პროფ. ამირან კახიძე). მოპოვებული მასალის ანალიზი წარმოდგენილია როგორც ექსპედიციის მიმდინარე ანგარიშებში, ასევე განმაზოგადებელ მონოგრაფიებში (სერია „ფიჭვნარი“).

**სულხან მამულაძე**

# გონიო-აფსაროსის ნაქალაქარის წყალმომარაგების სისტემები და სანიტარიულ-ჰიგიენური ობიექტები

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული ეპოქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი წარმოდგენილია გონიო-აფსაროსის სახით, რომელმაც ანტიკური პერიოდისთვის დამახასიათებელი თითქმის ყველა დეტალი შემოგვინახა. მისი შესწავლა დიდი ხანია დაიწყო და დღესაც გრძელდება, თუმცა კასტელუმის ზუსტი დაგეგმარებისა და სტრუქტურის შესახებ საუბარი მაინც რთულია, ვინაიდან, მიუხედავად დღემდე წარმოებული სისტემატიური კვლევა-ძიებისა, აღნიშნულ ციხე-სიმაგრესთან მიმართებაში ჯერ კიდევ ბევრი კითხვა რჩება პასუხგაუცემელი.

მეტად საინტერესოა ანტიკური ეპოქის რომაულ ციხე-სიმაგრეთა დაგეგმარება და სტრუქტურა, რაც ცალსახად მეტყველებს რომაული სამშენებლო ხელოვნების განვითარების მაღალ დონეზე. რომაელები ციხე-სიმაგრის აშენებამდე საგულდაგულოდ არჩევდნენ მიზნობრივ ლოკაციას, რომელიც არა მხოლოდ სტრატეგიული მნიშვნელობის იქნებოდა, არამედ აქ უნდა ყოფილიყო საჯარისო ნაწილების მუდმივად არსებობისათვის საჭირო პირობები. რომელთაგან უმთავრესი წყალმომარაგება გახლდათ, ვინაიდან ის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო ნებისმიერი ციხე-სიმაგრის ფუნქციონირებისათვის.

რომაული წყალმომარაგების სისტემები ანტიკური სამყაროს ერთ-ერთი საოცარი ქმნილებათაგანია. ამაზე მეტყველებს როგორც წერილობითი წყაროები, ასევე არქეოლოგიური აღმოჩენე-

ბი. რომაელი მწერლები ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდნენ მათი ქვეყნის უპირატეს როლს, როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ საქმიანობაში. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ცნობები შემოგვინახა სიქსტუს იულიუს ფრონტინუსმა (ახ.წ. 40 - 103), რომელიც ახ.წ I საუკუნეში ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი სენატორი და სახელმწიფო მოღვაწე იყო რომში. სიქსტუსი ავტორია რამდენიმე ტექნიკური ტრაქტატისა, რომლებშიც განსაკუთრებით საინტერესო ცნობებია დაცული რომაულ აკვედუკებსა და წყალმომარაგების სისტემებზე (“De aquaeductu urbis Romae“ ) .

რაც შეეხება კონკრეტულად გონიო-აფსაროსის ძეგლთან მიმართებაში, აქ არსებული წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემები სრულიად განსხვავებულია და საერთაშორისო სტანდარტების დონეზეა გამართული. როგორც ცნობილია, გონიო-აფსაროსში დაბანაკებული გარნიზონი სასმელ წყლად იყენებდა ციხის სამხრეთით გამომდინარე მსხვილი დებეტის მქონე წყაროს. მათ პირველ რიგში აუგიათ დიდი ზომის აუზი, რომლის საფასადო ნაწილი გათლილი ქვებითაა მოპირკეთებული, ხოლო შიდა სივრცე დუღაბითაა შელესილი. სათავე ნაგებობიდან გაუყვანიათ მსხვილი მილების სამი რიგი, რომელიც შედიოდა ციხის სამხრეთი კარიბჭის ტერიტორიაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ძვ.წ. I - ახ.წ. I საუკუნეების წყალგაყვანილობის სისტემა მოქმედებდა გონიოს ციხის კედლების აშენებამდე. ამ ადრეული პერიოდისთვისაც შესაძლებელი ხდება ორი ქვეპერიოდის გამოყოფა. პირველი უძველესი ხაზი შედარებით წვრილი მილებით ყოფილა მოყვანილი. შემდგომ, როგორც ჩანს, დებეტი აღარ აღმოჩნდა საკმარისი, ამიტომაც მორიგი ხაზი უფრო მსხვილი მილებით შეუცვლიათ. ამ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას ისიც იძლევა, რომ ახალი ხაზის გაყვანისას გაუქმებული წყალგაყვანილობის მილების ერთი ნაწილი გამაგრების

მიზნით ზოგან ახალი სისტემის გვერდებზე მიუწყვიათ, ზოგან კი გაწყვეტილი ძველი სისტემა ადგილზევეა შემორჩენილი. თუმცა არც ეს წყალგაყვანილობა აღმოჩენილა საკმარისი და სადღაც ახ.წ. I საუკუნის ბოლოსა და II საუკუნის დამდეგისათვის ციხის მშენებლობასთან ერთად ამოქმედებულა წყალგაყვანილობის უფრო მძლავრი სისტემის სამი რიგი, რომელიც კარიბჭის ზღურბლის ქვემოდან შემოდის ქალაქის ტერიტორიაზე. ეს ერთ-ერთი საუკეთესო კრიტერიუმია ციხის აშენების განსაზღვრისათვის. წყალგაყვანილობის სამი რიგი მიემართება ჩრდილოეთის მიმართულებით.

ერთ-ერთი საინტერესო დეტალია ისიც, რომ ზემოთ აღნიშნულ მილებს წინასწარ განსაზღვრულ ადგილებში საკონტროლო ხვრელები ჰქონდათ, რომლებიც მათ გასაწმენდად იყო საჭირო, ასევე, რიგ შემთხვევებში, რაიმე ტიპის დაზიანების დროს, სწორედ ამ ხვრელების მეშვეობით ხდებოდა პრობლემური ადგილების განსაზღვრა და მათი რეაბილიტირება.

სამხრეთი კარიბჭე და აბანოთუბანი აფსაროსის ნაქალაქარის ერთ-ერთი მეტად საყურადღებო მონაკვეთია. შემორჩენილი კულტურული ფენების მიხედვით შესაძლებელი ხდება თვალი გავადევნოთ მდინარე ჭოროხის ქვემო წელის მოსახლეობის თითქმის სამიათასწლოვან ისტორიას. გამოვლენილია სხვადასხვა ეპოქის საზოგადოებრივი დანიშნულების, საფორტიფიკაციო და საცხოვრებელი ნაგებობების ნაშთები, შესანიშნავადაა გადარჩენილი წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემები, ქვაფენილები და ა.შ. მოპოვებულია მდიდარი ნივთიერი მასალა.

ჯერ კიდევ 1995 წლიდან მიმდინარეობდა საველე არქეოლოგიური სამუშაოები სამხრეთი კარიბჭის მიმდებარე ტერიტორიაზე – SW II, III, V და VI სექტორებში, რომლის დროსაც მნიშვნელოვანი აღმოჩენები გაკეთდა, ნაწილობრივ გაიწმინდა წყალ-

გაყვანილობის სისტემები. 0,85 მ სიღრმეზე თანამედროვე ზედაპირიდან გამოჩნდა საკმაოდ მასიური მსხვილი მილებისაგან გაკეთებული რომაული ხანის წყალგაყვანილობის ორი რიგი, რომელიც ზედ კარიბჭის ზღურბლთან წყდება.

შუასაუკუნეებში გაუკეთებიათ კარიბჭის რეკონსტრუქცია, რომაულ ხანაში მას ოთხკუთხა მოყვანილობა ჰქონია. სიმაღლე – 4,1 მ, სიგანე – 3,8 მ. გადაკეთებისას, პირველ რიგში, შეუვიწროებიათ კარები და მიუციათ მისთვის თაღისებრი მოყვანილობა; მოუპირკეთებიათ კარგად დამუშავებული ქვებით. რომაული კარების ზღურბლი დაუდაბლებიათ წყალგაყვანილობის ახალი სისტემის ჩასმის მიზნით. უფრო გვიანდელი, ბოლო ეტაპის წყალგაყვანილობა ოსმალოებს დასავლეთ კედელში შეუყვანიათ. კარიბჭის ამჟამინდელი სიმაღლე – 4 მ, სიგანე – 2,36 მ-ია. მარცხენა მხარე შეუვიწროებიათ 65 სმ-ით, მარჯვენა – 80 სმ-ით. რომაულ ხანაში ციხის მშენებლობისას ზღურბლიდან 90-95 სმ სიღრმეზე დაუტოვებიათ სივრცე წყალგაყვანილობის სისტემის სამი რიგის შემოყვანისათვის (როგორც უკვე ითქვა, რომაული ხანის ზღურბლის დონე განვითარებულ შუა საუკუნეებში ჩაუჭრიათ და წყალგაყვანილობის ორი რიგი შემოუყვანიათ). პირველი ხაზი ზღურბლიდან 70 სმ-ზე მდებარეობს. იგი ჩასმულია დამუშავებული ქვების რიგში (სიმაღლე 16 სმ, სიგანე 30 სმ). მეორე ხაზი ზღურბლიდან 50 სმ სიღრმეზეა განლაგებული. ამას ქვების რიგი არ მიუყვება. მესამე, ყველაზე გვიანდელი, კარიბჭის მარჯვენა მხარის ზღურბლის დონეზეა. აღსანიშნავია, რომ მისთვის თვით რომაული ხანის კედელში ოთხკუთხა ხვრელი გამოუკვეთიათ. წყალგაყვანილობა მთლიანადაა ჩასმული დაუმუშავებელი ქვებისა და კირხსნარის კარკასში.

ციხის მშენებლობასა და შესაბამისად რომაული ხანის მონუმენტურ წყალმომარაგების სისტემას წინ უსწრებდა წყალგაყვა-

ნილობის სულ ცოტა ორი რიგი. ამ უძველეს სისტემებზე ლაპარაკი ცოტა ქვემოთ გვექნება. ახლა შევჩერდებით სამხრეთი კარიბჭიდან შემომავალი რომაული წყალგაყვანილობის სისტემის შესახებ. სათავიდან გამოყვანილი ყოფილა საკმაოდ დიდი ზომის მილების სამი რიგი. გამოჩენილ ზღურბლთან ახლოს მიდის ორი რიგი, მესამე მცირე წყვეტილის შემდეგ იწყება კარიბჭიდან 2,6 მ მოშორებით. ეს ხაზი ოდნავ მაღლაა მის დასავლეთით მდებარე ორ რიგთან შედარებით. თანაც, წყალგაყვანილობის მილები უფრო ფართო დიამეტრისაა. შუა რიგი, კარიბჭიდან 1,2 მ მოშორებით, ჩასმულია ქვის ოთხკუთხა მოყვანილობის ბლოკში, რომელსაც ზემოდან აქვს წრიული მოყვანილობის ხვრელი. ბლოკის სიგრძე 70 სმ-ია, სიგანე – 25 სმ. ხვრელის დიამეტრია 14 სმ, სიმაღლე – 26 სმ. თითქმის მის გაგრძელებაზე ასეთივე ბლოკში ჩასმულია მე-3 რიგიც. ბლოკის სიგრძე 46 სმ-ია, სიმაღლე – 26 სმ. ასეთივე ბლოკი უნდა ჰქონოდა პირველ ხაზსაც. როგორც ჩანს, ხვრელიანი ქვის ბლოკები წყლის ნაკადის მარეგულირებელი იყო – გახსნა-ჩაკეტვა ხდებოდა. შემდეგ სამივე ხაზი მიემართება ჩრდილოეთისაკენ.

წყლის მილების წინ, პირველ ხანებში გამოჩნდა ორი კვადრი (ერთის სიგრძეა 43 სმ, მეორესი კი – 68 სმ). პირველი მილი დაზიანებული იყო. მის გაგრძელებაზე მოჩანს დამტვრეული მილის ნატეხები. შემდეგ 1,5 მ მონაკვეთზე სიცარიელეა. ამის შემდეგ გამოჩნდა კიდევ ერთი ნახევრად დაზიანებული მილი. მოსდევს in situ ჩაწყობილი 6 მთლიანად გადარჩენილი მილი. თითოეულის სიგრძე მერყეობს 43-46 სმ შორის, რასაც უნდა მიემატოს მეორე მილის ბოლოზე მორგების მიზნით შევიწროებული ნაწილის სიგრძეც, დაახლოებით 4-5 სმ.

SW VI სექტორის 87-ე და 97-ე კვადრატებში გამოჩნდა უფრო ძველი წყალგაყვანილობის სისტემის ნაშთები. ისინი აღმოსავლე-

თიდან დასავლეთისკენ არიან მიმართული. ამ სისტემის მილები შედარებით მცირე ზომისანი არიან, კეციც უფრო წვრილმარცვლოვანი და შედარებით მუქი ყავისფერია. წყალგაყვანილობა ჩაჭრილი ჩანს კანალიზაციის სისტემით. დღემდე გამოვლენილ წყალმომარაგების სისტემებს შორის ეს ყველაზე უფრო ადრინდელი უნდა იყოს. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძეგლებს შორის ეს ყველაზე ძველი წყალმომარაგების სისტემა უნდა იყოს და ძვ.წ. I – ახ. წ. სს მიჯნით უნდა დათარიღდეს. ის SW VI სექტორის გაუთხრელ ფართობშიც ვრცელდება.

SW VI სექტორის 97-ე კვადრატში, ზედ კარიბჭესთან ახლოს, გამოიკვეთა ქვის ფილებით მონუმენტურად ნაგები ოთხკუთხაგანივკვეთიანი კოლექტორის ნაშთები. ამ წელს გაიწმინდა სახურავის 8 ფილა. ისინი დამზადებულია საგანგებოდ გათლილი მოთეთრო-მოყვითალო ქვისაგან. ეს სტანდარტული ფილები ადგილობრივი ჯიშის ქვას არ უნდა წარმოადგენდეს. მათი ზომებია: 90x50 სმ, 60x50 სმ, 87x40 სმ, 47x44 სმ, 55x40 სმ, 66x47 სმ, 83x42 სმ, 66x47 სმ, სისქე 8-10 სმ. კოლექტორის კედლებიც ქვებითაა ამოშენებული, ხოლო ძირზე ქვის ფილებია დაგებული. არხის სიგანე 32 სმ-ია, სიმაღლე – 45 სმ. კანალიზაციის ამავე სისტემის გაგრძელება გამოჩნდა აზანოთუბანზეც. ერთი რიგი აღმოსავლეთი მხრიდანაც უერთდება. კანალიზაციის ამ სისტემას კიდევ ერთ ახალ მონუმენტურ ნაგებობის ნაშთებთან მივყავართ.

1995 წელს მიმდინარე საველე სამუშაოეისას გამოჩნდა წყალგაყვანილობის გვიანდელი სისტემებიც. ფართო მილებისაგან შედგენილი რომაული ხანის წყალგაყვანილობის დასავლეთით, 50 სმ მოშორებით აღმოჩნდა ქვებით ამოყვანილი არხი, რომელიც ზოგან კირხსნარითაა გადაბმული. გამოყენებულია აგურისა და კერამიკის ნატეხებიც. არხში აქა-იქ წყალგაყვანილობის მილის ნაშთებიც ჩნდებოდა. სისტემა მიემართება სამხრეთისაკენ, გადა-

დის კარიბჭეზე. ქვის წყობიანი არხის დასავლეთით, 36 სმ-ის მოშორებით გამოჩნდა წყალგაყვანილობის მორიგი ხაზი. SW VIII სექტორის 96-ე კვადრატში ამ სისტემის 5 მილი მთლიანადაა გადარჩენილი. ახლად გამოჩენილი სისტემები ადრინდელთან შედარებით 50 სმ-ით მაღლა მდებარეობენ.

არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე, არაა გამორიცხული, რომ განვითარებული შუასაუკუნეების წყალგაყვანილობის პირველი რიგი სადღაც XIV-XV სს მოქმედებდა. მეორე რიგის თარიღად XV-XVI სს უნდა მივიჩნიოთ.

ოსმალეთის მხრივ მოახლოებულ საფრთხესთან დაკავშირებით ამ პერიოდებისათვის გონიოს ციხეში გარნიზონის გარკვეული კონტიგენტის გაჩენა ივარაუდება. გვიანშუასაუკუნეებში გაუყვანიათ წყალგაყვანილობის ახალი სისტემა, როგორც ჩანს, ის XVII-XIX სს მოქმედებდა (SW VI სექტორი). მიემართება ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ადრეშუასაუკუნეების სისტემის პარალელურად. იწყება კარიბჭის გადაკეთებული დასავლეთი კედლის ძირიდან. გაივლის SW VI სექტორის მე-7, მე-6, მე-16, მე-15 და 24-ე კვადრატებს. კარიბჭესთან დასაწყისის მცირე მონაკვეთი SW VI სექტორის 97-ე კვადრატში გადადის. წყალგაყვანილობის მილები მთლიანადაა დაფარული სანახევროდ დამუშავებული ქვებით. ალაგ-ალაგ აქაც დუღაბია გამოყენებული. ციხის კედელთან ახლოს მთელი მილიც გამოჩნდა. მისი სიგრძეა 42 სმ.

საინტერესო სამუშაოები განხორციელდა SW VI სექტორის სხვადასხვა კვადრატში. რომელთაგან მე-2 კვადრატში თანამედროვე ზედაპირიდან 70 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა აგური და სოლენის ტიპის კრამიტის მოზრდილი ნატეხები. ზოგიერთის ზომების შემცირებაც შეიძლება. ერთ-ერთი მათგანის სიგანე 35 სმ-ია, სიგრძე – 40 სმ, გვერდის სიმაღლე – 5 სმ, სისქე – 2,5 სმ. კრამიტი პირქვე იყო ჩამხობილი. მასთან ახლოს გამოჩნდა აგური.

მისი ზომებია: 30x25x7 სმ. იქვე იდო ერთი კრამიტი. სიგრძე – 42 სმ, სიგანე – 35 სმ, გვერდის სიმაღლე – 5 სმ, სისქე – 2,5 სმ. დანარჩენი ყველა აგურია. ერთ-ერთის სიგრძე 35 სმ-ია, სიგანე – 25 სმ. კრამიტი და აგური დაწყობილი იყო დაახლოებით 10 სმ სისქის ჰიდრავლიკურ ხსნარიან ფენაზე. მის ქვემოთ დანახშირებული ხის ნაშთებიც ჩნდებოდა. იატაკისავე დონეზე გამოჩნდა ქვის წყობის ნაშთებიც. მე-3 კვადრატის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთზე შემოდის ადრეშუასაუკუნეების წყალგაყვანილობის სისტემა, რომელიც უხვევს დასავლეთისკენ. იგი გადადის ახლად გამოჩენილი ნაგებობის აღმოსვლეთ კედელზე. გრძელდება მე-13 კვადრატში, შემდეგ ოდნავ ქვემოთკენ ეშვება და იხრება სამხრეთ-დასავლეთისკენ. მე-13 კვადრატშივე გაიწმინდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიმართული 5 მილი. ერთ მილზე დაცობილი იყო კერამიკული ხუფი. ნაგებობის აღმოსავლეთ კედელზე, მილების ზემოთ, დევს ორი მოზრდილი კვადრი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ეს სისტემა გაუყვანიათ შენობის ნანგრევებზე, ყოველ შემთხვევაში ახ.წ. III საუკუნის შემდგომ.

მე-4, მე-5 და მე-6 კვადრატები ეკავა მხოლოდ და მხოლოდ წყალგაყვანილობის სისტემას. გამოჩნდა სულ 34 მილი. მათ შორის შვიდს აქვს საკონტროლო ხვრელი.

მე-13 და მე-14 კვადრატებში გამოიკვეთა ქვის აბსიდური წყობის ნაშთები. მისი დანიშნულების შესახებ რთულია საუბარი. აქვე აღმოჩნდა მოზრდილი კვადრი – წყლის გამანაწილებელი, რომელშიც თიხის მილები ყოფილა ჩაშენებული. კვადრს აქვს სამი ხვრელი.

ჯერ კიდევ 1969 წელს მნიშვნელოვანი სამუშაოები წარმოებდა აბანოების ტერიტორიაზე, რომელსაც შემდგომ აბანოთუბანი ეწოდა. ჩანს, რომ სადღაც ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარსა თუ II საუკუნის დამდეგისთვის ამ უბანზე მოქმედებდა 2 აბანო.

პირველი საკმაოდ დიდი ზომის ყოფილა, მეორე კი უფრო პატარა (შესაძლოა გარნიზონის უფროსის). ამ უკანასკნელს რომაული ხანის შემდგომ შეუწყვეტია ფუნქციონირება და რაიმე სახის სარეკონსტრუქციო სამუშაოების ნიშანწყალი არც ჩანს.

რაც შეეხება დიდ, გარნიზონისათვის განკუთვნილ აბანოს, ის დამხრობილი ჩანს სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. მისი სიგრძე 22 მ-ია, სიგანე – 11,5 მ. აუგიათ გაშლილ ადგილას, მზის სხივები მთელი დღის განმავლობაში ეცემოდა, რაც წარმოადგენდა შენობის გათბობის მნიშვნელოვან წყაროს. შედგება რომაული თერმებისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა განყოფილებისაგან. პირველი ესაა საქვაბე, ე.წ. პრეფურნიუმი, რომელიც მდებარეობს სამხრეთ მონაკვეთზე. მას ჰქონია წინა ეზოც.

გონიო-აფსაროსისთვის დამახასიათებელი ჩანს ადრეულ ფენებში ჩაჭრილი ორმოები, რომლებიც XVI-XIX საუკუნეების მასალიათაა შევსილი. SW VI უბანზე ადრეშუასაუკუნეების ფრაგმენტული და 30-40 სმ სიმძლავრის ფენის მოხსნის შემდეგ ახ.წ. I-III სს მძლავრი კულტურული ფენა იჩენს თავს.

ახალი თხრილი თავისი კვადრატების ორი რიგით დამხრობილი იყო სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. საველე სამუშაოები ორ-ორ მოსაზღვრე კვადრატში (31 და 41) წარიმართებოდა ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით. რომლის დროსაც აღმოჩნდა ოსმალობისდროინდელი წყალგაყვანილობის სისტემა. იგი იწყება სამხრეთი კარიბჭის მარცხენა კედლიდან, გადადის SW VI სექტორის მე-7, მე-16, მე-15, 24-ე, 33-ე, 42-ე და 41-ე კვადრატებში, გრძელდება SW V სექტორის მე-40, 39-ე, 38-ე და 36-ე კვადრატებში ჩრდილოეთის მიმართულებით და შედის გაუთხრელ ფართობში. ყველგან სისტემა დაფარულია კირხსნარით შეერთებული რიყის ფლეთილი ქვებით. 32-ე კვადრატის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში in situ ელაგა პატარა

ზომის აგურები, რომელიც შენობის იატაკის ერთ-ერთ მონაკვეთს წარმოადგენს. ზომების მიხედვით ისინი უახლოვდებიან ყირიმში, ხერსონესთან ახლოს მდებარე რომაული ციხის ხარაკსის ერთ-ერთი ნაგებობის იატაკზე აღმოჩენილ ნიმუშებს. ქვის წყობა გამოჩნდა 42-ე კვადრატში. მასზე გვიანდელი წყალგაყვანილობის სისტემა გადადის. აქვე უნდა იყოს წყლის გამანაწილებელი კვანძები და, შესაძლოა, შადრევანიც – წრიულად შემოწყობილ ქვებში ვერტიკალურად ამოდის წყლის სამი მილი. წყალგაყვანილობის ერთი რიგი მიემართება ჩრდილოეთის, მეორე ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით.

ძალზე საინტერესოა ციხის კედლის გაგრძელებაზე მე-7, მე-17 და 27-ე კვადრატებში წყალგაყვანილობის უძველესი სისტემის გამოჩენა. 1995 წელს ცნობილი იყო კარიბჭის წინა მცირე მონაკვეთი. ამჯერად ორი რიგი მიუყვებოდა სამ კვადრატს დასავლეთის მიმართულებით. ზევრ მათგანს აქვს საკონტროლო ხვრელები. მკვლევართა აზრით, ეს უნდა იყოს წყალგაყვანილობის უძველესი სისტემა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. მუქი მოყავისფრო კეცის, ფორმებისა და გარკვეულად ზომების მიხედვითაც მათ ანალოგები ჩრდილო შავიძღვისპირეთის, კერძოდ, ოლბიისა და მირმეკიონის გვიანელინისტური ხანის მასალებს შორის ეძებნებათ. წყლის მილების ეს რიგი სტრატიგრაფიულადაც ყველაზე ღრმად მდებარეობს კარიბჭის ზღურბლის დონიდან 0,8 მ სიღრმეზე, მეორე დონის დასასრულს. ეს ხაზი პირველი საუკუნეებით უნდა დათარიღდეს და იგი ციხის კედლების აღმართვამდე უნდა იყოს გაყვანილი. შემდგომში, როგორც ჩანს, ამ სისტემის წყლის დებეტი აღარ აღმოჩნდა საკმარისი. როგორც ითქვა, II-III სს-ში მოქმედებდა წყალმომარაგების საკმაოდ მძლავრი სისტემა. ფართო დიამეტრის მქონე მილებით გამოიყვანეს სამი რიგი, რომლის სათავე ნაგებობაც, წყაროსთვალიც დღემდეა შე-

მორჩენილი. ესაა წყლის მონუმენტური აუზი, რომლის ფასადი გათლილი ქვებითაა მოპირკეთებული .

SW V სექტორის 38-ე, 39, მე-40, 49-ე და 50-ე კვადრატებში გრძელდება ბოლო პერიოდის წყალსადენი. ამავე უბანზე გამოვლენილი კანალიზაციის სისტემა მიემართება ჩრდილოეთისაკენ, დიდი აბანოს კედლის პარალელურად (კვ. 17, 18, 19), კვეთს მეორე კოლექტორს და უხვევს დასავლეთის მიმართულებით.

მნიშვნელოვანი სამუშაოები მიმდინარეობდა მარნის უბანზე, წინა წლებში პრეპარირებულ იქნა სამი ქვევრის ქვედა ნახევარი. თავის დროზე მარანი კრამიტით ყოფილა გადახურული. სახურავის ჩამოქცევის შედეგად შექმნილა კრამიტყრილის სქელი ფენა.

გონიო-აფსაროსის ციხის სამხრეთი კედლის გასწვრივ, კრამიტყრილის გაგრძელებაზე, დასავლეთის მიმართულებით წარმოებდა უძველესი წყალგაყვანილობის სისტემის კვლევა. ესაა SW VI სექტორის მე-7, მე-17 და 27-ე კვადრატები. ციხის კედლებიდან 1-1,6 მ მოშორებით ყველგან გამოჩნდა წყალგაყვანილობის მილები. წინა წლების საველე სამუშაოების მიხედვით ვიცით, რომ ძვ.წ. I - ახ.წ. I საუკუნეების წყალგაყვანილობის სისტემა მოქმედებდა გონიოს ციხის კედლების აშენებამდე. ამ ადრეული პერიოდისთვისაც შესაძლებელი ხდება ორი ქვეპერიოდის გამოყოფა. პირველი უძველესი ხაზი შედარებით წვრილი მილებით ყოფილა მოყვანილი. შემდგომ, როგორც ჩანს, დებეტი აღარ აღმოჩნდა საკმარისი, ამიტომაც მორიგი ხაზი უფრო მსხვილი მილებით შეუცვლიათ. ამ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას ისიც იძლევა, რომ ახალი ხაზის გაყვანისას გაუქმებული წყალგაყვანილობის მილების ერთი ნაწილი გამაგრების მიზნით ზოგან ახალი სისტემის გვერდებზე მიუწყვიათ, ზოგან კი გაწყვეტილი ძველი სისტემა ადგილზევეა შემორჩენილი. თუმცა არც ეს წყალ-

გაყვანილობა აღმოჩენილა საკმარისი და სადღაც ახ.წ. I საუკუნის ბოლოსა და II საუკუნის დამდეგისთვის ციხის მშენებლობასთან ერთად ამოქმედებულა წყალგაყვანილობის უფრო მძლავრი სისტემის სამი რიგი, რომელიც კარიბჭის ზღურბლის ქვემოდან შემოდის ქალაქის ტერიტორიაზე. ეს ერთ-ერთი საუკეთესო კრიტერიუმია ციხის აშენების განსაზღვრისათვის. წყალგაყვანილობის სამი რიგი მიემართება ჩრდილოეთის მიმართულებით. ჯერჯერობით, ჩანს, რომ იგი ჩაუვლის დიდი აბანოს აღმოსავლეთ კედელს. ასეთი მილების ერთი რიგი ცივ აბანოსა და მეჩეთს შორისაც გამოჩნდა. ისინი უფრო ფართო დიამეტრისა და სქელკედლიანები არიან (ამ მონაცემების მიხედვით კარგად ჩანს, რომ ახ.წ. II-III სს-ში გონიო-აფსაროსისათვის ინტენსიური ცხოვრებისა და ძლიერების ხანაა). დიდი აბანოს აღმოსავლეთ კედელთან არსებული მილები შუა ნაწილში თითქოს სიღრმისაკენ ეშვებიან. როგორც ჩანს, ისინი მიემართებიან წყლის მთავარი რეზერვუარისაკენ, საიდანაც უფრო წვრილი მილებით მთელი ქალაქში იტოტებოდნენ. ეს კარგად ჩანს ცენტრალური უბნის არქეოლოგიური გათხრების მიხედვით, სადაც რომაული წყალგაყვანილობის საკმაოდ რთული ქსელია გამოჩენილი. სავარაუდოდ, ამ არეალში მომავალში განხორციელდება არქეოლოგიური სამუშაოები, თუმცა არსებობს საშიშროება, რომ აუზი მეჩეთის ქვეშ მდებარეობდეს. ამ ეჭვს კი ცივ აბანოსა და მეჩეთს შორის გამოჩენილი წყალგაყვანილობის რიგი აჩენს.

ზოგადად, აბანოები წყლის დიდი რაოდენობით მიწოდებას საჭიროებდა. ჯერ კიდევ ადრეული იმპერიის ხანიდან გაჩნდა აბანოების ერთგვარი უტილიტარული დანიშნულებით გამოყენების ფუნქციაც, რომელიც გამოიხატებოდა იმაში რომ, ისინი გარდა მათი პირდაპირი დანიშნულებისა, უკვე ძირითადად განკუთვნილი იყო სხვადასხვა თამაშების, ლექციების, მუსიკა-

ლური პერფორმანსების, პროსტიტუციის, ტანვარჯიშის, დროსტარების, ყბედობის და სხვათა გასამართავად. აბანოების აუზებში ჩვეულებრივ, ცივი, თბილი და ცხელი წყალი იყო, რომელიც დღის განმავლობაში რამდენიმეჯერ იცვლებოდა. წყლის ცირკულირება თითოეულ ტემპერატურაზე ხდებოდა ავტომატურად თერმო-მილების საშუალებით. აბანოებში როგორც წყლის, ისე ჰაერის გათბობას, იატაკქვეშ არსებული გათბობის ღუმელის სისტემები უზრუნველყოფდა.

მუდმივ წყალმომარაგებას საჭიროებდა საპირფარეშოებიც. ისინი, ჩვეულებრივ, საერთო გამოყენებისათვის იყო განკუთვნილი და სტანდარტულად, 20 ადამიანზე იყო გათვლილი. განსხვავებით სოციალურად დაწინაურებული ფენისგან, რომელთაც ბევრად უფრო მდიდრულად მოწყობილი (ინდივიდუალური) და ხშირ შემთხვევაში მხატვრულად გაფორმებულიც კი ჰქონდათ. საერთო გამოყენებისთვის განკუთვნილი საპირფარეშოები ძალზე მარტივად იყო აგებული. მათი ზედა ნაწილი დამზადებული იყო მარმარილოს ქვისგან, რომელიც, თავის მხრივ, საჭიროებდა მუდმივ გათბობას, ვინაიდან ის ყველა სეზონზე და, განსაკუთრებით, ზამთრის პერიოდში მუდმივად ცივი იყო.

რომაელები ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდნენ წყლის ხარისხს, თუ რამდენად იყო შესაძლებელი მისი საყოფაცხოვრებო დანიშნულებით გამოყენება, რის შესაბამისადაც მათ ჰქონდათ სხვადასხვა სტანდარტები, რომელთა მეშვეობითაც ხდებოდა, სწორედ წყლის ხარისხის შემოწმება. ისინი რამდენიმე ფაქტორს აქცევდნენ ყურადღებას: გემო, ტემპერატურა, სუნი, გარეგნობა და სხვ. კარგი ხარისხის წყალს, ჩვეულებრივ, საასმელად იყენებდნენ, ხოლო მცირედ დაჭუჭყიანებულს აბანოებისათვის (ძალზე იშვიათად), ხელოვნური ტბებისათვის და საირიგაციო სისტემებისათვის. რომაული წყალმომარაგების „სტანდარტების“ მიხედ-

ვით, მათ თავიდან უნდა აეცილებინათ წყლის დაბინძურება მტვრისგან, ან რაიმე სხვა მინარევებისაგან და ასევე მზის სიცხისგან.

ამგვარად, კვლევა-ძიება კვლავ გრძელდება და ვიმედოვნებთ, რომ კიდევ უფრო საინტერესო სიახლეები გველოდება წინ.

## გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:


**აფაქიძე,1955:** – აფაქიძე ა., კალანდაძე ა., გობეჯიშვილი გ. ლომთათიძე გ., – კრ.: მცხეთა, I, თბილისი.

**აფაქიძე, 1959:** – აფაქიძე ა., სამშენებლო კერამიკის საკითხისათვის ანტიკური ხანის ქართლის სამეფოში, იიშ, IV, ნაკვ. 2, თბილისი.

**აფაქიძე, 1963:** – აფაქიძე ა, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბილისი.

**კახიძე, 1971:** – კახიძე ა, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბილისი.

**კახიძე, 2002:** – კახიძე ა., მამულაძე შ., ებრალიძე ტ., 2000 წელს გონიო-აფსაროსის ციხის სამხრეთი კარიბჭის გარეთ წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიში, – კრ.: გონიო-აფსაროსი, III, ბათუმი.

**გონიო-აფსაროსი IV, 2004:** – გონიო-აფსაროსი ტომი IV; ბათუმი.

**Frontinus, Sextus Julius, 1961:** – (trans. Charles Bennett). Stratagems and the Aqueducts of Rome. Harvard University Press, Cambridge, Massachusetts.

**Parker, James E., 1967:** – Housing and Population in Imperial Ostia and Rome. “Journal of Roman Studies”, №57, p.82-91.

**Juvenal, Decimus Julius, 1965:** – (trans. Jerome Mazzaro). Satire. University of Michigan Press, Ann Arbor.

**Suetonius Transquillus, 1951:** – Gaius (trans. J.C. Rolfe). Lives of the Twelve Ceasars. Vol. II, Harvard University Press, Cambridge, Massachusetts.

**Ashby, Th., 1935:** – The Aqueducts of Ancient Rome (ed. I. Richmond), Oxford.

**Elizabeth Shirley, 2001:** – Elizabeth Shirley, Building a Roman Legionary Fortress, Britain.

**Ian M. Barton, 1989:** – Ian M. Barton, Roman Public Buildings, Britain.

**Sulkhan Mamuladze**

## Water Supply Systems and Sanitary-Hygienic Facilities of Gonio-Apsarus Ancient Site

Summary

One of the most important stages of Gonio-Apsarus history is I and II-III AD centuries. by the end of the I AD century, was built in the beginning of the foundation walls with four gates and twenty-two tower it seems, one of the main section of the fortification system.

As the walls, as well as entrance doors and towers built with the Roman military art principles and the architecture. Construction of sewage and water has passed the threshold of the gate down the highways. This work is done in other centers of the ancient world has come to characterize. Water supply system in the head-premises pool and trimmed its front made of bricks. It seems to be the city cleaning, water supply and sanitation services at the highest level ever.

ნიკოლოზ ნებიერიძე

# ჩამდინარე წყლების ბუნებრივი გამწმენდი ეკოსისტემების შესახებ

საქართველოში მრავლადაა შემორჩენილი უძველესი წყალ-სადენ-წყალარინების (კანალიზაციის) ისტორიული ნაშთები (გონიო – აჭარა, ვარძია – ჯავახეთი, ბაგინეთი – ქართლი და სხვ.). ამ სისტემების განვითარებას ძირითადად განაპირობებდა მტრის გამუდმებული შემოსევები. ამიტომაც, სტრატეგიული თვალსაზრისით, აუცილებელი იყო ქართველ მეომართა განლაგება მიუვალ ადგილებში, ციხე-სიმაგრეებში. ეს კი უსათუოდ მოითხოვდა წყლის მიყვანას და, შესაბამისად, საკანალიზაციო კომუნიკაციების გაყვანას საიმედო არხების საშუალებით (მაგალითად გონიოს ციხის საკანალიზაციო გამყვანი სისტემა კერამიკის მილებითაა შესრულებული, რომელის ნაშთები დღესაცაა შემორჩენილი). იშვიათი ოსტატობით ნაკეთები ეს სისტემები საინჟინრო მოწყობის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს და მნახველთა ცხოველ ინტერესს იწვევს.

თანამედროვე მდგომარეობით, ქვეყანაში მნიშვნელოვნად მომატებულია ქალაქებისა და დასახლებული ადგილების, ურბანული ტერიტორიების მიმდებარე გარემოს დაბინძურების საფრთხე, რადგან ამ ტერიტორიებიდან ფორმირებული ჩამდინარე წყლებით (მათი არასათანადო გაწმენდის ან გაუწმენდავად

ჩაშვების შემთხვევაში) ინტენსიურად შეიძლება დაბინძურდეს წყალსატევები (მდინარეები, ტბები და ა.შ). ამასთან დაკავშირებით ადამიანის სამეურნეო-საყოფაცხოვრებო მოღვაწეობის შედეგად ზედაპირული წყლების გამოყენებით შეიძლება გავრცელდეს სვადასხვა სახის პათოგენები ნიადაგსა და ატმოსფეროში (აეროზოლების სახით). აღიშნულიდან გამომდინარე, ჩამდინარე წყლები წყალსატევში ჩაშვებამდე შესაბამისად უნდა გაიწმინდოს (გაუვნებლდეს) ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ფარგლებში და ისე ჩაიშვას.

ნაშრომში საინფორმაციო-გაცნობის თვალსაზრისით **ჩამდინარე წყლების ბუნებრივი გამწმენდი ეკოსისტემის** შესაძლო მეთოდებია წარმოდგენილი.

მსოფლიოში ჩამდინარე წყლების გაწმენდის და მართვის მრავალი მეთოდია შემუშავებული. ზოგიერთი კი შემუშავების პროცესშია. ძველთან შედარებით, ეს მეთოდები ეკოლოგიური, ეკონომიური და საზოგადოებრივი კუთხით გაუმჯობესებულია. გასუფთავების ახალი მეთოდები ბუნებრივ პროცესებს ეფუძნება და მდგრადობით გამოირჩევა, რასაც ვერ ვიტყვით იმ მეთოდებზე, რომლებიც დიდ ენერგიას საჭიროებს ან ქიმიურ კომპონენტებს იყენებს (ცხრ.1).

ცხრილი1. ქალაქის და სოფლის ჩამდინარე წყლების გაწმენდა

| **ქალაქის** | **სოფლის** |
|---|---|
| ხელოვნური ჭაობი | ინდივიდუალური სახლები |
| მემბრანული ბიო-რეაქტორი | განვითარებული გამწმენდი სისტემა |
| მცირე დიამეტრის შემკრები სისტემები | ბიოტუალეტები |

| | |
|---|---|
| კანალიზაციის და მიწისქვეშა წყლების სისტემები | საერთო და კლასტერული სისტემები |
| შლამის და სეპტიკური ნარჩენების გაწმენდის მეთოდები | – |

ჩამდინარე წყლის გამწმენდი ტრადიციული სისტემების ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური პროცესების ერთობ-ლიობას წარმოადგენს, რომელიც ხელოვნურ გარემოში მიმდინარეობს. მისი მიზანი კი ჩამდინარე წყლიდან მყარი ნაერთების, ორგანული მასალის და თუნდაც საკვები ნარ-ჩენების მოცილებაა. გაწმენდის ბუნებრივი სისტემები ჩამ-დინარე წყლების დაშლის ბუნებრივი პროცესების იმიტაციას ახდენენ და ხელს უწყობენ მავნე ნივთიერებების მოცილებას. როდესაც ბუნებრივი სისტემები ინტეგრირებულია ლანდ-შაფტთან ან შენობის დიზაინთან, ჩვეულებრივ გამწმენდ სისტემებთან შედარებით, ზოგადად, გამწმენდი ბუნებრივი სისტემები, ჩვეულებრივთან შედარებით, წარმოადგენენ ალტერნატივას, რომელიც გარემოსთან ადაპტირებული, არა აგრესიული, ნაკლები დანახარჯის მქონეა. ისინი მცირე დასახლებებსა და ქალაქგარეთ რაიონებში (სადაც მიწის ფასი ხელმისაწვდომი და დაბალია), იდეალურად წმენდენ ჩამდინარე წყლებს.

ბუნებრივი გამწმენდი სისტემები ოთხ ტიპად იყოფა [2-6]:




*სურათი 1. მიწის დაფენის მეთოდები*

1. **მიწისზედა გამწმენდი მეთოდები.** გაწმენდის მეთოდები ეფუძნება ნიადაგის მატრიცის ზედაპირსა და მის შიგნით მიმდინარე ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ რეაქციებს. წინასწარი გასუფთავების შემდეგ, ჩამდინარე წყლები გროვდება ნიადაგში (აქ შეიძლება იყოს მცენარეული საფარი, ან არ იყოს). ტექნოლოგიები მოიცავს ნელი ტემპის, სწრაფი ინფილტრაციისა და სახმელეთო ნაკადის სისტემებს, ასევე ამ ტიპის კომბინაციებს. მცირე სიჩქარის და სახმელეთო ნაკადის მეთოდების დროს მცენარეული საფარი გაწმენდის მნიშვნელოვანი კომპონენტია, მაშინ როცა სწრაფი გაფილტვრისას მცენარეული საფარი აუცილებელი არ არის;

**2. ჩამდინარე წყლების მდგრადი აუზები.** ასეთი სისტემები ღია ტიპის აუზებს წარმოადგენენ. მათი გამწმენდი ფუნქცია დამოკიდებულია მზის სინათლეზე, მიკრობთა ცხოველქმედებაზე, ცხოველების და მცენარეების უმდაბლეს ფორმებზე. ორგანული ნივთიერებები ბუნებრივად ანუ, ბიოლოგიურად იშლება. ბაქტერიების და წყალმცენარეების მოქმედებით ჩამდინარე წყლები სტაბილიზირდება და მათი პათოგენურობა მცირდება. ზოგადად, ნარჩენების ორგანული ნაწილი უფრო სტაბილურ ფორმად გარდაიქმნება ხოლმე. მდგრადი აუზი, შეიძლება რამდენიმე სახის იყო: საკანალიზაციო, ჟანგვა-აღდგენითი, მომწიფებადი, ანაერობული, აერობული, აერირებადი. აუზის სახეობიდან გამომდინარე, ის ფართო მიზნებისთვის შეიძლება გამოიყენებოდეს. მათი გამოყენება ჩამდინარე წყლების გაწმენდის სხვა მეთოდებთან ერთადაც შესაძლებელია;

**3. წყალმცენარეული სისტემები**. ისინი თითქმის მდგრადი აუზების მსგავსია. განსხვავება იმაშია, რომ ჩამდინარე წყლებს თავიანთი შემცველობითაც (მცენარეები და ცხოველები) ასუფთავებენ. ასეთი სისტემა შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად, წყალს ზევით მოტივტივე და წყალქვეშა მცენარეები. მათი ფესვების ფართო სისტემა წარმოქმნის სუბსტრატს მიკროორგანიზმების ზრდისთვის. ეს კი დამაბინძურებელი ნივთიერებების მოცილებას უწყობს ხელს, რითაც წყლის სიწმინდის საუკეთესო ხარისხი მიიღწევა;




*სურათი 2. მდგრადი აუზის ტიპები*

**4. ხელოვნური ჭაობი.** ხელოვნური ჭაობი ადამიანის მიერ შექმნილი სისტემაა, რომლის ფუნქციაც ბუნებრივი ჭაობის მსგავსად დამაბინძურებელი აგენტების ჩამოშორებაა. ამ მიზნის მისაღწევად იმიტირებულ ჭაობში მთელი რიგი ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური პროცესები მიმდინარეობს. ეს პროცესები ეფუძნება წყლის, ნიადაგის, ატმოსფეროს და მიკრო-ორგანიზმების ურთიერთქმედებას. ჭაობის მცენარეები მძიმე მეტალების და სხვა ტოქსიკური ნაერთების გაუვნებელყოფასა და საკვები ნივთიერებების შენარჩუნებაში სასიცოცხლო ფუნქციას ასრულებენ. ჩვეულებრივი ლერწამი (Phragmites australis) და ლაქაში (Typha latifolia, T. angustifolia) ჭაობის მცენარეთა სახეობის ეფექტურ მაგალითს წარმოადგენენ, რომლებსაც შეუძლიათ კარგად შთანთქან დამაბინძურებლები და ამიტომ წარმატებით გამოიყენებიან ხელოვნურ ჭაობში.

არსებობს ხელოვნური ჭაობის ყველაზე გავრცელებული სამი ტიპი: თავისუფალი წყლის ზედაპირის სისტემები, ჰორიზონტალური მიწისქვეშა ნაკადის სისტემები და ვერტიკალური ნაკადის სისტემები:

I. **თავისუფალი წყლის ზედაპირის ხელოვნური ჭაობი.** ასეთი ჭაობები შედგებიან ერთი ან მეტი მცენარეული ზედაპირის მქონე ჰერმერტული აუზებისგან ან არხებისგან (40 დან 60 სმ სიღრმის). ისინი ამოვსებულია ნიადაგით, სადაც ჩარგულია მცენარეები (მაგ. ლერწამი, ისლი, ჭილი და ლაქაში) და აღჭურვილია შესაბამისი შემშვები და გამომშვები სტრუქტურებით. ჩამდინარე წყლებზე აღწევს 10-დან 30სმ-დე და 45 სმ სიღრმეშიც კი. მასზე მოქმედებს ატმოსფერული ჰაერი, ქარი და მზის პირდაპირი სხივები. ჭაობის ქვედა ნაწილში ანაერობული ზონები ჭარბობს. ზედაპირთან არის აერობული ზონა, რომლის ჟანგბადით გამდიდრება ატმოს-ფეროდან ხდება, რასაც ხელს უწყობს მცენარეების ქარით გამოწვეული მოძრაობა. ჩამდინარე წყლები ჭაობის გავლით მიედინება და დამაბინძურებლების მოცილებას ერთდროუ-ლად ხელს უწყობს ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური პროცესები. წყლის ქვეშ არსებული ნიადაგის ფენა ასევე ანაერობულია, მცენარეების ფესვები გამოყოფენ ჟანგბადს, რითაც ქი-მიური და ბიოლოგიური პროცესებისთვის ქმნიან გარემოს.




*სურათი 3. თავისუფალი წყლის ზედაპირის ჭაობი*

II. **ჰორიზონტალური მიწისქვეშა ნაკადის ჭაობი.** ასეთი ჭაობი ქვიშით და ხრეშით ამოვსებული დიდი ზომის არხია, სადაც წყალმცენარეებია ჩარგული. არხი 0.5-დან 1მ-დე სიღრმისაა (3–32 მმ დიამეტრი) და ამოფენილია წყალგაუმტარი ფენით (თიხა ან წყალგაუმტარი მემბრანები), რათა თავიდან იქნეს აცილებული გამორეცხვა. ჩამდინარე წყალი რჩება ფოროვანი არის ქვეშ, გაედინება ფორებში ფესვებისა და ფესვაკების გავლით. ფართე შესასვლელი ზონა უზრუნველყოფს წყლის მაქსიმალური მოცულობის შედინებას. ქვედა ნაწილზე ეს დაახლოებით 1%-ია. რაც შეეხება მცენარეებს, ნებისმიერი მცენარე ღრმა და ფართო ფესვებით, რომლებიც კარგად ეგუებიან სველ და საკვები ნივთიერებებით მდიდარ გარემოს, ზემოთ აღწერილი ჭაობის ტიპში კარგად ხარობს. ჩამდინარე წყლები, გამფილტრავ მასა-ლასთან და მცენარეთა ფესვებთან შეხებისას, იწმინდება.




*სურათი 4. ჰორიზონტალური მიწისქვეშა ჭაობის სქემატური ილუსტრაცია*

**III. ვერტიკალური ნაკადის ხელოვნური ჭაობი.** ასეთი ჭაობი წყალმცენარეებიან გამფილტრავ არხებს წარმოადგენს. ჩამდინარე წყლები ჭაობში შედის ნახვრეტებიანი მილების ქსელის მეშვეობით. ეს კი მთელ სივრცეზე წყლის თანაბარ მიწოდებას უზრუნველყოფს. წყალი სიმძიმის ძალის და ფილტრების მატრიცის გავლით ქვემოთ მიედინება. შემდეგ ის მიაღწევს დრენაჟის ფენას (სურათის ქვედა ნაწილი), რომელიც შეიცავს ფორებიან შემკრებ და აირაციისთვის განკუთვნილი მილების ქსელს. არხში სხვადასხვა გრადაციის მრავალი ფენაა. არხის ახლოს მდებარე პირველი ფენა შეიცავს ხრეშს, რომელიც დრენაჟისთვის გამოიყენება (20 სმ სისქის მაინც უნდა იყოს). ფენის ზედა ნაწილი გრძელდება ხრეშით და ქვიშით (ზედაპირული ფენის სისქე უნდა იყოს 10-30სმ). ფენის ზედა ნაწილში მცენარეებია დარგული, რომლებიც ფესვების ფართო და ღრმა სისტემით ფილტრში გაივლის. საერთო სიღრმე მერყეობს 0.90 მ-დან 1.20 მ-დე. დრენაჟისთვის აუცილებელია არხის დახრილობა 1% იყოს. ვერტიკალური ნაკადის ხელოვნური ჭაობი შეიძლება ფუნქციონირებდეს: წყვეტილ ნაკადთან, ქვედა ნაწილისკენ მიმართულ გაუჯერებელ ნაკადთან, გაჯერებულ ქვემოთ ან ზემოთ მიმართულ ნაკადთან და მოქცე-

ვად ნაკადთან ერთად. ამ სისტემაში შეინიშნება ჩარეცხვის და შრობის ფაზები. კლიმატიდან გამომდინარე, Phragmites australis, Typha latifolia ან Echinochloa Pyramidalis ხშირი არჩევანია. მნიშვნელოვანი განსხვავება ვერტიკალურ დინებასა და ჰორიზონტალურ ზედაპირქვეშა დინებას შორის არის არა უბრალოდ დინების ტრაექტორია და მიმართულება, არამედ უფრო შევსებისა და გაშრობის ციკლები და გაუმჯობესებული ანაერობული პირობები ვერტიკალური დენის შემთხვევაში, ეს ის ფაქტორებია, რომლებსაც მივყავართ ფართობის მოთხოვნილების შემცირებისაკენ [2-6].




*სურათი 5. ვერტიკალური ნაკადის ხელოვნური ჭაობის სქემა*

**ხელოვნური ჭაობის გამწმენდი მექანიზმები.** ხელოვნური ჭაობი ბუნებრივ პროცესებს (ჭაობის მცენარეები, ნიადაგი, მიკრობული ცხოველქმედება) მეტად კონტროლირებულ გარემოში იყენებს, რათა უზრუნველყოს დამაბინძრებლების ეფექტური ჩამოშორება. ძირითადი გამწმენდი მექანიზმები შეიძლება დაიყოს აბიოტურ (ფიზიკური და ქიმიური) და ბიოტურ (ბიოლოგიურ) პროცესებად. ხელოვნურ ჭაობში დამაბინძურებლების

მოცილებაზე პასუხისმგებელი შემდეგი აბიოტური პროცესებია (ცხრ.2):

- დალექვის პროცესები, რომლებიც მყარი და შეწონილი ნაწილაკების მოცილებას შეუწყობს ხელს.
- ადსორბციის და აბსორბციის პროცესები, რომლებიც მცენარეთა ზედაპირზე მიმდინარეობენ. აღნიშნული პროცესების შედეგად ხდება სუბსტრატების, დანალექი ნივთიერებების, გადაყრილი ნაგვის და სხვა დამაბინძურებლების მოკლევადიანი შეკავება ან გრძელვადიანი იმობილიზაცია.
- ქიმიური ჟანგვა-აღდგენა, დალექვა, სადაც მძიმე მეტალები გადადიან უხსნად მყარ ფორმებში და სუბსტრატთან წყლის შეხებისას, არააქტიურ მდგომარეობაში არიან.
- მზის სხივებით გამოწვეული ფოტოდეგრადაცია, დაჟანგვა და ნივთიერებათა დაშლა.
- აქროლადი ნაერთების აირად მდგომარეობაში გადასვლისას, ხდება აორთქლება.
- შესაბამისი ბიოტური პროცესები არის:
- აერობულ/ანაერობული ბიოდეგრადაცია მიკროორგანიზმების მეტაბოლიზმის შედეგად;
- არაორგანული ელემენტების ფიტო-აკუმულირება;
- ფიტო-სტაბილიზირება - მცენარეთა ფესვების მიერ არაორგანულ ელემენტთა შთანთქმა;
- მცენარეებში ფერმენტების მიერ გადატანილი ორგანული და არაორგანული დამაბინძურებლების ფიტო-დეგრადაცია.
- ორგანული და არაორგანული დამაბინძურებლების ფიტო-დეგრადაცია, რომლებიც აორთქლების პროცესში მცე-

ნარეებში შედიან მცენარეების მიერვე წარმოებული ფერმენტების მეშვეობით.

- მცენარეების მიერ გამოწვეული რიზო-დეგრადაცია, რომელიც შემდგომ იწვევს ორგანული ნაერთების მიკრობულ დეგრადაციას.
- ფიტო აორთქლება/აორთქლება ხდება მცენარეთა ფოთლების მიერ.

ცხრილი 2. ზოგიერთი დამაბინძურებლის მოცილების მექანიზმი

| *დამაბინძ. მოცილება* | *პროცესი* |
|---|---|
| ორგანული | ბიოდეგრადაცია, დალექვა, მიკრობული ცხოველქმედება |
| შეწონილი ნაწილაკები | დალექვა, გაფილტვრა |
| აზოტი | დალექვა, ნიტრიფიკაცია/დენიტრიფიკაცია, მიკრობული ცხოველქმედება, მცენარეებით შთანთქმა, გაზიფიკაცია |
| ფოსფორი | დალექვა, გაფილტვრა, ადსორბცია, მცენარეული და მიკრობული ცხოველქმედება |
| პათოგენები | ბუნებრივი სიკვდილი, დალექვა, გაფილტვრა, უფ დეგრადაცია, ადსორბცია |
| მძიმე მეტალები | დალექვა, ადსორბცია, შთანთქმა მცენარეებით |
| ორგანულინაერთები (პესტიციდები და ა.შ.) | ადსორბცია, გაზიფიკაცია, ფიტოლიზი, ბიოტური/აბიოტური დაშლა |

განხილულია ჩამდინარე წყლების ბუნებრივი გამწმენდი ეკოსისტემების მოწყობისა და წმენდის მეთოდოლოგია, როგორც ჩამდინარე წყლების გაწმენდის თანამედროვე ტექნოლოგიების შესაძლო ალტერნატივა. ამ მოტივით ნაშრომი საინფორმაციო-გაცნობით ხასიათს ატარებს [2-6].

## გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა:


1. ნაცვლიშვილი ნ., ლ. კლიმიაშვილი, მ. ნაცვლიშვილი, დ. გურგენიძე, წყალმომარაგებისა და წყალარინების საფუძვლები, თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2009, გვ. 379.
2. Angelakis A. N. and Tchobanoglous G., 1995, Municipal Wastewaters: Natural Treatment Systems, Reclamation and Reuse and Disposal of Effluents, Crete University Press, pp. vii (in Greek).
3. Reed S., Middlebrooks E. and Crites R., 1995, Natural Systems for Waste Management and Treatment, McGraw Hill.
4. http://meteo.gov.ge/about-agency
5. Integrated Assesment Study, Turkish part. 2014. Ilia State University Publisher.
6. Integrated Assesment Study, Romanian part. 2014. Ilia State University Publisher.

Nikoloz Nebieridze

## On the Natural Ecosystems of Treatment of Wastewater

Summary

It considers the methodology and purification device natural ecosystems wastewater treatment, as a possible alternative to modern wastewater treatment technologies. In this work is motivated by information-finding character [2-6].

ბიჭიკო დიასამიძე,
ოლეგ ჯიბაშვილი

# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილებს 2015 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, მისი განყოფილებები, როგორც წესი, ყოველწლიურად წარუდგენ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ვრცელ ანგარიშებს განსახილველად უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას, მათ მიერვე შემოთავაზებული ფორმის მიხედვით.

ანგარიშებში ასახულია განყოფილებათა და მთლიანად ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ყველა ასპექტი, მათ შორის ცალკეული მეცნიერი თანამშრომლის სხვა აქტივობები, რაც სრულყოფილ წარმოდგენას იძლევა არა მარტო ამ სამეცნიერო დანაყოფთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მასშტაბების, არამედ ცალკეული მეცნიერი თანამშრომლის სამეცნიერო ინტერესებისა და შესაძლებლობების შესახებაც.

კრებულში წარმოდგენილი განყოფილების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის 2015 წლის ანგარიში სწორედ ამ მიზნით შევიტანეთ და ვფიქრობთ, მომავალშიც ასე გავაგრძელოთ.

## 2015 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში

* **განყოფილების უფროსი:** ბიჭიკო დიასამიძე (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი)

* **განყოფილების პერსონალური შემადგენლობა:** 9 მეცნიერი თანამშრომელი

1. ბიჭიკო დიასამიძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, განყოფილების უფროსი)
2. ნინო ინაიშვილი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი)
3. გიორგი თავამაიშვილი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი)
4. უჩა ოქროპირიძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი)
5. ოთარ თურმანიძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი)
6. მაია ჭიჭილეიშვილი (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი)
7. სიმონ გოგიტიძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი)
8. ოლეგ ჯიბაშვილი (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი)
9. ირინე ვარშალომიძე (მეცნიერი თანამშრომელი)

### I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული გარდამავალი (მრავალწლიანი) სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

| | შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო | პროექტის ხელმძღვანელი | პროექტის შემსრულებლები |
|---|---|---|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| | მიმართულების მითითე-<br>ბით | | |
| | **სამეცნიერო პრობლემა** –<br>სამხრეთ-დასავლეთ<br>საქართველოს ისტორიისა<br>და არქეოლოგიის პრობ-<br>ლემები<br><br>**თემა** – აჭარის ადმინის-<br>ტრაციულ-ტერიტორიული<br>ერთეულების ისტორია<br><br>**ეტაპი** – ქედის მუნიციპა-<br>ლიტეტი (ისტორიულ-<br>არქეოლოგიური შესწავლა) | ბიჭიკო დიასამიძე | |
| | **წლიური შრომები** | | |
| | ქედის მუნიციპალიტეტი<br>აჭარის ადმინისტრაციულ-<br>ტერიტორიულ სტრუქტუ-<br>რაში უძველესი დროიდან<br>2010 წლამდე | | ბიჭიკო დიასამიძე |
| | ქედის მუნიციპალიტეტის<br>ფიზიკურ-გეოგრაფიული<br>დახასიათება, ისტორია<br>(მუნიციპალიტეტის შექმ-<br>ნამდე) | | სიმონ გოგიტიძე |
| | ქედის მუნიციპალიტეტის<br>ეკონომიკა (სოფლის<br>მეურნეობა, მრეწველობა,<br>მშენებლობა, კომუნიკაცი-<br>ის საშუალებები), მიგრაცი-<br>ული პროცესები, დეპორ- | | ოთარ თურმანიძე |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ტაცია, რეპრესიები | | |
| | ქედის მუნიციპალიტეტის სოციალური ისტორიის საკითხები (ჯანმრთელობის დაცვა, სპორტი, ტურიზმი) | | ოლეგ ჯიბაშვილი |
| | ქედის მუნიციპალიტე-ტი1921-1990 წწ.-ში; მუნიციპალიტეტი II მსოფლიო ომში; ქვეყნის უსაფრთხოებაში შეტანილი წვლილი (საერთაშორისო მისიები, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები, 2008 წლის ომი). | | უჩა ოქროპირიძე |
| | ქედის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური ძეგლები | | ნინო ინაიშვილი, გიორგი თავამაიშვილი, ირინე ვარშალომიძე |
| | ქედის მუნიციპალიტეტის საკულტო ძეგლების არქი-ტექტურა | | მაია ჭიჭილეიშვილი |

### გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2015 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

წარმოდგენილ ნაშრომებში ნივთიერი და წერილობითი წყაროების, აგრეთვე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის შეჯერება-ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია ქედის მუ-ნიციპალიტეტის ისტორია, მისი მდებარეობა, რელიეფი, ფლო-რა, ფაუნა, წყლები, წიაღისეული, არქეოლოგიური ძეგლები

(საკულტო, საფორტიფიკაციო ნაგებობანი), ხიდები, ეკონომიკა (სოფლის მეურნეობა მისი დარგებით, მრეწველობა, მშენებლობა), კომუნიკაციის საშუალებანი (გზები, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა), მიგრაციული პროცესები თანამედროვე სოფლის პრობლემებით. ნაჩვენებია მიღწევები და პრობლემები ჯანმრთელობის დაცვაში, სპორტსა და ტურიზმში, წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ შეტანილი წვლილი ქვეყნის უსაფრთხოებაში. კერძოდ, II მსოფლიო ომში, საერთაშორისო მისიებში, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტებში და 2008 წლის ომში მონაწილეობით.

ნაშრომებში ცალკეული პრობლემების განხილვისას მოცემულია მათი გადაჭრის მიზნით წინადადებები და რეკომენდაციები.

გარდა აღნიშნულისა, განხილულია, აგრეთვე, ქედის მუნიციპალიტეტში შემთხვევით, დაზვერვებისა და არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები – თავდაცვითი, საკომუნიკაციო და საინჟინრო არქიტექტურის ნიმუშები ციხეების, კოშკების (ზენდიდი, გულები, ძენწმანი, ცივასულა, საღორეთი, ზვარე, ზესოფელი) დახიდების (მახუნცეთი) სახით. ქედის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური რესურსის კვლევა ხელს შეუწყობს ერთი მხრივ, მომავალში საველე-არქეოლოგიური სამუშაოების დაგეგმვას და, მეორე მხრივ, ტურისტული მარშრუტების შექმნას, რაც მნიშვნელოვანია ქედის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

განსაკუთრებით ინტერესი გამოიწვია სოფ. ბაბუჩოღლებში მიგნებულმა ქვის საწნახელმა და იქვე ახლოს მდებარე, წინასწარი დაზვერვით ადრეფეოდალური ხანის ძეგლად მიჩნეულმა ეკლესიის ნანგრევმა. აგრეთვე, აუცილებლად ჩაითვალა

წერილობით წყაროში ხსებული საღორეთის ციხის რაბათის ლოკალიზაცია. საინტერესოდ ჩაითვალა, ასევე, აწგესის აქვედუკის საინჟინრო ნაგებობა, მისი ინფრასტრუქტურა. გამოითქვა მოსაზრებები, აქვედუკის, როგორც ხეობის ერთ-ერთი არქიტექტურული ღირსშესანიშნაობის დაცვა-გაფრთხილების თაობაზე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკულტო არქიტექტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დღემდე მოქმედ, XIX-XX საუკუნის მუსლიმურ სალოცავებს, რომელთა ხეზე კვეთილობის ნიმუშები ქართული და აღმოსავლური ტრადიციების გამოვლინებად არი მიჩნეული. ამ ძეგლების მიმართაც ჩატარებულია სათანადო კვლევითი სამუშაოები.

დიდი ყურადღება დაეთმო, აგრეთვე. ქედის მუნიციპალიტეტში გასულ საუკუნეში შემთხვევით აღმოჩენილ ბიზანტიურ მონეტებს.შესწავლილია მათი ქედაში შემოსვლის გზები და მიზეზები,მოზიდულია პარალელური მასალა.

მუნიციპალიტეტში არსებულ სიძველეებთან დაკავშირებით დამუშავდა სამეცნიერო ლიტერატურა, შეგროვდა ფოტო და გრაფიკული მასალა.

მიღებული შედეგების გაანალიზების შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ განყოფილებამ ხარისხიანად შეასრულა გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები დამრავალწლიანი კვლევითი პროექტის მიმდინარე ეტაპი წარმატებით დაასრულა.

## I. 2. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი ან სხვ.) დაფინანსებული გარდამავალი (მრავალწლიანი) სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

| | პროექტის დასახე-ლება მეცნიერების დარგისა და სამეც-ნიერო მიმართულე-ბის მითითებით | დამფინან-სებელი ორგანიზაცია | პროექტის ხელმძღვანელი | პროექტის შემსრუ-ლებლები |
|---|---|---|---|---|
| | **სტამბოლის სავანის ეპისტოლური და მემუარული მემკვიდრეობა;** ჰუმანიტარული და ქართველო-ლოგიური მეცნიერებები | შოთა რუსთა-ველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი | შუშანა ფუტკარაძე | **ბიჭიკო დიასამიძე** – კონსულ-ტანტი |
| | **აჭარის საგანძური (კატალოგი აჭარის სახელმწიფო მუზეუმებში დაცული მასალების მიხედვით);** ჰუმანიტარული და ქართველოლოგი-ური მეცნიერებები (არქეოლოგია და ხელოვნებათმცოდ-ნეობა) | აჭარის განათ-ლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | მერაბ ხალვაში (ბსუ პრო-ფესორი) | მერაბ ხალვაში,<br><br>ნინო ინაიშვილი,<br><br>მაია ჭიჭი-ლეიშვილი,<br><br>გიორგი ჯანბერიძე |

ანოტაცია

პროექტის მიზანს წარმოადგენს სამეცნიერო მონაცემებზე დაფუძნებული კატალოგის შედგენა, რომელიც წარმოაჩენს აჭარის იტორიული განვითარების ეტაპებს მუზეუმებში დაცული ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, კულტურისა და ხელოვნების ნიმუშების მაგალითზე.

## II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

<table>
<tr><th></th><th>ავტორი/ ავტორები</th><th>მონოგრაფიის სათაური</th><th>გამოცემის ადგილი, გამომცემ-ლობა</th><th>გვერდე-ბის რაოდე-ნობა</th></tr>
<tr><td>1</td><td>ბიჭიკო დიასამიძე</td><td>დამხმარე ისტორიული დისციპლინები</td><td>თბილისი, გამომც. “უნივერ-სალი”</td><td>112</td></tr>
<tr><td colspan="5">ანოტაცია<br>მონოგრაფიაში მოკლედ დახასიათებულია ისტორიის დამხმარე დისციპლინები: წყაროთმცოდნეობა, პალეოგრაფია, ქრონოლოგია, ნუმიზმატიკა, მეტროლოგია, ისტორიული გეოგრაფია და ტოპონიმიკა, არქეოლოგიური დაზვერვებისა და გათხრების მეთოდიკა. წიგნის თითოეულ თემას დართული აქვს კითხვარები განხილვისა და დისკუსიისათვის.</td></tr>
<tr><td></td><td>უჩა ოქროპირიძე</td><td>“კეთილგვაროვანი ოქროპირიძენი”-ოქროპირიძეთა გვარის წარმო-შობის ისტორიი-დან</td><td>ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუს-თაველის სახელმწიფ ო უნივე-რსიტეტი”</td><td>18 (ბროშუ-რა)</td></tr>
<tr><td colspan="5"></td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="5">ანოტაცია<br>ნაშრომში განხილულია ოქროპირიძეთა გვარის წარმოშობის მოკლე ისტორია. მოტანილია შესაბამისი მასალა დავით აღმაშენებლისეულად მიჩნეული გუჯარში ოქროპირიძეთა გვარის მოხსენიების შესახებ.</td></tr>
<tr><td></td><td>“---------”</td><td>კეთილგვაროვანი ოქროპირიძენი...</td><td>თბილისი, გამომც. “უნივერსალი”</td><td>გადაცემულია დასაბეჭდად (451 კომპიუტერული ნაბეჭდი გვერდი)</td></tr>
<tr><td colspan="5">ანოტაცია<br>მონოგრაფიაში მოცემულია ოქროპირიძეთა გვარის წარმოშობის, მათი ბუდე-სოფლის და განსახლების არეალის, მნიშვნელოვან სასულიერო და საერო მოღვაწეთა ისტორიები. ნაშრომი შეიცავს სათანადო ფოტო მასალას.</td></tr>
<tr><td></td><td>მაია ჭიჭილეი-შვილი (თანაავტორები: ნინო ინაი-შვილი, მერაბ ხალვაში, გიორგი ჯანბერიძე)</td><td>აჭარის საგანძური (კატალოგი აჭარის სახელმწიფო მუზეუმებში დაცული მასალების მიხედვით)</td><td>თბილისი, გამომც. “სეზანი” (სეზანი სტამბაა და არა გამომცემლობა)</td><td>199</td></tr>
<tr><td colspan="5">ანოტაცია<br>ალბომი (კატალოგი) წარმოადგენს სამეცნიერო მონაცემებზე დაფუძნებულ გამოცემას, რომელშიც წარმოჩენილია აჭარის</td></tr>
</table>

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| იტორიული განვითარების ეტაპები მუზეუმებში დაცული ის-ტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული მასალების, კულტურისა და ხელოვნების ნიმუშების მიხედვით. | | | | |
| | **ირინე ვარშალომიძე** (ი. ფაღავას და ს.თურქიას თანაავტორობით) | **არაბული მონეტე-ბის განძი ხელვა-ჩაური-დან,** (ნაშრომს მთლია-ნად ეთმობა "ზა-თუმის არქეოლო-გიური მუზეუმის შრომების" VI ტ.) | თბილისი, გამომც. "ივერიონი" | გადაცე-მულია დასაბეჭ-დად |
| ანოტაცია<br>ნაშრომში შესწავლილია 2003 წელს ხელვაჩაურის მუნიცი-პალიტეტის სოფელ კაპანდიბში შემთხვევით აღმოჩენილი არა-ბული მონეტების განძი. მოცემულია 150 მონეტის ატრიბუცია, ემისიის წლები, სამონეტო ტიპები, ნომინალები და ზარაფ-ხანები. დადგენილია განძის ტეზავრაციის დრო, მიზეზები, სამონეტო მიმოქცევის ხასიათი და არაბული მონეტების როლი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. გამოთქმულია ახალი მოსაზრებები არაბული ფულის დასავლეთ საქართველოში ფართოდ გამოყენების შესახებ. | | | | |

კრებულები

| | ავტორი/ ავტორები | კრებულის სახელწოდება | გამოცემის ადგილი, გამომცემ-ლობა | გვერ-დების რაოდე-ნობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ავტორთა კოლექტივი | **„ჩვენი სულიერების ბალავარი“** (საერთა- | თბილისი, გამომც. | 441 |

<table>
<tr><td></td><td></td><td>შორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ტ. VII</td><td>“უნივერსალი”</td><td></td></tr>
<tr><td colspan="5">ანოტაცია<br>საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული – „ჩვენი სულიერების ბალავარი, ტ.VII” – ჩვეულებისამებრ, დაინტერესებულ მკითხველს მრავალფეროვან ინფორმაციას მიაწვდის ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის, რელიგიისა და კულტურის, ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტობის, კულტურათა დიალოგის, სწავლებისა და აღზრდის და სხვა საყურადღებო საკითხებზე, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ადამიანთა სულიერების ფორმირებაში.</td></tr>
<tr><td>2</td><td>ავტორთა კოლექტივი</td><td>“ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში” (სელიმ ხიმშიაშვილის გმირული თავგანწირვიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)</td><td>ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”</td><td>159</td></tr>
<tr><td colspan="5">ანოტაცია<br>სელიმ ხიმშიაშვილის გმირული თავგანწირვიდან 200 წლისთავისადმიმიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული “ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქარ-</td></tr>
</table>

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **თველოში”** მკითხველს მოუთხრობს აღნიშნულ პერიოდში ხიმშიაშვილთა საგვარეულოს მეთაურობით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მიმდინარე ანტიოსმალური ბრძოლებისა და სელიმისა და მისი შთამომავლების მოღვაწეობის შესახებ. კრებულში, ასევე, წარმოდგენილია კონფერენციის მონაწილეთა მისალმებები და საზეიმო სიტყვები. | | | | |
| 3 | ავტორთა კოლექტივი | **„ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“** (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ტ. VI | თბილისი, გამომც. “ჯეოპრინტი” | 392 |
| ანოტაცია<br>საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებულის – **„ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა, ტ.VI“** – თემატიკა, ტრადიციულად, მრავალფეროვანია. სტატიები ეხება და შეისწავლის როგორც ბათუმის ისტორიას, არქეოლოგიას, ეთნოლოგიას, არქიტექტურას, ტოპონიმიას, ისე ქალაქის თანამედროვე ყოფის, კულტურის, ტურიზმის, კონფესიური ვითარებისა და დემოგრაფიის საკითხებს. ეს ხელს შეუწყობს ქალაქის მომავალ ურბანულ განვითარებას, პატრიოტული ქალაქური ცნობიერების გაფართოებას, ისტორიის დაზუსტებასა და დღევანდელობისათვის აუცილებელი იდეების მომწიფებას, დამუშავებასა და გავრცელებას. | | | | |

სტატიები

<table>
<tr><td>№</td><td>ავტორი / ავტო-რები</td><td>სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება</td><td>ჟურნ. /კრებ. ნომე-რი</td><td>გამოცემის ადგილი, გამომცემ ლო-ბა</td><td>გვ-რ-ბა</td></tr>
<tr><td>1</td><td>ბიჭიკო დიასა-მიძე</td><td>სხალთის ეპარქიის ისტორია XVI-XVII საუკუნეებიდან იწყება,<br>კრ.: „ჩვენი სულიე-რების ბალავარი“ (საერთაშორისო სა-მეცნიერო კონფე-რენციის მასალები)</td><td>VII</td><td>თბილისი, გამომც. “უნივერ-სალი”</td><td>109-115</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>სტატიაში წერილობითი წყაროს დამოწმებით და სხვა არ-გუმენტების მოშველიებით, დასაბუთებულია, რომ სხალთის ეპარქიის ისტორია იწყება არა XXI საუკუნის დასაწყისიდან, არამედ XVI საუკუნის ბოლოდან მაინც.</td></tr>
<tr><td>2</td><td>“-------”</td><td>აჭარისწყლის ხეობა პირველი მსოფლიო ომის წლებში. უსა-მართლო ბრალდე-ბა,<br>კრ.: “პირველი მსოფლიო ომი და საქართველო” (საერთაშორისო სა-მეცნიერო კონფე-</td><td></td><td>ქუთაისი, “აკაკი წე-რეთლის სახელმწი-ფო უნი-ვერ-სიტე-ტის გამომცემ-ლობა”</td><td>84-94</td></tr>
</table>

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | რენციის მასალები) | | | |
| ანოტაცია<br>სტატიაში წერილობითი წყაროების, მემუარული ლიტერატურისა და თვითმხილველთა მონათხრობის დამოწმებით გადმოცემულია პირველი მსოფლიო ომის წლებში აჭარისწყლის ხეობაში ჯერ ოსმალო დამპყრობლების და შემდეგ რუს ჯარისკაცთა მიერ აქაური მოსახლეობის აკლება-აწიოკების შესახებ, დასაბუთებულია ე.წ. “აჭარელთა სახელმწიფო ღალატის” ხელოვნურად დაბრალება აქაური მოსახლეობისათვის. | | | | | |
| 3 | “-------” | **სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლა XVI-XVIII საუკუნეებში,** კრ.: “ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში” (სელიმ ხიმშიაშვილის გმირული თავგანწირვიდან 200 წლისთავისადმიმიძღვნილი საერთაშორის სამეცნიერო კონფერენციის მასალები) | | ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი” | 23-36 |
| ანოტაცია | | | | | |

<table>
<tr><td colspan="6">სტატიაში მოკლედ ნაჩვენებია განმათავისუფლებელი ბრძოლის ის ფორმები, რომელსაც იყენებდა ქართველი ხალხი ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ XVI-XVIII საუკუნეებში.</td></tr>
<tr><td>4</td><td>“-------”</td><td>აკაკი წერეთელი და XIX საუკუნის ბოლო მესამედის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები აჭარაში, კრ.: აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 100 წლისთაბისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები</td><td></td><td>ქუთაისი, “აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა”</td><td>გადაცემულია დასაბეჭდად</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>სტატიაში წერილობითი წყაროების გამოყენებითა და XIX საუკუნის ბოლო მესამედის აჭარაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების, აქ გატარებული კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების გაანალიზების საფუძველზე ნაჩვენებია აკაკი წერეთლის აქტიური მონაწილეობა მათში.</td></tr>
<tr><td>5</td><td>“-------”</td><td>სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლნი (სელიმ ხიმშიაშვი-</td><td>XI</td><td>ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწი</td><td>8-19</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td></td><td>ლი და მისი შთა-<br>მომავლები),<br>კრ.: ბსუ-ს ნიკო<br>ბერძენიშვილის<br>ინსტიტუტის<br>შრომები</td><td></td><td>ფო უნივე-<br>რსიტეტი”</td><td></td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>სტატიაში წერილობითი წყაროებისა და სამეცნიერო ლიტე-რატურის დამოწმებით ნაჩვენებია სელიმ ხიმშიაშვილის, მისი შვილების: ახმედის, აბდის და ქორხუსეინის, აგრეთვე, შვილი-შვილების: სელიმ უმცროსის, შერიფ და ნური ხიმშიაშვილების ბრძოლა ოსმალთაგან სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს განთა-ვისუფლებისათვის.</td></tr>
<tr><td>6</td><td>“-------”</td><td>მთიანი აჭარის სო-<br>ფელი – პრობლემე-<br>ბი და პერსპექტი-<br>ვები,<br>კრ.: ბსუ-ს ნიკო<br>ბერძენიშვილის<br>ინსტიტუტის<br>შრომები</td><td>XI</td><td>ბათუმი,<br>გამომც.<br>“ბათუმის<br>შოთა რუს-<br>თაველის<br>სახელმწი<br>ფო უნივე-<br>რსიტეტი”</td><td>295-<br>303</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>სტატიაში ნაჩვენებია ერთ-ერთი სოფლის (კვიახიძეები) სო-ციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობა, აქაური მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვის მასალე-ბის ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია ახალგაზრდო-ბისაგან სოფლის დაცლის მიზეზები და ამ პროცესის შეჩერების მიზნით ჩამოყალიბებულია რჩევები და რეკომენდაციები.</td></tr>
<tr><td>7</td><td>“-------”</td><td>მუჰაჯირობა ბა-</td><td>VI</td><td>თბილისი,</td><td>60-</td></tr>
</table>

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **თუმ-ქობულეთის მხარეში სერგეი მესხისადა ალექ-სანდრე ფრენკელის მიხედვით,** კრ.: „ბათუმი – წარ-სული და თანამედ-როვეობა“ (საერთა-შორისო სამეცნი-ერო კონფერენციის მასალები) | | გამომც. “ჯეოპ-რინტი” | 68 |
| ანოტაცია<br>სტატიაში წარმოდგენილია სამეცნიერო ლიტერატურაში გა-ზიარებული თვალსაზრისი საერთოდ მუჰაჯირობის, როგორც მოვლენის, მიზეზების შესახებ, ამასთან, თვითმხილველ ავ-ტორთა მონაცემების გაანალიზებით გაგეთებულია დასკვნა, რომ აჭარაში მუჰაჯირობის მთავარი მიზეზი ოსმალეთისა და რუსეთის სახელმწიფოთა მხრივ გატარებული სოციალურ-ეკო-ნომიკური პოლიტიკა იყო. | | | | | |
| 8 | **უჩა ოქრო-პირიძე,** (თანა-ავტორი ზურაბ ოქრო-პირიძე) | **მღვდელმონაზონ ლეონოდეს მისი-ონერული საქმი-ანობა,** კრ.: „ჩვენი სულიე-რების ბალავარი“ (საერთაშორისო სა-მეცნიერო კონფე-რენციის მასალები) | VII | თბილისი, გამომც. “უნივერ-სალი” | 236-241 |
| ანოტაცია | | | | | |

<table>
<tr><td colspan="6">ნაშრომში მოთხრობილია მღვდემონაზონ ლეონიდეს მისიონერული საქმიანობის შესახებ ჩრდილოეთ კავკასიაში, საიგილოში, საქართველოს მთიანეთში თუ სხვა რეგიონებში.</td></tr>
<tr><td>9</td><td>უჩა ოქროპირიძე</td><td>ეროვნული მორაობის ისტორიიდან საქართველოში 1977-1987 წლებში, ინტერნეტ-ჟურნალი “ამირანი” (კავკასიოლოგიის საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუტის მოამბე)</td><td>№27</td><td>მონრეალი-თბილისი, (ინტერნეტმისამართი: http://www.caucasology.com/amirani–geo.php?cat=27</td><td>156-193</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>ნაშრომში მოცემულია საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის ამსახველი დღემდე შედარებით ნაკლებად ცნობილი მასალები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც გაკეთებულია სათანადო დასკვნები საქართველოში 1977-1987 წლებში მიმდინარე პროცესების შესახებ.</td></tr>
<tr><td>10</td><td>“-------”</td><td>ქართველი მღვდელმთავრები და აჭარა, ჟურნ. “ჭოროხი”</td><td>№3</td><td>ბათუმი, “გამომცემლობა აჭარა”</td><td>101-104</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>სტატიაში მოთხრობილია ქართველ მღვდელმთავართა მიერ აჭარის სამშობლოსთან დაბრუნებისა და შემდეგაც მის მიმართ გამოჩენილი დიდი ყურადღებისა და მზრუნველობის შესახებ.</td></tr>
<tr><td>11</td><td>“-------”</td><td>ეროვნული მორაობის ისტორიიდან</td><td>№4</td><td>ბათუმი, “გამომ-</td><td>65-90</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td></td><td>საქართველოში 1977-1987 წლებში, ჟურნ. “ჭოროხი”</td><td></td><td>ცემლობა აჭარა”</td><td></td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>ნაშრომში მოცემულია საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის ამსახველი დღემდე შედარებით ნაკლებად ცნობილი მასალები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც გაკეთებულია სათანადო დასკვნები საქართველოში 1977-1987 წლებში მიმდინარე პროცესების შესახებ.</td></tr>
<tr><td>12</td><td>“-------”</td><td>ჰორიზონტს იქით სიცოცხლე გრძელდება (აბუსერისძე ტბელის პრემიის ლაურეატები), ჟურნ. “ჭოროხი”</td><td>№6</td><td>ბათუმი, “გამომცემლობა აჭარა”</td><td>გადაცემულია დასაბეჭდად</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>სტატია ეძღვნება აბუსერისძე ტბელის პრემიის ლაურეატებს. თუ ვის და რა დამსახურებისათვის მიენიჭა აღნიშნული პრემია.</td></tr>
<tr><td>13</td><td>“-------”</td><td>„კეთილგვაროვანი ოქროპირიძენი“ (ოქროპირიძეთა გვარის წარმოშობის ისტორიიდან), კრ.: ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები</td><td>XI</td><td>ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”</td><td>225-236</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია</td></tr>
</table>

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნაშრომში ასახულია ზოგიერთი საინტერესო მომენტი ოქროპირიძეთა გვარის ისტორიიდან. | | | | | |
| 14 | “-------” | **ქალაქ ბათუმის პორტო-ფრანკოს წესდების პროექტი,** კრ.: „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები) | VI | თბილისი, გამომც. “ჯეოპრინტი” | 132-139 |
| ანოტაცია<br>სტატიაში მოცემულია ქალაქ ბათუმის პორტო-ფრანკოს წესდების პროექტის სრული თარგმანი რუსულიდან ქართულ ენაზე. | | | | | |
| 15 | **ოთარ თურმანიძე** | **ხიმშიაშვილები XIX საუკუნისპირველი ნახევრის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში,** კრ.: “ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში” | | ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი” | 54-65 |

<table>
<tr><td></td><td></td><td>(სელიმ ხიმშიაშვილის გმირული თავგანწირვიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)</td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>ნაშრომში განხილულია სელიმ ხიმშიაშვილის მემკვიდრეების პოლიტიკური საქმიანობა XIX საუკუნის პირველი ნახევრის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. შეფასებულია ახმედ, აბდი და ხუსეინ ხიმშიაშვილების პოლიტიკური ორიენტაცია და როლი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთა ბატონობისაგან გამოხსნაში.</td></tr>
<tr><td>16</td><td>“-------”</td><td>ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის ისტორია, კრ.: „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)</td><td>VI</td><td>თბილისი, გამომც. “ჯეოპრინტი”</td><td>91-111</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>სტატიაში განხილულია ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის დაარსებისა და განვითარების ისტორია. გაშუქებულია ქარხნის მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსურ-</td></tr>
</table>

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ეკონომიკური მდგომარეობა. | | | | | |
| 17 | “-------” | **ბათუმის ოლქის მეჯლისის ისტორი-ისათვის,** კრ.: „სამხრეთ-და-სავლეთ საქართვე-ლო (ისტორია, არქეოლოგია, ეთ-ნოლოგია)“ (საერ-თაშორისო სამეც-ნიერო კონფერენ-ციის მასალები), აჭარის მთავრობის საქვეუწყებო დაწე-სებულება – საარ-ქივო სამმართველო | V | თბილისი, გამომც. “უნივერ-სალი” | 288-309 |
| ანოტაცია<br>ნაშრომში შესწავლილია ბათუმის ოლქის მეჯლისის დაარ-სებისა და საქმიანობის ისტორია. შეფასებულია მეჯლისის რო-ლი უცხოელი მოძალადეების წინააღმდეგ ბრძოლასა და აჭარის ავტონომიის შექმნაში. | | | | | |
| 18 | “-------” | **ბათუმის სამასწავ-ლებლო ინსტიტუ-ტი 1935-1940 წლებ-ში,** კრ.: ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები | XI | ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუს-თაველის სახელმწი ფო უნივე-რსიტეტი” | 201-215 |

<table>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>სტატიაში განხილულია ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის დაარსებისა და განვითარების ისტორია. ნაჩვენებია მისი როლი პედაგოგიური კადრების მომზადებაში.</td></tr>
<tr><td>19</td><td>“-------”</td><td>ნიკო ბერძენიშვილი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ,<br>კრ.: ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები</td><td>XI</td><td>ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”</td><td>83-96</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>სტატიაში გაშუქებულია ბერძენიშვილის შეხედულება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ. ხაზგასმულია მის მიერ განვითარებული დებულებებისა და დასკვნების მნიშვნელობა თანამედროვე ეტაპზე.</td></tr>
<tr><td>20</td><td>მაია ჭიჭილეიშვილი</td><td>ბრინჯაოს საცეცხლური ქედის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან,<br>კრ.: “ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები” (ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი)</td><td>VI</td><td>თბილისი, გამომც. “უნივერსალი”</td><td>70-82</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>სტატიაში განხილულია ქედის მხარეთმცოდნეობის მუ-</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="6">ზეუმში დაცული ადრექრისტიანული ხანის ბრინჯაოს სარიტუალო ჭურჭელი, ჩამოსხმის წესით დამზადებული საცეცხლური, რომელზეც გამოსახულია სახარების 6 სცენა. საცეცხლურის მხატვრული გადაწყვეტა და იკონოგრაფიული თავისებურებები VI-VII საუკუნეების სირია-პალესტინური წარმომავლობის საღვთისმსახურო დანიშნულების ჭურჭელთან იჩენს მსგავსებას. აჭარის მაღალმთიანეთში ბრინჯაოს საცეცხლურის აღმოჩენა საქართველოსა და წმინდა მიწას შორის არსებული რელიგიურ-კულტურულ ურთიერთობების გამოხატულებაა.</td></tr>
<tr><td>21</td><td>“-------”</td><td>ქართული ხითხუროობის ტრადიციები აჭარის საკულტო ძეგლებში (ჯამეები),<br>კრ.: კულტურა და ხელოვნება: კვლევა და მართვა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)</td><td>I</td><td>თბილისი, გამომც. “უნივერსალი”</td><td>117-125</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>სტატიაში განხილულია ხის ჯამეებში გამოვლენილი ქართული ხალხური ხითხუროობის ტრადიციები, ჯამეების არქიტექტურული თავისებურებანი, რომლებიც ისლამის საკულტო არქიტექტურის კანონიკასა და უძველეს ქართულ სამშენებლო ტრადიციებს ეფუძნება.</td></tr>
<tr><td>22</td><td>“-------”</td><td>ძველი ბათუმის ქუჩები (დ. კლდიაშვილის ქუჩის</td><td>VI</td><td>თბილისი, გამომც. “ჯეოპ-</td><td>307-316</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td></td><td>განაშენიანება),<br>კრ.: „ბათუმი – წარ-<br>სული და თანამედ-<br>როვეობა“ (საერთა-<br>შორისო სამეცნიე-<br>რო კონფერენციის<br>მასალები)</td><td></td><td>რინტი”</td><td></td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>სტატიაში მიმოხილულია დ. კლდიაშვილის ქუჩის განაშენიანების კულტურული მემკვიდრეობა, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე განვითარებული ურბანული ქსოვილი, არქიტექტურისა და სივრცის თანაფარდობის, საცხოვრებელი სახლების მხატვრული გადაწყვეტის, თანამედროვე ურბანული პროცესების საკითხები.</td></tr>
<tr><td>23</td><td>სიმონ<br>გოგი-<br>ტიძე</td><td>ტერმინების ხაიასას<br>და აცის<br>წარმომავლობა და<br>მათი ურთიერთ-<br>მიმართება,<br>ჟურნ. “ჭოროხი”</td><td>№1</td><td>ბათუმი,<br>“გამომ-<br>ცემლობა<br>აჭარა”</td><td>99-<br>105</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში, ამ ნაშრომში მოხდა ხეთური ტოპონიმების ლოკალიზაცია, ეთნიკური კუთვნილება და მათი ურთიერთმიმართება.</td></tr>
<tr><td>24</td><td>“-------”</td><td>მუჰაჯირობა<br>კირნათის თემის<br>სოფლებში,<br>ჟურნ. “ჭოროხი”</td><td>№2</td><td>ბათუმი,<br>“გამომ-<br>ცემლობა<br>აჭარა”</td><td>94-<br>99</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="6">წერილობითი წყაროების, საარქივო მასალისა და ადგილზე შეკრებილი ცნობების მიხედვით ვლინდება რომ კირნათის სოფლებში 1877-1879 და 1914 წლებში შედგა მუჰაჯირობაი თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში: ტრაპზონში, ორდუში, ჩერჩამბეში, ეშმასა და სხვაგან. ამ პერიოდში კირნათი განადგურდა და სოფლიდან დაიკარგა მრავალი გვარი.</td></tr>
<tr><td>25</td><td>“-------”</td><td>კირნათის თემის მოსახლეობის ბრძოლა თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ, ჟურნ. “ჭოროხი”</td><td>№4</td><td>ბათუმი, “გამომცემლობა აჭარა”</td><td>91-100</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>როგორც აჭარის მრავალ სოფელში, ისე კირნათის თემის სოფლებშიც მიმდინარეობდა მოძალადეთა წინააღმდეგ აჯანყებები. წერილობითი ცნობებისა და ადგილზე შეგროვილი მასალების მიხედვით ვლინდება, რომ ადგილობრივებს ბრძოლა უხდებოდათ როგორც დამპრყობელთა, ისე ადგილობრივი ყაჩაღების, გოგო-ბიჭების ტაციობაში შემჩნეული პიროვნებების წინააღმდეგ.</td></tr>
<tr><td>26</td><td>“-------”</td><td>სახელწოდება ბათუმის წარმომავლობისათვის, კრ.: „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)</td><td>VI</td><td>თბილისი, გამომც. “ჯეოპრინტი”</td><td>43-52</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>ნაშრომში წარმოდგნელილია ჩვენს ისტორიოგრაფიაში არსებული ყველა შეხედულება ბათუმის ეტიმოლოგიის შესახებ. აქვეა ცდა ტოპონიმისა წარმომავლობის ახლებური ცდა, რომლის მიხედვით ბათუმის სახელწოდება დაკავშირებულია ადამიანის საკუთარ სახელთან ბატა, რომელიც მებრულში ნაზს ნიშნავს.</td></tr>
<tr><td>27</td><td>ოლეგ ჯიბაშვილი</td><td>პონტოელ ბერძენთა წიაღში ლაზთა ასიმილაციის საკითხისათვის,<br>კრ.: „ჩვენი სულიერების ბალავარი“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)</td><td>VII</td><td>თბილისი, გამომც. “უნივერსალი”</td><td>422-427</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>სტატიაში სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებისა და დოკუმენტური მასალების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ ე.წ. “პონტოელ ბერძნებს”, რომელთა რიცხვი დღეს მსოფლიოში სამ მილიონზე მეტია, ეთნიკური თვალსაზრისით, უმეტეს შემთხვევაში, ლაზურ-ქართული წარმომავლობა გააჩნიათ, და რომ საუკუნეების განმავლობაში რეგიონში მიმდინარე არასასურველმა ეთნო-რელიგიურმა პროცესებმა მათი თანდათანობითი ელინიზაცია გამოიწვია. გამოთქმულია იმედი, რომ საქართველოს ხელისუფლებისა და ეკლესიის ერთობლივი ძალისხმევა შესძლებს აღადგინოს ქართული ეროვნული ცნობიერება საქართველოში მცხოვრებ ლაზ ქრისტიანთა შთამომავლებში, რომლებიც დღეს, სამწუხაროდ, ბერძნებად არიან ცნო-</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="6">ბილნი.</td></tr>
<tr><td>28</td><td>“-------”</td><td>ხიმშიაშვილთა საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის წლებში, კრ.: “ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში” (სელიმ ხიმშიაშვილის გმირული თავგანწირვიდან 200 წლისთავისადმიმიძღვნილი საერთაშორის სამეცნიერო კონფერენციის მასალები)</td><td></td><td>ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”</td><td>71-78</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>სტატიაში გაშუქებულია სელიმ ხიმშიაშვილის შთამომავალთა დიდი წვლილი XIX საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და აჭარის ოსმალთაგან გამოხსნის საშვილიშვილო საქმეში</td></tr>
</table>

<table>
<tr><td>29</td><td>ოლეგ ჯიბაშვილი (თანაავტორი ისტ. დოქტ. ხათუნა დიასამიძე)</td><td>აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამო ბათუმში,<br>კრ.: „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)</td><td>VI</td><td>თბილისი, გამომც. “ჯეოპრინტი”</td><td>204-213</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>სტატიაში გაშუქებულია 1909 წლის 14 იანვარს ბათუმში ჩატარებული აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამო, რომელიც იყო დამაგვირგვინებელი ღონისძიება საქართველოში 1908 წლის დეკემბერსა და 1909 წლის იანვარში მიმდინარე აკაკი წერეთლის მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღეებისა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღნიშნული დღესასწაულის საოცარი მასშტაბურობა და ნამდვილი სახალხო ხასიათი, გარკვეულწილად, უკავშირდებოდა 1907 წელს ილიას მკვლელობით გამოწვეულ ეროვნული ცნოებიერების გამძაფრებას ქართველ ხალხში. გავლებულია გარკვეული პარალელები აკაკის საიუბილეო დღეებსა და 1956 წლის 9 მარტის მოვლენებს შორის.</td></tr>
<tr><td>30</td><td>ოლეგ ჯიბაშვილი</td><td>ნიკო ბერძენიშვილის „ისტორიულ-არქეოლოგიური“ ექსპედიცია ჯავახეთში და ქართულ-სომხური ურთი-</td><td>XI</td><td>ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწი</td><td>97-113</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td></td><td>ერთობები,<br>კრ.: ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები</td><td></td><td>ფო უნივერსიტეტი”</td><td></td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>სტატიაში გაშუქებულია 1933 წელს ნიკო ბერძენიშვილის თაოსნობით ჯავახეთში მოწყობილი სამეცნიერო-სადაზვერვო ექსპედიცია. ნაჩვენებია ექსპედიციის მიერ ჯავახეთში გამოვლენილი საკმაოდ სერიოზული პრობლემები, რომლებიც უკავშირდებოდა 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ აქ გადმოსახლებული სომხების მცდელობას, მოეხდინათ მხარის არმენიზაცია და წაეშალათ აქ ქართული კვალი. მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა ისტორიისა და კულტურის ძეგლების განადგურებას და ჯავახეთის რეალური ისტორიის დამახინჯებას. მითითებულია, რომ ნ.ჯავახიშვილმა ბევრი ასეთი ფაქტი დააფიქსირა და სამეცნიერო საზოგადოებასაც გააცნო ექსპედიციის საანგარიშო მოხსენებით. ამ ნაბიჯით მკვლევარმა სააშკარაოზე გამოიტანა არსებული პრობლემები და საფუძველი შექმნა მათი აღმოფხვრისათვის.</td></tr>
<tr><td>31</td><td>ირინე ვარშალომიძე</td><td>ახალი ნუმიზმატიკური მასალა ბათუმის შემოგარენიდან,<br>კრ.: „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის</td><td>VI</td><td>თბილისი, გამომც. “ჯეოპრინტი”</td><td>69-71</td></tr>
</table>

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მასალები) | | | |

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ბათუმის შემოგარენში (განთიადში, მახოში, გონიოში) სხვადასხვა დროს გამოვლენილი ანტიკური, რომაული, ბიზანტიური ხანის ნუმიზმატიკური მასალა.დიდი ადგილი აქვს დათმობილი 2003 წელს ხელვაჩაურის სოფ. კაპანდიბში აღმოჩენილი არაბული მონეტების განძის განხილვას და მნიშვნელობის წარმოჩენას.

## II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

| | ავტორი/ ავტორები | სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება | ჟურნ. /კრებულის ნომერი | გამოცემის ადგილი, გამომცემლობა | გვერდების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | **ნინო ინაიშვილი** | **Archaeological Sites in Environment of Batumi** (არქეოლოგიური ძეგლები ბათუმის შემოგარენში), საერთაშორისო კონფერენციიის მასალები | | სტამბოლი, თურქეთი | გადაცემულია დასაბეჭდად |

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპი-

რეთის მთავარი არქეოლოგიური ძეგლები. აღნიშნული ძეგლების არქეოლოგიურმა შესწავლამ გამოავლინა, რომ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო და მისი მიმდებარე ტერიტორია დასახლებული იყო ადრე ბრინჯაოს ხანიდან. ყველა ნამოსახლარი მდებარეობდა მდინარეების შესართავებთან; ეს მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მათ განვითარებაში, რადგან მდინარეთა შესართავები ნავსადგურებად გამოიყენებოდა. ბერძნული კოლონიების გაჩენა ხსენებულ სანაპიროზე ძვ.წ. მე-6 საუკუნიდან დასტურდება. ქობულეთ-ფიჭვნარი იყო ყველაზე განვითარებული ურბანული სამოსახლო კლასიკურ და ელინისტურ ხანაში. სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე გონიო-აფსაროსმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა რომაულ ხანაში, ხოლო პეტრა-ციხისძირმა ბიზანტიურ პერიოდში. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ფიზიკურმა გეოგრაფიამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ის, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი პონტოს სამყაროს ნაწილი იყო და ამდენად, ბერძნული, რომაული და ბიზანტიური გავლენის სფეროში იყო მოქცეული.

## III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა:

ა) საქართველოში

| | მომხსენებელი/ მომხსენებლები | მოხსენების სათაური | ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი |
|---|---|---|---|
| 1 | **ბიჭიკო დიასამიძე** | **მუჰაჯირობა აჭარაში სერგეი მესხისა და ალექსანდრე ფრენკელის წერი-** | საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **„მუჰაჯირობა";** 29 იანვარი, ბსუ-ს ჰუმა- |

<table>
<tr><td></td><td></td><td>ლების მიხედვით</td><td>ნიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია<br>მოხსენებაში ნაჩვენები იყო სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებული თვალსაზრისი საერთოდ მუჰაჯირობის, როგორც მოვლენის, მიზეზების შესახებ, ამასთან, თვითმხილველ ავტორთა მონაცემების გაანალიზების საფუძველზე გაკეთებული იყო დასკვნა, რომ აჭარაში მუჰაჯირობის მთავარი მიზეზს ოსმალეთისა და რუსეთის სახელმწიფოთა მხრივ გატარებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა წარმოადგენდა.</td></tr>
<tr><td>2</td><td>“---------”</td><td>სხალთის ეპარქიის ისტორია XVI-XVII საუკუნეებიდან იწყება</td><td>საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჩვენი სულიერების ბალავარი” – VII;<br>17-18 აპრილი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია<br>მოხსენებაში წერილობითი წყაროს დამოწმებით და სხვა არგუმენტების მოშველიებით, გაკეთებული იყო დასკვნა, რომ სხალთის ეპარქიის ისტორია იწყება არა XXI საუკუნის დასაწყისიდან, არამედ XVI საუკუნის ბოლოდან მაინც.</td></tr>
<tr><td>3</td><td>“---------”</td><td>სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლა</td><td>სელიმ ხიმშიაშვილის ტრაგიკული აღსასრულიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეც-</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td></td><td>XVI-XVIII საუკუნეებში</td><td>ნიერო კონფერენცია “ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში”;<br>19 ივნისი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია<br>მოხსენებაში მოკლედ ნაჩვენები იყო განმათავისუფლებელი ბრძოლის ის ფორმები, რომელსაც იყენებდა ქართველი ხალხი ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ XVI-XVIII საუკუნეებში.</td></tr>
<tr><td>4</td><td>“---------”</td><td>მუჰაჯირობა ბათუმ-ქობულეთის მხარეში სერგეი მესხისა და ალექსანდრე ფრენკელის მიხედვით</td><td>საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა” – VI;<br>5-6 სექტემბერი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია<br>მოხსენებაში ნაჩვენები იყო სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებული თვალსაზრისი საერთოდ მუჰაჯირობის, როგორც მოვლენის, მიზეზების შესახებ, ამასთან, თვითმხილველ ავტორთა მონაცემების გაანალიზების საფუძველზე გაკეთებული იყო დასკვნა, რომ აჭარაში მუჰაჯირობის მთავარი მი-</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="4">ზეზს ოსმალეთისა და რუსეთის სახელმწიფოთა მხრივ გატარებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა წარმოადგენდა.</td></tr>
<tr><td>5</td><td>“---------”</td><td>ნიკო ბერძენიშვილი ადრეფეოდალური დასავლეთ საქართველოს ეკლესიის შესახებ</td><td>ნიკო ბერძენიშვილის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია;<br>19 მარტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია<br>მოხსენებაში წარმოდგენილი იყო ნიკო ბერძენიშვილის თვალსაზრისი და შეფასებები ადრეფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში ქრისტიანული ეკლესიის წარმოშობისა და სტატუსის შესახებ.</td></tr>
<tr><td>6</td><td>“---------”</td><td>სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლნი</td><td>საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის მამია დუმბაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია;<br>28-29 მაისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტო-</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td></td><td></td><td>რიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია<br>მოხსენებაში წერილობითი წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის დამოწმებით ნაჩვენები იყო სელიმ ხიმშიაშვილის, მისი შვილების: ახმედის, აბდის და ქორხუსეინის, აგრეთვე, შვილიშვილების: სელიმ უმცროსის, შერიფ და ნური ხიმშიაშვილების ბრძოლა ოსმალთაგან სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს განთავისუფლებისათვის.</td></tr>
<tr><td>7</td><td>“---------”</td><td>სელიმ ხიმშიაშვილის ხანა</td><td>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლისთავისა და სელიმ ხიმშიაშვილის გარდაცვალებიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება;<br>9 ივლისი, თბილისი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია<br>მოხსენებაში წარმოდგენილი იყო XVIII საუკუნის ბოლო და XIX საუკუნის პირველი ათწლეულების სოციალურ-პოლიტიკური ვითარება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და სელიმის ბრძოლა ამ მხარის ოსმალთაგან გათავისუფლებისათვის.</td></tr>
<tr><td>8</td><td>“---------”</td><td>აკაკი წერეთელი და XIX საუკუნის</td><td>აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175 და გარდა-</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td></td><td>ბოლო მესამედის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები აჭარაში</td><td>ცვალებიდან 100 წლისთაბისადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია;<br>22-23 სექტემბერი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია<br>მოხსენებაში წერილობითი წყაროების გამოყენებითა და XIX საუკუნის ბოლო მესამედის აჭარაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების, აქ გატარებული კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების გაანალიზების საფუძველზე ნაჩვენები იყო აკაკი წერეთლის აქტიური მონაწილეობა მათში.</td></tr>
<tr><td>9</td><td>უჩა ოქროპირიძე (თანამომხ სენებელი ზურაბ ოქროპირიძე)</td><td>მღვდელმონაზონ ლეონიდეს მისიონერული საქმიანობა</td><td>საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჩვენი სულიერების ბალავარი”– VII;<br>17-18 აპრილი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია<br>მოხსენებაში მოთხრობილია მღვდელმონაზონ ლეონიდეს მისიონერული საქმიანობის შესახებ ჩრდილოეთ კავკასიაში, საიგილოში, საქართველოს მთიანეთში თუ სხვა რეგიონებში.</td></tr>
<tr><td>10</td><td>უჩა ოქროპირიძე</td><td>“კეთილგვაროვანი ოქროპირიძენი”</td><td>საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკა-</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td></td><td>(ოროპირიმეთა გვარის წარმოშობის ისტორიიდან)</td><td>დემიის წევრ-კორესპოდენტის მამია დუმბაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია;<br>28-29 მაისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია<br>მოხსენებაში მოცემული იყო ოქროპირიმეთა გვარის წარმოშობის მოკლე შესაძლო ისტორია და ამ გვარის მომხსენებელი, დავით აღმაშენებლისეულად მიჩნეული, გუჯარის ნამდვილობის დამტკიცების ცდა.</td></tr>
<tr><td>11</td><td>“---------”</td><td>ქართველი მღვდელმთავრები და აჭარა</td><td>5 ივნისი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია<br>მოხსენებაში აღნიშნული იყო ქართველ მღვდელმთავართა მიერ აჭარის სამშობლოსთან დაბრუნებისა და შემდეგაც მის მიმართ გამოჩენილი დიდი ყურადღებისა და მზრუნველობის შესახებ.</td></tr>
<tr><td>12</td><td>“---------”</td><td>ქალაქ ბათუმის პორტო-ფრანკოს წესდების პროექტი</td><td>საერთაშორისო სამეცნიეროკონფერენცია „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა”–VI;</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td></td><td></td><td>5-6სექტემბერი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია<br>მოხსენებაში მოცემული და განხილული იყო ქალაქ ბათუმის პორტო-ფრანკოს წესდების პროექტის სრული თარგმანი რუსულიდან ქართულ ენაზე.</td></tr>
<tr><td>13</td><td>“---------”</td><td>საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში</td><td>11-12 დეკემბერი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია<br>მოხსენებაში კრიტიკულად არის განხილული საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ახლო წარსულთან დაკავშირებული ზოგიერთი თანამედროვე თურქი ავტორის არასწორი და მიუღებელი დებულებანი. გამოთქმულია მოსაზრება საქართველო-თურქეთის მომავალი მეგობრული ურთიერთსასარგებლო დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად, ჩვენი ამ ურთიერთობათა ნამდვილი ისტორიის შექმნის აუცილებლობის სასარგებლოდ.</td></tr>
<tr><td>14</td><td>ოთარ თურმანიძე</td><td>ხიმშიაშვილები XIX საუკუნის პირველი ნახევრის სამხრეთ-დასავლეთ საქართ-</td><td>სელიმ ხიმშიაშვილის ტრაგიკული აღსასრულიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეც-</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td></td><td>ველოს საზოგა-<br>დოებრივ პოლი-<br>ტიკურ ცხოვრება-<br>ში</td><td>ნიერო კონფერენცია<br>“ეროვნულ-განმათავის-<br>უფლებელი მოძრაობა<br>XIX საუკუნის სამხრეთ-<br>დასავლეთ საქართვე-<br>ლოში”;<br>19 ივნისი, ბათუმის<br>შოთა რუსთაველის<br>სახელმწიფო უნივერ-<br>სიტეტი</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია<br>მოხსენებაში განხილულ იქნა სელიმ ხიმშიაშვილის მემკვიდრეების პოლიტიკური საქმიანობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში სამხრეთ დასავლეთ სქართველოში. შეფასებულია აბდი, ახმედ და ხუსეინ ხიმშიაშვილების პოლიტიკური ორიენტაცია და მათი როლი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთა ბატონობისაგან გამოხსნაში.</td></tr>
<tr><td>15</td><td>“---------”</td><td>ბათუმის<br>საყოფაცხოვრებო<br>მანქანათსაშენი<br>ქარხნის ისტორია</td><td>საერთაშორისო სამეც-<br>ნიერო კონფერენცია<br>„ბათუმი – წარსული და<br>თანამედროვეობა” – VI;<br>5-6 სექტემბერი, ბათუ-<br>მის შოთა რუსთაველის<br>სახელმწიფო უნივერ-<br>სიტეტი</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია<br>მოხსენებაში გაშუქდა ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანასაშენი ქარხნის ისტორია. განხილულ იქნა ქარხნის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ფინანსურ-ეკონომიკური მდგომა-</td></tr>
</table>

| | | | |
|---|---|---|---|
| რეობა. | | | |
| 16 | “---------” | **ბათუმის ოლქის მეჯლისის ისტორიისათვის** | საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **„სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია)“;** 18-19 სექტემბერი; ბათუმი, აჭარის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება–საარქივო სამმართველო |
| ანოტაცია<br>მოხსენებაში გაშუქდა ბათუმის ოლქის მეჯლისის დაარსებისა და საქმიანობის ისტორია. შეფასდა მეჯლისის როლი უცხოელი მოძალადეების წინააღმდეგ ბრძოლაში და აჭარის ავტონომიის შექმნაში. | | | |
| 17 | “---------” | **ნიკო ბერძენიშვილი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ** | ნიკო ბერძენიშვილის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია; 19 მარტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| ანოტაცია<br>მოხსენებაში გაშუქდა ნიკო ბერძენიშვილის შეხედულება რუსეთ-საქართველოს ურთერთბის შესახებ. ხაზგასმულია | | | |

<table>
<tr><td colspan="4">მისი დებულებებისა და დასკვნების მნიშვნელობის შესახებ თანამედროვე ეტაპზე.</td></tr>
<tr><td>18</td><td>“---------”</td><td>სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ</td><td>ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავისადმი მიძღვნილისამეცნიერო კონფერენცია;<br>14 მაისი,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია<br>მოხსენებაში გაშუქდა მეორე მსოფლიო ომის შედეგად საქართველო შექმნილი საერთო მდგომარეობა, ქართველი მეცნიერების ბრძოლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის.</td></tr>
<tr><td>19</td><td>“---------”</td><td>მამია დუმბაძე დიმიტრი ბაქრაძის შესახებ</td><td>საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტის მამია დუმბაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია;<br>28-29 მაისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="4">მოხსენებაში განხილულ იქნა მამია დუმბაძის შეხედულება დიმიტრი ბაქრაძის შესახებ. ყურადღება გამახვილდა სახრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხებზე.</td></tr>
<tr><td>20</td><td>მაია ჭიჭილეიშვილი</td><td>ძველი ბათუმის ქუჩები (დავით კლდიაშვილის ქუჩის განაშენიანება)</td><td>საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა”–VI; 5-6 სექტემბერი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია<br>მოხსენებაში მიმოხილულია დ. კლდიაშვილის ქუჩის განაშენიანების კულტურულ მემკვიდრეობა, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე განვითარებული ურბანული ქსოვილი, საცხოვრებელი სახლების მხატვრულ-სტილისტური თავისებურებები, ძველი და თანამედროვე ქალაქის ურბანული პროცესები.</td></tr>
<tr><td>21</td><td>“---------”</td><td>ქართული ხითხუროობის ტრადიციები აჭარის საკულტო ძეგლებში (ჯამეები)</td><td>საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “კულტურა და ხელოვნება: კვლევა და მართვა”; 14-15 ნოემბერი, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია<br>მოხსენებაში განხილულია აჭარული ხის მეჩეთებში ასახული ქართულიხალხური ხითხუროობის ტრადიციები, ექსტერიერისა და ინტერიერის არქიტექტურული თავისებურე-</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="4">ბანი. ჩარმოჩენილია სამომავლო კვლევის პრობლემატიკა.</td></tr>
<tr><td>22</td><td>სიმონ გოგიტიძე</td><td>სახელწოდება ბათუმის წარმომავლობისათვის</td><td>საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა”–VI;<br>5-6 სექტემბერი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია<br>მოხსენებაში წარმოდგენილილია ჩვენს ისტორიოგრაფიაში არსებული ყველა შეხედულება ბათუმის ეტიმოლოგიის შესახებ. აქვეა ტოპონიმის წარმომავლობის ახლებური გააზრების ცდა, რომლის მიხედვით ბათუმის სახელწოდება დაკავშირებულია ადამიანის საკუთარ სახელთან ბატა, რომელიც მებრულში ნაზს ნიშნავს.</td></tr>
<tr><td>23</td><td>“---------”</td><td>ისტორიული გეოგრაფიის საკითხები ნიკო ბერძენიშვილის შრომებში</td><td>ნიკო ბერძენიშვილის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია;<br>19 მარტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი</td></tr>
<tr><td>24</td><td>“---------”</td><td>ხეთური წყაროების ტოპონიმები ხაიასა და აცი,</td><td>VII რესპუბლიკური სამეცნიერო სესია ონომასტიკაში;</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td></td><td>მათი კავშირი ქართველურ სამყაროსთან</td><td>23-24 აპრილი,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია<br>ხაიასა უნდა იყოს წარმომდგარი მეგრული სიტყვიდან ხაია, რაც ქართული იელის შესატყვისი მეგრული სახელია, რომელიც,ასევე, ადამიანის საკუთარ სახელს წარმოადგენდა, ხოლა -შა – ლაზური შობის გამომხატველი სუფიქსია, ხაიაშა ნიშნავს ხაიას შვილებს, შთამომავლობას.</td></tr>
<tr><td>25</td><td>“---------”</td><td>ხაიასა-აცის ეთნიკური კუთვნილება</td><td>საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტის მამია დუმბაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია;<br>28-29 მაისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია<br>ამ ქვეყნის ოლქების, ტომების და ქალაქების</td></tr>
</table>

| | | | |
|---|---|---|---|
| სახელწოდებების წარმომავლობის განსაზღვრისას გაირკვა ქართველური სამყაროსადმი მათი კუთვნილების საკითხი. | | | |
| 26 | **ოლეგ ჯიბაშვილი** | **პონტოელ ბერძენთა წიაღში ლაზთა ასიმილაციის საკითხისათვის** | საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **„ჩვენი სულიერების ბალავარი" – VII;** 17-18 აპრილი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| ანოტაცია<br>მოხსენებაში სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებისა და დოკუმენტური მასალების საფუძველზე გაკეთებული იყო დასკვნა, რომ ე.წ. "პონტოელ ბერძნებს", რომელთა რიცხვი დღეს მსოფლიოში სამ მილიონზე მეტია, ეთნიკური თვალსაზრისით, უმეტეს შემთხვევაში, ლაზურ-ქართული წარმომავლობა გააჩნიათ, და რომ საუკუნეების განმავლობაში რეგიონში მიმდინარე არასასურველმა ეთნო-რელიგიურმა პროცესებმა მათი თანდათანობითი ელინიზაცია გამოიწვია. გამოითქვა იმედი, რომ საქართველოს ხელისუფლებისა და ეკლესიის ერთობლივი ძალისხმევა შესძლებს აღადგინოს ქართული ეროვნული ცნობიერება საქართველოში მცხოვრებ ლაზ ქრისტიანთა შთამომავლებში, რომლებიც დღეს, სამწუხაროდ, ბერძნებად არიან ცნობილნი. | | | |
| 27 | "---------" | **ხიმშიაშვილთა საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობანი სამხრეთ-დასავლეთ საქარ-** | სელიმ ხიმშიაშვილის ტრაგიკული აღსასრულიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეც- |

<table>
<tr><td></td><td></td><td>თველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის წლებში</td><td>ნიერო კონფერენცია “ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის სამხრეთ-დასავლეთსაქართველოში”;<br>19 ივნისი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია<br>მოხსენებაში გაშუქებული იყო სელიმ ხიმშიაშვილის შთამომავალთა დიდი წვლილი XIX საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და აჭარის ოსმალთაგან გამოხსნის საშვილიშვილო საქმეში</td></tr>
<tr><td>28</td><td>ოლეგ ჯიბაშვილი<br>(თანამომხ. ისტ. დოქტორი ხათუნა დიასამიძე)</td><td>აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამო ბათუმში</td><td>საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა”–VI;<br>5-6 სექტემბერი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია<br>მოხსენებაში გაშუქებული იყო 1909 წლის 14 იანვარს ბათუმში ჩატარებული აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამო, რომელიც წარმოადგენდა დამაგვირგვინებელ ღონისძიებას საქართველოში 1908 წლის დეკემბერსა და 1909 წლის იანვარში</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="4">მიმდინარე აკაკი წერეთლის მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღეებისა. გამოითქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული დღესასწაულის საოცარი მასშტაბურობა და ნამდვილი სახალხო ხასიათი, გარკვეულწილად, უკავშირდებოდა 1907 წელს ილიას მკვლელობით გამოწვეულ ეროვნული ცნოებიერების გამძაფრებას ქართველ ხალხში. გაივლო გარკვეული პარალელები აკაკის საიუბილეო დღეებსა და 1956 წლის 9 მარტის მოვლენებს შორის.</td></tr>
<tr><td>29</td><td>ოლეგ ჯიბაშვილი</td><td>ნიკო ბერძენიშვილის „ისტორიულ-არქეოლოგიური“ ექსპედიცია ჯავახეთში და ქართულ-სომხური ურთიერთობები</td><td>ნიკო ბერძენიშვილის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია; 19 მარტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია<br>მოხსენებაში გაშუქდა1933 წელს ნიკო ბერძენიშვილის თაოსნობით ჯავახეთში მოწყობილი სამეცნიერო-სადაზვერვო ექსპედიცია. ნაჩვენები იქნა ექსპედიციის მიერ ჯავახეთში გამოვლენილი საკმაოდ სერიოზული პრობლემები, რომლებიც უკავშირდებოდა 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ აქ გადმოსახლებული სომხების მცდელობას, მოეხდინათ მხარის არმენიზაცია და წაეშალათ აქ ქართული კვალი. მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა ისტორიისა და კულტურის ძეგლების განადგურებას და ჯავახეთის რეალური ისტორიის დამახინჯებას. მიეთითა, რომ ნ.ჯავახიშვილმა ბევრი ასეთი ფაქტი დააფიქსირა და სამეცნიერო საზოგადოებასაც გააცნო</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="4">ექსპედიციის საანგარიშო მოხსენებით. ამ ნაბიჯით მკვლევარმა სააშკარაოზე გამოიტანა არსებული პრობლემები და საფუძველი შექმნა მათი აღმოფხვრისათვის.</td></tr>
<tr><td>30</td><td>“---------”</td><td>ლაზები ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II-ის სამსახურში</td><td>საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის მამია დუმბაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია;<br>28-29მაისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია<br>მოხსენება ეხებოდა მეფე ერეკლე II-ის მიერ სამთო-მეტალურგიული პოტენციალის აღდგენის მიზნით ფართოდ გაშლილ საქმიანობას, რომელშიც, ერეკლესავე ინიციატივით, აქტიურად იყვნენ ჩაბმული ოსმალეთიდან (გიუმიშხანეს სანჯაყიდან) გადმოსახლებული ე.წ. “პონტოელი ბერძნები”. სხვადასხვა მასალის მოშველიებით, დასაბუთდა მათი ქართულ-ლაზური წარმომავლობა და ხაზი გაესვა ლაზთა წვლილს XVIII საუკუნის ქართლ-კახეთის ეკონომიკური განვითარების საქმეში.</td></tr>
<tr><td>31</td><td>ირინა ვარშალომიძე</td><td>ახალი ნუმიზმატიკური მასალა</td><td>საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია</td></tr>
</table>

| | | | |
|---|---|---|---|
| | | ბათუმის შემოგა-რენიდან | **„ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა" – VI;** 5-6 სექტემბერი, ბათუ-მის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერ-სიტეტი |
| ანოტაცია<br>მოხსენებაშიგანხილული იყო ბათუმის შემოგარენში (გან-თიადში, მახოში, გონიოში) სხვადასხვა დროს გამოვლენილი ანტიკური, რომაული,ბიზანტიური ხანის ნუმიზმატიკური მასალა.დიდი ადგილი აქვს დათმობილი 2003 წელს ხელვა-ჩაურის სოფ.კაპანდიბში აღმოჩენილი არაბული მონეტების განძის განხილვას და მნიშვნელობას. | | | |

ბ) უცხოეთში

| | მომხსენებე-ლი/მომხსე-ნებლები | მოხსენების სათაური | ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი |
|---|---|---|---|
| 1 | **ნინო ინაიშვილი** | არქეოლოგიური ძეგლები ბათუმის შემოგარენში | საერთაშორისო სიმ-პოზიუმი საკრუიზო გემზე: „ქალაქი-პორტები ეგეოსიდან შავ ზღვამდე. შუა საუკუნეები – თანა-მედროვე კავშირები". ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო პრო-ექტის „ლიმენი. |

<table>
<tr><td></td><td></td><td></td><td>კულტურული პორ-ტები ეგეოსიდან შავ ზღვამდე“ ფარგლებში; 22.08-28.08.2015. ათენი-პირეოსი-ვოლოსი-ქიოსი-კონსტანცა-ბურგასი-სტამბული.</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია<br>პრეზენტაციაში განხილული იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მთავარი არქეოლოგიური ძეგლები. აღნიშნული ძეგლების არქეოლოგიურმა შესწავლამ გამოავლინა, რომ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო და მისი მიმდებარე ტერიტორია დასახლებული იყო ადრებრინჯაოს ხანიდან. ყველა ნამოსახლარი მდებარეობდა მდინარეების შესართავებთან; ეს მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მათ განვითარებაში, რადგან მდინარეთა შესართავები ნავსადგურებად გამოიყენებოდა. ბერძნული კოლონიების გაჩენა ხსენებულ სანაპიროზე ძვ.წ. VI საუკუნიდან დასტურდება. ქობულეთ-ფიჭვნარი იყო ყველაზე განვითარებული ურბანული სამოსახლო კლასიკურ და ელინისტურ ხანაში. სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე გონიო-აფსაროსმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა რომაულ ხანაში, ხოლო პეტრა-ციხისძირმა – ბიზანტიურ პერიოდში. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ფიზიკურმა გეოგრაფიამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ის, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი პონტოს სამყაროს ნაწილი იყო და, ამდენად, ბერძნული, რომაული და ბიზანტიური გავლენის სფეროში იყო მოქცეული.</td></tr>
</table>

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

| | შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით | პროექტის ხელმძღვანელი | პროექტის შემსრულებლები | დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი) |
|---|---|---|---|---|
| | **„ლიმენი. კულტურული პორტები ეგეოსიდან შავ ზღვამდე“** | პროექტის ორგანიზატორია ბიზანტიური და პოსტბიზანტიური ძეგლების ევროპული ცენტრი (თესალონიკი). საქართველოში პროექტი „ლიმენის“ ლიდერი ორგანიზაცია: გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ერო- | ნინო ნაიშვილი | ევროკავშირი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ვნული ცენტრი. ლიმენის ქართული ქსელის წევრი ორგანიზაციაა ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილი სინსტიტუტი | | |

ანოტაცია

არქეოლოგიური ძეგლების (ბათუმის ციხე, გონიო-აფსაროსი, პეტრა-ციხისძირი), ასევე მუზეუმების (ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი, ბათუმის ხელოვნების მუზეუმი, ძმები ნობელების სახელობის მუზეუმი) შესახებ ანოტაციების მომზადება და ქალაქის კულტურული მარშრუტების შექმნა. განთავსებულია საიტზე: www.limenproject.net

V. სხვა აქტივობები:

ბიჭიკო დიასამიძე

1. მონაწილეობა 17-18 ივლისს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მიერ ქედის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ, წლიური სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ საველე-სამეცნიერო ექსპედიციაში (ხელმძღვანელი – ბიჭიკო დიასამიძე).

2. მონაწილეობა 7-10 სექტემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ თურქეთის რესპუბლიკაში (შავშეთი-კლარჯეთი-ტაო) ჩატარებულ, წლიური სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ კომპლექსურ საველე-სამეცნიერო ექსპედიციაში (ხელმძღვანელი – როინ მალაყმაძე)

3. მონაწილეობა 10 ივლისს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ქოქოლეთში შემთხვევით აღმოჩენილი გვირაბის დაზვერვით ექსპედიციაში (ხელმძღვანელი – როინ მალაყმაძე)

4. მონაწილეობა სელიმ ხიმშიაშვილის გმირული თავგანწირვიდან 200 წლისთავის საიუბილეო დღეებში. შეხვედრები ქ. ბათუმის №1, №10, №22 სკოლების მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან. ჩატარდა ლექცია-საუბრები, ნაჩვენები იქნა ფილმი "სელიმ ხიმშიაშვილი – საქართველოს ეროვნული გმირი" (რეჟისორი – გივი ნახუცრიშვილი).

5. კონფერენციის ორგანიზება:

- სელიმ ხიმშიაშვილის ტრაგიკული აღსასრულიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "**ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში**" – **საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.**
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "**ჩვენი სულიერების ბალავარი** – **VII**" – **საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.**
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "**ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა** – **VI**"– **საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.**

6. რედაქტირება:

- **ჩვენი სულიერების ბალავარი** – **VII** (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბილისი, გამომც. "უნივერსალი", 442 გვ. – **მთავარი რედაქტორი.**
- **ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში** (სელიმ ხიმშიაშვილის ტრაგიკული აღსასრულიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ბათუმი,გამომც. "ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი", 159 გვ. – **მთავარი რედაქტორი.**
- **ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა** – **VI** (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბილისი, გამომც. "ჯეოპრინტი", 392 გვ. – **მთავარი რედაქტორი.**

7. რეცენზირება:

ვ. ლისოვსკი, ჭოროხის აუზი, თარგმნა რ. სურმანიძემ

| |
|---|
| **ნინო ინაიშვილი**<br><br>1. რეცენზირება:<br>• **ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა** – VI (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბილისი, გამომც. “ჯეოპრინტი”, 392 გვ. |
| **უჩა ოქროპირიძე**<br><br>1. მონაწილეობა 17-18 ივლისს ბათუმის შოთა რუს-თაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვი-ლის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფი-ლების მიერ ქედის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ, წლიური სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ საველე-სამეცნიერო ექსპედიციაში (ხელმძღვანელი – ბიჭიკო დიასამიძე). განყო-ფილების ხელმძღვანელთან შეთანხმებით, დაწერა ექსპე-დიციის სრული ანგარიში.<br><br>2. მონაწილეობა 7-10 სექტემბერს ბათუმის შოთა რუს-თაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვი-ლის ინსტიტუტის მიერ თურქეთის რესპუბლიკაში (შავ-შეთი-კლარჯეთი-ტაო) ჩატარებულ, წლიური სამუშაო გეგ-მით გათვალისწინებულ კომპლექსურ საველე-სამეცნიერო ექსპედიციაში (ხელმძღვანელი – როინ მალაყმაძე). მოპოვე-ბული მასალების საფუძველზე დაწერა ექსპედიციაში მის მიერშესრულებული სამუშაოს ანგარიში, რომელიც მოიცავს ფერადი სურათებით ილუსტრირებულ 15 თაბახის გვერდს. |

3. მონაწილეობა (როინ მალაყმაძესა და ოლეგ ჯიბაშვილთან ერთად) სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ ქ. ბათუმის სკოლების მოსწავლეებისათვის ორგანიზებულ ინტელექტუალურ თამაშებში **"სად? რა? როდის?"**, რომლებიც მიეძღვნა **"დავითობისა"** (ჩატარდა 9 თებერვალს) და **"თამარობის"** (ჩატარდა 14 მაისს) დღესასწაულებს – **ჟიურის წევრი.**

4. არის საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელაბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მიყავს ლექციების კურსი საქართველოს ისტორიაში (უძველესი დროიდან დღემდე).

5. კონფერენციის ორგანიზება:

- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "**ჩვენი სულიერების ბალავარი – VII" – საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.**
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **"ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა – VI"– საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.**

6. რედკოლეგიის წევრობა:

- **ჩვენი სულიერების ბალავარი** – VII (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბილისი, გამომც. "უნივერსალი", 442 გვ. – **სარედაქციო კოლეგიის წევრი.**
- **ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა** – VI (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბილისი, გამომც. "ჯეოპრინტი", 392 გვ. – **სარედაქციო კოლეგიის წევრი.**
- ინტერნეტ-ჟურნალი **"ამირანი"** (კავკასიოლოგიის

| |
|---|
| საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუტის მოამბე), მონრეალი-თბილისი, #26, #27 – **სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს წევრი.**<br>• თსუ-ს ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების შრომების კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“ – **სარედაქციო კოლეგიის წევრი.** |
| **ოთარ თურმანიძე**<br><br>1. მონაწილეობა 17-18 ივლისს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მიერ ქედის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ, წლიური სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ საველე-სამეცნიერო ექსპედიციაში (ხელმძღვანელი – ბიჭიკო დიასამიძე).გაკეთდა ჩანაწერები პოლიტიკური რეპრესიების შესახებ, რომელიც ქედის რაიონში განხორციელდა საბჭოთა ხელისუფლების დროს.<br><br>2. კონფერენციის ორგანიზება:<br>• საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “**ჩვენი სულიერების ბალავარი** – **VII” – საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.**<br>• საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **“ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა** – **VI”– საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.**<br><br>3. რედკოლეგიის წევრობა: |

- **ჩვენი სულიერების ბალავარი** – VII (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბილისი, გამომც. "უნივერსალი", 442 გვ. – **სარედაქციო კოლეგიის წევრი.**
- **ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა** – VI (საერ-თაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბილისი, გამომც. "ჯეოპრინტი", 392 გვ. – **სარედაქციო კოლეგიის წევრი.**

4. საგაზეთო სტატიები რუბრიკით ,,ტრაგიკული-37":

- **ყველაზე დიდი და გამაოგნებელი ბრალდება(ილიას ქათამაძე)** – გაზეთი ,,აჭარა" 2015.17.-21 იანვარი (N#6)
- **რისთვის დახვრიტეს სულეიმან ბეჟანიძე** – გაზეთი ,,აჭარა", 2015 24-26 იანვარი(#8).
- **ფალსიფიცირებული, დანაშაულებრივი ბრალდებით (ილიას მეგრელიძე)** – გაზეთი ,,აჭარა", 21-23 მარტი (#32).
- **რისთვის და როგორ ისჯებოდნენ რეპრესიების დროს ( ხასან ძნელაძე)** – გაზეთი ,,აჭარა", 2015, 16-17 აპრილი (#41).
- **შეთითხნილი ბრალდების მორიგი პერსონაჟი (მამუდ ყურშუბაძე)** – გაზეთი ,,აჭარა", 2015, 21-22 აპრილი (#43).
- **რა ჩაუთვალე დანაშაულად (გენჯლი და ისმაილ ბოლქვაძეები)** – გაზეთი ,,აჭარა", 2015, 25-27 აპრილი (#45).
- **აჯანყებული გლეხების მიმართ ლოიალობის გამო დაისაჯა (მემედ გოგიბერიძე)** – გაზეთი ,,აჭარა" 2015, 7-8 მაისი (#50).
- **კონტრრევოლუციური ლაყბობის ბრალდებით (ხუსეინ ნაკაიძე)** – გაზეთი ,,აჭარა" 2015, 23-25 მაისი (#57).
- **კონტრრევოლუციონერ ტროცკისტი (ხასან ლორთქი-ფანიძე)** – გაზეთი ,,აჭარა", 2015, 11 ივლისი (#78).
- **როგორ დაასრულა სიცოცხლე ინტელიგენციის ნიჭი-**

**ერმა წარმომადგენელმა (შაქირ შერვაშიძე)** – გაზეთი ,,აჭარა’’, 2015, 11-12 აგვისტო (#91).

**მაია ჭიჭილეიშვილი**

1. მონაწილეობა 17-18 ივლისს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მიერ ქედის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ, წლიური სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ საველე-სამეცნიერო ექსპედიციაში (ხელმძღვანელი – ბიჭიკო დიასამიძე).

2. მონაწილეობა 7-10 სექტემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ თურქეთის რესპუბლიკაში (შავშეთი-კლარჯეთი-ტაო) ჩატარებულ, წლიური სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ კომპლექსურ საველე-სამეცნიერო ექსპედიციაში (ხელმძღვანელი – როინ მალაყმაძე)

3. კონფერენციის ორგანიზება:

- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **“კულტურა და ელოვნება: კვლევა და მართვა” –ორგანიზატორი**.
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “**ჩვენი სულიერების ბალავარი** – **VII” – საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.**
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **“ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა** – **VI”– საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.**

4. რედაქტორობა და რედკოლეგიის წევრობა:

- რატი ჩიბურდანიძე, 70-იანელთა ქართული ფერწერა (ზოგადი ტენდენციები), თბილისი, გამომც. "უნივერსალი" – **რედაქტორი.**
- **"კულტურა და ხელოვნება: კვლევა და მართვა"** (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბილისი, გამომც. "უნივერსალი" – **სარედაქციო საბჭოს წევრი.**
- **ჩვენი სულიერების ბალავარი** – VII (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბილისი, გამომც. "უნივერსალი", 442 გვ. – **სარედაქციო კოლეგიის წევრი.**
- **ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა** – VI (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბილისი, გამომც. "ჯეოპრინტი", 392 გვ. – **სარედაქციო კოლეგიის წევრი.**

5. გრანტებში მონაწილეობა:

- 2014 -2015 წწ.– ევროკავშირის შავი ზღვის აუზის თანამშრობლობის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროექტი **"ლიმენი, კულტურული პორტები ეგეოსიდან შავ ზღვამდე" – შემსრულებელი**.

**სიმონ გოგიტიძე**

1. მონაწილეობა 17-18 ივლისს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მიერ ქედის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ, წლიური სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ საველე-სამეცნიერო ექსპედიციაში (ხელმძღვანელი – ბიჭიკო დიასამიძე).

2. მონაწილეობა 7-10 სექტემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ თურქეთის რესპუბლიკაში (შავშეთი-კლარჯეთი-ტაო) ჩატარებულ, წლიური სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ კომპლექსურ საველე-სამეცნიერო ექსპედიციაში (ხელმძღვანელი – როინ მალაყმაძე)

3. სამეცნიერო მივლინება სოფ. კირნათში მასალების მოპოვების მიზნით, რის საფუძველზეც მიმდინარეობს სოფ. კირნათის ისტორიის დამუშავება უძველესი დროიდან დღემდე. შესწავლილია სოფლის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, ტოპონიმიკის, დიალექტოლოგიის მნიშვნელოვანი საკითხები, აგრეთვე, აქაური გვარების, კირნათის სკოლისა და მისი მასწავლებლების ისტორიები.

4. მონაწილეობა სელიმ ხიმშიაშვილის გმირული თავგანწირვიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო დღეებში. შეხვედრები ქ. ბათუმის #1, #10, #22 სკოლების მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან. ჩატარდა ლექციასაუბრები, ნაჩვენები იქნა ფილმი "სელიმ ხიმშიაშვილი – საქართველოს ეროვნული გმირი" (რეჟისორი – გივი ნახუცრიშვილი).

5. კონფერენციის ორგანიზება:

- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "**ჩვენი სულიერების ბალავარი** – **VII" – საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.**
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **"ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა** – **VI"– საორგანიზაციო კომი-**

| |
|---|
| **ტეტის წევრი.**<br><br>6. რედაქტორობა და რედკოლეგიის წევრობა:<br>• ს. სამნიძე, მოვალეობად გადმოღვრილი მადლი, ბათუმი –**რედაქტორი.**<br>• **ჩვენი სულიერების ბალავარი** – VII (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბილისი, გამომც. "უნივერსალი", 442 გვ. – **სარედაქციო კოლეგიის წევრი.**<br>• **ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა** – VI (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბილისი, გამომც. "ჯეოპრინტი", 392 გვ. – **სარედაქციო კოლეგიის წევრი.** |
| **ოლეგ ჯიბაშვილი**<br><br>1. მონაწილეობა 17-18 ივლისს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მიერ ქედის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ, წლიური სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ საველე-სამეცნიერო ექსპედიციაში (ხელმძღვანელი – ბიჭიკო დიასამიძე). ექსპედიციას შეუერთდა 18 ივლისს.<br><br>2. მონაწილეობა სელიმ ხიმშიაშვილის გმირული თავგანწირვიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო დღეებში. შეხვედრები ქ. ბათუმის №1, №10, №22 სკოლების მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან. ჩატარდა ლექცია-საუბრები, ნაჩვენები იქნა ფილმი "სელიმ ხიმშიაშვილი – საქართველოს ეროვნული გმირი" (რეჟისორი – გივი ნახუცრი- |

შვილი).

3. მონაწილეობა უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამით ისტორიის სპეციალობის სტუდენტებისათვის 9-17 ივლისს გათვალისწინებულ საველე-ეთნოლოგიური პრაქტიკის ჩატარებაში. პრაქტიკული მუშაობა, ძირითადად, მიმდინარეობდასვანეთში (მესტია და მიმდებარე სოფლები). პრაქტიკის დასასრულს მოეწყო მესტია-თბილისის ტრასის გასწვრივ მდებარე საქართველოს ისტორიისა და კულტურის მნიშვნელოვანი ობიექტებისა (მათ შორის დადიანების სასახლე, ბაგრატის ტაძარი, მოწამეთა, სვეტიცხოველი, სამთავროს წმინდა ნინოს დედათა მონასტერი, ჯვარი და სხვ.) და აგრეთვე, ქართული ხუროთმოძღვრებისა და ყოფის ღია ცის ქვეშ არსებული მუზეუმის (ეთნოგრაფიული მუზეუმი, ქ. თბილი) დათვალიერება.

4. მონაწილეობა (როინ მალაყმაძესა და უჩა ოქროპირიძესთან ერთად) სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ ქ. ბათუმის სკოლების მოსწავლეებისათვის ორგანიზებულ ინტელექტუალურ თამაშებში **"სად? რა? როდის?"**, რომლებიც მიეძღვნა **"დავითობისა"** (ჩატარდა 9 თებერვალს) და **"თამარობის"** (ჩატარდა 14 მაისს) დღესასწაულებს – **ჟიურის წევრი.**

5. არის საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობისსასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მიყავს ლექციების კურსი საქართველოსისტორიაში (უძველესი დროიდან დღემდე).

6. კონფერეციის ორგანიზება:

- სელიმ ხიმშიაშვილის ტრაგიკული აღსასრულიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “**ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში” – საორგანიზაციო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი..**
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “**ჩვენი სულიერების ბალავარი – VII” – საორგანიზაციო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი.**
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **“ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა – VI”– საორგანიზაციო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი.**

7. რედაქტირება:

- **ჩვენი სულიერების ბალავარი – VII** (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბილისი, გამომც. “უნივერსალი”, 442 გვ. – **პასუხისმგებელი რედაქტორი.**
- **ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში** (სელიმ ხიმშიაშვილის ტრაგიკული აღსასრულიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ბათუმი,გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, 159 გვ. – **რედაქტორი.**
- **ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა – VI** (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბილისი, გამომც. “ჯეოპრინტი”, 392 გვ. – **პასუხისმგებელი რედაქტორი.**

**ირინე ვარშალომიძე**

1. კონფერენციის ორგანიზება:

- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "**ჩვენი სულიერების ბალავარი – VII" – საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.**
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **"ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა – VI"– საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.**

2. რედკოლეგიის წევრობა:

- **ჩვენი სულიერების ბალავარი** – VII (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბილისი, გამომც. "უნივერსალი", 442 გვ. – **სარედაქციო კოლეგიის წევრი.**
- **ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა** – VI (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბილისი, გამომც. "ჯეოპრინტი", 392 გვ. – **სარედაქციო კოლეგიის წევრი.**

ოლეგ ჯიბაშვილი,
ბიჭიკო დიასამიძე

# შუახევის მუნიციპალიტეტში ჩატარებული საველე ექსპედიციის ანგარიში

შიდამთიანი აჭარა, მისმი ცალკეული ხეობები (აკავრეთა-მერისის, ჭვანის, მარეთის, სხალთა-ხიხანის, ღორჯომისწყლის...) მდიდარია მატერიალური კულტურის ძეგლებით, რომელთა შესწავლა განსაკუთრებით გააქტიურდა XX საუკუნის 50-ანი წლების ბოლოდან, როცა 1958 წელს შეიქმნა ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. მართალია, მანამდეც ხდებოდა მათი დათვალიერება-აღწერა (ხ. ახვლედიანი, კ. რუსიძე...), 1962 წელს გამოიცა ი. სიხარულიძის ნაშრომი „აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები“, მაგრამ ამ მიმართულებით გეგმაზომიერი კვლევა 80-90-იან წლებში განხორციელდა და გამოიცა შ. მამულაძის მონოგრაფია (აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993). ამას მოჰყვა ამავე ავტორის მიერ 2000 წელს გამოცემული „აჭარისწყლის ხეობის ისტორიული კულტურის ძეგლები“, გამოქვეყნდა სხვა საინტერესო ნაშრომებიც, რომლებშიც ამ მიმართულებით არაერთი საკითხია შესწავლილი.

2013 წლიდან ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით ასრულებს სამეცნიერო-კვლევით პროექტს **„აჭარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები“**. პროექტის მიხედვით 2014 წელს გათვალისწინებული იყო შუახევის მუნიციპალიტეტის ისტორიულ-არქეოლოგიური, ეთნოლოგიური, ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური

შესწავლა. გეგმის შესაბამისად, 2014 წლის 11-13 სექტემბრისათვის მოეწყო ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიცია შუახევის მუნიციპალიტეტში (**ჭვანის** და **მარეთის** ხეობებში) შემდეგი მარშრუტით: **ბათუმი-ჭვანა-წყლისაყარი-შუახევი-უჩამბა-ტბეთი-შუახევი-ოლადაური-შუბანი-ბათუმი.**




ექსპედიციამ მიზნად დაისახა აღნიშნულ ხეობებში არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლების მონახულება, სადღეისო მდგომარეობის დაფიქსირება და დამატებითი ინფორმაციების მოპოვება მათზე; გარდა ამისა, ისტორიის თვალსაზრისით საინტერესო ახალი ობიექტების აღმოჩენა-აღნუსხვა, თქმულება-

გადმოცემების, ტოპონიმების, ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი და სხვა მასალების მოძიება-შეკრება.

**11 სექტემბერს**, დილის $9^{00}$ საათზე, ექსპედიციის მიკროავტობუსი უნივერსიტეტის ეზოდან გავიდა ჭვანის მიმართულებით. საექსპედიციო ჯგუფი შედგებოდა შემდეგი წევრებისაგან:

ექსპედიციის ხელმძღვანელი – **ბიჭიკო დიასამიძე** (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი);

მკვლევარი – **უჩა ოქროპირიძე** (ისტორიის დოქტორი, ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი),

მკვლევარი – **ოლეგ ჯიბაშვილი** (ისტორიის დოქტორი, ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი),

მკვლევარი – **რამაზ სურმანიძე** (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტის რექტორი)

ოპერატორი – **გივი ნახუცრიშვილი** (ინსტიტუტის სპეციალისტი),

მძღოლი – **რომან ბედინაძე**;

პირველი ობიექტი, რომელიც ექსპედიციამ მოინახულა, იყო ჭვანის ხეობაში მდებარე **ოთოლთას (ტაკიძეების,** იგივე **ჭვანის) ციხე.**

ციხესთან დაახლოებით $10^{30}$ საათზე ვიყავით. პირდაპირი ხაზით იგი სამანქანო გზიდან ცოტათია დაშორებული, მაგრამ აქვს საკმაოდ მაღალი მდებარეობა. ციხეზე რკინის მოაჯირებიანი, რკინა-ბეტონის ჩამოსხმული კიბით ავედით. კიბე ახალი

გაკეთებულია და ძალზე აადვილებს ციხემდე მისვლას, რაც იოლად მისაწვდომს ხდის მას ტურისტებისათვის. ეს კარგი წამოწყებაა. თუ ყველა ძეგლთან გაიოლდება მისვლა, ამასთანავე, უზრუნველყოფილი იქნება მათი საფუძვლიანი მოვლა-პატრონობა (ტერიტორიის დასუფთავება, ძეგლების დაცვა ხელყოფისაგან), ეს მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს შემეცნებითი თუ სხვა სახის ტურიზმის განვითარებაში, რაც, თავის მხრივ, დადებითად აისახება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე.



*ინფორმაცია:*

***ოთოლთას (ტაკიძეების,*** *იგივე* ***ჭვანის) ციხე*** *აღმართულია მდ. ჭვანისწყლისა და მის მარცხენა შენაკად ოთოლთისწყლის ხერთვისში, წინ წამოწეული მთავარანგელოზის მთის წვერზე. ადგილობრივი მოსახლეობა მას ციხიყელსაც უწოდებს. ციხიდან ოთხივე მხრივ კარგად ჩანს ვრცელი*

*ტერიტორია 25-30 კმ-ის მანძილზე. ფიქრობენ, რომ იგი აჭარისწყლის ხეობის საფორტიფიკაციო ნაგებობათა სისტემაში მთავარ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა და გადამწყვეტ როლს თამაშობდა ამ ხეობის დაცვის საქმეში. ციხის ფართობი 936 კვ.მ.-ს შეადგენს (უდიდესი სიგრძე – 52 მ, სიგანე – 18 მ). რთული რელიეფის გამო, ციხის წყლით უზრუნველყოფა ძნელი იყო, ამიტომ მშენებელთ ორი რეზერვუარი აუგიათ წვიმის წყლის დასაგროვებლად. ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია აგრეთვე ორი მარანი და ოთხი თონე. ასევე უნდა ითქვას, რომ ჭვანის ციხე, ერთი მხრივ, პირდაპირ უცქერის ჭვანისწყლისა და აჭარისწყლის ხეობების შესართავთან ხერთვისში არსებული კავიანისა და, მეორე მხრივ, ქვემო და ზემო აჭარის საზღვარზე არსებულ დანდალოს ციხეებს, რომლებიც, თავის მხრივ, აჭარისწყლის ხეობის ციხეთა ერთიანი სისტემის საკმაოდ მსხვილი ერთეულებია. ჭვანის ციხის ბუნებრივად უკეთ გამაგრებულ მხარეებს მისი აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი ნაწილები წარმოადგენს. მათგან აღმოსავლეთი და სამხრეთი მხარეები ფრიალო კლდით მდ. ჭვანისწყლამდე ეშვება. რაც შეეხება დასავლეთ მხარეს, მას ძირითადად დუღაბითა და ფლეთილი ქვით ნაგები მაღალი კედლები იცავს* ***[მამულაძე შოთა, აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993, გვ. 27-40].***

დღეისათვის ციხე საკმაოდ ცუდ მდგომარეობაშია. კედლები იშლება. ჩამოქცეულია მცირე გვირაბის ჭერი. როგორც კედლებზე, ისე ციხის ტერიტორიაზე ამოსულია მცენარეები, რაც აჩქარებს ნგრევის პროცესს. ამავე პროცესს, როგორც ჩანს, ხელს უწ-

ყობს აჭარისწყლისა და მისი შენაკადების ხეობებში მიმდინარე ჰიდრო-ელექტროსადგურების მშენებლობები და მათთან დაკავ-შირებული ბურღვა-აფეთქებები, მძიმე ტრანსპორტის ხშირი მოძრაობა და სხვ., რაც ქანების რყევებსა და, შესაბამისად, ძეგლების ნგრევის დაჩქარებას იწვევს. ვფიქრობთ, ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღების მიქცევა სჭირდება. წინააღმდეგ შემთხ-ვევაში, ისედაც მცირედ შემორჩენილი ციხეთა კედლები მალე მთლიანად ჩამოიშლება და მიწასთან გასწორდება, რაც გამოუს-წორებელი დანაკარგი იქნება როგორც საკუთრივ ჩვენი კუთხი-სათვის, ისე სრულიად საქართველოსათვის.




ციხის ტერიტორია მეტ ყურადღებას საჭიროებს დასუფთავების თვალსაზრისითაც. იგი დანაგვიანებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენებით. ასევე ნაგვითა და მიწით არის ამოვსებული ციხეში მდებარე, მიწაში დაფლული **ქვევრებიც**. ეს

ძეგლის განადგურებასაც უწყობს ხელს და მნახველზეც ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ოთოლთას ციხეზე დაახლოებით ერთი საათი დავყავით. ციხესა და მის გარემოს გადავუღეთ ფოტოები. აქედან საკმაოდ ლამაზი ხედები იშლება, რაც, ტურისტული თვალსაზრისით, მეტ მიმზიდველობას მატებს ციხეს.

დაახლოებით $11^{\underline{30}}$ საათზე ოთოლთას ციხე დავტოვეთ. რადგან ჭვანის გზა მასზე მიმდინარე სამუშაოების გამო გადაკეტილი იყო, გზა ხეობის სიღრმისაკენ ახალდაბის გავლით გავაგრძელეთ. გავიარეთ სოფლები **ახალდაბა, წყაროთა** და დაახლოებით $12^{\underline{10}}$ სთ-ზე მივედით სოფელ **ჭალაში.**



ჭალას ერთ-ერთი უბნის, **სამღორიას** ტერიტორიაზე მოვინახულეთ **წმ. სამების სახელობის** მშენებარე ეკლესია, რომლისთვისაც შერჩეულია შემაღლებული, მოხერხებული

მდებარეობის ადგილი. იგი სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე. წმ. სამების სახელობის ეკლესიის ქტიტორია ბიზნესმენი **სანდრო შარაშიძე**. იგი წარმოშობით ამავე სოფლიდანაა. დავათვალიერეთ ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია, გადავიღეთ ფოტოები.

***ინფორმაცია***

*არსებული მონაცემებით XVIII საუკუნის შუახანებისათვის ჭვანის ხეობაში 15-მდე ტაძარი იყო, რომლებიც ამავე საუკუნის ბოლომდე მთლიანად იქნა დანგრეული ოსმალების მიერ. იგივე ბედი ეწია სოფ, ჭალაში არსებულ ქათამაძეების საგვარეულო ეკლესიას, მიუხედავად იმისა, რომ მისი წინამძღვარი ზაქარია ქათამაძე დახმარებისთვის ახალციხის ფაშას ეახლა. ჭვანაში დაბრუნებულ ღვთისმსახურს სამლოცველო დანგრეული დახვდა. გაუტეხელ ჭვანელებს ეკლესიის ზარი, ჯვარი, ხატები და სხვა სიწმინდეები გადაემალათ. მღვდლებმა გადამალული სიწმინდეების გადარჩენაზე დაიწყეს ზრუნვა. ზოგი ხინოს ტაძარში, ზოგი კი გურიაში, შემოქმედის მამათა მონასტერში ფიქრობდა მათ გადაბრძანებას. სიწმინდეები აჭარა-გურიის შუამდებარე ქედის უღელტეხილზე გადაუტარებიათ. ჯვრისა და სხვა სიწმინდეებისათვის მიუმართავთ: „ჯვარო მიდიხარ, ჯვარო დაბრუნდებიო!“ ჯვრის პატივსაცემად ტერიტორიას „ჯვარი მინდორი“ დაარქვეს.*

*ჩვენს დროში, ღვთის წყალობით და შემწეობით, ჭალაში გამოჩნდა ქველმოქმედი და მეცენატი სანდრო (ალექსანდრე) შარაშიძე, რომელმაც ქათამაძეების სამკვიდროზე ტაძრის მშენებლობა წამოიწყო. იმ დღიდან აქ აღმართულ ჯვართან სანთლებს ანთებენ, სხალთის ეპარქიის მღვდელ-*

*მთავრის, მეუფე სპირიდონის და ბატონი სანდროს ნათლიის – სიონის ტაძრის წინამძღვრის მამა ამირანის ხელდასმით წირვა-ლოცვა აღევლინება. ალექსანდრე შარაშიძის ინიციატივით 2012 წლის 28 აგვისტოს გურიაში გადანახული სიწმინდეები ჭალაში, მშენებარე ტაძარში გადმოაბრძანეს. ინიციატივას მხარი დაუჭირეს და პროცესში მონაწილეობა მიიღეს შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა, სხალთის ეპისკოპოსმა მეუფე სპირიდონმა, თურქეთში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ ერეკლე დავითაძემ (ერდოღან შენოლი), საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელმა მათე ტაკიძემ, პროფ. რამაზ სურმანიძემ და სხვებმა. დიდი დრო აღარ რჩება იმ დღემდე, როცა ჭალაში ტაძრის ზარები აგუგუნდება.*
***[http://www.slideshare.net/amirankhimshiashvili/ss-6812525].***

ტოპონიმ სამღორიასთან დაკავშირებით პროფ. ბიჭიკო დიასამიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ იგი შესაძლებელია უკავშირდებოდა ამ მიდამოებში მეღორეობის განვითარებას.

დაახ. $12^{30}$ სთ-თვის გეზი ავიღეთ პროფ. რამაზ სურმანიძის მამისეული სახლისაკენ, რომელიც სოფ. ჭალაშივე, სამღორიას მომიჯნავე უბანში დგას. გზად ვნახეთ წითელ წიგნში შეტანილი ორი **რელიქტური ცაცხვის ხე**, რომლებიც გზისპირას, ღობესთან იდგნენ. როგორც გვითხრეს, 1800-იან წლებში ხეების მიმდებარე ტერიტორია ვაშაყმაძეებს ეკუთვნოდა, ახლა შარაშიძის ხელშია.



რამაზ სურმანიძის მამისეულ კარმიდამოში დღეს მისი ძმიშვილის ოჯახი ცხოვრობს. სახლი მდებარეობს ზღ.დ-დან 720 მ-ზე. ოციოდე წუთის შემდეგ გზა გავაგრძელეთ და $13^{10}$ სთ-ზე მივადექით იქვე ახლოს მდებარე წყაროს წყლის საგროვებელ **ქვის ავზს**. იგი 1869 წელს გაუკეთებიათ ერთ-ერთი აქაური გარდაცვ-

ლილი მანდილოსნის – **თოთოშა ბერიძე-ჭაღალიძისას** მიერ დატოვებული თანხით.



დაახ. $13^{20}$ სთ-ზე ბარათაულის წყალზე გადებულ რკინის ხიდთან ვიყავით. რ.სურმანიძის თქმით, ხიდი მამამისის ინიციატივით გაუკეთებიათ 1957 წელს. იგი ამ დროს სოფლის თავმჯდომარე იყო.

ცოტა ხანში სოფ. ვარჯანაულის ტერიტორიაზე შევედით. ბრილის გზის გასაყართან მომცრო ღელეზე გადამდგარი **წყლის წისქვილი** შეგვხვდა. ღელეს სახელი არა აქვს. წისქვილი ძირი-

თადად აგებულია ძველებური მეთოდით და წარმოადგენს ადგილობრივი ტრადიციული ხელოსნობის ერთგვარ ნიმუშს.

დაახ. 14$^{00}$ სთ-ზე შევჩერდით გზისპირას მდებარე **ვარჯა-ნაულის მეჩეთთან**. პროფ. რ.სურმანიძის განმარტებით, იგი, სავარაუდოდ, 1898-1899 წლებში უნდა იყოს აგებული. მეჩეთის ეზოში არის საკმაოდ კარგი შადრევანი, რომელიც 1909 წელს გაუკეთებიათ.



1949 წელს მეჩეთში საავადმყოფო განუთავსებიათ, რომელიც მხოლოდ 1985 წელს გადაიტანეს სპეციალურად ამ მიზნით აგებულ შენობაში. მეჩეთის მოპირდაპირე მხარეს, გზის გადაღმა,

დაახ. 1979-80 წწ. აფთიაქი გაუხსნიათ. შემდეგ იგი ჭვანის ცენტრში გადაიტანეს.

დავათვალიერეთ მეჩეთის შიდა ინტერიერი. გადავიღეთ ფოტოები. საინტერესოა, რომ როგორც აჭარაში არსებულ სხვა მეჩეთებში, აქაც ქართველი ოსტატების მიერ გაკეთებულ ორნამენტებში აშკარად ჩანს ქრისტიანობისდროინდელი ქართული სულიერი კულტურის კვალი.

მეჩეთიდან გზა **ვარჯანაულის (ჭვანის) თაღოვანი ხიდისაკენ** გავაგრძელეთ, რომელსაც დაახ. 14$^{30}$ სთ-ზე მივადექით. იგი ჭვანისწყლის შენაკად მდ. **ბარათაულის წყალზეა** აგებული. მდინარეთა ხერთვისი ხიდიდან საკმაოდ ახლოსაა. დაახლოებით 1980 წ.-თვის გვერდით გადეს რკინის ხიდი, რომელმაც ძველი ქვის თაღოვანი ხიდი ფაქტობრივად გადაფარა. ქვის ხიდი მიწითა და ბალახეულით დაფარული დაგვხვდა. აუცილებელია მისი გაწმენდა და სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარება.

***ინფორმაცია***

***ვარჯანაულის (ჭვანის) თაღოვანი ხიდი*** *აგებულია ბარათაულის წყალზე, რომელიც სოფ. ჭვანასთან ერთვის ჭვანისწყალს. მას ვარჯანაულის ხიდსაც უწოდებენ. იგი სელიმ ხიმშიაშვილის მეუღლეს – ელმას სურმანიძე-ხიმშიაშვილისას აუგია 1780 წელს თავისი მზითევის ხარჯით. ელმასი წარმოშობით აქაური იყო, სოფელ ჭალიდან. ასეთი ტიპის ნაგებობა ხეობაზე გამავალი გზის მნიშვნელობაზე მიუთითებს. ხიდი ყურადღებას იქცევს თაღის ქვების ნახევარწრიული, შესანიშნავი პროპორციულობის მქონე წყობით. ადგილი აქვს განიერი და ვიწრო პარალელური რიგების მონაცვლეობას. ასეთი წყობა ქვებისა აჭარის არც ერთ სხვა*

*ხიდზე არ გვხვდება. მისი საშუალებით ხუროთმოძღვარმა შედარებით უფრო მოხდენილი, ლამაზი ნაგებობა მიიღო.*



პროფ. რ.სურმანიძემ ჩვენი ყურადღება ერთ საინტერესო ფაქტზე გაამახვილა. კერძოდ, ბარათაულისწყლის შესართავთან ცოტა ზევით, ჭვანისწყალზე ადრე არსებულა **ხაბელაშვილების ხიდის** მსგავსი ხის დახურული ხიდი, რომელზეც ნახირი და სასაპალნე ცხენები მოძრაობდა. როცა 1950-იან წლებში ხეობაში სამანქანო გზების გაყვანა დაიწყეს, ხის ხიდი დაიშალა და მის ნაცვლად გაკეთდა რკინის კონსტრუქციის ხიდი. იგი ახლაც ფუნქციონირებს.

14$^{\underline{50}}$ სთ-თვის გზა **წყალსაყრის** მიმართულებით გავაგრძელეთ. გავიარეთ სოფლები: **ჭვანა, ცხემლისი**. ზღ. დ.-დან 620 მ-ზე ვართ. გზიდან ჩანს ჭვანისწყლის გაღმა მდებარე სოფ. **ცეკვა**. საინტერესო მომენტებსა და პეიზაჟებს ჩვენი ოპერატორი (გივი

ნახუცრიშვილი) ფოტოზე აფიქსირებს. გზადაგზა ხშირად გვხვდება პატარ-პატარა ნახირები, რომლებიც მთის იაილებიდან ბრუნდებიან სოფლებში. ეს იაილებია: **გომის მთა, მთაპატარა, მერიაყელი, ხარიათაღი** ...



დაახ. $15^{\underline{20}}$ სთ-ზე სოფ. **ხაბელაშვილების** ცენტრი გავიარეთ. სამიოდე წუთში მივადექით **ხევა-ღელეზე** გადებულ ხიდს. ეს მდინარე აძლევს სასმელ წყალს **ხიჭაურის** დასახლებას. ხიდიდან ხეობის სიღრმისაკენ დასახლება აღარ არის, წყალი სუფთაა.

გომის მთის ასახვევით სოფ. **ჟანივრისაკენ** გავემართეთ. ვნახეთ **მამა ნიკოლოზის (მელიქაძის) წყარო,** მას **კოლია და დურ-სუნ მელიქაძეების წყაროსაც** ეძახიან. წყარო ზღ. დ.-დან დაახ. 900 მ-ზე მდებარეობს.

უკან იმავე გზით დავბრუნდით, დაახ. $16^{\underline{00}}$ სთ-თვის ისევ ხევა-ღელეს ხიდთან მივედით, სადაც ცოტა წავიხემსეთ. აქედან

წამოსულებმა ტრანსპორტი სოფ. ხაბელაშვილების ცენტრში დავტოვეთ და ფეხით გავაგრძელეთ გზა სოფლის განაპირას მდებარე ე.წ. **მერეს ხიდისაკენ (იგივე ხაბელაშვილების დახურული ხის ხიდი).**




**ხაბელაშვილების დახურული ხის ხიდი** დაახლოებით 200 წლისაა. ნაშენებია მკვიდრად. იგი გადებულია ჭვანის-წყალზე. მდებარეობს დაახლოებით 660 მ-ზე ზღ. დონიდან. სხვათა შორის, აქაურები მხოლოდ ამ სახელით მდინარეს სოფ. ჭვანის შემდეგ მოიხსენიებენ, ჭვანამდე ნაღვარევის-წყალსაც ეძახიან. ხიდით მოსახლეობა აქტიურად სარგებლობდა სამანქანო გზების გაყვანამდე, თუმცა არც ახლა არის იგი უფუნქციოდ და ფეხით მოსიარულეები ყოველდღიურად გამოიყენებენ მას.

ხაბელაშვილების ხიდი აგებულია მუხის, წაბლის, ურთხელის მორებისაგან. დაახლოებით 25 მ სიგრძისაა. დაშენებულია

გათლილი ქვითა და ხის ძელებით კლდის საყრდენზე ამოყვანილ ბურჯებზე. მოაჯირის დიდ ნაწილს კრკილი აქვს გაჩენილი. მართალია, ხიდი ჯერ კიდევ დიდხანს გაძლებს, მაგრამ უკვე საჭიროა ჩაუტარდეს სამაშველო სამუშაოები, რათა მაქსიმალუ-რად შეჩერდეს განადგურების პროცესი და ჩვენი არქიტექტურის ეს მართლაც იშვიათი ნიმუში რაც შეიძლება დიდხანს შემორჩეს შთამომავლობას.



ხიდისა და გარეშემო ტერიტორიის ფოტოზე დაფიქსირების შემდეგ დავბრუნდით მიკროავტობუსთან და 17[20] სთ-ზე წამო-ვედით სოფ. ხაბელაშვილებიდან.

დაახლ. 18[10] სთ-ზე მივედით რ.სურმანიძის სახლთან. ვნახეთ ეზოსთან ახლოს მდებარე მისი დედ-მამისა და დის საფლავები. დავათვალიერეთ უბანი და გარემომცველი ბუნება. ჩამავალი

მზის შუქზე ტყეებით დაფარულმა ბუმბერაზმა მთებმა საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. ამასობაში სურმანიძეების ოჯახში ვახშამი გაგვიშალეს. ნავახშმევს ცოტა მოვისვენეთ, შემდეგ კი გადავედით სანდრო შარაშიძის სააგარაკო სახლში სამღორიას უბანში. აქაც გაგვიმასპინძლდნენ. ბევრი ვისაუბრეთ ხეობის წარსულსა და მომავალზე, არსებულ პრობლემებზე. ღამით აქვე დავრჩით.



დილით სახლის აივნიდან შესანიშნავი ხედი გადაიშალა. პირდაპირ მოჩანდა მშენებარე წმ. სამების ეკლესია, გარშემო მთები იყო შემოჯარული მწვანე კალთებზე შეფენილი სოფლებით. ამომავალი მზე, მთის გამჭირვალე ჰაერი, ბუნების ხმები – ყოველივე ეს ერთობლიობაში იდილიურ სურათს ქმნიდა.

შარაშიძეების აგარაკი შემაღლებულ ადგილზე დგას (ე.წ. **კოხები**). სახლთან ახლოს გაკეთებულია რკინა-ბეტონის რეზერვუარი, სადაც წყალი მოყვანილია 17 კმ-ის დაშორებით მდებარე **ბრტყელიას** მთიდან. ბრტყელიას წყაროს წყალი ცივი და გემრიელია. რეზერვუარის წყალს 12 ოჯახი იყენებს.

მეორე დღეს, **12 სექტემბერს**, ნასაუზმევს, დაახლ. $9^{00}$ სთ-ზე ჩვენი მიკროავტობუსი ბარათაულის გზით ჭალადან გომარდულისაკენ გაემართა. გავიარეთ **ზემო ხევი, ბარათაული** და დაახლ. $9^{35}$ სთ.-ზე **გომარდულში** ავედით. მივადექით **გომარდულის სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბაზას**, რომელიც ზღ.-ის დონიდან 1100 მ-ზე მდებარეობს. უფრო მაღლა გაკეთებულია 250 მ. სიგრძის სათხილამურო ტრასა თოვლში სრიალის მოყვარულთათვის, მოთხილამურეთა გადასაყვანად კი საბაგირო გზა. მშვენიერი ბუნებრივი პირობებით დაჯილდოებულ გომარდულის ზამთრის კურორტს კარგი პერსპექტივები აქვს, თუ, რა თქმა უნდა, სათანადო ყურადღება და ძალისხმევა კვლავაც იქნება.

სამთო-ტურისტული კომპლექსის მშენებლობა გომარდულში 2011 წელს დაიწყო. 2012 წელს 2 კოტეჯი გაიხსნა, რომელსაც საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაესწრო. იგი მხარს უჭერდა საქართველოში ტურიზმის განვითარებას და გომარდულის ტურისტულ კომპლექსსაც მისი ინიციატივით ჩაეყარა საფუძველი. დღეს (12.09.2014) აქ 5 ორსართულიანი კოტეჯია. თითოეულ კოტეჯში პირველი სართული დათმობილი აქვს საერთო დარბაზს და სამზარეულოს, მეორე სართულზე კი განთავსებულია 4 ნომერი. აქედან ორი ნომერი არის ორადგილიანი, ორი კი ოთხადგილიანი. კოტეჯები საკმაოდ კომფორტულია. ცალკე დგას რესტორნის ორსართულიანი, ხალვათი და კეთილმოწყობილი შენობა. კომპლექსს ერთდროულად 60 კაცის მიღება შეუძლია. თუმცა, ზამთარში კურორტზე უფრო

მეტი ტურისტიც შეიძლება ამოვიდეს, რომელთა ნაწილი კერძო სექტორში არსებულ საოჯახო სასტუმროებში განთავსდება.



კომპლექსის მენეჯერია **ბადრი ქათამაძე**. ზამთრის სეზონზე აქ დაახლოებით 28 კაცი დასაქმდება, ახლა კი მხოლოდ 3-4 ეწევა ყოველდღიურ საქმიანობას. ინფორმაცია გომარდულის საზამთრო კურორტის შესახებ **მერაბ დარჩიძემ** მოგვაწოდა, რომელიც კომპლექსში ზედამხედველად მუშაობს. კურორტს აშკარად გააჩნია საიმისო რესურსები, რომ მეტი ინვესტიციების ჩადების შემთხვევაში უფრო ხალხმრავალი და პოპულარული ტურისტული ცენტრი ფუნქციონირებდეს აქ. ადგილობრივი მოსახლეობისათვის ეს ნამდვილად ღვთის საჩუქარი იქნება და აქაური მკაცრი ზამთარი 2-3 მ თოვლის საფარით შემოსავლის წყარო გახდება მათვის და არა აქედან გაქცევის მიზეზი. ჯერ-ჯერობით კი ის ყურადღება, რაც გომარდულის სამთო-სათხილამურო კურორტს ექცევა სამთავრობო სტრუქტურებისა თუ ფინანსური

წრეების წარმომადგენლებიდან, სამწუხაროდ არ არის საკმარისი ზემოთ აღნიშნული მისიის შესასრულებლად. პირიქით, როგორც კომპლექსის თანამშრომლებთან საუბარში გაირკვა, ხელისუფ-ლების გულგრილი დამოკიდებულების გამო ბოლო ხანებში მდგომარეობა გაუარესდა და კომპლექსის მეურნეობაში ბევრი რამ მწყობრიდანაც გამოვიდა. ეს უკვე აისახა უარყოფითად აქ ჩამომსვლელ ტურისტთა რაოდენობაზე. საჭიროა ამ მიმართუ-ლებით სასწრაფოდ გატარდეს სათანადო ღონისძიებები.



*ინფორმაცია*

***კურორტი გომარდული*** *მდებარეობს შუახევის მუნიციპა-ლიტეტის ბარათაულის საკრებულოში. ნაღვარევისწყლის შენაკად ვანისწყლის მარცხნივ, ღორექედის სერის დასავ-ლეთ კალთაზე. სოფელს აღმოსავლეთით ესაზღვრება წან-*

*კალაური და თერნალი, სამხრეთით – წყაროთა და ჭალა, ჩრდილოეთით – ბარათაული, დასავლეთით ვანისწყლით გამოიყოფა ზემოხევისაგან. მანძილი ქ. თბილისამდე ბათუმი-რიკოთის გავლით – 472, გოდერძის უღელტეხილით ახალციხე-ბორჯომის გავლით კი 247 კმ-ია; რაც შეეხება მანძილს ხიჭაურამდე, ბარათაული-ჭვანას გავლით 18, ხოლო ღორჯედი-სხეფი-შუახევის გავლით 7.5 კმ-ია.*

*სოფლის ცენტრი ზღვის დონიდან 1080 მეტრზე მდებარეობს. ჰავა ზომიერი და რბილია. ზაფხულის საშუალო ტემპერატურა +22+27 გრადუსია, ზამთრისა – +5-7 გრადუსი, ზოგჯერ კი -10-15 გრადუსამდეც ეცემა. ნალექების რაოდენობა წლის განმავლობაში 900- დან 1400 მმ-მდე მერყეობს. ზამთრობით აქაურობა უხვთოვლიანობით გამოირჩევა. თოვა იწყება ნოემბერში და თოვლი აპრილის დასაწყისამდე დევს, მისი საფარის სიმაღლე ზოგჯერ 2-3 მეტრია. თოვლის ტენიანობა ცვალებადია: მშრალი და ფიფქოვანია ნოემბერ-იანვარში, ხოლო თებერვლის შუა რიცხვებიდან, დათბობის შედეგად, ტენიანდება.*

*სოფელი მდიდარია წყაროებითა და ჩამონადენი ღელეებით. თოვლის დნობისა და წვიმებისას, სოფლის თავში, წყაროპირის ტაფობში, ჩნდება ბუნებრივი ტბა. აქვე ახლოსაა ბაბანურისა და ბრტყელიას მინერალური წყლები. მოჰყავთ სიმინდი, სხვადასხვა ბოსტნეული, ბაღჩეული და ხილი, მრავლადაა კაკლის ხეები; ყველა ოჯახს ჰყავს მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, ბევრი მისდევს მეფუტკრეობას. სოფელში ფუნქციონირებს საჯარო სკოლა, კლუბი, ბიბლიოთეკა, სამედიცინო პუნქტი, მაღაზია. ღორჯედზე დგას სატელევიზიო და ფიჭური სატელეფონო ქსელის ანძა. სოფლისა და მისი შემოგარენის რელიეფი,*

*ჯანსაღი ჰავა, ზომიერი კლიმატი, მდიდარი მცენარეული საფარი და შესანიშნავი ხედები ხელსაყრელ პირობებს ქმნის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ზამთარ-ზაფხულ ინტენსიური ფუნქციონირებისათვის და სამთო კურორტის მოწყობისათვის.*

*2005 წლის ზამთარში გომარდულში პირველად ჩატარდა საცდელი სპორტულ-ტურისტული ღონისძიებები. მათში მონაწილეობა მიიღეს უკრაინის წარმომადგენლებმაც. მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აქაური ბუნების სილამაზემ. ინტენსიური ხასიათი გომარდულის ტურისტულ ათვისებას 2007 წლიდან მიეცა. იგი, როგორც მომავალი საზამთრო სპორტული ბაზა და პერსპექტიული სამთო კურორტი, მოექცა ხელისუფლების, მედიის, ბიზნესმენებისა და სპორტსმენების ყურადღების არეში. გაკეთდა პირველი კოტეჯები სპორტსმენების მისაღებად, შემოიზიდა სათანადო ინვენტარი და აღჭურვილობა, ამოქმედდა სათხილამურო ბაგირგზა. მოსახლეობამ დაიწყო სახლების კომფორტულად მოწყობა სპორტსმენებისა და ტურისტების მისაღებად, მაგრამ ადგილობრივთა თქმით, ბოლო ორ წელიწადში აქაურობას აღარაფერი შემატებია.*

დაახლ. 10[20] სთ-ზე გავედით გომარდულიდან, ხვეული გზით გავიარეთ სოფლების **წანკალაურისა** და **ღორექედის** ტერიტორიები და დაბა **შუახევის** მისადგომთან გავედით ცენტრალურ ტრასაზე. გომარდული აქედან 8 კმ-ით არის დაშორებული. ზემოდან დაშვებისას ქვევით მოჩანდა ხეობის საოცრად ლამაზი ხედი, ხოლო გზას გასწვრივ წიწვოვნების ჩაბურული ტევრი მიუყვებოდა.



გავიარეთ დაბა შუახევი და თორმეტის წუთებზე **ოქროპი-ლაურის** ციხეს მივადექით. შუახევიდან თან გამოგვყვა ცნობილი ჟურნალისტი, ბატონი **ოთარ ცინარიძე**, რომელსაც მარეთის ხეობაში უნდა ეკისრა ჩვენი მეგზურობა.

დავათვალიერეთ ციხე და მისი მიმდებარე ტერიტორია. გ.ნახუცრიშვილი აწარმოებდა ფოტო-გადაღებას. ოქროპილაურის ციხე ნანგრევების სახით არის მოღწეული, მაგრამ, შიდამთიანი აჭარის სხვა ციხეებთან შედარებით, ჯერ კიდევ საკმაოდ კარგად არის შემონახული. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ციხე დახმარებას არ საჭიროებს. გამაგრებითი სამუშაოების გარეშე იგი თანდათან სულ უფრო მეტად დაიშლება, რადგან ბუნებრივი მოვლენების გარდა, ამას დიდად უწყობს ხელს ჰესებთან დაკავ-შირებით ხეობაში მიმდინარე ფართო სამშენებლო სამუშაოები (აფეთქებების, მძიმე ტექნიკის მოძრაობისა და კლდეების გა-

ბურღვის შედეგად გამოწვეული ბიძგები, რასაც მალე ნესტიანობის ზრდაც დაემატება).



***ინფორმაცია***

***ოქროპილაურის (ყალაბოინის) ციხე*** *მდებარეობს მდინარეების _ ჩირუხისწყლისა და უჩამბისწყლის (ღომას) შესაყარში. ნაგებობა დაშენებულია საკმაოდ მაღალ კლდოვან ბორცვზე და ზემოდან დაჰყურებს ხეობებზე გამავალ გზებს, რომლებიც ისტორიული შავშეთის, იმერხევისა თუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა პროვინციებისაკენ მიემართება. ციხის გეგმა თვით რელიეფის თავისებურებითაა განპირობებული. მისი დიდი ნაწილი დანგრეულია. შედარებით კარგადაა შემორჩენილი სამხრეთ-აღმოსავლეთი მონაკვეთი. მისი სრულყოფილი შესწავლა დღემდე არ*

*მომხდარა. ზედაპირული დაზვერვების თუ სასინჯი მცირე თხრილების გავლების შედეგად, აღმოჩენილ იქნა მცირე არქეოლოგიური მასალა, რომელთა შორისაც ჭარბობს ქვევრების, დერგების, ქოთნების თუ სხვა ჭურჭლის ნატეხები, არის მოჭიქული კერამიკის ფრაგმენტებიც. ეს ნაგებობა დაახლოებით XI-XIII საუკუნეებით თარიღდება.*

11$^{30}$ სთ-ზე გეზი სოფ. **ცინარეთისაკენ** ავიღეთ. გზად მარეთის ხეობაზე ვსაუბრობთ. ო.ცინარიძემ საინტერესო ცნობები მოგვაწოდა, მაგ., მისი სიტყვით, ადრე ამბობდნენ **"ძიმაგულა"** და არა **"ძმაგულა"**, **"კიახიძიები"** და არა **"კვიახიძეები"**, რასაც პროფ. ზ.დიასამიძეც დაეთანხმა.

დაკლაკნილი გზით გავიარეთ **უჩამბისწყლის**, **გორახევის** (უჩამბისწყლის შენაკადი), **გუდნისწყლის**, **ქვაფთისწყლის** (ო.ცინარიძის თქმით უფრო სწორია **ტბეთისწყალი**) თვალწარმტაც ხეობებზე და 12 სთ-თვის სოფ. **ლაკლაკეთში** შევედით. რამდენიმე წუთში ფეხით შევუყევით **ცინარეთის ციხისაკენ** მიმავალ ბილიკს.

ციხის მისადგომთან საინფორმაციო აბრა დგას, რომლის ახლოს, მიწაში მოზრდილი **ქვევრია** დაფლული. მიწის ზედაპირზე ქვევრის ღია ყელი ჩანს.

ცინარეთის ციხე ძალიან დანგრეულია. აგებულია ქარაფოვან ადგილზე და, როგორც ჩანს, თავის დროზე ძალიან მიუდგომელი უნდა ყოფილიყო. ციხის ტერიტორიაზე არის მცირე მოვაკებული ადგილი, რომელსაც **კილდიკალო** (ანუ **კლდის კალო**) ეწოდება. გ.ნახუცრიშვილმა ფოტოებზე დააფიქსირა ციხის ახლანდელი მდგომარეობა.



***ინფორმაცია***

***ცინარეთის ციხე*** *მდებარეობს შუახევის მუნიციპალიტეტის სოფ. ცინარეთში, მარეთი-ჩირუხისწყლის მარცხენა შენაკად უჩამბისწყლის ხეობაში, შუახევი-ცინარეთის საავტომობილო გზის მარცხენა მხარეს, დაბა შუახევიდან 12 კმ-ის დაშორებით. ციხე-კოშკი საკმაოდ მაღალ მთაზეა აშენებული. დღეს მისგან მხოლოდ ნანგრევებიღაა შემორჩენილი. ადგილობრივ მოსახლეობას კლდის ბუნებრივი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოუყენებია. ციხის ფართობი 36-40 კვადრატული მეტრია) ციხის გალავნის ნაშთები შემორჩენილია ჩრ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მიზერული დათვალიერების შედეგად ციხისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოაჩინეს 1,5ტ. ლიტრაჟობის ქვევრი, რომელიც მიწაშია ჩაკირული, სავარაუდოდ საჭიროების შემთხვევაში წყლის მარაგს ინახავდნენ. ციხის ზედა ნაწილში დაცულია კლდეში ნაკვეთი დაახლოებით 150-200 ლიტრის ტევადობის წყლის რეზერვუარი. ციხიდან*

*შესაძლებელი უნდა ყოფილიყო მარეთის ხეობის, ოქროპილაურის, დარჩიძეების და თვით ხიხანის, ოთოლთასა და კავიანის ციხეებთან დაკავშირება და მათთან ერთად ხეობაში გამავალი სავაჭრო-საქარავნე გზების კონტროლი იყო. აგების თარიღად XI-XIIIO საუკუნეები ითვლება.*

ო.ცინარიძის გადმოცემით, ციხის სიახლოვეს გადიოდა დანდალო-კავიანის ციხიდან მომავალი შუასაუკუნეების საქარავნო გზა, რომელიც გადაივლიდა ღომას მთას, გადადიოდა იმერხევში და მიემართებოდა ართვინისაკენ.

ციხის ქვემოთ, პირდაპირ არის **ნაზარბაზნევის სერი** (ეკუთვნის **კვირიავლის** დასახლებას). ლეგენდის მიხედვით აქ იდგა თურქთა ჯარი და ციხეს ასაღებად უტევდა. ხანგრძლივი ალყის შემდეგ მეციხოვნეებს სურსათი შემოელიათ. მაშინ მათ კირი გადმოყარეს ციხის კედლებიდან. კირის თეთრი ფხვნილი თურქებმა შორიდან ფქვილად მიიჩნიეს, დარწმუნდნენ, რომ მეციხოვნეებს შიმშილით ვერ გატეხავდნენ და ალყა მოხსნეს.



ფეხით მოვიარეთ ციხის შემოგარენი. ულამაზესი ადგილებია. ქვევით, დიდ სივრცეზე მარეთის ხეობაა გადაჭიმული, რომელსაც ტყეებით დაფარული მთები შემოჯარვია. ქარაფებზე აღმართული ცინარეთის ციხის ნანგრევებიდან ყოველივე ეს ძალიან შთამბეჭდავად მოჩანს. ბევრი ტურისტი დარჩებოდა კმაყოფილი ამ ადგილებში მიღებული განცდებით.

დაახლ. 13[30] სთ-ზე ჩვენმა მიკროავტობუსმა გეზი სოფ. **წაბლანისაკენ** აიღო. გზად შემოგვიერთდა ჟურნ. **"ლაკლაკეთის"** რედაქტორი, ბატონი შალვა ველიაძე.

15-ოდე წუთში წაბლანაში შევედით. აქედან ფეხით გავუყევით გზას სოფლის ტერიტორიაზე მდებარე ფეოდალური ხანის **ეკლესიის** ნანგრევებისაკენ.

ძეგლი საძირკვლებამდე დანგრეულია, მაგრამ პერიმეტრი და შიდა ნაკვეთურების მოხაზულობა კარგად შეიმჩნევა. ფოტოზე დავაფიქსირეთ არსებული მდგომარეობა. ძეგლის დათვალიერებისას გაჩნდა მოსაზრება, რომ სასურველია იგი მაქსიმალურად გაიწმინდოს მიწის საფარისაგან, მთლიანად გამოჩნდეს შემორჩენილი ქვების წყობა და აუცილებელი საკონსერვაციო სამუშაოების შემდეგ ჩართული იქნას ტურისტულ მარშრუტებში. რა თქმა უნდა, პარალელურად უნდა გაძლიერდეს ყურადღება ძეგლის ნაშთების განადგურებისაგან დასაცავად. ვფიქრობთ, ასეთი მიდგომა მეორე სიცოცხლეს შთაბერავს ისტორიისა და კულტურის ძეგლებს და თან ტურიზმისა და ეკონომიკის აღმავლობასაც შეუწყობს ხელს.



*ინფორმაცია*

***წაბლანის ნაეკლესიარი*** *მდებარეობს უჩამბის ხეობის სოფელ წაბლანაში, დაბა შუახევიდან 14 კმ-ის მოშორებით, ზღვის დონიდან 1220 მეტრის სიმაღლეზე, გორაკზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ,,ნათლისმცემლის (ნაციმციმების) გორას" ეძახის. გორაკის ფართობი 200 კვ.მ-ია. სოფელში არსებობდა გადმოცემა, რომ ამ გორაკზე უძველესი დროიდან ეკლესია მდგარა. სოფლის მოთხოვნის საფუძველზე 2008 წელს საკითხის შესასწავლად შეიმნა საინიციატივო ჯგუფი ტ.ებრალიძის, გ.დუმბაძის და შ.ველიაძის შემადგენლობით. 2009 წლის 1-12 ივნისს აქ ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ცენტრის ერთობლივმა ექსპედიციამ განახორციელა საველე-კვლევითი სამუშაოები. მასში მონაწილეობდნენ ისტ. მეცნ. დოქტორები ამირან კახიძე და შოთა მამულაძე, ისტორიის დოქტორი*

*ტარიელ ებრალიძე, აგრეთვე საინიციატორო ჯგუფის წევ-
რი, სოფლის მკვიდრი შალვა ველიაძე.*

*გათხრების პირველი ეტაპის დასრულებისთანავე აღმოჩნ-და, რომ აღნიშნული ეკლესია დარბაზული ტიპის საყდარი იყო, ორფერდა გადახურვით. შესასვლელი დასავლეთიდან. ეკლესიის სიგრძე 7 მ-ია, ხოლო სიგანე 6 მეტრი. შიდა სივრცის ზომებია 5,8 მ X 4,2 მ. აქედან აბსიდის სიგანე 1,5 მ, ხოლო თვით დარბაზის სიგრძე 4,3 მ. აფსიდი გამოყოფი-ლია დარბაზისაგან. დარბაზი მთლიანად დაგებული ყოფილა ქვის ფილებით. შემორჩენილია ეკლესიის ოთხივე კედლის საძირკველი მთლიანად, ამ საძირკველზე ხის ეკლესია ყოფილა დაშენებული, რაც უდაოდ საინტერესოა და პირველი შემთხვევაა აჭარისწყლის ხეობის საკულტო ძეგლებისათვის. გათხრების დროს აღმოჩენილი იქნა მცი-რერიცხოვანი, მაგრამ საკმაოდ საინტერესო არქეოლოგიუ-რი მასალა, რომელშიც, როგორც წესი, სჭარბობს კერამი-კული ნაკეთობანი. აღმოჩენილ ნივთებს შორის საინტერე-სოა ერთადერთი მოჭიქული ჯამის პირ-გვერდის ნატეხი. აგრეთვე ნაპოვნია ხარის რკინის ნალის ნატეხი. აღმოჩენი-ლი არქეოლოგიური მასალების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეკლესია X-XI საუკუნეებშია აგებული [**http://www.slideshare.net/amirankhimshiashvili/ss-6812525**].*

დაახლ. 14[10] სთ-ზე გავემართეთ მთა ღომას იაილებისაკენ. ოც წუთში ღომას იაილების ცენტრში, წყაროსთან ვიყავით. ახლოს მოჩანს მწვერვალი **წმინდა სერი.** გადმოცემის მიხედვით, წმინდა სერის წვერზე იყო წმინდანის საფლავი, რომლის ვინაობა აღარ ახსოვთ. საფლავი კი ნამდვილად არსებულა. ო.ცინარიძისა და შ.ველიაძის სიტყვით, საბჭოთა პერიოდში აქ განლაგებულ

მესაზღვრეებს მოუთხრიათ საფლავი (როგორც ვარაუდობენ, განძს ეძებდნენ) და ძვლები მიმოუფანტავთ. ახლა იმ ადგილას საფლავის ძველი ლოდი დევს.

წყაროდან გზა ზევით, ალპური საძოვრებისაკენ გავაგრძელეთ და გავედით სათოვლიას თეთრი ყვავილებით დაფარულ ველზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა **ჯვარის მინდორს** ეძახის. სხვათა შორის, აქ შემორჩენილია საბჭოთა დროინდელი რკინა-ბეტონის საცეცხლე წერტი, ე.წ. ძოტი.

ძალიან ლამაზი ხედები იშლება აქედან. ჰაერიცა და წყალიც აქ სუფთა და კამკამაა. კარგი იქნება ღომას იაილებზე (და არა მარტო აქ) საზაფხულო ტურისტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკები თუ მოეწყობა ზღვისპირა აჭარის მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის. ზღვისპირეთის ნესტიანი ჰავის შემდეგ 1-2 კვირით აქაურ გარემოში დასვენება სასიკეთოდ წაადგება მათ ჯანმრთე-ლობას. საქართველოს სხვა კუთხეებიდანაც შეიძლება კონტიგენტის მოზიდვა. სათანადო ბუნებრივი პირობები აქ ნამდვილად არის. თანაც, დამსვენებლები უზრუნველყოფილი იქნებიან კვების ნატურალური პროდუქტებით, რაც, თავის მხრივ, აქაურთა შრომით დაინტერესებას და ბიუჯეტს გაზრდის. ასეთი ბანაკების მოწყობა დიდ თანხებთან არ არის დაკავშირებული, სარგებლობა კი მნიშვნელოვანი ექნება.

დაახლ. $15^{\underline{00}}$ სთ-თვის იაილებში დავბრუნდით. ჯერ კიდევ მთაში მყოფმა **მემთეურებმა** სუფრასთან მიგვიპატიჟეს. მათმა სტუმართმოყვარეობამ და ადგილობრივი პროდუქტით დამზადებულმა გემრიელმა და ყუათიანმა კერძებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა საზაფხულო ბანაკებთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებების მართებულობაში. სხვათა შორის, ამ თემაზე ჩვენს მასპინძლებსაც გავესაუბრეთ. ისინი მოწონებით შეხვდნენ დამსვენებლების მოზიდვის იდეას. ბევრს ახლაც

ამოჰყავს ოჯახის წევრები და ნათესავები ქალაქიდან, მაგრამ ბანაკების მოწყობას სულ სხვა დატვირთვა ექნება, რისი მნიშვნელობაც კარგად ესმით აქაურებს.



ნასადილევს ცოტა დავისვენეთ მთის ლამაზ და ჯანსაღ გარემოში. წამოწვიმა კიდეც, მაგრამ მალევე გადაიღო. დაახლ. 17[10] სთ-ზე სოფ. **ოლადაურის** მიმართულებით დავეშვით. გზა-დაგზა ვჩერდებოდით და ბუნების ღირსშესანიშნავ ლანდშაფ-ტებს ფოტოზე ვაფიქსირებდით.

საღამო ხანს ოლადაურში მივედით. აქ ჩვენი მასპინძელი იყო ბატონი არჩილ მაკარაძე, ადგილობრივი საშუალო სკოლის პედაგოგი (ისტორიის მასწავლებელი), ამასთანავე მის მიერვე დაარსებული **ოლადაურის ეთნოგრაფიული მუზეუმის** დირექ-ტორი. მან კარგად იცის თავისი კუთხის წარსული. დაძინებამდე საკმაოდ ვისაუბრეთ კიდეც მარეთის ხეობის ისტორიის საინტერესო მომენტებზე.

ექსპედიციის მესამე დღე, **13 სექტემბერი,** ოლადაურის ეთნოგრაფიული მუზეუმის დათვალიერებით დავიწყეთ, სადაც ნასაუზმევს, დაახლ. 8[40] სთ-ზე მივედით.

მუზეუმში ახლო-მახლო სოფლებში შეკრებილი ექსპონა-ტებია თავმოყრილი, რომლებიც საინტერესოდ ასახავენ აქაურთა წარსულს და ეთნოგრაფიული ყოფის ნიუანსებს. მუზეუმი ა.მაკარამის ინიციატივით და მონდომებით დაარსდა. ექსპონატ-თა შეგროვებისას ადგილობრივი მოსახლეობა დაუდგა გვერდით და ერთობლივი ძალისხმევით ბევრ რამესაც მოუყარეს თავი. ამით ეს ნივთები განადგურებასაც გადაარჩინეს.



*ინფორმაცია*

***ოლადაურის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი*** *გაიხს-ნა 1996 წელს სოფ. ოლადაურის 1984 წლიდან არსებული სასკოლო მუზეუმის ექსპონატების ბაზაზე. დღეს აქ*

*მოქმედებს არქეოლოგიის, მხარეთმცოდნეობის, ფოლკლორის, ნუმიზმატიკის, ტოპონომიკის, ხალხური რეწვის, ხალხური მედიცინის სექციები. სულ გამოფენილი არის 182 ექსპონატი.*

მუზეუმის შემდეგ სოფლის სასაფლაოზე მოვინახულეთ ცნობილი პიროვნების – **ლომან-ეფენდი ქარცივაძის** საფლავი. მას დიდი წვლილი აქვს აქაურთა მუჰაჯირობისაგან დაცვაში. თავისი გავლენითა და ავტორიტეტით მან ბევრს ააღებინა ხელი სამშობლოს მიტოვებასა და ოსმალეთში გადახვეწაზე. აქვე ვნახეთ, როგორც ამას ეპიტაფია მიუთითებს, "ზემო აჭარის მთავარი მოსამართლის, ოლადაურის ქართული სკოლის დამაარსებლის", **ნური ბერიძის** საფლავიც (1845-1919 წწ.).



სასაფლაოდან გადავედით ოლადაურის ერთ-ერთ უბანში – **სინ-დიეთში**. აქ ა. მაკარაძემ მიგვიწვია **გია დავითაძის** ოჯახში, სადაც შემთხვევით, ეზოში ტრაქტორით მიწის თხრის დროს აღმოჩენილი იქნა შუასაუკუნეების მარანი ღია ცის ქვეშ მიწაში დაფლული ქვევრებით. სამწუხაროდ, ქვევრები თითქმის სრულიად განადგურებულია, მხოლოდ ერთია შემორჩენილი შედარებით უკეთ, ისიც მხოლოდ სანახევროდ. მარანი წინა ეზოში, სახლსა და ჭიშკარს შორის მდებარეობს. ეს აღმოჩენა კარგად მიუთითებს ხეობაში განვითარებული მევენახეობა-მეღვინეობის არსებობაზე.



დაახლ. 10[30] სთ-ზე ოლადაური დავტოვეთ და შუბანისაკენ გავემგზავრეთ.

ოლადაურიდან წამოსულები მდ. **ჩირუხისწყალზე** გადავე-დით და **გამონათლევის ეკლესიას** მივადექით. ეკლესია 1998-2005 წლებში აშენდა აქაურთა დიდი სურვილითა და ხელშეწყობით.

ეკლესიაში მამაო დაგვხვდა, რომელმაც დაგვლოცა და გაგვესაუბ-რა. ცოტა ხნის შემდეგ, დაახლ. 11⁰⁰ სთ.-თვის, გამონათლევიდან გზა ჩიროხისწყლის ზემო წელისაკენ გავაგრძელეთ.



**ინფორმაცია**

***გამონათლევის ეკლესია.*** *უძველესი დროიდან მომდინა-რეობს ხალხში გავრცელებული თქმულება იმის თაობაზე, რომ V-VI საუკუნეების მიჯნაზე ჩიროხისწყლის მარჯვენა ნაპირას ჩვენს წინაპრებს მუხის ხეებისაგან აუგიათ ერთ-ნავიანი დარბაზული ტიპის ეკლესია, სადაც წირვა-ლოცვა და ნათლობა მიმდინარეობდა. სიტყვა „გამონათლევი“ ნათლობიდან მომდინარეობს. აღნიშნული ეკლესიის ნანგ-რევების შესახებ თ.სახოკია თავის ნაშრომში „მოგზაუ-რობანი“ 1897 წელს აღნიშნავს, რომ სოფელ ოლადაურში,*

*ქარცივაძეების ეზოში ძველი ნასაყდრალია. ძველი ეკლესიიდან მხოლოდ ქვების გროვა ყოფილა დარჩენილი, რომლისირგვლივ საუკუნოვანი ბზის ხეები მდგარა, ხოლო მთელ ამ ადგილს მოწიწებით ეპყრობოდნენ. გადმოცემისვე თანახმად, აბუსერისძეებს რამდენჯერმე აღუდგენიათ დროთა სიავისაგან ნანგრევებად ქცეული გამონათლევის ეკლესია.*

*გამონათლევის წმინდა გიორგის სახელობის ახალი ეკლესიის მშენებლობა 1998 წელს დაიწყო. ეკლესიის მშენებლობის ინიციატორები იყვნენ: ექიმი სოლომონ ფუტკარაძე, მეტყევე ინჟინერი ჯ. მახარაძე, ღვაწლმოსილი პედაგოგი ვახტანგ მაკარაძე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით ეკლესიის მშენებლობისათვის გამოიყო 0,20 ჰ მიწის ნაკვეთი, ასევე ბანკში გაიხსნა სპეციალური ანგარიში, რითაც საფუძველი ჩაეყარა გამონათლევის წმინდა გიორგის სახელობის ორნავიანი, ჯვარგუმბათიანი ეკლესიის მშენებლობას. საჭირო სახსრების მოძიების მიზნით შეიქმნა ეკლესიის მშენებლობის შტაბი (ბიჭიკო დიასამიძე _ ხელმძღვანელი, წევრები: სოლომონ ფუტკარაძე, ნოდარ ცეცხლაძე, იოსებ ხიმშიაშვილი, ვლადიმერ მამულაძე, ვახტანგ მაკარაძე, გივი ცეცხლაძე, ვლადიმერ მახარაძე და სხვ.), რომელმაც უზრუნველყო ამ კეთილშობილურ საქმეში ბათუმში მცხოვრები შუახეველების ჩაბმა. ეკლესიის საძირკვლის მშენებლობის დაწყება დალოცა ბათუმ-სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრიმ. ეკლესიის მშენებლობაში თავი გამოიჩინეს ქვის ოსტატებმა შოთა ფუტკარაძემ, ინჟინერ მშენებელმა თემურ ყურავამ და მისმა შვილებმა. 2001 წელს, ჯერ კიდევ ხარაჩოებში ჩასმულ მშენებარე ეკლესიაში მეუფე დიმიტრიმ და*

*მართმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახურებმა აღასრულეს პირველი წირვა-ლოცვა, ასევე შედგა პირველი ნათლობა. ამ დღეს 80-ზე მეტი ახალგაზრდა და მოხუცი მოინათლა.*

გზად გავიარეთ სოფ. **პაპოშვილები**, სადაც გავესაუბრეთ ადგილობრივ მოსახლეობას. შემდეგ ჩავუარეთ **ჩირუხი-სანალიას ჰიდროელექტროსადგურს** (1996 წ.), სოფ. **მახალაკიძეების** ბოლოში გადავედით ჩირუხის-წყალზე, ავყევით ზევით და დაახლ. 11[40] სთ.-თვის **შუბნის** საკრებულოს ცენტრში (იაკობაური) შევედით. აქ დაგვხვდა შუბნის სკოლის დირექტორი, ბატონი **ემზარ ჯუმუშაძე**, რომელის მეგზურობითაც გავემართეთ **დარჩიძეების (გოგოლაურის) ციხისაკენ**. გზა ზემოთ მიემართება. 15-ოდე წუთის შემდეგ მიკროავტობუსი გავაჩერეთ და ციხემდე დარჩენილი 150-160 მ ფეხით გავიარეთ.



ციხე ოდესღაც შთამბეჭდავი იქნებოდა, ახლა კი შემორჩენილია მხოლოდ მცირე ნაწილი კედლისა, დანარჩენი ჩამოქცეულია და, სამწუხაროდ, არც თუ ისე დიდი ხნის წინ. როგორც ე.ჯუმუშაძემ გადმოგვცა, ჯერ კიდევ 20-ოდე წლის წინ ციხეს ოთხივ კუთხით გააჩნდა კედლები, რომლებმაც საუკუნეებთან ჭიდილს გაუძლეს. როგორც ჩანს, დამანგრეველი ფაქტორები ბოლო ხანებში უფრო მძლავრად მოქმედებენ და თუ დროზე არ განხორციელდება სათანადო სამუშაოები, ციხის შემორჩენილი ეს მცირე ნაშთიც რამდენიმე წელში ჩამოიშლება.

ციხეს სტრატეგიულად მომგებიანი – შემოგარენზე გაბატონებული ადგილი უკავია. აგებულია კლდეზე. გალავანს შიგნით ციხის ეზო, ანუ კლდის ზედაპირი საკმაოდ დამრეცია. ეზოში კლდეში ამოკვეთილი წყლის რეზერვუარია. პირდაპირ ჩანს სოფ. **წელათი.** ციხესთან ახლოს ჩამოედინება კირი-ღელე. თქმულებით, ამ ღელის ნაპირებიდან მოტანილი კირითაა აგებული. ციხე შემოგარენითურთ დავაფიქსირეთ ფოტოებზე.

***ინფორმაცია***

***დარჩიძეების (გოგოლაურის,*** *იგივე* ***მთისუბნის) ციხე*** *მდებარეობს მარეთის ხეობის მარჯვენა მხარეს, სოფ. დარჩიძეების განაპირა უბანში, მაღალ კლდეზე, ჩირუხისწყლის მარჯვენა მხარეს. ამ ადგილს ძველად გოგოლაური ეწოდებოდა, ახლა მთისუბანსაც ეძახიან. ციხე აღმართულია აქ აზიდულ სამმხრივ მიუვალ უზარმაზარი კლდის სამი მასივიდან შუათანაზე. მას წაგრძელებული ტრაპეციის ფორმა აქვს. ერთადერთი მისადგომი ჩრდილოეთის მხრიდან ჰქონდა. ციხის მთლიანი ფართობი 190 კვ.მ-ს შეადგენს. არქეოლოგიური მასალების მიხედვით ირკვევა, რომ თავ-*

*დაპირველად ციხე აღუმართავთ XII-XIII საუკუნეებში. დანგრევის შემდეგ გვიან შუა საუკუნეებში ისევ აღუდგენიათ. დღესდღეობით შედარებით კარგადაა შემორჩენილი ამ ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთი კედელი, რომლის სიგრძე შეადგენს 9,8 მეტრს, სიმაღლე (შიგნითა მხრიდან) კი _ 8,2 მეტრს, კედლის სიმაღლე გარედან გაცილებით მეტია და შეადგენს 11,2 მეტრს. კედლის ქვედა ნაწილში შემორჩენილია სამი სათოფური. ციხის გალავნის სხვა კედლები ჩვენამდე ცუდადაა მოღწეული. ციხე ნაგებია ფლეთილი ქვებით. სავარაუდოა, რომ ეს ქვები იქვე, მახლობლად მდებარე კლდეებიდან არის ჩამოტეხილი. რაც შეეხება სადუღაბე კირს, შორიდან მოტანილი არც ის უნდა იყოს, რამდენადაც იქვე, სოფლის ტერიტორიაზე არსებობდა საკირე.*

დაახლ. $13^{\underline{00}}$ სთ-ზე წამოვედით ციხიდან. ჩამოვედით ჩირუხის იაილებისაკენ მიმავალ გზაზე და ავყევით ზევით. ციხე გადავიღეთ ქვემოდანაც. გადმოცემით, ციხის ქვემოთ, მდინარესთან, გამოდიოდა გვირაბი. გვირაბის სავარაუდო ადგილს გადავუღეთ ფოტოები. სოფლისკენ იმავე გზით დავბრუნდით. საკრებულოს ცენტრიდან (იაკობაური) გადავუხვიეთ ჩვენი მეგზურის ოჯახისაკენ, სადაც აქაურთათვის დამახასიათებელი სტუმართმოყვარეობით გვიმასპინძლეს. აქაც, როგორც ჭვანისა და მარეთის ხეობის სხვა ადგილებში, საუბარი წარსულთან ერთად თანამედროვეობასაც შეეხო. სოფელს ბევრი პრობლემა აქვს. ტურიზმის განვითარებას აქაც იმედის თვალით უყურებენ, რაშიც ჩვენც ვეთანხმებით. ტურისტთა ინტენსიური შემოდინება ხელს შეუწყობს მდგომარეობის გაუმჯობესებას, ფინანსური ინტერესების გაჩენას. გასაღდება ადგილობრივი პროდუქცია და ტყის

ნობათი, დასაქმდება ტურისტების გამყოლები, სუვენირების დამამზადებლები და სხვ. აჭარისწყლის ხეობაში ტურისტები ახლაც მოძრაობენ ზოგი ფეხით და ზოგი ტრანსპორტით (ველოსიპედი, მოტოციკლი), ჩვენც შეგვხვდნენ რამდენჯერმე მარშრუტზე, მაგრამ ეს საკმარისი ნამდვილად არ არის. საჭიროა მათი ნაკადის გაზრდა, რომ ტურიზმმა მასობრივი ხასიათი მიიღოს, მაშინ ექნება ამას სასურველი შედეგი. ისტორიისა და კულტურის ძეგლებს ამ პროცესებში თავისი წვლილის შეტანა შეუძლიათ. ისინი კი, როგორც ეს ჩვენმა ექსპედიციამ გვიჩვენა, ძალზე სავალალო მდგომარეობაში არიან. მეტი ყურადღებაა საჭირო მათ მიმართ, ჩვენამდე მოღწეული როგორმე შთამომავლობასაც რომ შემოვუნახოთ.

დაახლ. $15^{\underline{00}}$ სთ-ზე შუბანი დავტოვეთ და ნელი სვლით ქვევით დავეშვით. ნახევარ საათში სოფ. **მახალაკიძეების** ფარგლებში შესულები, ჩირუხ-სანალიას ელექტროსადგურთან გავჩერდით. ვეძებთ გამყოლს **მახალაკიძეების ციხეზე** მისასვლელად. ეს ციხე შედარებით ნაკლებად შესწავლილია, ამიტომ უფრო გვაინტერესებს მისი მონახულება. გამყოლი ვერ ვნახეთ, მაგრამ დაახლოებით აგვიხსნეს როგორ მივსულკიყავით ციხეზე.

დაახლ. $16^{\underline{05}}$ სთ-ზე გადავუხვიეთ ცენტრალური გზიდან და ფეხით შევუყევით საკმაოდ დახრილ ბილიკს. ჯერ აღმართის დაძლევისა და შემდეგ ციხის სავარაუდო მდებარეობის კვადრატში ნანგრევების აღმოჩენისათვის ერთ საათზე მეტი დრო დაგვჭირდა. ეს მაშინ, როცა პირდაპირი ხაზით ციხე ცენტრალური გზიდან ძალიან ახლოსაა. კლდის ნაპრალის სიღრმიდან ამოშენებული ციხის ნანგრევს სანამ ზედ არ წავადექით, ვერ შევამჩნიეთ.

მახალაკიძეების ციხე, უფრო სწორად, მისი ძალიან მცირე ნაშთი დავაფიქსირეთ კლდის ნაპრალის სიღრმიდან ამოშენე-

ბული, ოდესღაც ოვალური ფორმის, ახლა კი თითქმის მთლიანად დანგრეული კოშკის ნარჩენის სახით. მის ირგვლივ აქა-იქ შეიმჩნეოდა ოდესღაც ადამიანის ხელით ამოშენებული კედლის კვალი, რასაც აგრეთვე ადასტურებდა მიმოფანტული, საშენად გამონაყენები ფლეთილი ქვები. ფოტოზე დავაფიქსირეთ ციხეზე არსებული მდგომარეობა და ტრანსპორტისაკენ დავეშვით. ეს იყო ბოლო ობიექტი ჩვენი ექსპედიციის მარშრუტზე.



მახალაკიძეების ციხიდან წამოსულებმა დაახლ. $18^{30}$ სთ-ზე დაბა შუახევი გავიარეთ და გეზი ბათუმისაკენ ავიღეთ.

ჩატარებულმა ექსპედიციამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ჭვანისა და მარეთის ხეობებში არსებული შუასაუკუნეების ციხეები აჭარისწყლის ხეობის ერთიანი საფორტიფიკაციო სისტემის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. ციხეების მიმდებარე ტერიტორიების საფუძვლიანი დათვალიერების შემდეგ პროფ. ბიჭიკო დიასამიძემ გამოთქვა აზრი, რომ კიდევ უფრო

განუმტკიცდა შეხედულება ციხეების სიახლოვეს მცირე სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების – **რაბათების** არსებობის შესახებ, რაც XVI საუკუნის ერთ-ერთი ოსმალური წყაროს მიხედვით დოკუმენტურად მტკიცდება *[აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები (ოსმალური ტექსტი, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და ფოტოასლები გამოსაცემად მოამზადეს ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ), თბილისი, 2011, გვ. 52-54].* საინტერესოა, რომ ჩვენს მიერ მონახულებული მახალაკიძეების ციხის სიახლოვეს, მის ძირში გამავალი ცენტრალური გზის გადაღმა მდებარე მოვაკებულ ადგილს დღესაც **რაბათს** ეძახიან. ეს ტერმინი ტოპონიმის სახით აჭარის მასშტაბით მხოლოდ აქ არის შემორჩენილი.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მოპოვებულმა ინფორმაციამ ნათლად წარმოაჩინა ის კარგი შესაძლებლობები, რაც ჭვანისა და მარეთის ხეობებს გააჩნიათ ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით ბუნებისა და ისტორიის ძეგლების სახით. სადღეისოდ ეს საკმაოდ მრავალფეროვანი რესურსია, რისი სათანადო გამოყენებაც სასიკეთო გავლენას მოახდენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებაზე. თუმცა, იკვეთება სამწუხარო ტენდენციაც. უკანასკნელ ხანებში შეიმჩნევა ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაჩქარებული ნგრევა. თუ სათანადო ყურადღება დროზე არ მიექცა ამ საკითხს, სავალალო შედეგები უახლოეს წლებში იჩენს თავს. საჭიროა მეტი ყურადრება ამ მიმართულებით, რათა საუკუნეების სიღრმედან ჩვენამდე მოღწეული ეროვნული სიმდიდრე შთამომავლობასაც შემოვუნახოთ და თან, გონივრული მიდგომით, ტურისტებისთვისაც ადვილად ხელმისაწვდომი გავხადოთ და დრევანდელობის სამსახურში ჩავაყენოთ.

საერთო ჯამში, საექსპედიციო ჯგუფის მუშაობა წარმატებულად შეფასდა. შეგროვდა საჭირო ინფორმაცია. მოპოვებული

მასალებით შეივსო ინსტიტუტის ფოტო-არქივი. გამოიკვეთა სამომავლო გეგმები და სამუშაო მიმართულებები.

**Oleg Jibashvili,**
**Bichiko Diasamidze**

## Reports on the Field Expedition Carried out in Shuakhevi Municipality

Summary

On the initiative of the Department of History and Archaeology at Niko Berdzenishvili Institute (Shota Rustaveli State University) on 11-13th September 2014 the Historical and Archaeological Expedition was carried out in Shuakhevi Municipality (Chvaneti and Mareti Ravines). The expedition followed the route of Batumi-Chvana-Tsklisakari-Shuakhevi-Uchamba-Tbeti-Shuakhevi-Oladauri-Shubani-Batumi.

The aim of the expedition was to visit existing historical and cultural monuments of the ravines, describe the current state of the monuments and gather the additional information about them; besides, from a historical point of view to locate and describe new monuments, record the interesting stories, legends and gather the different materials related to the toponym and ethnographic life.

Overall, the expedition can be considered successful, the tasks were performed, the necessary information was collected, the photo archive of the department was enriched, and the plans for future work and directions were outlined.

ემენ დავითაძე

# დროული და საჭირო წიგნი-სახელმძღვანელო

## გამოხმაურება წიგნზე „აჭარა, ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები“

საქართველოს სახელმწიფოს თვალმარგალიტი, მისი ისტორიული მახვილი და ფარი შავი ზღვისპირეთით, სამხრეთ-დასავლეთიდან, – აჭარა მუდამ იპყრობდა ყურადღებას და იწვევდა ინტერესს თავისი განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობის, პოლიტიკური მნიშვნელობის, ეკონომიკური დანიშნულებისა და კულტურული ღირებულებების გამო. სწორედ ამიტომ, დღიდან გაჩენისა და ცივილიზებული ინტერესების აღძვრისა, მუდამ იქცევდა ახლო თუ შორეულ, მოსაზღვრე თუ არამოსაზღვრე ქვეყნების ყურადღებას, ექცეოდა მტრისა თუ მოყვრის ხან სამტრო, ხან სამოყვრო სურვილთა, მზერათა, სწრაფვათა არეალში. ამისდა მიხედვით იცვლებოდა, ცვლიდა იგი თავის დამოკიდებულებას გარესამყაროსადმი, ამ ბრძნული ჭვრეტით, თავდადებული გონიერებით და გონიერი თავდადებით გამოაღწია ისტორიულ ლაბირინთებში და დაინარჩუნა თავი როგორც ქართული ქვეყნის, ქართული სახელმწიფოს განუყოფელმა ერთეულმა. ეს უპირველესად მისი აბორიგენი, მკვიდრი მოსახლეობის, ეთნოსის ძლიერი გენის და სულიერი სიმტკიცის ნიშანია. საუკუნეების, წლების მანძილზე არათუ შემცირდა, არამედ კიდევ უფრო გაიზარდა ინტერესი, – ახლოს იცნობდნენ ამ კუთხეს.

სამწუხარო რეალობაა: არათუ ქვეყნის გარეთ, ქვეყნის შიგნითაც ნაკლებად, არასათანადო სიღრმისეულად იცნობენ, ვიცნობთ, აჭარას, ამიტომაა, რომ იშვიათად, მაგრამ წამოიჭრება კითხვები, რომელიც არა ადრესატს, არამედ თვითონ მკითხველს აყენებს უხერხულ მდგომარეობაში. რომ იცოდე, უნდა იცნობდე, ეს მარტივი ჭეშმარიტება დღის წესრიგში დადგა, დგას დღეს, როცა სურვილი გაჩნდა ეკონომიკის გაუმჯობესების გონივრულ სამსახურში ჩავაყენოთ მთლიანად საქართველოს და მათ შორის აჭარის ბუნებრივი, მატერიალური და სულიერი სიმდიდრე, რომლის ერთ-ერთი შემოწმებული და გამოცდილი გზა–ტურიზმია. აქვე ვიტყვი: მე არ ვიზიარებ ქვეყნის შეჭირვებული მდგომარეობიდან გამოყვანის ზოგიერთის მიერ აჩემებულ ერთადერთობას, ერთ-ერთად კი მისაჩნევია და ამ თვალსაზრისით, ერთგვარად, კიდეც დავაგვიანეთ, ჩვენ დიდი ხანია არ არის, რაც შევუდექით სახელმწიფო დონეზე საამისო ზრუნვას. ნათქვამია, ცდას კაცი არ მოუკლავსო, თუ ტურიზმით, როგორც დარგით დახლს ვერ ავივსებთ და ქვეყნის სალაროს ვერ გადავავსებთ, ქვეყანას მაინც გავაცნობთ, ვისაც ამის სამოყვრო სურვილი გასჩენია ან გაუჩნდება, მანამდე კი საჭირო გარჯა და აუცილებელი სამზადისი გვმართებს, რაც დღეს ჯერჯერობით სრულყოფილ დონეზე ვერ გვაქვს და გამოსასწორებელია, გასაუმჯობესებელია. სწორედ ამ მიზანს ისახავს და უნდა მოემსახუროს ახლახან, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ მომზადებული და გამოცემული წიგნი-სახელმძღვანელო „აჭარა, ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები“ (გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 2016 წელი). ამთავითვე დავსძენ, – 400-გვერდიან ამ რუდუნებით შექმნილ ნაშრომში დავანებულია, შეძლებისდაგვარად, აჭარა მთელი

თავისი ისტორიული სიღრმით და გეოგრაფიული სიგრძე-სიგანით. წიგნის ავტორ-შემქმნელებს მონდომება, ზრუნვა არ დაუკლიათ შეესრულებინათ რთული და საპასუხისმგებლო საქმე, – შედეგად სახეზე გვაქვს წიგნი-სახელმძღვანელო, რაც ასე საჭირო იყო. მე შორს ვარ აზრისაგან, რომ ერთ რეცენზიაში შესაძლებელია სრულყოფილად შეფასდეს იმ ფუნდამენტური დარგების შესრულების ხარისხი და აკადემიური დონე, სხვა რომ არ იყოს, საშუალებებთან ერთად ეს სათანადო ენციკლოპედიურ ცოდნასაც მოითხოვს, ამიტომ მომიტევოს მკითხველმა, თუ ამ რეცენზია-გამოხმაურებას ინფორმაციულობის ელფერიც დაჰკრავს, არც მკითხველის ემოციურობისგან არის თავისუფალი.

პირველი და ზოგადი, ოღონდ გულწრფელი შენიშვნა-შეფასება ის გახლავთ, რომ წიგნში შესული თითოეული თავი – და ასეთი თითქმის ათზე მეტია, – არ გახლავთ ახალი ინდივიდუალური გამოკვლევა. ისინი უფრო არსებულ ისტორიულ წყაროებსა და უკვე აღიარებულ შრომებზე დაყრდნობით, გამოყენებით, სპეციალური დანიშნულებით შექმნილი მეცნიერული ნაღვაწია, რაც მსგავსი წიგნების შედგენისას ჩვეულებრივია და ნაკლად არ ჩაითვლება. ამასთან, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ რიგ შემთხვევაში, ავტორები, რომლებიც ამავდროულად ამ წიგნის თანაავტორები არიან სხვა, ავტორიტეტულ მკვლევართა ნაშრომებისა და წიგნების პარალელურად და გარდა, იყენებს და ეყრდნობა უშუალოდ თავისივე საკუთარ შენასწავლ გამონაკვლევს, რაც, როგორც ნაშრომის, ისე ავტორობის თვალსაზრისით, პირველწყაროს ღირსებისაა და ორიგინალურობის ღირსებას აძლევს მას (ჩამოთვლისაგან თავს ვიკავებ). საერთოდ კი, მიუხედავად მრავალრიცხოვნობისა, არ ეგების არ მოვიხსენოთ წიგნის ღვაწლმოსილნი, ამაგდარნი თუნდაც ქრონოლოგიურად, ისე როგორც წიგნის არქიტექტონიკას მოუთხოვია: თავი I. აჭარის

ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება რუსლან ბარამიძეს მოუ-ცია; თავი II. ისტორია ბეჯითად შეუდგენიათ აწ განსვენებულ სიმონ გოგიტიძეს, ბიჭიკო დიასამიძეს, ოლეგ ჯიბაშვილს, უჩა ოქროპირიძეს; თავი III. აჭარის სოციალურ-ეკონომიკური დახა-სიათება ეკუთვნის ოთარ თურმანიძეს; თავი IV. მოსახლეობის ეთნიკურ-კონფესიურ სტრუქტურაზე უმუშავიათ ნაილა ჩელე-ბაძეს, ჯემალ ვარშალომიძეს, თამილა ლომთათიძეს; რუსლან ბარამიძეს; თავი V. მეურნეობის ტრადიციული დარგები და სამეურნეო ყოფა მუყაითად წარმოუჩენია ნოდარ კახიძეს; თავი VI. ტრადიციული მატერიალური კულტურა თვალსაჩინოდ აქვთ წარმოდგენილი ნოდარ კახიძეს, თამილა ლომთათიძეს, ჯემალ ვარშალომიძეს, მაია ჭიჭილეიშვილს, რუსლან ბარამიძეს; თავი VII. ტრადიციულ სულიერ კულტურაზე უმუშავიათ ნოდარ კახიძეს, თამილა ლომთათიძეს, ნანული ნოღაიდელს; თავი VIII. ფოლკლორი. ეკუთვნით ნანული ნოღაიდელს, ემენ დავითაძეს, ციალა ნარაკიძეს; თავი IX. განათლება და მეცნიერება, კულტურა და ხელოვნება შეუსრულებიათ შუშანა ფუტკარაძეს, მაია ჭიჭი-ლეიშვილს; X. აჭარის ადმინისტრაციულ-ტურისტული ერთეუ-ლები შეუდგენია ოთარ თურმანიძეს; მონაწილეობა მიუღიათ აწ. განსვენებულ სიმონ გოგიტიძეს, რუსლან ბარამიძეს, მაია ჭიჭი-ლეიშვილს, უჩა ოქროპირიძეს, ოლეგ ჯიბაშვილს.

წიგნს ახლავს საინტერესო დანართი, რომლის შედგენა-მომზადებაც ეკუთვნით ნინო ინაიშვილს, გიორგი თავამაიშვილს, ბიჭიკო დიასამიძეს, ინფორმაციულ-საცნობარო სარჩევულ ჩა-მოთვლას და ავტორთა დასახელებას, რაც უმეტესწილად განა-პირობა წიგნში შეტანილი წვლილის წარმოჩენის სურვილმა, რაც, ვიმედონებ, გაგებით იქნება მიღებული.

წიგნის ღირსებას ზრდის უხვად დართული საჭირო და შესაბამისი ტექსტური, კარტოგრაფიული და ფოტოსაილუსტ-

რაციო მასალა, რომელიც მკითხველს ეხმარება ძირითადი ტექსტის ათვისებასა და გარკვევაში. ფრიად სასარგებლოა, რომ თითოეულ თავს ახლავს რეკომენდირებული ლიტერატურის სია, რაც საკითხის ღრმად შესწავლის მსურველთათვის გზამკვლევისა დანიშნულებისაა.

წიგნი-სახელმძღვანელო დაწერილია კარგი ქართულით, ხშირ შემთხვევაში, შესაბამისი თავები ზომიერი პოპულარული ენითაც, რაც მსგავსი ტიპის ნაშრომისათვის, ჩვეულებრივ, მისაღებია და სასურველი, – საკუთრივ მისი დანიშნულებიდან გამომდინარე. იგი პოლიგრაფიულად მაღალ დონეზეა შესრულებული, ამასთან, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, დაზღვეულია უხეში შეცდომებისაგან, რაც თანამედროვე დაჩქარებულ საგამომცემლო და პოლიგრაფიულ საქმიანობაში არცთუ იშვიათობაა.

ყოველი კეთილი საქმე სიხარულის და სიამაყის გრძნობის მომგვრელია. სწორედ ამიტომ და არა უზრუნველობის გამო სამსჯელოდ არ გავიხადე ცალკეული ზოგიერთი რამ, ხოლო სურვილის სახით შევნიშნავ, რომ წიგნი-სახელმძღვანელო როგორც შინაარსის აღქმის, ისე პოლიგრაფიული თვალსაზრისით წარმატებულად ჩაითვლებოდა, ტექსტებზე დართული კარტოგრაფიული, განსაკუთრებით კი ფოტომასალა ფერადი რომ ყოფილიყო, წიგნს ასევე დამშვენდებოდა და პრაქტიკულ ღირებულებას შესძენდა სათანადო წარწერა წიგნის ყუაზე, თუმც ყოველივე ეს ოდნავადაც ვერ ამცირებს, მით უფრო – აფერმკრთალებს მის ღირსებას. და ბოლოს, ჩვენთვის, როგორც რეცენზენტისთვის და არა, ამავდროულად, თანაავტორისთვის, გაუგებრად რჩება, რად არჩია სახელმძღვანელო დანიშნულების გამოცემაში შეყვანილი ავტორების მეცნიერული ხარისხისა და წოდების გარეშე წარდგენა, რაც კიდევ უფრო გაზრდიდა მკითხველის, განსაკუთ-

რებით სტუდენტი-მკითხველის თვალში, რომ აღარაფერი ვთქვათ, გონებასა და გულზე, – წიგნის ავტორიტეტს.

წიგნის პასუხისმგებელი რედაქტორია ოლეგ ჯიბაშვილი, რედაქტორები - ბიჭიკო დიასამიძე, შუშანა ფუტკარაძე, ნოდარ კახიძე.

**უჩა ოქროპირიძე**

# დააპაუზებული ისტორია, ანუ ქმნა მართლისა სამართლისა

სულ ახლახან გამოიცა ავტორთა კოლექტივის (დოდო ჭუმბურიძე, ვაჟა კიკნაძე, ხათუნა ქოქრაშვილი, ლელა სარალიძე) მიერ შექმნილი მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომი – **„საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში“** – ორ წიგნად, რის აუცილებლობაც ამ საკითხზე ადრე დაწერილ ნაშრომთა ანალიზის შედეგად ნაკარნახევმა გარემოებებმა წარმოშვა. მაგრამ არც იმის უგულებელყოფა შეიძლება, რომ როგორც ნაშრომის რედაქტორის ისტორიის მეცნირებათა დოქტორის, პროფესორ დ. ჭუმბურიძის ნაშრომისთვის გაკეთებულ წინასიტყვაობაშია ნათქვამი: „ისტორიული მოვლენების შეფასებისას ავტორთა მთავარი კრიტერიუმი ქართული სახელმწიფოებრიობა და ქართველი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებია. რუსეთი, რომელმაც რამდენჯერმე მოახდინა საქართველოს სრული, ან ნაწილობრივი ოკუპაცია-ანექსია (1801-1810, 1921, 1992-1993, 2008) და რომელიც დღესაც იმპერიულ დამოკიდებულებას ავლენს ჩვენი ქვეყნისადმი, – ბუნებრივია, დამპყრობელ ქვეყნად, ქართული სახელმწიფოებრიობის სახიფათო მოწინააღმდეგედ ფასდება. ამგვარი ნაშრომის დაწერა აუცილებლად მიგვაჩნია იმ რეალურ ვითარებაში, როდესაც რუსეთსა და საქართველოში ამ ბოლო წლებშიც გამოვიდა ფართომასშტაბიანი გამოკვლევები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე, სადაც გაყალბებულია ჩვენი ისტორია, რუსეთი ჩვენს საუკუნოვან მეგობრად არის გამოცხადებული, გამართლებულია მისი ყველა აგრესიული ქმე-

დება და დადანაშაულებულია ქართველი ხალხი“... *[საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში, წ. I, თბ., 2016, გვ. 4]*. აქვე მითითებულია აღნიშნულ პრობლემებზე მსჯელობისას რუსი ავტორების მიერ გამოჩენილ ტენდენციურობაზე, მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც „ვერ მალავდნენ იმ ძალადობასა და სისასტიკეს, რასაც რუსული იმპერიული ხელისუფლება იყენებდა საქართველოს დასაპყრობად *[იქვე, გვ. 4-5]*, მაგრამ ისინი ყოველთვის ამოდიოდნენ სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან. აღნიშნულ პრობლემებზე მიძღვნილ ნაშრომებში ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ ისტორიულ თვალსაზრისთა განხილვის დროს, ავტორთა კოლექტივი გამოდის მოვლენათა თანამედროვეობის შესაბამისად გააზრებისა და ობიექტური ანალიზის პრეტენზიით, რაც მისასალმებელია; ამასთან, მართლაც აუცილებლობას წარმოადგენდა აღნიშნული ისტორიული პერიოდის საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ახლებურად გადააზრება და მასზე ახალ, თანამედროვე წონად თვალსაზრისთა გამოთქმა.

ერთი რეცენზიის მოცულობა, სამწუხაროდ, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ აღნიშნულ ორტომეულში განხილულ საკითხთა სრულ სპექტრს შევეხოთ. ამიტომაც დავკმაყოფილდებით რამდენიმე უმნიშვნელოვანესი მიმართულების წარმოჩენა-განხილვით, რაც საშუალებას მოგვცემს ნაწილობრივ მაინც შევუქმნათ მკითხველს ნათელი წარმოდგენა მასში განხილულ საკითხთა შინაარსზე.

პირველ რიგში ამ მიზნით შევეხებით ორტომეულის პირველი წიგნის პირველ თავს – „საქართველო-რუსეთის XV-XVII საუკუნეთა ურთიერთობები XIX საუკუნის რუსულ ისტორიოგრაფიაში“ (ავტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვაჟა კიკნაძე), სადაც აღნიშნული თავის ავტორი სამართლი-

ანად აღნიშნავს ცნობილ რუსი ისტორიკოსის ნიკოლოზ კარამზი-ნის ქედმაღლურ დამოკიდებულებას ქართველი ხალხისადმი და ამის დასამტკიცებელ სხვა მასალებთან ერთად მოჰყავს მის მიერ ქართველთა მიმართ გამოყენებული რუსული ტერმინი „закоснев в невежестве“ *[იქვე, გვ. 9]*, რომელსაც ქართულად შედარებით შერბილებული ფორმით – „უბირობაში დახავსებულნი“ – თარგმ-ნის. მაგრამ ეს ტერმინი სიტყვა-სიტყვით ასე ითარგმნება – „უმეცრებაში დახავსებულნი“ და ნიკოლოზ კარამზინიც ზუსტად ამას გულისხმობს, ამიტომაც მისი ამ „დერჟიმორდული“ გამო-ნათქვანის გაკეთილშობილების ცდა, ნ. კარამზინის გაკეთილშო-ბილებას ვერ შეძლებს. ამიტომაც არ ღირს ამაზე ზრუნვა. ამასთან, ავტორის მიერ იქვე მართებულად არის მითითებული, რომ კახთა მეფე ალექსანდრეს სიგელის ქართულ დედანს მოსკოვის პრიკაზში უნდა განეცადა ცვლილებები და როცა იგი აღნიშნავს, რომ „წარმოუდგენლად მიგვაჩნია თავის პირველსავე მიმართვაში კახთა მეფეს ასე დაემცირებინა თავი და საკუთარი პერსონისათვის უცნობი ჩრდილოელი მეფის „უმცირესი ყმა“ („нижайщий холоп“ *[იქვე, გვ. 11]*) ეწოდებინა. როგორც ჩანს, აქ სამართლიანი უნდა იყოს ავტორის ეჭვი, რომ რუსი მეფე ხელოვნურად აძლევს სიგელში დაფიქსირებულ ამ ფაქტს მისთვის სასურველ ინტერპრეტაციას (მათთან ხომ ყველა „ხოლოპი“ იყო – უ. ო.).

საერთოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ნ. კარამზინი, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის სამეფო კარის ისტორიკოსია და კარგად იცის, თუ როგორ ემსახუროს რუსეთის სახელმწიფოს დიდებას...

აქვე ავტორი განიხილავს სხვა რუსი ისტორიკოსების – ვლადიმერ სოლოვიევის და ვასილ კლიუჩევსკის არაობიექტურ მიდგომებს საქართველო-რუსეთის ურთიერთობების მიმართ, მაგრამ გვინდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნულმა ისტორიკოსებმა,

ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსისაგან განსხვავებით, კარგად იციან თუ რა სჭირდება მათ სამშობლოს (განა რაიმე არ იციან, ან ვერ ხვდებიან?!). განხილულია აგრეთვე აღნიშნული საკითხების კვლევაში ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის, იასე ცინცაძის, თამარ ტივაძის, ვალერიან მაჭარაძის, ალ. ბენდიანიშვილის, სერგეი ბელოკუროვის, მარი ბროსეს, ფრანცისკე ალოენის, მიხეილ პოლიევქტოვის და სხვათა მიერ შეტანილი უდიდესი წვლილი. კარგადაა წარმოჩენილი ამ ურთიერთობათა არარეალური საფუძველი და საბოლოოდ, ქართულ გარემოში მოსკოვური ილუზიების სრული კრახი.

ნაშრომში თითქმის სრულ სიახლეს წარმოადგენს რუსი ელჩების მორალური სახის ჩვენების ცდა XVII საუკუნის საქართველოში *[თავი „რუსი ელჩების მორალური სახე და ქმედებები XVII საუკუნის საქართველოში“, ავტორი ვ. კიკნაძე, – იქვე, გვ. 65-72].* ნაშრომში პირდაპირ ნაჩვენებია რუსი ელჩების „საქმენი საგმირონი“ და ამგვარი საგმირო საქმეების ჩამდენთა თუ მათი მეფისაგან რა სიკეთეც იყო მოსალოდნელი, ვფიქრობთ, ნორმალური ქვეყნის ნორმალური სახელმწიფო მოღვაწენი სათანადო დასკვნებს გამოიტანდნენ მათ თვალწინ დატრიალებული ამბებიდან, მაგრამ არა საქართველოში, სადაც დღემდეა შემორჩენილი ქვეყნის აშკარა მტრებისა და მათ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებებისადმი არაადეკვატური, მონური მორჩილებისაკენ მიდრეკილება და მათდამი ადვოკატური განწყობილებანი, ეს მაზოხიზმის ქართული, განსაკუთრებული „ენდემური“ ფორმა. ამასთან არც გაუგონიათ და არც სურთ გაგონება, ძველი რუსეთის სახელმწიფოში მეფის აუგად ხსენებისათვის დაკანონებული აუცილებელი დასმენის წესის შესახებ, პაროლით „საქმე და სიტყვა“ („дело и слово“), განურჩევლად მშობლისა, დედმამიშვილისა, ცოლისა თუ ქმრისა და სხვა *[იქვე, გვ. 72].* საკვირველია, აგრეთვე, რუსი ავ-

ტორების, განსაკუთრებით კი ვ. პოტტოს ნაშრომში მოცემული გენერალ ლაზარევისადმი მიძღვნილი პანეგირიკი; იმ გენერლისადმი, რომელიც საწოლ ოთახში შეუვარდა ქართლ-კახეთის სამეფოს უკანასკნელ დედოფალს და ძალით ცდილობდა მის იქიდან გამოთრევას, რის გამოც იქვე მოკლული იქნა *[იქვე, გვ. 85]*.

საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთის იმპერატორები საფლავშიც აღარ აყენებდნენ ქართლ-კახეთის მეფეებს და ამ სამეფოს გაუქმების სამართლიანობის დასამტკიცებლად ალექსანდრე I-ის დავალებით მარკიზ პაულუჩმა გიორგი XII-ის საფლავზე გააკეთებინა წარწერა, რომელშიც ნათქვამია, რომ ქართველმა მეფემ თავისი ხალხის სიყვარულისათვის დაუთმო საკუთარი ტახტი რუსეთის იმპერატორს ***[Платон Зубов, Шесть писем о Грузии и Кавказе, писанныя в 1833 году Платоном Зубовым, Москва, 1834 г., с. 54];*** აღარაფერს ვამბობთ პლატონ ზუბოვისავე „ამ ხალხის ბედნიერება იქედან იწყება, რაც „ჩრდილოეთის არწივი“ დაეპატრონა კავკასიას“ *[საქართველო-რუსეთის ურთიერთობა.., 2016, წ. I, გვ. 42]*, ევგენი ბოლხოვიტინოვის – „სურდათ რა გაენაწილებინათ ის მშვიდი ცხოვრება და კეთილდღეობა, რაც რუსეთის მოქალაქეებს ჰქონდათ...“ და ა. შ. ***[Евгений Алексеевич Болховитинов, „Историческое изображение Грузии, Грузия в политическом, церковном и ея состоянии, СП., 1802],*** ან კიდევ, მას სურს რუს მოქალაქეებს იმ ხალხზე მოუთხროს „რომელთა ბედი რუსი ბრძენი მეფეების ხელში გადავიდა“, იმ რუსეთის, რომლის მფარველობასაც საქართველო თურმე 215 წელი ითხოვდა *[საქართველო-რუსეთის ურთიერთობა.., 2016, წ. I, გვ. 94-95]*.

ამგვარი, რუს ხელისუფალთა პანეგირიკების საპირწონედ, ავტორს კარგად აქვს შერჩეული ინგლისელი მოგზაურის ჯონ ბედლის მოსაზრებანი, რომელიც „დაუფარავად აღწერს იმ სისასტიკეს, რასაც რუსები სჩადიოდნენ ქალაქებისა და პუნქტე-

ბის აღებისას“ *[იქვე, გვ.99].* აქვე მოყვანილია იტალიელი ქართველოლოგის ლუიჯი მაგაროტოს მიერ გამოყენებული XVIII ს-ის II ნახევარში მოქმედი საერთაშორისო სამართლის სპეციალისტის ემერ დე ვატელის 1758 წელს გამოქვეყნებული ნაშრომის „ხალხთა სამართალი“ მიხედვით გაკეთებული დასკვნები რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ ჩადენილი ბოროტებების შესახებ, ბოლოს კი მაგაროტო მრავალმნიშვნელოვნად აღნიშნავს: „დღესაც კი, 1801 წლის მოვლენებიდან ორ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ... რუსი ისტორიკოსები კვლავაც ორი საუკუნის წინ შემუშავებული ვიწრო ტენდენციური თვალსაზრისის დაცვას განაგრძობენ“ ***[ლუიჯი მაგაროტო, „საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ (1783-1801), იტალიურიდან თარგმნა სალომე კენჭოშვილმა, გამომც. „მწიგნობარი“, თბ., 2008, გვ. 66; საქართველო-რუსეთის ურთიერთობა.., 2016, წ. I, გვ. 102]***, რაშიც, უპირველეს ყოვლისა, რუსი ისტორიკოსებისგან რუსეთის იმპერიის მიერ ამ იმპერიაში ძალადობით შეყვანილი ხალხებისათვის გაკეთებული სიკეთეების, მათი უვიცობის უკუნიდან და „უმეცრებაში დახავსებულობისაგან“ დამადლებულ-ნაგულისხმევი ხსნაა ხაზგასმული; არტემ არარატელის მსგავს პირველყოფილი გვაროვნული აზროვნების გადმონაშთებზე, როგორსაც ხშირად დღესაც ამჟღავნებენ მისი თანამეტომენი, – და რომელთაც ილია მართალმა მაღალკვალიფიციური მეცნიერული ლოგიკითა და, ამასთან, გამანადგურებელი სატირა-სარკაზმით გასცა პასუხი საისტორიო ნაშრომში „ქვათა ღაღადი“, – საერთოდ, ლაპარაკიც არ ღირს ***[საქართველო-რუსეთის ურთიერთობა.., 2016, წ. I, გვ. 126]***.

სარეცენზიო ნაშრომში ნათქვამია, რომ „რუსეთის მხარდაჭერის მომეტებული იმედი (მაჰმადიანურ ქვეყნებთან შედარებით მაინც) მათ (ქართველი მეფეები იგულისხმება – უ. ო.) ერთმორწმუნეობის ნიშნით უმტკიცდებოდათ“ ***[ჭუმბურიძე დ., „დასავლეთ***

*საქართველოს ურთიერთობა რუსეთთან XVIII ს-ის II ნახევარში", – საქართველო-რუსეთის ურთიერთობა.., 2016, წ. I, გვ. 161-196, გვ. 170].* ამასთან ამავე ნაშრომის 196-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ ერეკლე II, რუსების ინტრიგების მიუხედავად, მაინც დაუახლოვდა სოლომონ I-ს, საქმეები მოაგვარა ოსმალეთთან და სპარსეთთანაც. მაგრამ რუსეთის პოლიტიკით განცდილი ამდენი იმედგაცრუებისა და მარცხის შემდეგ „მეფე მაინც რუსეთისაკენ იხედებოდა და მასზე ამყარებდა მთავარ იმედს..." „ რუსეთის საფარველის მოშორვება და საქართველოს არარად ქცევა ერთ დროს იქნება"... „თუ მე ქრისტიანი ვარ, რუსეთის მონარხის ერთგული მოსამსახურე უნდა ვიყო!" _ ამბობდა ერეკლე II, რომლის ტანჯვა ისტორიულ მტრებზე არანაკლებ ახალმა „მფარველებმა" გააღრმავეს და სიბერე ნამდვილ ჯოჯოხეთად უქციეს" *[იქვე, გვ. 196]* – მართებულად შენიშნავს მკვლევარი. მაგრამ აქ ჩვენ გვსურს დავსვათ გარემოებებიდან გამომდინარე ასეთი კითხვა: რა არის ეს, თუ არა ქვეყნის გარშემო შექმნილი რეალური ვითარების ანალიზის უუნარობა და პოლიტიკური სიბეცე?! ბოლოს და ბოლოს, საკუთრად ნაქცევი და, სიმართლე თუ გვსურს ვთქვათ, კახთ ბატონებისაგან „მოვერაგებული" ქართლის სამეფო ტახტის შენარჩუნების დაუოკებელ სურვილს უნდა შესწირვოდა სამშობლოს ინტერესები?! ან კიდევ, რას ნიშნავს, „მე თუ ქრისტიანი ვარ, რუსეთის მონარხის ერთგული მსახური უნდა ვიყო!" ასეთი რა ნათელი, სიმართლე და სამართლიანობა დაინახა რუს ხელმწიფეთაგან მრავალგზის მოტყუებულმა და სვეგამწარებულმა ქართლ-კახეთის მეფემ, მართლაც მაგარმა ქრისტიანმა, რომ ქრისტეს იმედი წარიკვეთა და იმათ მოიმედედ დარჩა, ვისაც ასეთი ნდობა არაფრით დაუმსახურებია?! რასთან გვაქვს საქმე – რწმენის ნაკლებობასთან, თუ გადამეტებულ რელიგიურ ფანატიზმთან?! იქნებ, სწორედ ამ და

სხვა ცოდვებისათვის უწია ღვთის განგებამ ბაგრატიონთა შთამომავლებს! იქნებ, აქაც გამართლდა ძველი ქართული ანდაზა: „ბაბუას ნაჭამმა ტყემალმა, შვილიშვილს მოჰკვეთა კბილიო“ – ამაზე დღესაც გვმართებს კარგად დაფიქრება!...

აქვე აღნიშნულია, რომ სოლომონ პირველიც „იმედის თვალით შეჰყურებდა ერთმორწმუნე ძლიერ სახელმწიფოს“; მაგრამ, ზემოთ ჩვენ მიერ გამოთქმული თვალსაზრისის გარდა, ანგარიშგასაწევია ის ფაქტორიც, რომ რუსეთმა სრულიად გამოიყენა საქართველოში მის ხელთ არსებული აგენტურული ქსელისა და იძულების ბერკეტები, რითაც მოახერხა მოვლენათა მისთვის სასურველ კალაპოტში მოქცევა საკუთარი ჩანაფიქრის წარმატებით განხორციელება.

უნდა ითქვას, რომ სათანადო თავში – „ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკა XVIII საუკუნის 90-იან წლებში: ურთიერთობა რუსეთთან“ – მკვლევარი დ. ჭუმბურიძე მართებულად შენიშნავს, რომ „მტკიცება იმისა, რომ რუსეთმა, მართალია დაიპყრო საქართველო, მაგრამ სამაგიეროდ გააერთიანა ქვეყანა, – სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს. ეს პროცესი დაწყებული იყო... კავკასიის მთაგრეხილის გადმოღმა მეფის რუსეთის პოლიტიკოსები ჰხედავენ მხოლოდ ტერიტორია „ზაკავკაზიეს“, რომელიც დიდი გარჯით გააერთიანეს კიდეც, მაგრამ არა საქართველოდ, არამედ რუსეთის გუბერნიად“ *[იქვე, გვ. 236-237]*. ანალოგიურად სწორი დასკვნაა გამოტანილი იმერეთის დაპყრობის შესახებაც: „თუმცა რუსეთმა იმერეთის დასაპყრობად დიდი სამხედრო ძალა გამოიყენა და ხალხის წინააღმდეგობაც შეხვდა, მაინც ჩაწერა თავის იმპერიულ ქრონიკებში, რომ იმერეთის სამეფოც, ქართლ-კახეთის სამეფოს მსგავსად, „ნებაყოფლობით“ შეუერთდა რუსეთს, რაც აშკარა სიცრუე იყო.

იმპერიულმა რუსეთმა ფეხქვეშ გათელა სოლომონ მეორის სამეფო უფლებები, დაარღვია მასთან დადებული ელაზნაურის ტრაქტატი, ძალით და ტერორით დაიპყრო დასავლეთ საქართველო. იმერეთის სამეფოშიც, ისევე როგორც მთელ საქართველოში, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ბრძოლას უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა *[იქვე, გვ. 273]* – ამბობს ავტორი და სამართლიანადაც.

ისტორიის დოქტორი, ქალბატონი ხათუნა ქოქრაშვილი, ეხება რა დავით ბატონიშვილის მიერ შედგენილ პროექტს ალექსანდრე I-ისადმი საქართველოს ავტონომიური მმართველობის აღდგენის შესახებ, ხაზს უსვამს, რომ „მან იმპერატორს თამამი განცხადებით მიმართა და ლოგიკურად დაუსაბუთა, რომ თუ ევროპაში აუცილებელი იყო ძველი სამეფო დინასტიების აღდგენა, რასაც რუსეთის სახელმწიფოც მხარს უჭერდა (დასახელებულია საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია, ავსტრია, პრუსია – უ. ო.), რატომ არ შეიძლება იგივეს გაკეთება მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი მონარქიის – საქართველოს მიმართ“; და იქვე აღნიშნულია, რომ დავით ბატონიშვილმა ამ მოთხოვნაზე ცივი უარი მიიღო, თხოვნის კვლავ განმეორების შემთხვევაში კი მას სამსახურის დაკარგვითა და პეტერბურგიდან გასახლებით დაემუქრნენ *[იქვე, გვ. 330-331]*. მკვლევარი იქვე აკეთებს სათანადო დასკვნასაც. მაგრამ ჩვენ აქ უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი, ქართული მხარისათვის არც თუ ისე სასიამოვნო გარემოებანიც, რადგან ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ გარემოებათა გამო რუსეთი საქართველოში იმავეს ვერ დაუშვებდა და ეს, მას არც სჭირდებოდა. ჯერ ერთი, საქართველოს სამეფოთა გაუქმება, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის ინტერესებში შედიოდა და მის მიერ მოხდა (იგი დღესაც მოქმედებს ამგვარი ორმაგი სტანდარტით); და მეორეც, – ევროპის

ზემოთ დასახელებული სახელმწიფოები თუ სამეფო დინასტიები გააფთრებით იბრძოდნენ თავიანთი უფლებების აღსადგენად, – მაშინ, როდესაც ქართული პოლიტიკური ელიტა არა მარტო რუსეთ-საფრანგეთის 1812-1813 წლების ომის, თუ ამ პერიოდის მახლობლად მიმდინარე ომების დროს არა მარტო ერთგულად ედგა მხარში იმპერიას, არამედ თავად იბრძოდა ადგილობრივ ამბოხებულთა წინააღმდეგ, თუნდაც 1812 წლის კახეთის აჯანყების დროს, რომელიც უმთავრესად, სწორედ ქართული ძალების მიერ იქნა დათრგუნვილი. ამასთან, დიდი ფული დაიხარჯა ამავე ქართული ელიტის მოსყიდვა-გადაბირებაზე, რის გამოც მისდამი პატივისცემისა და ნდობის ხარისხიც ძალიან დაბალი უნდა ყოფილიყო რუსეთის სამეფო კარზე. მათ ხომ ფულისა და ჯილდოების გამო საკუთარი მეფე და ქვეყანაც გაყიდეს და რატომ უნდა გაეწია ანგარიში რუსეთის ხელმწიფეს ასეთ ყალბ ნიადაგზე მდგარი ყოფილი სამეფოს წარმომადგენელისათვის. მან ხომ კარგად იცოდა, ამ მისგან ნაყიდი არამზადების ნამდვილი ფასი, რომლებიც მასაც, ახალი შანსის გაჩენისთანავე, სარფიანად გაყიდდნენ.

ამავე ავტორის მიერ წიგნის მეორე ნაწილში შეტანილ სტატიაში „ოსების მიგრაცია შიდა ქართლში“, მკვლევარი, ეხება რა აღნიშნულ პრობლემას, შენიშნავს: „აღსანიშნავია, რომ XIII საუკუნის ბოლოს მონღოლების მხარდაჭერით ოსების ერთი ჯგუფი შიდა ქართლში შემოიჭრა. გარკვეული ხნით მათ დაიკავეს გორი და შიდა ქართლის ციხეები. თუმცა გიორგი ბრწყინვალემ შეძლო როგორც მონღოლების, ისე ოსების ქართლიდან განდევნა“ *[საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში, წ. II, თბილისი, გამოც. „მერიდიანი“, 2016, გვ. 4]* (გავიხსენოთ ვახტანგ გორგასლის მეფობის დასაწყისიც).

როგორც ვხედავთ, თანამედროვეობისთვისაც ძალიან ნაცნობი სურათია, თუმცა მონღოლები, ამჯერად, მათი „მემკვიდრე“ რუსებით არიან ჩანაცვლებულნი... და იმედია, „გიორგი ბრწყინვალეც“ სულ მალე გამოჩნდება.

აქვე არ გვსურს გვერდი ავუაროთ მკვლევარ დ. ჭუმბურიძის მიერ შენიშნულ სამწუხარო ტენდენციას *[იქვე, წ. II, თავი „რუსეთის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში და ქართული საზოგადოება“, § საქართველოს „ნებაყოფლობითი შეერთება“ რუსეთთან და მისი შედეგები, გვ. 17-21]*, რომ ქართლის მეფეები იმდენად ცდებოდნენ, ისე სულ სტყუვდებოდნენ, რომ ზოგჯერ ფიქრობენ, განგებ ხომ არ იტყუებდნენ თავს; მაგრამ ეს ასე არ იყო. მათ, ძალიან ჭკვიანებსაც და სუსტებსაც, ატყუებდათ ყველა რუსი მეფე. ამასთან, წინაპრის მარცხი არცერთ მომდევნო ქართველ მეფეს არ გაუთვალისწინებია“ *[იქვე, გვ. 18]*. რატომ?! რა არის ამის მიზეზი? – ეს კითხვა, ალბათ, ყველას გაუჩნდება, თუმცა მასზე ამომწურავი, მეცნიერულად გამართული პასუხი დღემდე არ არსებობს. ჩვენც შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ხშირი, ხანგრძლივი წარუმატებლობით გადაღლილ ქვეყანასა და მის მესვეურთ, რომელთაც შესაძლოა მაშინდელი მსოფლიო თუ რეგიონალური პრობლემების სწორად აღქმისათვის საგანმანათლებლო ბაზაც აკლდათ; ამასთან და აქედან გამომდინარე, აქტიურად მოქმედებდა რა, ქვეყნის ინტერესებთან შედარებით, პირადი ინტერესის პრიორიტეტი (მაგ.: მეფეთა ქიშპობა სამცხის საათაბაგოსა თუ ქვეყანაში პირველობისათვის, გიორგიევსკის ტრაქტატის დადების დროს ალექსანდრე ბაქარის ძის ფაქტორი და მისი როლი, ქართლის სამეფო ტახტზე კახეთის ბაგრატიონთა ლეგიტიმურობის პრობლემა, ანალოგიური პრობლემები სხვა სამეფო-სამთავროებში და მათ გადასაჭრელად, უმთავრესად, რუსეთის მოიმედეობა, რასაც, ეს უკანასკნელი, კარგად უთავსებ-

და საკუთარ დამპყრობლურ პოლიტიკას, მიმართავდა რა მათ გადაბირებასა და მოქრთამვა-მოსყიდვას, თუ სხვა).

სამწუხაროდ, ეს პროცესი, რამდენადმე მოდერნიზებული ფორმით, დღესაც გრძელდება და საქართველოში ახლაც არიან ძალები, რომლებიც აქ საკუთარი ამბიციების დაკმაყოფილებას, კვლავ რუსეთის დახმარებით ცდილობენ და ჩვენს ქვეყანაში რუსული პოლიტიკის გატარების „მეხუთე კოლონასა“ და ამავდროულად მის „უფასო“ ვექილებს წარმოადგენენ. მათ გასაგონად, ჩვენს მიერ რეცენზირებულ ნაშრომში მოყვანილია ამონარიდი ცნობილი რუსი ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის გიორგი ფედოტოვის ნაშრომიდან – **„Судба и грехи России“ (Москва, 1992),** სადაც ის წერს: „ჩვენ ბავშვობიდან გვასწავლეს რუსეთთან საქართველოს მშვიდობიანი შეერთების შესახებ, მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის, როგორი ვერაგობითა და თუ საქართველოს როგორი დამცირებით გადაუხადა მას რუსეთმა ეს „თავისი ნებით შეერთება“ ***[იქვე, გვ. 19].*** ხოლო პარაგრაფში – „იმედგაცრუებული“ ქართველები „დამნაშავის“ ძიებაში“, პროფესორი დ. ჭუმბურიძე აღნიშნავს: „...საზოგადოება ქვეყნის ინტერესების ღალატს ელჩებს აბრალებდა. ამასვე ცდილობდნენ რუსი მოხელეები. მაგალითად, გენერალმა კნორინგმა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება პავლე I-ის საიდუმლო მრჩეველს, წარმოშობით ქართველ სერგეი ლაშქაროვს და გარსევან ჭავჭავაძეს დააბრალა ***[ზ. ცქიტიშვილი, გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, თბ., 1982, გვ. 167; საქართველო-რუსეთის ურთიერთობა.., 2016, წ. I, გვ. 25].***

იგივე თვალსაზრისს გამოხატავდნენ დავით, ბაგრატ და იოანე ბატონიშვილები ***[ნ. გიგინაშვილი, ბაგრატიონი უფლისწულების პოლიტიკური მოღვაწეობა XIX საუკუნის პირველ მესამედში, თბ., 2007, გვ. 39].*** იმის დასამტკიცებლად კი, რომ

გარსევან ჭავჭავაძე ვერ ასრულებდა მასზე დაკისრებულ ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩის მოვალეობას, რუსული ენის მაღალ დონეზე უცოდინარობაა დასახელებული. თუმცა იქვე მოყვანილია ფაქტები, რომ ეს მას ხელს სრულებითაც არ უშლიდა, როდესაც საქმე მის პირად ინტერესებსა და „ევროპულად ცხოვრების" მოწყობის სურვილს ეხებოდა. თანაც, საკვირველია, რა სირთულეს წარმოადგენდა ათწლეულების განმავლობაში გამუდმებით რუსეთში მყოფი ელჩისათვის რუსული ენის ჯეროვნად შესწავლა?! (ეს მისი ქართველი „ადვოკატების" მიერ ხელოვნურად შექმნილი, მოგონილი „ალიბი" უნდა იყოს – უ. ო.). ამასთან, ფრიად საგულისხმოა ამავე ავტორის იქვე მოტანილი დასკვნაც, რომ „შესაძლოა, ელჩებს მოსახდენი წინასწარ არ სცოდნოდათ, მაგრამ რუსი დიპლომატების ტყუილებისა და რუსულ პოლიტიკაზე რამდენიმეწლოვანი დაკვირვების შემდეგ, კი უნდა მიმხვდარიყვნენ რუსეთთან ურთიერთობის რეალურ შედეგს. მით უმეტეს ელჩებს რუსმა მოხელეებმაც დააბრალეს ღალატი და ქართული საზოგადოებაც დაარწმუნეს ამაში ***[საქართველო-რუსეთის ურთიერთობა.., 2016, წ. I, გვ. 28]***. ეს ხომ რეალობაა, რომელსაც წყალი არ გაუვა; რადგანაც ქართველ უფლისწულებს 1839 წლისთვის მაინც, დაწვრილებით შესწავლილი ექნებოდათ მათთვის ამ უმნიშვნელოვანეს საქმის დეტალები და მასში გარსევან ჭავჭავაძის მიერ შესრულებული როლის შესახებ, რომელმაც მათი საბოლოო დასკვნის მიხედვით – „რუსეთისსავე ტაინი სოვეტნიკისა ლაშკაროვს... შთააგონა... რომ საქართველოში მეფობის გაუქმება „დიადი შესამატი იყოს რუსეთისა". თანაც ავტორი იქვე, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ინსტიტუტის ფონდებში დაცული დოკუმენტზე მითითებით, აღნიშნავს, რომ „ამ საქმის შესრულება მათ საიდუმლოდ განიზრახეს. გარსევან ჭავჭავაძემ მეფის ძეთა შორის შური ჩამოაგდო, ხოლო ს.

ლაშქაროვმა საქმე „მინისტერიაში“ მოაგვარაო“ *[იქვე, გვ. 28].* ამიტომაც, სრულიად არ არის გასაკვირი, რომ „გარსევან ჭავჭავაძეს აღარც რუსები ენდობოდნენ და აღარც ქართველები“...*[იქვე, გვ. 29],* რადგან ასეთია ხვედრი ყველა მოღალატე რენეგატისა. ამასვე ადასტურებს, ჩვენი აზრით, აქვე მოტანილი შემდეგი პასაჟიც: „როდესაც სამშობლოში დააბრუნეს (გარსევან ჭავჭავაძე – უ. ო.) და თანამდებობა მისცეს, მისმა ვაჟმა ალექსანდრემ კნორინგს მოსთხოვა მამამისისათვის საპატიო შეხვედრა მოეწყოთ; მიაჩნდა, რომ ასეთი წესი უნდა შესრულებულიყო განსაკუთრებულად დამსახურებული პირებისათვის. მისი აზრით, გარსევან ჭავჭავაძე ამას იმსახურებდა“ *[იქვე].* აქ, არავითარი საბუთი არ გვაქვს ვიგულისხმოთ, რომ მან პირნათლად შეასრულა თავისი ვალი სამშობლოს წინაშე; პირიქით, მის რუსეთში ელჩად მოღვაწეობას მოყვა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და ბაგრატიონთა დინასტიის, რომელსაც თითქოს-და ის ემსახურებოდა, სასტიკი დევნა და დაკნინება-რეპრესიები, რუსეთში მათი გადასახლების ჩათვლით. ალექსანდრე ჭავჭავაძეს, როგორც შვილსა და მისი გარემოცვის უახლოეს წარმომადგენელს, ყველაზე უკეთ უნდა სცოდნოდა ამ საქმეში გარსევან ჭავჭავაძის მიერ შესრულებული როლის შესახებ და როდესაც საქართველოში რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელს ზემოთ აღნიშნული მოთხოვნით მიმართავდა, ჩვენ ვფიქრობთ, სწორედ ამ როლის ადექვატურ დაფასებას მოითხოვდა მისგან და რუსეთისგანაც. საქართველოსთვის მის მიერ გაწეული „ღვაწლი“ კი, მანაც კარგად იცოდა, რომ სულ სხვაგვარ „ჯილდოსა და დაფასებას“ იმსახურებდა. და აქ სრულიად ბუნებრივად გამოიყურება ავტორისეული მსჯელობაც, რომ „მტრისა და მოყვრის თვალშიც ჭავჭავაძე ერთნაირად საეჭვო პიროვნებად ჩანდა“. საქართველოში ბევრი იყო დარწმუნებული მის ღალატში... ხალხს სძულდა

ისინი, ვისაც ამ ხელისუფლების (იგულისხმება რუსეთის ხელისუფლება – უ. ო.) მოყვანაში ედო წილი. გარსევან ჭავჭავაძეს ასეთად განიხილავდნენ. ბევრი მოღალატის ბედი ყოფილა მსოფლიო ისტორიაში ამგვარი“ *[იქვე, გვ. 29-30].*

მართებულად მიგვაჩნია ავტორის ის მოსაზრებაც, რომ ქართული საზოგადოების მთავარი ნიშან-თვისება XIX საუკუნის დასაწყისში ეროვნული ნიჰილიზმი იყო“... *[იქვე, გვ. 30]* ეროვნული ნიჰილიზმის ერთ-ერთი მასაზრდოებელი წყარო კოლაბორაციონიზმია. სამწუხაროდ, დიდი იმპერიების დაპყრობის ობიექტად ქცეულ პატარა ქვეყანაში ის გამორჩეულად ყვავის და ხშირად ეროვნული თვითშეგნების გარკვეული ელფერითაც ინიღბება: მას ზოგჯერ თვითგადარჩენის იმპულსით ხსნიან და ამართლებენ. სინამდვილეში ის არღვევს ეროვნული სხეულის მთლიანობასა და სიმტკიცეს, გარეშე მტრებს უადვილებს დასაპყრობ ქვეყანაში შემოღწევასა და გაბატონებას“... (მართლაც, ზუსტად მიგნებული მსაზღვრელებია გამოყენებული, რეალური პროცესის წარმოსადგენად) და სრულიად მართებულია იქვე მოცემული ავტორისეული დასკვნაც, რომ „XIX საუკუნის დასაწყისში ქართული სახელმწიფოებრიობა მხოლოდ რუსულმა იარაღმა კი არა, ეროვნულმა ნიჰილიზმმა და კოლაბორაციონიზმმა დაამხო“ *[იქვე, გვ. 32].*

ამასთან, არ შეიძლება არ დაეთანხმო მკვლევარს იმაშიც, რომ „ ერი, რომელიც საკუთარ შესაძლებლობაში არაა დარწმუნებული და მუდმივად სხვისი მოიმედეა, ვერ დაიცავს თავს გარეშე მტრებისაგან, ვერ იქნება საშინაო ასპარეზზე წარმატებული, ვერ მიაღწევს განვითარების სასურველ დონეს“ *[იქვე, გვ. 30-31],* რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია დღესაც და მომავალშიც.

ნაშრომში განხილულია რუსული ინტელიგენციის ირონიული და აგდებული დამოკიდებულება ახლად შეერთებული

ქვეყნის ეთნოკულტურული ღირებულებებისადმი (მაგ.: ალექსანდრე პუშკინის აღფრთოვანება დიმიტრი თუმანიშვილის „ახალაღნაგოს“ ტექსტზე დაწერილი სიმღერით) აღნიშნულ პერიოდში თვით ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელთა – ივანე აფხაზის, ფილადელფოს კიკნაძის, სოლომონ დოდაშვილის და სხვათა კრიტიკული და თვითკრიტიკული დემარშები.

„1832 წლის შეთქმულების „დამარცხების“ შემდეგ საქართველოში ბრძოლის გზად რუსეთის ომებში ჩაბმული ქართველების გმირობა გამოცხადდა, რაც ქართველი ხალხის ცნობიერებაში დაშვებული კიდევ ერთი დიდი შეცდომა იყო“ – ჩვენი აზრით, მართებულად შენიშნავს ავტორი *[იქვე, გვ. 39].*

ნაშრომში შთამბეჭდავადაა წარმოჩენილი „გაორებული თუ კოლაბორაციონისტი ქართველების“ სახე, განსაკუთრებით გრიგოლ ორბელიანის მაგალითზე, რომელიც „ხან შეუბრალებლად სჯიდა რუსეთის იმპერიისადმი დაპირისპირებულ მეამბოხეებს, თავს აყრევინებდა ურჩებს, ხანაც თავის კუთვნილ ხელფასს ურიგებდა მოსახლეობას; ლექსებში დამპყრობელ ვეშაპზე მოსთქვამდა, ცხოვრებაში ამ ვეშაპს ადიდებდა და უერთგულესად ემსახურებოდა, – ამბობს ავტორი და იქვე სვამს კითხვას: „იყო კი „გაორებული“ მისი ეს მოქმედება და ცხოვრებისა და აზროვნების წესი?“ და თავად პასუხობს“ „ალბათ, არა! ეს ჩვეულებრივი, რუსის არმიაში აღზრდილი გენერლის ტაქტიკაა და მეტი არაფერი“. ვფიქრობ, ამ შეფასებაზე არაფრის დამატება არ ღირს, და უპირველეს ყოვლისა, ამად არ ღირს თავად აღნიშნული პერსონა, – „გირგოლაობის“ სინდრომის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში.

ჩვენ, საგნის განხილვის თვალსაზრისით, მეტად ორიგინალურად და აღნიშნული პრობლემის გაგების ერთ-ერთ წარმატებულ ცდად აღვიქვით დ. ჭუმბურიძის მიერ გამოთქმული

მოსაზრებანი თემაზე – „რატომ არ არის ლექსი – „საფლავი მეფის ირაკლისა“ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოლიტიკური ორიენტაციის გამომხატველი“ – *[იქვე, გვ. 41-61]*. მიგვაჩნია, რომ ძალზე მნიშვნელოვანია მკვლევრის მიერ ნიკო ბარათაშვილის ამ „საიდუმლოს“ გახსნა იმიტომ, რომ ქართველი რუსეთუმეები დღესაც საკუთარი მოსაზრება-პოზიციების გასამართლებლად, ხშირად ამ ლექსზე მიუთითებენ. ამ შეგნებულ, რუსეთის ტრუბადურ გვამთადმი აღნიშნულ სტატიაში ამომწურავი პასუხია გაცემული. თან აქვე ხაზი უნდა გავუსვათ ერთ მეტად სამწუხარო, მაგრამ თავისი შინაარსით უმნიშვნელოვანეს დეტალს.

როდესაც რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I საქართველოს ეწვია, „სტუმრობამ ისეთი ზარ-ზეიმით ჩაიარა, გაკვირვებული თავად სტუმარიც დარჩა – „როგორ უნდა უყვარდეს მეფე ამ ხალხს, რომ ამდენი ბოროტების შემდეგ, ასე შემეგებნენო“ *[იქვე, გვ. 45]*, გაკვირვებით ჩაუწერია ნიკოლოზ I-ს თავის დღიურში. როგორც ვხედავთ, რუსეთის იმპერატორიც კი, უფრო ობიექტურად და რეალურად აღიქვამდა მოვლენებს, ვიდრე რუსეთის წინაშე დღესაც მუცელზე მხოხავი ქართველი მაზოხისტები, რომლებიც იმ წუთშივე აიტაცებენ ხოლმე რუსეთიდანვე საქართველოსა და მისი ნამდვილი მეგობრების გასაბიაბრუებლად გადმოსროლილ ყოველგვარ სიბინძურეს და შემდეგ მართლაც მაზოხისტური სიამოვნებით იმეორებენ მას (მაგალითად, ზოგიერთ ხელოვანს თუ „დამსახურებულ“ მუშაკს სერიოზულად სჯერა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს მხოლოდ „პამპერსებითა და მტკნარი წყლით“ დაეხმარა) ?!.

საუბრობს რა დეკაბრისტების შესახებ, იგივე მკვლევარი აღნიშნავს, რომ „როგორც ვიცით, დეკაბრისტები იყვნენ რუსი

რევოლუციონერები“, რომლებმაც ევროპული ექსპედიციიდან რუსეთში დაბრუნების შემდეგ „ გადაწყვიტეს თავიანთი ქვეყნის გარდაქმნა და ევროპული გარდაქმნების გატარება. ამ მიზნით, დეკაბრისტებმა ჩამოაყალიბეს ფარული საზოგადოებები... მოძრაობის ლიდერებმა შეადგინეს პროექტები რუსეთის შემდგომი მოწყობის შესახებ. სამწუხაროდ, მათი მიდგომა რუსეთის იმპერიაში შემავალი დაპყრობილი ხალხებისადმი ცარიზმის მსგავსად რეაქციული, შეიძლება ითქვას, კიდევ უფრო მეტად აგრესიული იყო“ – ამბობს ავტორი და იქვე მოყავს ამის დამამტკიცებელი საბუთები დეკაბრისტთა პროგრამებიდან *[იქვე, გვ. 61-62],* რომელთა განხორციელების შემდეგ, მათი აზრით, უნდა „წაიშალოს ყოველგვარი ნიშანწყალი უწინდელი (ანუ ახლანდელი) მცხოვრებლებისა და ეს მხარე კეთილმოწყობილ რუსულ ოლქად გადაიქცეს“, – შემდეგ კი აღნიშნავს, რომ „ქართველები განათლებული და ლიბერალურად მოაზროვნე რუსი რევოლუციონერებით მოიხიბლნენ...“ *[იქვე]* და ა. შ., რაც არარეალურად გამოიყურება; რადგან ზემოთ მოხსენებულ მათ პროგრამებსა და აზრებში ლიბერალიზმის ნიშანწყალიც არ ჩანს. ვფიქრობ, დიდი ხანია დადგა დრო, უარყოფილი იქნას ამ რუს ურა-პატრიოტ ნაციონალ-შოვინისტთა ლენინისეული და საბჭოთა ისტორიოგრაფიული სკოლისათვის დამახასიათებელი შეფასებანი და ითქვას, რომ მათი თვალთახედვისა და იმპერიული აზროვნების გამო, სრულიად წარმოუდგენელი იყო მათ გულწრფელი და თბილი ურთიერთობები ჩამოყალიბებოდათ დაპყრობილი ხალხების, კერძოდ კი კავკასიელების მიმართ. ამიტომაც საჭიროა საბოლოოდ შეწყდეს ამ ჩვეულებრივი რუსი „ოპრიჩნიკების“ გაფეტიშება-გაიდეალება. ვფიქრობთ, არც გრიგოლ ლორთქიფანიძის იმ შეფასებაშია რაიმე გადამეტებული, როდესაც ის აღნიშნული „ელიტასა“ და მის საქმიანობაზე მსჯე-

ლობს, რომ „...ქართველი ხალხის მოწინავე ნაწილი თითქმის სრულიად გატყდა წელში, ქედი მოიხარა და ამბორი დაუწყო იმ ხელს, რომელიც მას რუსული „კნუტით“ (მათრახით) უჭრელებ-და ზურგს“ *[საქართველო-რუსეთის ურთიერთობა.., 2016, წ. I, გვ. 92; გრ. ლორთქიფანიძე, „ფიქრები საქართველოზე“, თბ., 1995, გვ. 71],* მაგრამ, საბედნიეროდ, სულ მალე გამოჩნდა ილია ჭავჭავაძე და მისი მცირერიცხოვანი დასი, რომელმაც შეძლო მათგან სა-სიკვდილოდ განწირული საქართველოს სააქაოსაკენ მობრუნება.

რაც უფრო მეტს ვფიქრობ 1932 წლის შეთქმულებაზე, მეუფლება აზრი, რომ მის მონაწილეებს არ გააჩნდათ აღნიშნული შეთქმულების გამარჯვების არავითარი რწმენა და მიმბაძველური ცრუ ოცნებებით მხოლოდ „გულის ბუხარს“ იხარებდნენ. ამიტომაც, ერთი სული ჰქონდათ, რომ ვინმეს სულმოკლეობა გამოეჩინა და ასეც მოხდა. იასე ფალავანდიშვილმა ისინი იხსნა იმ „დანაშაულის“ ჩადენისაგან, რომლისთვისაც მზად არ იყვნენ და შეუნარჩუნა შანსი, რუსეთის საიმპერატორო კარისათვის თავიანთი ერთგულება კვლავაც ემტკიცებინათ... შეთქმულების იდეა - ეს იყო დასავლეთიდან, კერძოდ, იმდროინდელი პოლონეთიდან, მომდინარე მოდური სულისკვეთებისათვის თავისებური ხარკი, რომლის იქით წასვლა, გარკვეული მიზეზების გამო, მათ შესაძლებლობებს აღემატებოდა, და იგი იდეაშივე დარჩა. შეთქმულების დაწყების თარიღის მრავალგზის გადადებაც იმის დასტურია, რომ გრძნობდნენ რა საკუთარ სრულ უილაჯობას, ერთი სული ჰქონდათ, ვინმე როდის გასცემდა მათ მიერ წამოწყებულ ამ ავანტიურას.

აღნიშნულ ჩვენს მოსაზრებას თავისებურად ამაგრებს ავტო-რისეული ანალიზი თემისა „რუსეთის იმპერატორები საქართვე-ლოში“, სადაც ის აღნიშნავს: „სტუმარს კავკასიური და მათ შო-რის, ქართული ადათი განსაკუთრებულ პატივს მიაგებს, მაგრამ

ამ შემთხვევაში იმპერატორების წინაშე ქართველმა თავადაზნაურობამ შესამჩნევად გადააჭარბა. მათი ქცევა და სიტყვები უფრო მლიქვნელობის შთაბეჭდილებასა და უსიამოვნო განცდას ტოვებდა, ვიდრე ჩვეულებრივი სტუმრის, რაგინდარა საპატიოს, პატივისცემა გულისხმობს. ეს მით უფრო, რომ სისხლისმღვრელი დაპირისპირებანი რუსულ ხელისუფლებას და ქართველი ხალხის წარმომადგენლებთან უკვე მრავალჯერ იყო გამართული“ (აქვე ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე შეიძლება დავამატოთ, რომ მათი უმრავლესობა, სწორედ ქართველი თავადაზნაურობის შესაშური თავგანწირულობისა და ძალისხმევის შედეგად იქნა ჩახშობილი, რუსული ჯილდოების, მაგალითად „სისხლის ჯვრის“ მიღების იმედით *[იხ.: ალ. ფრონელი, მთიულეთი 1804 წელსა, გამომც. „ქართველ ამხანაგთა სტამბა“, ტფ.,1896, თუ სხვ.]*).

მით უმეტეს, რომ „თავად იმპერატორმაც ვერ გაიგო კარგად, რატომ შეხვდა მას ასეთი ზარ-ზეიმით თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის ქართველობა, ამდენი აჯანყებების, ომების, სისხლისღვრისა და დამცირების ქვეშ გამოტარებულმა ხალხმა უსაზღვრო მორჩილება და მონური ქედმოხრა რატომ გამოავლინა მის წინაშე... თავად იმპერატორს 1837 წელს დღიურში ჩაუწერია: „არ შეიძლება არ გაოცდეთ იმით, რომ ხალხი მონარქისადმი ერთგულების გრძნობას ატარებს მაშინ, როცა არსებობს მმართველობის საძაგელი წესი, რომელიც ჩემდა სამარცხვინოდ, დიდი ხანია ტვირთად აწევს ამ მხარეს“ *[საქართველო-რუსეთის ურთიერთობა.., 2016, წ. I, გვ. 112-114]*.

როგორც ჩანს, ნიკოლოზ I უფრო ღრმად გრძნობდა და განიცდიდა აქ შექმნილ ვითარებას, ვიდრე ეს მონური სულისკვეთებით სიქა გაცლილი და მონარქის ერთგულ სამსახურში გახვითქული ქართული ე. წ. არისტოკრატია და მისი იმდროინდელი „სულიერი მოძღვრები“. ხოლო რაც შეეხება „ქართველთა

კოლაბორაციონიზმისა თუ სამარცხვინო მლიქვნელობის გამომხატველ ფაქტებს“ *[იქვე]*, ამის შესახებ, სამწუხაროდ, რა შეიძლება ითქვას?!. მაგრამ მაინც ვცადოთ...

როდესაც აზიაში გადასულმა ალექსანდრე მაკედონელმა მდინარე გრანიკოსში ყოველგვარი განსჯის გარეშე ისკუპა, თვით მდინარესაც აღმოაჩნდა ძალმოსილება, რომ ევნო მოყვრის საფარქვეშ მოსული „მტრისთვის“; საქართველოში კი, ამ ქედდადრეკილი მონების ნახვამ თვით ნიკოლოზ I-იც კი შეაძრწუნა, მაგრამ ისეთი რამეც გააბედვინა, რასაც მხოლოდ „რუსული ხოლოპიზმის“ უბადრუკ ნაშთებს თუ აკადრებდა ვინმე... მაგრამ მან ეს იკადრა, რადგან თავად იყო საკუთარი შეუზღუდავი თვითნებობის პირველი ხოლოპი და თავს გრძნობდა ღირსების გრძნობადასაჭურისებულ საკუთარ ჰარამხანაში!.. და გრანიტის პედესტალზე აღმართული თუჯის ჯვარიც ზედ თბილისის გასასვლელთან, წარწერით: „Живый в помощи Вышняго, в крове Бога небеснаго водворится“ *[იქვე, გვ. 110]* – მაშინდელი ქართული საზოგადოების სრული მორალური გაკოტრების თვალსაჩინო მაგალითია, რომლის დასაძლევადაც კოლოსალური მუშაობა გასწია ილია მართალმა და მისმა თაობამ (თანამოაზრეებმა)[4].

4 რეცენზიის II ნაწილი კრებულის შემდგომ ნომერში დაიბეჭდება.

Макка Султан-Гиреевна Албогачиева

## Рецензия на книгу „Грузины“ /отв. ред. Л.К. Бериашвили, Л.Ш. Меликишвили, Л.Т. Соловьева. М.: Наука, 2015. 814 с./

Предлагаемая вниманию читателей монография «Грузины» вышла в свет в 2015 г. в издательстве «Наука» при финансовой поддержке Российского гуманитарного научного фонда, который ежегодно выпускает книги этой серии, продолжая традицию энциклопедизма 1950-х – начала 60-х годов, когда Институтом этнографии АН СССР (прежнее название института) была предпринята попытка систематического отображения мировой этнической картины. В серии «Народы мира» в те годы было выпущено 18 томов, в которых публиковались небольшие очерки о конкретных народах. В частности, во второй том – «Народы Кавказа» (1962) – вошла глава «Грузинская Советская Социалистическая республика», в которой отдельными блоками были представлены материалы по истории и этнографии грузин, абхазов, греков. С 1997 г. Институт этнологии и антропологии им. Н.Н. Миклухо-Маклая РАН совместно с профильными научными центрами автономий Российской Федерации и академическими центрами бывших союзных республик в рамках большого исследовательского проекта готовит более содержательные и энциклопедичные издания, чаще всего посвященные конкретному народу. Том «Грузины» стал 25-м томом серии «Народы и культуры», имеющим цель публиковать фундаментальные работы, посвященные народам современной Российской Федерации и ближнего зарубежья.

Рецензируемый труд посвящен исследованиям истории и этнологии грузин, одного из древнейших автохтонных народов Кавказа, внесшего огромный вклад в сокровищницу мировой культуры. Прочитав этот труд, который стал результатом многолетних исследований 69 ученых, из которых 57 докторов наук, можно определить масштабность поставленных задач и глубину исследований грузинских авторов, многие десятилетия изучавших ту или иную проблему в разных регионах Грузии. Значительная часть авторского коллектива – сотрудники Института истории, археологии и этнографии АН Грузии, Музея Грузии, Батумского НИИ и других научных учреждений республики.

Нужно отметить большую работу, проделанную при подготовке издания ответственными редакторами книги – Л.К. Бериашвили, Л.Ш. Меликишвили, Л.Т. Соловьевой, которые контактировали с авторами, давали им соответствующие рекомендации и вносили правки в тексты (95 статей, разбитых по 11 главам), посвященные самым разным темам. Профессиональная подготовка ответственных редакторов и их огромный труд подтверждается тем, что авторские тексты читаются так же легко, как если бы они были написаны гораздо меньшим количеством авторов.

Серия «Народы и культуры» особенно привлекательна для исследователей конкретных народов и очень востребована, так как этнолокальные исследования интересны возможностью выхода на новые исследовательские рубежи, которые могут стать возможными на основе детального анализа особенностей формирования традиционной культуры этноса. К тому же региональный подход как методологическая позиция исследования народов Российской Федерации и ближнего зарубежья до настоящего времени, имеет неравномерное освещение. В этом плане грузиноведение сущест-

венно продвинулось вперед по сравнению с изучением других регионов Кавказа. Во многом этому способствовали научные интересы грузинской элиты, которая начала развивать историко-этнографическую науку значительно раньше других. Известно, что царевич Теймураз Багратиони – ученый-кавказовед, сын последнего грузинского царя Георгия XII – является автором первой критической истории Грузии и популяризатором интереса к истории и культуре Грузии, первый грузин-академик, почетный член Петербургской академии наук; Вахушти Багратиони — грузинский царевич, историк и географ; Дмитрий Захарович Бакрадзе – историк, археолог, этнограф, член-корреспондент Петербургской академии наук; Иван Александрович Джавахишвили – историк, академик АН СССР (1939), основатель Тбилисского университета; Симон Николаевич Джанашиа – историк и общественный деятель, один из учредителей и академиков Академии наук Грузии, лауреат Сталинской премии (1942, 1947); Платон Игнатьевич Иоселиани – историк, исследователь истории Грузии; Георгий Александрович Меликишвили – историк, академик Академии наук Грузинской ССР, автор трудов по истории государства Урарту и др. Благодаря их исследованиям в грузиноведении почти нет белых пятен, труды этих ученых легли в основу многих статей рецензируемого издания, свидетельствуя об их актуальности и важности для современников поныне.

Монография построена по типу предыдущих изданий этой серии, включающих несколько основных тематических блоков. Чтобы отразить охват представленных тем этого огромного тома из 814 страниц, отметим, что рецензируемая монография состоит из 11 глав, глоссария, библиографии и списка архивных источников.

Глава I – «Этническая и политическая история» – рассматривает этнополитические процессы, демографию и антропологию народов, населяющих страну. Глава II – «Письменная культура» – посвящена изучению грузинского языка, рукописной культуре, эпиграфике, богословско–литературным и просветительским центрам. Глава III – «Материальная культура» – охватывает широкий спектр исследовательских направлений: поселения, жилища, одежда, оружие, система питания, мосты и дороги, транспорт и мореходство. Глава IV – «Хозяйство» – отражает практики традиционного лесопользования, пчеловодства, охоты, рыболовства, земледелия и скотоводства. Глава V – «Промыслы и ремесла» – посвящена организации ремесленного производства, обработке металла, дерева, камня, ткачеству и шелководству. Глава VI – «Семья и семейный быт» – рассматривает семейный быт, системы родства, обряды жизненного цикла. Глава VII – «Общественный быт и экономические отношения» – показывает сложные механизмы территориальной общины, социально-религиозные институты, аманатство, обычное право, мужские сходы, формы взаимопомощи, гостеприимство, застолье и торговые отношения. Глава VIII – «Религиозные представления» – отражает народные верования, историю Грузинской православной церкви, христианские конфессии и ислам в Грузии. Глава IX – «Духовная культура» – рассматривает традиционный праздничный календарь, астральную символику в орнаменте, фольклор, народную и инструментальную музыку, хореографию, традиционные виды спорта, народную медицину и гигиену. Глава X – «Профессиональная культура» – посвящена литературе, изобразительному искусству, театру и кино. Глава XI – «Грузинские диаспоры» – рассматривает грузинскую эмиграцию и диаспоры в Турции, Иране, России.

Беглый обзор содержания монографии позволяет отметить масштабность указанного научного труда, его новизну и практическую значимость не только для грузинской этнологической науки, но и для кавказоведения в целом. Профессиональная подача такого объемного материала позволяет под различным углом зрения рассмотреть разнообразные тематические блоки, представленные в данном издании.

Данный труд подготовлен большим коллективом ученых, проделавшим поистине титаническую работу по выявлению, систематизации и освещению собранного материала. Несомненным достоинством данного издания является то, что авторскому коллективу удалось избежать идеологической ангажированности, свойственной не только многим историографическим работам недавнего прошлого, но и некоторым исследованиям 1990-х годов. В монографии корректно и объективно освещены наиболее сложные темы (в первую очередь вопросы этнической истории, а также современные политические процессы), касающиеся осетино-грузинского и абхазского конфликта.

Значительным достоинством рецензируемого издания можно назвать то, что в нем нашли отражение оригинальные материалы, собранные авторами в период полевых исследований в различных уголках Грузии, наряду с внушительным корпусом научной литературы, включающей общетеоретические культурологические труды, статьи в периодических и печатных изданиях и нарративные публикации ученых дореволюционного, советского и современного периодов, архивные документы, данные по грузинской истории, археологии, антропологии, лингвистике, топонимике и культуре. Такая солидная источниковая база позволила документально проанализировать и проследить этапы развития этнической

истории и культуры грузинского народа, показать высокий уровень историко-этнографических знаний грузинских авторов по различным областям знаний.

Наличие сильной научной школы позволило грузинским ученым продвинуться далеко вперед в изучении этносов, проживающих на территории Грузии. Этому в значительной степени способствовали широкие научные контакты, сложившиеся между учеными Грузии и России. Обращаясь к историческому прошлому науки, хочется отметить большую роль советского кавказоведения в формировании научной школы, легшей в основу историко-этнографического изучения народов, населявших огромную державу. Москва и Петербург, являясь традиционными центрами отечественного кавказоведения, наладили постоянные и плодотворные контакты столичных специалистов с исследователями и научными центрами Кавказа. Еще в 1917 г. в Тбилиси по инициативе Н.Я. Марра был организован Кавказский институт археологии и истории Академии наук Союза Советских Социалистических Республик, в работе которого активно участвовали ученые Грузии, всего Кавказа, Ленинграда и Москвы, что позволило установить тесные творческие контакты с научной элитой грузинского народа ***[Страницы отечественного кавказоведения, 1992: 19].***

В различные годы в стенах Института этнологии и антропологии им. Н.Н. Миклухо-Маклая представляли к защите свои научные изыскания грузинские ученые С.И. Макалатия (1948), Р.Л. Харадзе (1955), М.Г. Абдушелишвили (1964), Г.В. Цулая (1989), Н.М. Абдушелишвили (1990) и др. ***[Страницы отечественного кавказоведения, 1992: 206-208]***

Институт этнологии и антропологии им. Н.Н. Миклухо-Маклая и Музей антропологии и этнографии РАН регулярно организовывали научные экспедиции, экспедиционные отряды в различные регионы Кавказа для сбора полевых материалов, которые легли в основу научного архива и широко используются современниками. Хочется отметить весомый вклад в изучение социально-бытового и культурного уклада грузинского народа, внесенный участниками Грузинского отряда Н.Г. Волковой, Г.Н. Джавахишвили, В.Д. Итонишвили, Л.Т. Соловьевой и др. ***[Страницы отечественного кавказоведения, 1992: 203].*** Примечательно, что после распада СССР научные исследования в Грузии продолжает старший научный сотрудник ИЭА РАН, один из ответственных редакторов тома «Грузины» Л.Т. Соловьева. Она единственная среди авторов этой монографии представляет научное сообщество РФ и приглашена к написанию статьи и подготовке книги.

Исследования названных выше авторов нашли широкое освещение в библиографическом списке, что ярко иллюстрируют актуальность их научных достижений и в настоящее время.

Нельзя не отметить и богатый видеоряд книги (более 300 цветных и черно-белых фотографий). Наряду с фотографиями из архивохранилищ и частных собраний Грузии в монографии достойно представлены экспедиционные фотоматериалы из коллекционных собраний Российского этнографического музея и Музея антропологии и этнографии, привезенные из экспедиционных поездок по различным районам Грузии. Ценные, а порой и уникальные снимки принадлежат Л.Б. Панек и Е.М. Шиллингу. Оба ученых провели достаточно много времени, изучая грузинский народ. Так, Е.М. Шиллинг специально занимался этнографией

народов Кавказа начиная с 1916 г. и вел систематическое изучение отдельных этнических групп, в особенности Северного Кавказа, а также Грузии (преимущественно в горных регионах) *[Махмудова, 2015: 87]*. В 1928 г. Е.М. Шиллинг и художник С.И. Фомин совершили поездку в Верхнюю и Нижнюю Сванети и Аджарию, откуда была привезена фотоиллюстративная коллекция МАЭ РАН *[Захарова, 2015: 67]*. Объектом исследований Л.Б. Панек стали районы Грузии – Мтиулети, Хеви, Хевсурети. В отчете за 1927 г. говорится, что ею сделаны 15 планов жилищ, привезены 70 фотографий и 12 рисунков *[Страницы биографии.., 2015: 13]*. Некоторые фотографии этих авторов заняли достойное место в видеоряде монографии «Грузины». В книге имеются фотографии и из коллекции известного российского фотографа С.М. Прокудина-Горского (начало XX в.).

Исследование сопровождается богатым картографическим материалом, охватывающим период с VI в. до н.э. до конца XX в. Помещенные в монографии карты (авторы Д. Мусхелишвили и М. Сулханишвили) позволяют наглядно представить расселение грузинских племен в глубокой древности, расположение государственных образований грузин в разные периоды истории, а также те народы и государства, которые находились на сопредельных территориях. Отметим также весьма информативную карту современного расселения грузин по регионам Российской Федерации, составленную ведущим научным сотрудником ИЭА РАН В.В. Степановым.

Большим достоинством монографии следует считать и то, что сводные характеристики тех или иных явлений и обрядов культуры грузин дополнены терминологией на грузинском и русском языке. Весь терминологический аппарат вынесен в отдельный блок

в виде обширного глоссария, что является несомненным подспорьем для русскоязычных читателей, желающих лучше узнать специальные термины грузинского языка.

Как и любое многоаспектное научное исследование, монография имеет отдельные недостатки. К одним из существенных относится отсутствие во многих разделах книги материалов по современности, позволяющих рассмотреть происходящие в Грузии процессы в исторической динамике, а также недостаточное освещение многообразных этнокультурных контактов грузин с соседними народами. Однако указанные замечания не меняют общей высокой оценки рецензируемой работы, тем более что рассмотрение этих вопросов потребовало бы значительного увеличения объема книги.

В заключение необходимо отметить: ценность этого научного труда состоит еще и в том, что после распада СССР в издательствах Российской Федерации не так уж часто публиковались материалы, касающиеся кавказских народов, некогда объединенных общей историей и культурой. Выход рецензируемой коллективной монографии позволит всем заинтересованным исследователям получить достоверные и разнообразные сведений о этнографии грузинского народа. Монографию «Грузины», опубликованную на русском языке и в силу этого доступную достаточно широкому кругу ученых, можно считать ценным научным вкладом в российское кавказоведение и в мировую этнологическую науку.

## Литература:

**Захарова, 2015:** – *Захарова Е.Ю.* Аджарская коллекция негативов Е.М. Шиллинга через призму современных полевых данных: опыт работы с локальной памятью // Сборник МАЭ. Т. LX. Народы Кавказа: музейные коллекции, исследования объектов и явлений традиционной и современной культуры. – СПб.: МАЭ РАН, 2015. С. 64-84.

**Zakharova, 2015:** – Zakharova E.IU͡. Adzharskaia͡ kollekt͡siia͡ negativov E.M. Shillinga cherez prizmu sovremennykh polevykh dannykh: opyt raboty s lokal'noĭ pamia͡t'iu͡ // Sbornik MAĖ. T. LX. Narody Kavkaza: muzeĭnye kollekt͡sii, issledovaniia͡ ob"ektov i ia͡vleniĭ tradit͡sionnoĭ i sovremennoĭ kul'tury. – SPb.: MAĖ RAN, 2015. pp. 64-84.

**Махмудова, 2015:** – Махмудова З.У. Дагестан на переломе эпох: этнографические экспедиции Е.М. Шиллинга // Сборник МАЭ. Т. LX. Народы Кавказа: музейные коллекции, исследования объектов и явлений традиционной и современной культуры. – СПб.: МАЭ РАН, 2015. С. 85-102.

**Makhmudova, 2015:** – Makhmudova Z.U. Dagestan na perelome ėpokh: ėtnograficheskie ėkspedit͡sii E.M. Shillinga // Sbornik MAĖ. T. LX. Narody Kavkaza: muzeĭnye kollekt͡sii, issledovaniia͡ ob"ektov i ia͡vleniĭ tradit͡sionnoĭ i sovremennoĭ kul'tury. – SPb.: MAĖ RAN, 2015. pp. 85-102.

**Страницы биографии.., 2015:** – Страницы биографии этнографа Л.Б. Панек / Г.А. Генко, Е.Н. Груздева. – СПб., 2015.

**Stranit͡sy biografii.., 2015:** – Stranit͡sy biografii ėtnografa L.B. Panek / G.A. Genko, E.N. Gruzdeva. – SPb., 2015.

**Страницы отечественного кавказоведения. М., 1992.**

**Stranit͡sy otechestvennogo kavkazovedeniia͡. M., 1992.**

# ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მიერ 2011-2016 წლებში გამოცემული წიგნები

1. **„სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა“** – ტომი IV, გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2012, 646 გვ.

ტომი მოიცავს 19121-1990 წლებს და მასში ისტორიული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მოშველიებით მოთხრობილია აჭარის უაღრესად რთული და წინააღმდეგობებით მოცული ისტორია საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ისტორიის კონტექსტში. პირობითად, იგი ორ ეტაპად იყოფა: პირველი ეტაპი მოიცავს 1921-1950 წლებს, მეორე – 1951-1990 წლებს. ნაშრომი საისტორიო მეცნიერების ძვირფასი შენაძენია და დიდ სამსახურს გაუწევს აჭარის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს.

2. **„ჩვენი სულიერების ბალავარი“** (საერთაშორისო/რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები)

ტომი III, გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 2011, 240 გვ. (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)

ტომი IV, გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 2012, 286 გვ. (რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები)

ტომი V, გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 2013, 365 გვ. (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)

ტომი VI, გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 2014, 450 გვ. (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)

ტომი VII, გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 2015, 442 გვ. (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)

ტომი VIII, გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 2016, 453 გვ. (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)

კრებულებში წარმოდგენილია უნივერსიტეტის, ქრისტიანული კულტურის კვლევის ცენტრისა და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მიერ ჩატარებული რესპუბლიკური და საერთაშორისო კონფერენციების მასალები, რაც დაინტერესებულ მკითხველს მრავალმხრივ ინფორმაციას მიაწვდის ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის, რელიგიისა და კულტურის, ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტობის, კულტურათა დიალოგის, სწავლებისა და აღზრდის და სხვა მნიშვნელობის საკითხებზე.

3. **„ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“** (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)

ტომი II, გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2012, 434 გვ.

ტომი III, გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2013, 408 გვ.

ტომი IV, გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2013, 383 გვ.

ტომი V, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2014, 378 გვ.

ტომი VI, გამომც. „ჯეოპრინტი“, ბათუმი, 2015, 392 გვ.

ტომი VII, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2016, 461 გვ.

კრებულებში წარმოდგენილია ქალაქ ბათუმის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, არქიტექტურის, ტოპონიმიის, თანამედროვე ქალაქური ყოფისა და კულტურის, დემოგრაფიის, კონფესიური ვითარების, ტურიზმის განვითარებისა და სხვა საკითხები, რომლებიც უთუოდ დააინტერესებს ქ. ბათუმის ისტორიის მკვლევარებისა და მკითხველთა ფართო წრეს.

4. **„ჩვენ ერთი ტკივილი და სიხარული გვქონდა“** – გამომც. „ლაზარე +“, ბათუმი, 2014, 82 გვ.

კრებულში შეტანილია აფხაზთა მუჰაჯირობის 150 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები და გამოსვლები. მათში ერთი აზრი იკითხება, რომ საქართველო, მისი უძველესი ისტორიული მხარე აფხაზეთი, ქართველებისა და აფხაზების საერთო სამშობლოა და მათ საუკუნეების განმავლობაში ერთი ტკივილი და სიხარული ჰქონდათ, და რომ ასე უნდა გაგრძელდეს მომავალშიც.

5. **„ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში“** – გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2015, 161 გვ.

კრებულში დაიბეჭდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015 წლის 19 ივნისს გამართული სელიმ ხიმშიაშვილის გმირული თავგანწირვიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ,,ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის სამხრეთ-

დასავლეთ საქართველოში“ მასალები. კრებული კარგ სამსახურს გაუწევს ამ პრობლემით დაინტერესებულ მკვლევარებსა და მკითხველთა ფართო წრეს.

6. **„აჭარა – ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები“** – გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2016, 404 გვ.

წიგნი წარმოადგენს სახელმძღვანელოს ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. იგი საშუალებას მისცემს მათ საფუძვლიანად გაეცნონ აჭარის, მისი ცალკეული მუნიციპალიტეტის ისტორიას, ეკონომიკას, ბუნებას, მოსახლეობის ეთნიკურ და კონფესიურ სტრუქტურას, ტრადიციულ მატერიალურ და სულიერ საუნჯეს, ფოლკლორს, მეცნიერებას, ხელოვნებასა და კულტურას, ისტორიისა და კულტურის ძეგლებს, ბუნების დაცულ ტერიტორიებს. სახელმძღვანელოს ბაზაზე მომზადდებიან ტურიზმის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომელთაც შეეძლებათ სათანადო მომსახურება გაუწიონ სტუმრად ჩამოსულ ტურისტებსა და მიაწოდონ მათ საჭირო ინფორმაცია აჭარის შესახებ. წიგნი, ასევე, მოემსახურება ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

7. **„რუსთაველი და „ოქროს ხანის“ საქართველო“** – გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2016, 118 გვ.

კრებულში დაიბეჭდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016 წლის 20 ოქტომბერს შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850 წლისთავისადმი მიძღვნილი პროფე-

სორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციის მასალები. კრებული კარგ სამსახურს გაუწევს რუსთველოლოგიის პრობლემებით დაინტერესებულ მკვლევარებსა და მკითხველთა ფართო წრეს.

8. **ბიჭიკო დიასამიძე, „დამხმარე ისტორიული დისციპლინები“** – გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 2015, 112 გვ.

წიგნში წარმოდგენილია წყაროთმცოდნეობის, პალეოგრაფიის, ქრონოლოგიის, ნუმიზმატიკის, მეტროლოგიის, ისტორიული გეოგრაფიის, ტოპონიმიკის, არქეოლოგიური დაზვერვებისა და გათხრების მეთოდიკის მოკლე შინაარსი, აუცილებლად საჭირო ტერმინებისა და ცნებების განმარტებანი. წიგნი საინტერესო იქნება სტუდენტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

9. **ბიჭიკო დიასამიძე, „ისტორიული ეტიუდები“** – ტომი II, გამომც. შპს „თეგი“, ბათუმი, 2016, 407 გვ.

წიგნში წარმოდგენილია ავტორის მიერ წლების განმავლობაში სხვადასხვა ჟურნალებსა და კრებულებში გამოქვეყნებული ნარკვევები საქართველოს ისტორიისა და ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე. იგი კარგ სამსახურს გაუწევს უმაღლესი სკოლის სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ მკითხველს.

10. **გიორგი თავამაიშვილი, „ძველი სადგომები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ახალშავზღვურ ტერასაზე“** – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, ტომი XXII, თბილისი, 2012, 212 გვ.

ნაშრომი ეძღვნება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ქვიშაზვინულებზე აღმოჩენილ დიუნური სადგომებს. შავიზღვისპირეთის გეომორფოლოგიური კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, განხილულია ახალშავზღვური ტერასის ასაკთან, წარმოქმნის ფაქტორებთან და გავრცელების არეალთან დაკავშირებული საკითხები უახლესი არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე კი წარმოჩენილია ტერასწარმოქმნის კავშირი და გავლენა ადრერკინის ხანის კოლხეთის სამეურნეო სახის ჩამოყალიბების პროცესზე.

ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა ქობულეთის რაიონის სოფ. ბობოყვათში მიკვლეული დიუნური სადგომის შესწავლის შედეგების მიმოხილვას, ძეგლზე აღმოჩენილი საცხოვრებელი, სამეურნეო, საკულტო-სარიტუალო კომპლექსებისა და თანმხლები არქეოლოგიური მასალის ანალიზს. ახალი მონაცემების საფუძველზე, განხილულია ზღვისპირა სადგომების ხასიათისა და ფუნქციონირების პერიოდთან, ასევე, ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასა და რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული საკითხები.

11. **გიორგი თავამაიშვილი, ნინო ინაიშვილი, მაია ჭიჭილეიშვილი,** მერაბ ხალვაში, გიორგი ჯანბერიძე, **„აჭარის საგანძური“ –** გამომც. შპს „სეზანი“, თბილისი, 2015, 200 გვ.

წიგნში შეტანილია აჭარის მუზეუმებში დაცული ქვის, ბრინჯაოს, რკინის, ანტიკური, ელინისტური, რომაული და ბიზანტიური ხანის არტეფაქტები, რომლებიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (სოფ. ქობულეთი, ციხისძირი, ფიჭვნარი, ბათუმის ციხე, მახვილაური, გონიო-აფსაროსი, აჭარისწყლის ხეობა და

სხვ.) ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. აქვეა განხილული შუასაუკუნეების და ახალი პერიოდის ხელოვნების ნიმუშებიც. ანტიკურ სამყაროსთან მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების, ბერძნული კოლონიზაციის, რომაული და ბიზანტიური ექსპანსიის შედეგების ამსახველია ფიჭვნარში, აფსაროსში, კაპანდიდში, მახოში და ციხისძირში აღმოჩენილი იმპორტული და ადგილობრივი წარმოების კერამიკა, ტორევტიკისა და საიუველირო ხელოვნების ნიმუშები, მინის, რკინისა და სპილენძის ნაკეთობანი.

წიგნში თავმოყრილია აჭარის რეგიონში აღმოჩენილი ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის ნუმიზმატიკური და გლიპტიკური ძეგლები, წარმოჩენილია კოლხური ოქრომჭედლობის ბრწინვალე ნიმუშები, აგრეთვე, აჭარის და მთლიანად საქართველოს ახალი და უახლესი ხელოვნების ნიმუშები (მათ შორის მხატვრული ტილოები), რომლებიც ბათუმის ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

12. **უჩა ოქროპირიძე, „აჭარის ავტონომიის შექმნა"** – გამომც. „უნივერსალი", თბილისი, 2011, 254 გვ.

მონოგრაფიაში განხილულია აჭარის ავტონომიის შექმნის სოციალ-ეკონომიკური და, განსაკუთრებით, პოლიტიკური წანამძღვრები. რეგიონში ჯერ თურქთა, შემდეგ კი ინგლისელთა ბატონობის მიერ შექმნილი ვითარება და სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის ბრძოლა მხარის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში საბოლოოდ დასაბრუნებლად.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ რეგიონში შექმნილი მდგომარეობა და მისთვის საბჭოური ავტონომიის მიცემა. გაშუ-

ქებულია აჭარის ავტონომიის შინაარსის სრული განსხვავებულობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში. გაანალიზებულია ამ საქმეში ბრესტის ზავის, მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებათა მიერ შესრულებული როლი და მისი დღევანდელი სტატუსი.

13. **უჩა ოქროპირიძე, ოლეგ ჯიბაშვილი, „ფოტოალბომი აჭარა ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში (1988-1993 წლები)"** – გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი", ბათუმი, 2013, 81 გვ.

ფოტოალბომი შედგება წინასიტყვაობისა და 1988-1993 წლების ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამსახველი ფოტო-მასალისაგან, რასაც ერთვის სათანადო კომენტარები და ახსნა-განმარტებები.

ალბომი იწყება 1988 წლის ოქტომბერ-ნოემბრის აქციების ამსახველი ფოტოებით და გრძელდება 1993 წლის ბოლომდე. იგი მოიცავს ყველა მნიშვნელოვან მომენტს, რასაც ადგილი ჰქონდა აღნიშნულ პერიოდში აჭარაში. ფოტო-მატიანე ბევრ საყურადღებო მასალას მიაწვდის საქართველოს ისტორიის ამ პერიოდით დაინტერესებულ მკითხველს.

ალბომი ეძღვნება საქართველოს ეროვნული გმირის – მერაბ კოსტავას ხსოვნას.

14. **ოთარ თურმანიძე, „აჭარის პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორია (1921–1940)"** – გამომც. აჭარა. ბათუმი, 2012, 414 გვ.

ნაშრომში შესწავლილია აჭარის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხები XX საუკუნის 20-30-

იან წლებში. გაშუქებულია პოლიტიკური ვითარება აჭარაში 1921 წელს: საოლქო რევკომის ფორმირება, საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება, ბრძოლა თურქი ოკუპანტების წინააღმდეგ, ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და კომუნისტური პარტოკრატიის ჩამოყალიბება. განხილულია პროფესიული კავშირებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების ისტორია.

მონოგრაფიაში ახალი ხედვითაა გაშუქებული ეკონომიკური გარდაქმნები: წარმოების ძირითად საშუალებათა ნაციონალიზაცია, სამრეწველო-ეკონომიკური და აგრარული რეფორმები. გაანალიზებულია პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების არსი, ფორმები, განხორციელების მეთოდები. განხილულია მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის ძირითადი დარგები. წიგნი განკუთვნილია სპეციალისტების, სტუდენტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

15. **სიმონ გოგიტიძე, „ფარნავაზი და არიან-ქართლის ლოკალიზაცია“** – გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი, 2011, 148 გვ.

ნაშრომში ძველი ქართული წყაროების მიხედვით, შესწავლილია ქართველთა ერთ-ერთი თავდაპირველი სამშობლოს „არიან-ქართლის“ ლოკალიზაცია და თვით ამ ტერმინის წარმომავლობისა და სემანტიკის საკითხები.

მონოგრაფიაში არის ცდა არიან-ქართლთან დაკავშირებული სახელწოდებების (ფარნავაზი, აზონი, გაცი, გაიმი, არმაზი, ზადენი და ა.შ.) წარმომავლობის დადგენისა. აღნიშნული ტერმინები პარალელებს პოულობს როგორც თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე, ისე ხათურ-ხეთურ სამყაროში არსებულ შესაბა-

მის სახელწოდებებთან (ქვეყანათა, ქალაქთა, ადამიანისა და ღვთაებათა საკუთარ სახელებთან).

ნაშრომში აგრეთვე არის ცდა აზონისა და ფარნავაზის სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებული მოღვაწეობის დროის სამი საუკუნით უკან გადაწევისა. აქვეა მსჯელობა იმის შესახებ, თუ როდის უნდა ჩამოყალიბებულიყო პირველი სახელმწიფო აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. მონოგრაფიაში დაწვრილებითაა გაანალიზებული „ქართლის ცხოვრებაში“ შესული თხზულებების – „ალექსანდრიანისა“ და „ფარნავაზიანის“ მონაცემები, რის საფუძველზეც გაკეთებულია დასკვნა მათი შექმნის თარიღის შესახებ.

საბოლოოდ, ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ „არიანქართლის“ ლოკალიზაცია უნდა მოხდეს მცირე აზიაში, ხათურხეთურ სამყაროში, ანტიკური კაპადოკიის ტერიტორიაზე, იქ, სადაც შესაბამისი სახელწოდებები არსებობდა.

16. **სიმონ გოგიტიძე, „დიდაჭარა I-II საუკუნეებში“** – გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი, 2013, 161 გვ.

ნაშრომში შესწავლილია დიდაჭარის სოფლისა და „ქვეყნის“ ისტორია ახ. წ. I-II საუკუნეებში. აქვეა მოცემული დიდაჭარის ისტორიის მოკლე მიმოხილვა უძველესი დროიდან დღემდე.

ცალკე თავი ეძღვნება დიდაჭარის და, საერთოდ, ზემო აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომის ვინაობის გარკვევას. გამოკვლეულია ტოპონიმ დიდაჭარისა და ანტიკური ხანის წყაროებში დადასტურებული ტერმინების – დიძერი, ძიდრიტი, ძადრის ურთიერთმიმართების საკითხი.

მონოგრაფიაში შესწავლილია ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობა დიდაჭარაში და მასთან დაკავშირებული თქმულება-გადმოცემები და ნივთიერი მასალები. აქვე მიმოხილულია ახ. წ. III-IV სს-ში აჭარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი განძები, რაც ამ მხარის ქართლის სამეფოსთან მჭიდრო ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური ურთიერთკავშირის დამადასტურებელია.

17. **სიმონ გოგიტიძე, „ხაიასა: სომხური თუ ქართველური სამყარო?" გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი",** გამომც. "ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი", ბათუმი, 2014, 319 გვ.

ნაშრომში შესწავლილია ვანის ტბასა და ევფრატისპირეთს შორის ძვ.წ. XV-XVII საუკუნეებში განლაგებული ქვეყნის – ხაიასას (ჰაიაშა) ლოკალიზაცია და ეთნიკური კუთვნილება, მისი ქალაქების, ღვთაებების, მეფეთა და დიდებულთა სახელების სემანტიკა.

სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არსებული შეხედულებების მიხედვით, ხაიასა (ჰაიაშა) - წარმოადგენდა სომეხთა წინაპრების ქვეყანას, სინამდვილეში, იგი უნდა ყოფილიყო ქართველ ტომთა სამყაროს შემადგენელი ნაწილი. ნაშრომი ამ პობლემის ახლებურად კვლევის პირველი ცდაა.

18. **ირინე ვარშალომიძე, „ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ნუმიზმატიკური საგანძური"** – გამომც. „კოლორი", თბილისი, 2016, 85 გვ.

ნაშრომის შესავალში განხილულია სამონეტო მიმოქცევის თავისებურებანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორი-

აზე. შემდეგ მოდის მუზეუმში დაცული ნუმიზმატიკური ძეგლე-ბის კატალოგი. აღწერილია 102 მონეტა;. კოლხური თეთრი, სინო-პური, ჩრდილოეთ შავიზრვისპირეთის ქალაქების კიზიკინები, ალ. მაკედონელის, ეგინური, რომაული, ბიზანტიური, არაბული, სელჩუკური, მონღოლური, ევროპული მონეტები. მასალის დიდი ნაწილი გამოუქვეყნებელია და პირველად შედის სამეცნიერო მიმოქცევაში. ნაშრომი ორენოვანია – შესრულებულია ქართულ და ინგლისურ ენებზე.

19. **ირინე ვარშალომიძე**, ირაკლი ფაღავა, სევერიან თურქია, **„არა-ბული მონეტების მიმოქცევა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში“**, – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, VI (გამოცემა მთლიანად დაეთმო მონოგრაფიას), გამომც. „ჯეოპრინტი“, თბილისი, 107 გვ.

მონოგრაფიაში განხილულია საქართველოსა და არაბების პო-ლიტიკური ურთიერთობები, არაბების ლაშქრობები დასავლეთ საქართველოში, არაბული მონეტების მიმოქცევის თავისებურება-ნი. ნაშრომში გამოქვეყნებულია ზოტისა და ხელვაჩაურის განძე-ბი, ასევე, აჭარის ტერიტორიაზე შემთხვევით მოპოვებული ცალ-კეული ეგზემპლარების სრული კატალოგი, მოცემულია მეცნიე-რული კომენტარები, გამოყოფილია ახალი ნუმიზმატიკური რაი-ონი. მოზიდულია პარალელური მასალა. სამეცნიერო მიმოქცევა-ში შეტანილია 180 ახალი მონეტა. ნაშრომს თან ახლავს ფოტოტა-ბულები.

# ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მიერ 2016 წელს ჩატარებული ღონისძიებები

1. 2016 წლის 18 მარტს ტელეარხ „ობიექტივით“ განყოფილების უფროსმა, ემერიტუსმა პროფესორმა ბიჭიკო დიასამიძემ, უფროსმა მეცნიერ-თანამშრომლებმა მაია ჭიჭილეიშვილმა და ოლეგ ჯიბაშვილმა ტელემაყურებელს მოუთხრეს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტისა და ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების სამეცნიერო მიღწევებზე ბოლო ოთხი წლის განმავლობაში: ჩატარებულ კომპლექსურ საველე ექსპედიციებზე აჭარის მუნიციპალიტეტებსა და თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში მოქცეულ „ჩვენებურებით“ დასახლებულ რეგიონებში, ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომებზე და სხვა.

2. 2016 წლის 13-14 მაისს განყოფილების ძალისხმევით შედგა VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჩვენი სულიერების ბალავარი“, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ გარდა ადგილობრივი მკვლევარებისა, მეცნიერები თბილისის, ქუთაისის, გორის სასწავლო და სამეცნიერო ცენტრებიდან, აგრეთვე უკრაინიდან (ხარკოვი), ბულგარეთიდან (სოფია) და სომხეთიდან (ერევანი). გამოიცა კონფერენციის მასალების კრებული „ჩვენი სულიერების ბალავარი - VIII“ (452 გვ.)

3. 2016 წლის 9 ივნისს, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ფოიეში შედგა აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლების ფოტო-გამოფენა და ინსტიტუტის განყოფილებათა მიერ უნივერ-

სიტეტის სტუდენტებისათვის შედგენილი სახელმძღვანელო წიგნის „აჭარა, ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები“ (404 გვ.) პრეზენტაცია. დამსწრეთ წიგნი წარუდგინა ემერიტუსმა პროფესორმა ბიჭიკო დიასამიძემ. წიგნის ცალკეულ თავებზე ისაუბრეს განყოფილებათა უფროსებმა პროფ. შუშანა ფუტკარაძემ და ნოდარ კახიძემ.

4. 2016 წლის 27-28 ივლისს მოეწყო საველე ექსპედიცია მაჭახლის ხეობაში (მონაწილეობდნენ: პროფ: ბიჭიკო დიასამიძე (ხელმძღვანელი), მთ. მეცნ. თანამშრომლები: უ. ოქროპირიძე და ჯ. ვარშალომიძე, უფ. მეცნ. თანამშრომელი ო. ჯიბაშვილი, მეცნ. თანამშრომლები: ჯ. მიქელაძე, სპეციალისტი ს. მამულაძე, აჭარის აღმართის საჯარო სკოლის დირექტორი ზ. ნაგერვაძე და მძღოლი ჯ. კოპინაძე).

ექსპედიციამ ნახა, აღწერა და ფოტოფირზე დააფიქსირა ჩხერის თაღოვანი ხიდი, იქვე ჩანჩქერი, ჩხუტუნეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ძნელეთში ანტ. ძნელაძის ეზოში „მარანი“, ნაგერვაძეების უბანში – ჭინჭყოში – ქვის საწნახელი, ყალევაკეს (ჩხუტუნეთის) ციხე, მირვეთის თაღოვანი ხიდი და ჩანჩქერი, ბზის ხეივანი (გადამხმარი), აჭარის აღმართის თაღოვანი ხიდის შემორჩენილი ბურჯები, სკუდიდში – „ზენგინის“ სამოსახლო, მასიური ქვის საწნახელი და სხვ. შედგა ექსპედიციის ანგარიში და ფოტოარქივი.

5. 2016 წლის 2-3 სექტემბერს შედგა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა VII“, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ მკვლევარები საქართველოს წამყვანი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებიდან (თბილისი, გორი, ქუთაისი, ბათუმი) და უცხოეთიდან (თურქეთი: ბურსა;

ინეგოლი; რუსეთი: ყაზანი; უკრაინა: ხარკოვი.) კონფერენციას ესწრებოდნენ და დამსწრეებს მიესალმენ აკად. რ. მეტრეველი, წევრ-კორესპონდენტი გ. ლორთქიფანიძე და ქ. ბათუმის მერი გ. ერმაკოვი. დაიბეჭდა კონფერენციის მასალები („ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ – VII).

6. 2016 წლის 22-23 სექტემბერს მთ. მეცნიერ-თანამშრომელმა უ. ოქროპირიძემ და უფ. მეცნიერ-თანამშრომელმა ო. ჯიბაშვილმა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ცენტრში ჩაატარეს საჯარო ლექციები თემებზე: „დავით აღმაშენებელი“, „გეორგიევსკის ტრაქტატი“ და „ყარსის ხელშეკრულება“.

7. 2016 წლის 20 ოქტომბერს ჩატარდა შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებები წაიკითხეს პროფესორებმა: ზ. დიასამიძემ, შ. ზოიძემ, შ. ფუტკარაძემ, შ. მახაჭაძემ, რ. ხალვაშმა და ნ. მიქელაძემ. კონფერენციას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები და ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები. კონფერენციის მონაწილეებს მიესალმენ უნივერსიტეტის პრორექტორი ნ. წიკლაშვილი, ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი რ. მალაყმაძე და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი პროფ. მ. მახარაძე

8. 2016 წლის 7 ნოემბერს, უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებთან, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის თანამშრომელთა მონაწილეობით, ჩატარდა ვახუშტი ბატონიშვილის დაბადებიდან 320 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებები წაიკითხეს პროფესორებ-

მა ო. გოგოლიშვილმა, ნ. კახიძემ, მ. ფუტკარაძემ და ზ. დიასამიძემ.

9. 2016 წლის 24 ნოემბერს უნივერსიტეტში ჩატარდა ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და მკვლევარის დიმიტრი ბაქრაძის დაბადებიდან 190 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებები წაიკითხეს: მთ. მეცნიერ თანამშრომლებმა უჩა ოქროპირიძემ, ოთარ თურმანიძემ, ჯემალ ვარშანიძემ და უფროს მეცნიერ-თანამშრომელმა ნაილა ჩელებაძემ.

## ღვაწლმოსილი მეცნიერი და ღირსეული მოქალაქე
## (გიორგი ჯავახიშვილი – 75)



20 დეკემბერს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდებოდა ცნობილ მეცნიერსა და მწერალს, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილ პროფესორსა და პრორექტორს გიორგი ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილს.

გიორგი ჯავახიშვილი გარეკახეთის სოფელ ყანდაურაში დაიბადა. მისი წინაპრები აქ XVIII საუკუნის ბოლო მესამედში გადმოსახლებულან შიდა ქართლის სოფელ ძევერიდან. გიორგი ადრე დაობლდა, მეორე მსოფლიო ომში დაეღუპა მამა, მაგრამ დედისა და ბებია-ბაბუების მზრუნველობამ, ბუნებით მომადლებულმა ნიჭმა და მონდომებამ სკოლის მერხიდანვე იგი გამორჩეულად აქცია. ალბათ ესეც იყო იმის საფუძველი, რომ იგი ყმაწვილობაშივე დაუახლოვდა დიდ პოეტსა და მოღვაწეს გიორგი ლეონიძეს, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა შემდეგ მისი მომავლის განსაზღვრაში, რასაც დიდი მადლიერებით იგონებდა და აფასებდა გიორგი ჯავახიშვილი.

შინაარსიანი და წარმატებული იყო გიორგი ჯავახიშვილის ახალგაზრდული წლები. სწავლაში გამორჩეულს თელავის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ხელმძღვანელობა ანდეს და აქედან დაიწყო მისი ურთიერთობა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტთან, მის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებასთან, რომელსაც მაშინ მე ვხელმძღვანელობდი. ახლაც თვალწინ მიდგას საშუალო ტანის, ხელში წიგნებით სავსე ჩანთით, კახური ქუდით დამშვენებული, მისი ასაკისათვის გაცილებით დინჯი და ნაკითხი გიორგი, რომელიც ყოველ ჩამოსვლაზე ახალ და საინტერესო თემებს შემოგვთავაზებდა. მახსენდება 1966 წელი – შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავის საიუბილეო წელი, რომელიც მსოფლიო მასშტაბით აღინიშნებოდა და ბუნებრივია, ინსტიტუტებიც საგანგებოდ ემზადებოდნენ ამისათვის. განსაკუთრებული აქტუალობით განიხილებოდა რუსთაველის ვინაობის საკითხი. წარმოშობით შოთა რუსთაველი ჰერეთის რუსთავიდან იყო, თუ მესხეთის რუსთავიდან. გოგიმ (ასე ვეძახდით მაშინ) სტუდენტთა XXI კონფერენციაზე წასაკითხად გამოიტანა თემა „მიხეილ ჯავახიშვილი „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის შესახებ“. ველოდი რუსთაველის სადაურობის საკითხსაც შეეხებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა, რამაც ძალიან გამახარა, რადგან კონფერენციის პლენარულ სხდომაზე ჩემი მოხსენების „რუსთაველის ვინაობის საკითხი“ წაკითხვა იყო გათვალისწინებული, რომელშიც პოეტის მესხეთის რუსთავიდან წარმომავლობას ვუჭერდი მხარს და მეშინოდა მეგობარს სხვა პოზიცია არ ჰქონოდა, საბედნიეროდ, მან მ. ჯავახიშვილის მიერ დასმულ პრობლემებზე ისაუბრა („რუსთველი თუ რუსთაველი“, მის მიერ დასაწერად დაგეგმილი რომანის „შოთა რუსთაველის“ პროსპექტი და სხვა).

გავიდა წლები, გიორგი ჯავახიშვილი ცნობილი მკვლევარი და უმაღლესი სკოლის მასწავლებელი, ათობით მონოგრაფია-გამოკვლევის ავტორი გახდა, მისი არაერთი წიგნი ავტოგრაფებით ჩემს ბიბლიოთეკას ამშვენებს და რაც ძალიან მახარებს, ჩვენი მეგობრობა შვილებსაც გადაედოთ. მახსენდება, მძიმე 90-იანი წლების ცივ და უშუქო საღამოს გიორგი ვაჟიშვილთან, ნიკოლოზთან ერთად მესტუმრა კახური ღვინით ხელდამშვენებული. სანთლის შუქზე მოვეფერეთ ერთმანეთს, შვილებს, ვისაუბრეთ და ვიმსჯელეთ ქვეყნის ბედზე... ამის შემდეგ მის წარმატებებსა და საქმიანობაზე უფრო მისი ვაჟის – ნიკოს მეშვეობით ვიგებდი და ვხარობდი, რომ ახლა ვმეგობრობდი მის ვაჟთან – წარმატებულ პროფესორთან – ნიკოლოზ ჯავახიშვილთან.

ვაი, რომ სახელოვანი მამის ნაადრევად გარდაცვალებაც მისგან გავიგეთ. ბათუმელმა კოლეგებმა ბოლო პატივი მივაგეთ სუსხიან ზამთარში ბათუმიდან თელავში ჩასვლით და ამით გამოვხატეთ გიორგისა და მისი ვაჟის – ნიკოლოზისადმი, მისი და-ძმებისადმი პატივისცემა.

ვინც იცნობდა გიორგი ჯავახიშვილს, იცნობს მის მეცნიერულ მემკვიდრეობას, არ შეიძლება დაივიწყოს ეს მოუსვენარი მკვლევარი და დიდებული მოქალაქე. ახლა ის სიცოცხლეს მის წიგნებში აგრძელებს.

# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების შრომების კრებულის – *„სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები“* – I-V ტომების

## ბიბლიოგრაფია (1991-2010 წწ.)

### ტომი I

გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1991, 101 გვ.

სარჩევი – Содержание

**ა. სურგულაძე** – აჭარის პოლიტიკური წარსულიდან (უძველესი პერიოდიდან XVII საუკუნემდე)

**Сургуладзе А.Т.** – Из политического прошлого Аждарий (с древнейших времен до XVIIвека

**ნ. ხახუტაიშვილი** – ადრეული რკინის ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა მსახლეობის რელიგიური რწმენა-წარმოდგენები(ხარის კულტი)

**Хахутайшвили Н.Д.** – Религиозные верования населения приморья Юго-Западной Грузий в эпоху раннего железа

**თ. დიასამიძე** – ,,ბნიტოს საქმიანობა ბათუმში XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დასაწყისში

**Диасамидзе Т.А.** – Деятельность « БНИТО» в Батуми в конце XIX-начале XX века

**უ. ოქროპირიძე** – ბათუმის ოლქში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება პირველი მსოფლიო ომის წინ.

**Окропиридзе У.Д.** – Социально –экономическая и политическая обстановка в батумской области перед первой мировой войной.

**მ. სიორიძე** – ბათუმი და სამხრეთ რუსეთის კონტრრევოლუცია (დენიკინი, ვრანგელი)
**Сироидзе М.М.** – Батуми и контрреволюция Южной Россий (Деникин , Врангель)

**ი. ბორიკი** – აჭარაში რუსების დასახლების ისტორიისათვის(1878-1980)
**Борик Ю.Н.** – К историй поселения русских в Аджарий(1878-1980)

**რ. უზუნაძე** – სამდინარო ნაოსნობა და მისი როლი ბათუმის ოლქის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში
**Узунадзе Р.Н.** – Из историй развития речного судоходства в Батумской облости (1878-1921г.г.)

**ც. ჯოხია** – მევენახეობის პროდუქტების დამზადება და შენახვა აჭარაში
**Джохия Ц.Ш.** – Изготовление и хранение продуктов виноградарства в Аджарий

**ტომი II**

გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2007, 200 გვ.

*(ტომი ეძღვნება ინსტიტუტის დაარსების* ***50*** *წლისთავს)*

სარჩევი – Содержание

**ნანა ხახუტაიშვილი** – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის დასახლებათა ტიპები ნეოლით-ადრერკინის ხანაში
**Nana Khakhutaishvili** – Types of Settlements in South-Western Georgia Littoral in Neolithic and Early-Iron Ages

**ირინე ტატიშვილი** – ხეთები ქაშქების შესახებ
**Irene Tatishvili** – The Kaška According to the Hittites

**სიმონ გოგიტიძე** – ქვეყანა ბიანი
**Simon Gogitidze** – The Country Biani

**ემზარ კახიძე** – ქართულ-ბერძნული ურთიერთობების ადრეული ეტაპი
**Emzar Kakhidze** – The Early Stage of Greco-Georgian Relationships

**ბიჭიკო დიასამიძე** – სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (აჭარა) ტბელ აბუსერისძის ხანაში (სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა)
**Bichiko Diasamidze** – South-Western Georgia (Adjara) in the Epoch of Tbel Abuserisdze (Social and Economic Situation)

**შოთა მამულაძე** – მემინდვრეობა, მევენახეობა განვითარებული შუა საუკუნეების აჭარაში
**Shota Mamuladze** – Field Crop Cultivation in Medieval Adjara

**ოლეგ ჯიბაშვილი** – საქართველოს სამხედრო გზის ისტორიიდან
**Oleg Jibashvili** – Something from Georgian Military Road History

**თამაზ ფუტკარაძე** – ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორია
**Tamaz Phutkaradze** – Ghristian Toponyms in Ajara

**უჩა ოქროპირიძე** – ბათუმის შემოერთებისათვის რუსეთის ბრძოლის ისტორიიდან (XIX ს.)
**Ucha Okropiridze** – The Question of Batumi in the International Relations Befor Addition of Adjara

**მერაბ მეგრელიშვილი** – ზოგიერთი ცნობა პროფ. ა.ნ. კრასნოვის ნარკვევზე ,,სამხრეთ კოლხეთი“
**Merab Megrelishvili** – Some Information about “South Kolkhida” by Professor A.N. Krasnov

**მალხაზ სიორიძე –** ბათუმი ანტანტის სახელმწიფოების გეგმებში პარიზის საზავო კონფერენციის პერიოდში
**Malkhaz Sioridze –** Batumi in Antant States Plans During Paris Peace Conference

**ნინო ვაშაყმაძე, ირაკლი ბარამიძე –** კარლ კაუცკი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ (1918-1921 წწ.)
**Nino Vashakmadze, Irakli Baramidze –** Karl Kautski About Georgian Democratic Republic (1918-1921 years)

**კახაბერ სურგულაძე, ირაკლი მანველიძე –** კავკასიის დამოუკი-დებლობის კომიტეტი და აჭარა

**Kakhaber Surguladze, Irakli Manvelidze** – Adjara and the Independence Committee of Caucasus

**ვაჟა შუბითიძე** – მიხეილ ჯავახიშვილი საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობისა და ცივილიზაციური განვითარების თავისებურებების შესახებ
**Vazha Shubitidze** – Mikheil Javakhishvili about the Peculiarities of Georgian Geo-Political Location and Civilisation Developments

**ოთარ თურმანიძე** – საინფორმაციო საშუალებები აჭარაში 1921-1990 წლებში
**Turmanidze Otar** – Means of Information in 1921-1990 Years Ajara Region

**თენგიზ გრიგოლია** – საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში
**Tengiz Grigolia** – Georgian Tranzit Function in European Neighbourhood Policy

**სულხან ალექსაია** – XX საუკუნის 90-იანი წლების ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ქრონიკა
**Sulkhan Aleksaia** – Chronicle of Georgia-Abkhazia relations in the 90's of the 20th century

**ტომი III**

გამომც. ,,შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი", ბათუმი – 2008, 254 გვ.

*(ტომი ეძღვნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ* ***დავით ხახუტაიშვილის*** *ნათელ ხსოვნას და დაბადებიდან* ***85-ე*** *წლისთავს)*

სარჩევი – Содержание

**ნანა ხახუტაიშვილი** – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ადრერკინის ხანაში (კოლხები და კოლხური ტომები წერილობით წყაროებში)

**Nana Khakhutaishvili** – The Ethnic Structure of the Population of Southwestern Georgia in the Early Iron Age (Colchians and Colchian Tribes According to Literature Sources)
**Нана Хахутаишвили** – Этнический состав населения Юго-Западной Грузии в эпоху раннего железа (Колхи и колхские племена в письменных источниках)

**სიმონ გოგიტიძე** – ტერმინ აბეშლას წარმომავლობისათვის
**Simon Gogitidze** – The Origin of the Term Abeshla (Kashka)
**Симон Гогитидзе** – О происхождении термина Абешла (Кашка)

**მარიამ ჩხარტიშვილი** – დედა-ნინო და მეფე მირიანის რელიგიური რეფორმა
**Mariam Chkhartishvili** – Mother – Nino and Religious Reform of King Mirian
**Мариам Чхартишвили** – Мать – Нино и религиозная реформа царя Мириана

**ბიჭიკო დიასამიძე** – აბუსერისძეები XI-XIV საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში
**Bichiko Diasamidze** – The Abuseridzes in the Political Life of Georgia in the XIth – XIVth Centuries
**Бичико Диасамидджзе** – Род Абусеридзе в политической жизни Грузии в XI-XIV вв.

**მურმან პაპაშვილი** – ერთი დიპლომატიური საკითხის გარკვევისათვის
**Murman Papashvili** – For Finding-Out of One Diplomatic Issue
**Мурман Папашвили** – По поводу одного дипломатического вопроса

**ციური ქათამაძე** – იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოსთან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVII ს. 50-80-იანი წლები)
**Tsiuri Katamadze** – From the History of South-Western Georgia Relationships With Greek Patriarchy of Jerusalem (50-80s of the XVIIth Century)
**Циури Катамадзе** – Из истории отношений юго-восточной Грузии с греческой патриархией Иерусалима (50-80 г.г. XVII века)

**რევაზ უზუნაძე, მერაბ უზუნაძე** – ქრისტიანობის ისტორიიდან აჭარაში
**Revaz Uzunadze, Merab Uzunadze** – The Christianes of History in Adjara
**Узунадзе Реваз, Узунадзе Мераб** – Из истории христианства в Аджарии

**ოლეგ ჯიბაშვილი** – ჭარ-ბელაქანთან ერეკლე II-ის ურთიერთობის ისტორიიდან
**Oleg Jibashvili** – From the History of the Relationship Between King Erekle II and Char-Belaqan in 90-th of XVIII Century
**Олег Джибашвили** – Из истории взаимоотношений Ираклия II-го с Джаро-Белоканы в 90-х годах XVIII в.

**ოთარ თურმანიძე** – საადგილმამულო გადასახადები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (1878-1900 წწ.)
**Otar Turmanidze** – Land Taxes in South-West Georgia (1878-1900)
**Турманидзе О.М.** – Поземные налоги, подати и повинности в Юго-западной Грузии (1878-1900 гг.)

**კახაბერ სურგულაძე, ირაკლი მანველიძე** – საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ზოგიერთი თავისებურება ბათუმის ოლქში (XIXს. 70-იანი –XXს. 20-იანი წლები)
**Kakhaber Surguladze, Irakli Manvelidze** – Peculiarities of Social-Political Movement in Batumi District (1870s-1920s)
**Кахабер Сургуладзе, Иракли Манвелидзе** – Особенности общественно-политического вижения в Батумском округе (70-ые годы XIX в. – 20-ые XX в.)

**ოთარ გოგოლიშვილი** – მრეწველობის განვითარების პირველი ნაბიჯები აჭარაში (მოკლე მიმოხილვა) 160
**Otar Gogolishvili** – The First Steps of Development of Industry in Adjara (a Short Review)
**Отар гоголишвили** – Первые шаги развития промышленности в Аджарии (краткий очерк)

**მალხაზ სიორიძე** – ერზინჯანის დროებითი ზავი და მისი შედეგები
**Malkhaz Sioridze** – Temporary Truce of Erzinjan and Its Results
**Малхаз Сиоридзе** – Эрзинджанское временное перемирие и его итоги

**ვაჟა შუბითიძე** – ევროპეიზაცია და ქართული კულტურული აზრი XX საუკუნეში
**Vadja Shubitidze** – Europeanization and Georgian Political Thought of XX- Century
**Важа Шубитидзе** – Европеизация и грузинская политическая мысль в xx веке

**უჩა ოქროპირიძე** – აჭარა საქართველოსეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საწყის ეტაპზე (1988 წ. ოქტომბერი - 1989წ. აპრილი)
**Ucha Okropiridze** – Adjara at the Initial Stage of National-liberating Struggle of Georgia (October, 1987-April, 1989)
**Уча Окропиридзе** – Аджария на начальном этапе национально-освободительного движения Грузии (Октябрь, 1988г. – Апрель, 1989г.)

**სულხან ალექსაია** – ეთნიკური კონფლიქტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში XX ს. 90-იან წლებში (ცხინვალის რეგიონის მაგალითზე)
**Sulkhan Aleksaia** – Ethnic Conflicts in Polyethnic Societies in 90 Years of the XX Century (On the Example of Tskhinvali Region)
**Сулхан Алексаиа** – Этнические конфликты полизтнической общности в 90-ые годы XX века (на примере Цхинвальского региона)

**მალხაზ ნაკაშიძე** – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში მცხოვრები პირების მოქალაქეობის საკითხისათვის
**Malxaz NakaShidze** – On the Issue of Citizenship of Former South Ossetia Autonomous Republic and Abkhazian Autonomous Republic Population
**Малхаз Накашидзе** – работе «Российские паспорта и гражданство Российской Федерации в бывшей автономной области Южной Осетии и автономной республике Абхазии»

**თენგიზ გრიგოლია** – ევროკავშირის საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკა და საქართველო

**Tengiz Grigolia** – Georgia in the Policy of Foreign Security
of European Union
**Тенгиз Григолия** – Грузия во внешней политике безопасности Евросоюза

**ქრონიკა**

**ტომი IV**
გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი,
2009, 277 გვ.

სარჩევი – Содержание


**ნანა ხახუტაიშვილი** – მოსხების // მესხების ისტორიისათვის
**Nana Khakhutaishvili** – Towards the Issue of the History of the Meskhi-Moskhi
**Нана Хахутаишвили** – К вопросу истории Месхов // Мосхов

**ირინე ტატიშვილი** – მოსაზრებები ხეთების საზოგადოების
ჰუმანურობის შესახებ
**Irene Tatishvili** – Reflections About Humanism of the Hittite Society
**Ирина Татишвили** – Размышления о гуманизме хеттского общества

**ნანა ბახსოლიანი** – ურარტუს ქალაქები
**Nana Bakhsoliani** – Cities of Urartu
**Нана Бахсолиани** – Города Урарту

**ნუგზარ წულუკიძე** – ბაგრატიონთა მითოსური წინაპარი
,,მაჰაბხარატადან”
**Nugzar Tsulukidze** – Bagrations’ Mythical Ancestors from ,,Makhabkharata”
**Нугзар Цулукидзе** – Мифический предок Багратион с ,,Махабхарата”

**რევაზ უზუნაძე, მერაბ უზუნაძე** – სოფელ ერგეს ისტორიიდან
(ნიკიტაური, გვარელა)
**Revaz Uzunadze, Merab Uzunadze** – From the History of Villaga Erge
(Nikitauri, Gvarela)
**Реваз Узунадзе, Мераб Узунадзе** – Из истории села Эрге
(Никитаури, Гварела)

**ირაკლი ბარამიძე** – ზენდიდის ციხისა და მისი მფლობელი ბეჟანიძეების გვარის ისტორიისათვის
**Irakli Baramidze** – History of the Zendidi Fortress and its Owner the Bejanidzes
**Ираклий Барамидзе** – История Зендидской крепости и ее владельца рода Бежанидзе

**ედიშერ გვენეტაძე, ზურაბ კვეტენაძე** – საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა XV ს. პირველ ნახევარში და ალექსანდრე I
**Edisher Gvenetadze, Zurab Kvetenadze** – The Political Condition in the I Half of XV Century in Georgia
**Едишер Гвенетадзе, Зураб Квенетадзе** – Политическая положение Грузии I половине XV в. и Александр I

**მურმან პაპაშვილი** – ინგლისის დიპლომატია რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის გამწვავებაში და საქართველო (1722-1724 წწ.)
**Murman Papashvili** – Diplomacy of England in Russian-Turkish Strained Relations and Georgia (1722-1724)
**Мурман Папашвили** – Дипломатия Англии в обострении русско-турецких отношений и Грузия (1722- 1724 гг.)

**ოლეგ ჯიბაშვილი** – რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომში ქართლ-კახეთის მონაწილეობის მიზანშეწონილობის საკითხისათვის
**Oleg Jibashvili** – For the Issueof Appropriateness of Kartl-Kakheti Participation in Russian-Osman War in 1768-1774
**Олег Джибашвили** – К вопросу целесообразности участия Картли-Кахетинского царства в Русско-османской войне 1768-1774 годов

**ცაცა ჩხარტიშვილი** – ჯუმათის მონასტრის განძი უცხოეთში
**Caca Chkhartishvili** – The Treasure of Jumati Monastery in Abroad
**Цаца Чхартишвили** – Сокровище Джуматского Монастыря находящегося в загранице

**დოდო ჭუმბურიძე** – ქართველი მოწყალების და არტაანში ანა ერისთავი-ჭავჭავაძე (1833-1878 წწ.)

**Dodo Chumburidze** – The Georgian Nurse in Artaani Ana Eristavi-Chavchavadze (1833 - 1878)
**Додо Чумбуридзе** – Сестра милосердия в Артаани Анна Эристави-Чавчавадзе (1833-1878)

**ჯემალ კარალიძე** – ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა 1888-1900 წლებში
**Jemal Karalidze** – Batumi Urban Self-Government in 1888-1900
**Джемал Каралидзе** – Батумское городское самоуправление в 1888-1900 г.г.

**ლელა სარალიძე** – უცნობი ფურცლები აჭარის ისტორიიდან (ემიგრაციული პრესის მასალების მიხედვით)
**Lela Saralidze** – Unknown Folios From the History of Adjara (Basing on the Emigration Press)
**Лела Саралидзе** – Неизвестные страницы из истории Аджарии (по материалам эмиграционной прессы)

**ბიჭიკო დიასამიძე** – განათლება და კულტურა აბუსერისძეთა მოღვაწეობის დროის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში
**Bichiko Diasamidze** – The Abuserisdzes in the Cultural Life of South-Western Georgia in $11^{th}$-$14^{th}$ Centuries
**Бичико Диасамидзе** – Род Абусерисдзе в культурной жизни Юго-Западной Грузии в XI-XIV веках

**მალხაზ სიორიძე** – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში რკინიგზის განშტოებათა მოწყობის ისტორიისათვის (1878-1918 წწ.)
**Malkhaz Sioridze** – History of the Construction of the Railway Branches in the South-Western Georgia
**Малхаз Сиоридзе** – К истории устройства железнодорожных ветве в Юго-Западной Грузии (1878-1918 гг.)

**ოთარ თურმანიძე** – გადასახადები და საგადასახადო სისტემა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლად (1901-1917 წწ.)
**Otar Turmanidze** – Taxes and Tax System in the Rural Areas of South-West Georgia (1901-1917)

**Отар Турманидзе** – Налоги и налоговая система на селе в Юго-Западной Грузии (1901-1917гг.)

**ერმილე მესხია** – სამცხე-ჯავახეთის მმართველობის ისტორიიდან (1919-1920 წწ.)
**Ermile Meskhia** – From the History of Local Governing of Samtskhe-Javakheti (1919-1920)
**Эрмиле Месхия** – Из истории управления Самцхе-Джавахети (1919-1920гг.)

**სულხან ალექსაია** – ცხინვალის რეგიონის კონფლიქტური კერა დოკუმენტური მასალების მიხედვით (2000-2005 წწ.)
**Sulkhan Aleksaia** – Reviewing Tskhinvali Region Conflict Area on the Basis of Documentary Materials (2000-2005)
**Сулхан Алексаиа** – Конфликтный очаг в Цхинвальском регионе в свете документальных материалов (2000-2005 гг.)

**უჩა ოქროპირიძე** – ჩვენი მომავალი – ისტორიულ-გეოპოლიტიკური გააზრება
**Ucha Okropiridze** – Our Future – Historical-Geopolitical Point of View
**Уча Окропиридзе** – Наше будущее – историко-геополитическое размышление

**მაია ამირგულაშვილი, თენგიზ გრიგოლია** – რელიგია თუ იდეოლოგია?
**Maia Amirgulashvili, Tengiz Grigolia** – Religion or Ideology?
**Маия Амиргулашвили, Тенгиз Григолия** – Религия или идеология?

**ქეთევან ჯიჯეიშვილი** – ქარიზმატული ლიდერის პრობლემა თანამედროვე საქართველოში
**Ketevan Jijeishvili** – Problem of Charismatic Leader in Modern Georgia
**Кетеван Джиджеишвили** – Проблема харизматического лидера в современной Грузии

**ვაჟა შუბითიძე, გიორგი ტალახაძე** – გლობალიზაცია როგორც განვითარებადი ქვეყნების დაკაბალების ინსტრუმენტი

**Vadja Shubitidze, Georgi Talakhadze** – Globalization as Impeding Instrument of Developing Countries

**Важа Шубитидзе, Георги Талахадзе** – Глобализация как инструмент подчинений развивающих стран

**გურამ ჩაგანავა** – დეპორტირებული მესხების ქართული იდენტობის ფსიქოლოგიური პრობლემები

**Guram Chaganava** - The Problems of Georgian Identity of the Deported Meskhes

**Гурам Чаганава** – Психологические проблемы грузинской идентичности депортированных месхетинцев

**ტომი V**

გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2010, 171 გვ.

სარჩევი – Содержание

**სიმონ გოგიტიძე** – ქაშქა-აბეშლას ეთნიკური კუთვნილებისათვის

**Simon Gogitidze** – Is Qashqa-Abeshla Part of Abkhazian or Georgian World?

**Симон Гогитидзе** – Этническое принадлежность Кашка-абешла

**ვაჟა შუბითიძე** – ქართული რელიგიურ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური გავლენის გაძლიერება სომხეთზე XI-XV საუკუნეებში

**Vazha Shubitidze** – The Strengthening of Georgian Religious, Cultural, Social, and Economic Influence on Armenia in the 11-15th Centuries

**Важа Шубитидзе** – Возрастание грузинского религиозно-културного и социално-экономического влияния на Армению в XI-XV веках

**ბიჭიკო დიასამიძე** – საქართველოს ერთიანობისთვის წამებული კათალიკოსი

**Bichiko Diasamidze** – Catholicos Martyred for the Unity of Georgia

**Бичико Диасамидзе** – Католикос-мученик за единую Грузию

**ოლეგ ჯიბაშვილი** – ქუჩუკ-კაინარჯის ზავი და მესხეთის საკითხი
**Oleg Jibashvili** – The Treaty of Kuchuk-Kainarji and the Issue of Meskheti
**Олег Джибашвили** – Кючук-Кайнарджийский мир и вопрос Месхетии

**ვაჟა ჩოჩია** – რუსეთ-გერმანიის ურთიერთობა ბერლინის კონგრესის შემდეგ (1878-1879)
**Vazha Chochia** – Russia-Germany Interrelations After Berlin Congress (1878-1879)
**Важа Чочиа** – Русско-германские отношения после Берлинского конгресса (1878-1879)

**მალხაზ სიორიძე** – სურამის სარკინიგზო გვირაბი (გვირაბის გახსნის 120 წლისთავისათვის)
**Malkhaz Sioridze** – The Surami Railway Tunnel (Commemorating the 120-th Anniversary of the Opening of the Tunnel)
**Малхаз Сиоридзе** – Сурамский железнодорожний тоннель (К 120-летию открытия тоннеля)

**უჩა ოქროპირიძე** – ბათუმიდან ნავთობის ექსპორტის ისტორიიდან
**Ucha Oqropiridze** – From the History of Oil Export from Batumi Port
**Уча Окропиридзе** – Из истории экспорта нефти из батумского порта

**ნატო სონღულაშვილი** – თავისუფლების ფენომენის აღქმა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში (მიხაკო წერეთელი, გიორგი გვაზავა)
**Nato Songulashvili** – The Perception of Phenomenon Freedom in the Political Thinging (Mixako Theretheli, George Gvazava)
**Нато Сонгулашвили** – Восприятие феномена свободы в грузинском политическом мышлении

**გელა საითიძე** – სკოლების გადასარჩენი თანხა სამხედრო ბიუჯეტს მოაკლეს

**Gela Saitidze –** Die Summe Zur Tettung Adjarischer Schulen Wurde Dem Miliarbudget Entnommen

**Гела Саитидзе –** Сумма для спасения аджарских школ была урезана с военного бюджета

**ოთარ თურმანიძე –** აგრარული რეფორმა აჭარაში (XX საუკუნის 30-იანი წლები)

**Otar Turmanidze –** Agricultural Reformation in Adjara (the 30s of the XX Century)

**Отар Турманидзе –** Аграрная реформа в Аджарии (30-ие годы XX века)

**სულხან ალექსაია –** აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების მცდელობანი 2000-2005 წლებში

**Sulkhan Aleksaia –** Peaceful Regulation Attempts of Afxazian Conflict in 2000-2005

**Сулхан Алексаия –** Попытки мирного урегулирования конфликтного очага в Абхазии 2000-2005 годах

**თენგიზ გრიგოლია –** საქართველო ნატოს საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების ISAF -ის მისიაში

**Tengiz Grigolia –** Georgia in The International Security Assistance Force (ISAF) Mission of NATO

**Тенгиз Григолия –** Грузия в международных силах обезпечения безопасности (ISAF) миссии NATO

# ავტორები – Authors

**ალბოგაჩიევა მაკა** (სანკტ-პეტერბურგი, რუსეთი)
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პეტრე დიდის სახ. (კუნსტკამერა) ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

**Албогачиева Макка Султан-Гиреевна** (Санкт-Петербург, Россия)
Кандидат исторических наук, старший научный сотрудник отдела этнографии Кавказа Музея антропологии и этнографии им. Петра Великого (Кунсткамера) Российской Академии наук

**დავითაძე ემენი** (ბათუმი, საქართველო)
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

**Davitadze Emen** (Batumi, Georgia)
Doctor of Philological Sciences, Professor of St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

**დიასამიძე ბიჭიკო** (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი

**Diasamidze Bichiko** (Batumi, Georgia)
Doctor of Historical Sciences, Professor Emeritus, Head of Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

**ვარშალომიძე ირინე** (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ის-

ტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი
**Varshalomidze Irine** (Batumi, Georgia)
PhD in History, Researcher, Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

**თავამაიშვილი გიორგი**
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
**Tavamaishvili Giorgi** (Batumi, Georgia)
PhD in History, Principal Researcher of Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University

**თურმანიძე ოთარი** (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
**Turmanidze Otari** (Batumi, Georgia)
Doctor of Historical Sciences, Principal Researcher of Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

**მამულაძე სულხან** (ბათუმი, საქართველო)
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების სპეციალისტი
**Mamuladze Sulkhan** (Batumi, Georgia)
Graduate Student of Batumi Shota Rustaveli State University, Specialist of Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University

**ნებიერიძე ნიკოლოზი** (თბილისი, საქართველო)
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
**Nebieridze Nikoloz** (Tbilisi, Georgia)
Doctoral Student at the Georgian Technical University

**ნიქაბაძე ნონა** (ბურსა, თურქეთი)
ულუდაღის უნივერსიტეტის მაგისტრანტი
**Nikabadze Nona** (Bursa, Turkey)
Graduate Student of Uludag University

**ოქროპირიძე უჩა** (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
**Okropiridze Ucha** (Batumi, Georgia)
PhD in History, Principal Researcher of Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Professor of St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

**სურგულაძე კახაბერი** (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
**Surguladze Kakhaber** (Batumi, Georgia)
Doctor of Historical Sciences, Professor, Batumi Shota Rustaveli State University

**სურმანიძერამაზი** (ბათუმი,საქართველო)
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტის რექტორი
**Surmanidze Ramazi** (Batumi, Georgia)
Doctor of Medical Sciences, Professor, Rector, Batumi Medical-Ecological Institute

**შაშიკაძე ზაზა** (ბათუმი,საქართველო)
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
**Shashikadze Zaza** (Batumi, Georgia)
PhD in History, Associate Professor of Batumi Shota Rustaveli State University

**ჭიჭილეიშვილი მაია** (ბათუმი, საქართველო)
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
**Chichileishvili Maia** (Batumi, Georgia)
PhD in Art Criticism, Senior Researcher, Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Professor of Batumi Art Teaching University

**ჯიბაშვილი ოლეგი** (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი
**Jibashvili Olegi** (Batumi, Georgia)
PhD in History, Senior Researcher of Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Professor of St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

გამომცემლობის დირექტორი – **ნანა ხახუტაიშვილი**
გამომცემლობის რედაქტორი – **ლალი კონცელიძე**
ტექნიკური რედაქტორი – **ედუარდ ანანიძე**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.12.2017

ქაღალდის ზომა 60X84 1/16

ფიზიკური თაბახი 20

ტირაჟი 100

ფასი სახელშეკრულებო

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში

ქ. ბათუმი, ნინოშვილის, 35